

ბრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY

აკადემიური მაცნე

ACADEMIC DIGEST

სამართალი, ბიზნესი და მართვა

LAW, BUSINESS AND MANAGEMENT

დამატება

Special Edition

თბილისი – 2015

Tbilisi -2015

## სარედაქციო კოლეგია

მამუკა თავხელიძე - მთავარი რედაქტორი (თბილისი, საქართველო)  
გიორგი ლლონტი - მთავარი რედაქტორის მოადგილე (თბილისი, საქართველო)  
ნინო ქემერტელიძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე (თბილისი, საქართველო)

დევი ხვედელიანი	(თბილისი, საქართველო)
მალხაზ ბაძალა	(თბილისი, საქართველო)
ზურაბ ძლიერიშვილი	(თბილისი, საქართველო)
გია დეკანოზიშვილი	(თბილისი, საქართველო)
მურთაზ კვიციანი	(თბილისი, საქართველო)
ოთარ გამყრელიძე	(თბილისი, საქართველო)
მანანა მოსულიშვილი	(თბილისი, საქართველო)
დავით ძამუკაშვილი	(თბილისი, საქართველო)
ვალერიან ხრუსტალი	(თბილისი, საქართველო)
თეიმურაზ თოდრია	(თბილისი, საქართველო)
ვასილ კიკუტაძე	(თბილისი, საქართველო)

ანა მარგარიანი	(ერევანი, სომხეთი)
ჰელმუტ კური	(ფრაიბურგი, გერმანია)
ტრევორ კარტლეჯი	(ნოტინჰემი, დიდი ბრიტანეთი)
ელიკო წიკლაური-ლამიხი	(ფრაიბურგი, გერმანია)
კამილ ოგლუსალიმოვი	(ბაქო, აზერბაიჯანი)
ოლენა შოსტკო	(ხარკოვი, უკრაინა)

აღმასრულებელი რედაქტორი:

გიორგი თოდრია (თბილისი, საქართველო)

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
© Grigol Robakidze University Press

## **Editorial Board:**

Mamuka Tavkheldize - Editor-in-chief (Tbilisi, Georgia)  
Georgi Glonti - Deputy Editor-in-chief (Tbilisi, Georgia)  
Nino Kemertelidze - Deputy Editor-in-chief (Tbilisi, Georgia)

Devi Khvedeliani (Tbilisi, Georgia)  
Zurab Dzliarishvili (Tbilisi, Georgia)  
Malkhaz Badzagua (Tbilisi, Georgia)  
David Dzamukashvili (Tbilisi, Georgia)  
Valerian Khrustali (Tbilisi, Georgia)  
Otar Gamkrelidze (Tbilisi, Georgia)  
Manana Mosulishvili (Tbilisi, Georgia)  
Teimuraz Todria (Tbilisi, Georgia)  
Murtaz Kvirkvaia (Tbilisi, Georgia)  
Vasil Kikutadze (Tbilisi, Georgia)  
Gia Dekanozishvili (Tbilisi, Georgia)

Trevor Cartledge (Nottingham, Great Britain)  
Helmut Kury (Freiburg, Germany)  
Eliko Tsiklauri-Lammich (Freiburg, Germany)  
Olena Shostko (Kharkov, Ukraine)  
Anna Margarian (Erevan, Armenia)  
Salimov Kamil Nazim oglu (Baku, Azerbaijan)

Giorgi Todria Executive Editor (Tbilisi, Georgia)

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
© Grigol Robakidze University Press

# სარჩევი - Content

## სამართლის სკოლა - School of Law

### *David Andguladze*

The Problem of Refusal to Accept the Civil Claim in the Judiciary System of Georgia 9

#### *დავით ანდგულაძე*

სამოქალაქო სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უართან დაკავშირებული პრობლემატიკა საქართველოს სასამართლო სისტემაში

### *Nino Sandodze*

The Victim and His Rights in Georgia (Legal and Criminological Characteristics) 17

#### *ნინო სანდოძე*

დაზარალებული და მისი უფლებები საქართველოში (სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათება)

### *Tamta Bedukadze*

Violent Criminality 25

#### *თამთა ბედუკაძე*

ძალადობრივი დანაშაულობა

### *Michael Kazishvili*

Development of Law History 33

#### *მიხეილ ყაზიშვილი*

სამართლის განვითარების ისტორია

### *Tamta Gelukashvili*

Labor Discrimination and Preliminary Contract Relationship 49

#### *თამთა გელუკაშვილი*

დისკრიმინაცია შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში

<b><i>Natia Grzelishvili</i></b>	59
Family (domestic) Violence as Criminologic Phenomenon in Georgia	
<b><i>ნათია გრძელიშვილი</i></b>	
ოჯახური ძალადობა, როგორც კრიმინალური ფენომენი საქართველოში	
<b><i>Gvansa Gujabidze</i></b>	65
Premeditated Homicide Committed with Expreme Cruelty	
<b><i>გვანცა გუჯაბიძე</i></b>	
მკვლელობა ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით	
<b><i>Tengiz Sisauri</i></b>	71
Juvenile Crime Legal and Criminological Characteristics	
<b><i>თენგიზ სისაური</i></b>	
არასრულწლოვანთა დანაშაულის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათება	
<b><i>Ela Kacharava</i></b>	76
Quick Principle of Justice in Criminal Proceedings	
<b><i>ელა კაჭარავა</i></b>	
სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში	
<b><i>Ketevan Kenia</i></b>	94
Rights and Responsibilities of Spouses: Legal Institute of Property	
<b><i>ქეთი ყენია</i></b>	
მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების სამართლებრივი ინსტიტუტი	
<b><i>Arakishvili Nana</i></b>	101
Diversion and Mediation	
<b><i>არაკიშვილი ნანა</i></b>	
მედიაცია და განრიდება	
<b><i>Kristina Rzgoeva</i></b>	111
Conceptualizing of the Maritime Border Delimitation in Georgia	

**ქრისტინა რზგოევა**

საქართველოს საზღვაო საზღვრის დელიმიტაციის კონცეპტუალიზაცია

***Tinatin Tikaradze***

Defense of Intellectual Property Right: Pros and Cons

117

***თინათინ ტიკარაძე***

ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის დადებითი და უარყოფითი მხარეები

***Mariam Togonidze***

Drug-related Crimes and Sanctions According Criminal Code of Georgia

121

***მარიამ ტოგონიძე***

ნარკოდანაშაული და მასთან დაკავშირებული სანქციები საქართველოში

**School of Business and Management - ბიზნესის და მართვის სკოლა**

***Davit Sarishvili***

Location Advantage and Georgia's Tourism Potential to Attract Foreign Investors

135

***დავითი სარიშვილი***

საქართველოს მდებარეობის უპირატესობა და ტურისტული პოტენციალი, მოიზიდოს უცხოური საწარმოები

***Gvantsa Gogiberidze***

Appropriateness of the Clean Development Mechanism Projects in Georgia

142

***გვანცა გოგიბერიძე***

სუფთა განვითარების მექანიზმის პროექტების განხორციელების მიზანშეწონილობა საქართველოში

***Lia Rinkavoi***

Ecotourism Development Perspectives in Protected Territories of Georgia

150

***ლია რინკავოი***

ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე

<b><i>Teona Tsereteli</i></b>	158
Marketing research of Speleo-tourism in Georgia	
<b><i>თეონა წერეთელი</i></b>	
საქართველოს სპელეოტურიზმის მარკეტინგული კვლევა	
<b><i>Teona Gelbakhiani</i></b>	167
Entrepreneurship Supporting Programs and Their Effectiveness in Germany, USA and Georgia	
<b><i>თეონა გელბახიანი</i></b>	
მეწარმეობის (Entrepreneurship) მხარდამჭერი პროგრამები და მათი ეფექტურობა გერმანიის, აშშ-ისა და საქართველოს მაგალითზე	
<b><i>Ana Diasamidze, Ana Meladze</i></b>	183
Usage of Coefficients in Making Investment Decisions	
<b><i>ანა დიასამიძე, ანა მელაძე</i></b>	
კოეფიციენტების გამოყენება საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას	
<b><i>Marieta Kuprava</i></b>	190
Main Aspects of Selection of the Investments Effectiveness Assesment Methods	
<b><i>მარიეტა კუპრავა</i></b>	
ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების მეთოდების შერჩევის ძირითადი ასპექტები	

სამართლის სკოლა - School of Law



*David Andguladze*  
*Grigol Robakidze University*  
*School of Law*  
*Master's Programme Student*

## **The Problem of Refusal to Accept the Civil Claim in the Judiciary System of Georgia**

### **Summary**

The scientific article “The Problem of Refusal to Accept the Civil Claim in the Judiciary System of Georgia” discusses very topical problem of functional efficiency of reformed court system of Georgia.

Particularly the author analyzes the procedure of claim application according to the Georgian civil legislation and technical problems related to formal refusal of court. Recently, the Georgian civil courts refusal to accept the statement of claim has become a common practice. The author conducted a comparative study of the practice of refusal to accept the statement of claim in the civil courts of Georgia for the past four years - 2011- 2014 which showed that almost 20% of applications were rejected by the court for various reasons.

It should be noted that despite the fact that the Civil Procedure Code of Georgia which was adopted on November 14, 1997 provides specific grounds for refusing to accept claims in the practice, complainants often cannot correctly and fully create the necessary documents and as a result cannot solve their problems. This situation often causes resentment of plaintiffs against the court who were denied the right to file a civil suit.

According to the author, court actions are legitimate because the statement of the claim should be relevant to the requirements of the law.

The author sees the solution of the problems in the improvement of mechanisms of assistance to the plaintiff in the preparation of specific applications.

**Keywords:** Civil claim; Admitters; Plaintiff; Refusal; Clerical work.

*დავით ანდგულაძე*  
*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*  
*სამართლის სკოლა*  
*სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი*

**სამოქალაქო სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უართან დაკავშირებული პრობლემატიკა  
საქართველოს სასამართლო სისტემაში**

## რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში მსჯელობა შეეხება სამოქალაქო სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის ირგვლივ არსებულ პრობლემებს. დღეისათვის აღნიშნული შედეგი მზარდი ხასიათისაა და ის ხშირად დგება სამართალწარმოების პროცესში, რაც საკითხის პრობლემატურობასა და აქტუალურობას განსაზღვრავს. მსგავსი შედეგების გაანალიზება საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, თუ რამდენად არის დაცული საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით დადგენილი უფლება დღეს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პრინციპების (შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის) გათვალისწინებით. ამასთან ერთად, შესაძლოა, გამოიკვეთოს ისეთი განმარტებები, რომლებიც რეალური პრაქტიკისა და კვლევის საფუძველზე გასაგებს გახდის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს სარჩელის დასაშვებობასთან მიმართებით.

ეჭვგარეშეა, რომ კანონმდებელი არ ითვალისწინებდა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის, როგორც შედეგის, ასე მომრავლებას, მაგრამ დღეს ეს რეალობაა. მართალია, ამგვარ რეალობას ძირითადად მოსარჩელის მიერ დაშვებული შეცდომები განსაზღვრავს, მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ სარჩელის დასაშვებობის ირგვლივ მრავლადაა როგორც ბუნდოვანი, ისე მხარეთა მიერ არასათანადოთ აღქმული გარემოება თუ საკითხი. ამასთან ერთად, სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი ყოველთვისაა დაკავშირებული დროისა და სახსრების ხარჯვასთან როგორც სასამართლოს, ისე მოსარჩელეთა მხრიდან.

შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკაში ვაწყდებით სარჩელის დასაშვებობასთან არსებულ ბუნდოვან საკითხებს, რომელთა შეუსწავლელობა ხელს არ შეუწყობს განსახილველი პრობლემის შემცირება-აღმოფხვრას.

**სამიეზო სიტყვები:** სამოქალაქო, სარჩელი, დასაშვებობა, მიღება, უარი, წარმოებაში.

## შესავალი

1997 წლის 14 ნოემბერს მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დაფუძნებულია დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს, ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები[1,2]. შესაბამისად, მოსარჩელე სარჩელის საშუალებით ახორციელებს თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების პროცესუალურ რეალიზაციას. სწორედ ამ დროს, საჭიროა შესაბამისი მომზადება და მაქსიმალური ყურადღება, რათა სარჩელი შედგენილ იქნას კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. დაცვის უფლება გარანტირებულია. პირველ ეტაპზე, ნათლად არის წარმოსაჩენი, თუ რა არის სამოქალაქო სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი, როგორც შედეგი; ამასთან, დასაცავია პრინციპები, რომლებიც წარმოადგენენ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების სამართლიანად გამოყენების

გარანტიას. სამოქალაქო საპროცესო ნორმები თავისი ბუნებით მხარეებს თითქმის სრულ და შეუზღუდავ უფლებებს ანიჭებს და, ამავდროულად, გამორიცხავს სასამართლოს ჩარევას სამართალწარმოებაში რომელიმე მხარის ინტერესების გათვალისწინებით. სასამართლო მხოლოდ წარმოდგენილი მოთხოვნისა და შესაბამისი მტკიცებულება-გარემოებების ფარგლებში მსჯელობს. აქედან გამომდინარე, მიუკერძოებლობის ჩარჩოებში, სასამართლო უარს აცხადებს სარჩელის დასაშვებობის ფარგლებში ხარვეზის მითითებაზე (სპეციფიური შემთხვევების გარდა), რასაც აღნიშნული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარით ანაცვლებს. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ გააქარწყლა ის მოსაზრება, რომ სასამართლო ღებულობდა წარმოებაში ისეთ სარჩელს, რომელიც შესაბამის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა და თითქოს „არიგებდა“ მხარეს, თუ რა უნდა მოემოქმედებინა იმისათვის, რომ დაეკმაყოფილებინა საპროცესო კოდექსის მოთხოვნები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახლანდელი განჩინებით სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის შესახებ, სასამართლო სრულად და ამომწურავად განმარტავს ასეთი შედეგის საფუძვლებს, ხოლო მხარეს ისღა რჩება, რომ ეს მითითებები გაიზაროს და აღმოფხვრას უსწორობანი.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, კვლევის საგანს წარმოადგენს სასამართლოს მიერ მიღებული აქტი (განჩინების სახით), რომელიც გულისხმობს სარჩელის დაუშვებლობას განსახილველად. არსებული რეალობის მიხედვით, მთავარ ამოცანას წარმოადგენს ასეთი შედეგის დადგომის გამომწვევი მიზეზების გაანალიზება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაკლები ყურადღება მიექცევა ისეთ შემთხვევებს, როდესაც ყველაფერი ნათელია და არსებობს სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის პირდაპირ გაწერილი საფუძველი, მაგალითად, თუ იგივე მხარეებს შორის, იმავე დავის საგნის ფარგლებში, უკვე არსებობს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ან დაშვებულია წმინდა წყლის ტექნიკური შეცდომა, რასაც პრაქტიკაში ხშირად აქვს ადგილი (მაგალითად, სარჩელს არ ახლავს ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სარჩელი შემოტანილია რწმუნებულის მიერ მინდობილობის გარეშე).

კვლევის ფარგლებში, სხვადასხვა ეტაპზე, განხილული იქნება ხსენებული შედეგის არსებობის ყველაზე ხშირი გამომწვევი მიზეზები და მათი ლეგიტიმური საფუძვლები, რომლებიც განაპირობებენ სარჩელის განსახილველად დაუშვებლობას. გათვალისწინებული იქნება შესაბამისი გამოკითხვები და სასამართლოს პრაქტიკა. ასევე, ბუნებრივია, გასაანალიზებელია სტატისტიკა, რომელიც საკმაოდ საგანგაშო სიგნალს იძლევა, რათა შესაბამისი ყურადღება მიექცეს სამოქალაქო სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის პრობლემატიკას.

## **მასალები და მეთოდები**

წინამდებარე კვლევის ძირითად მასალას წარმოადგეს 1997 წლის 14 ნოემბერს მიღებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (დანამატებითა და ცვლილებებით, ბოლო ვერსია). სწორედ ამ კანონშია ჩამოთვლილი სარჩელის ფორმალური საფუძვლის აუცილებელი მოთხოვნები და სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის საფუძვლები. ასევე, მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკა, რომელიც დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით განსაზღვრავს, თუ რომელი მოთხოვნა - რომელ შემთხვევას შეესაბამება. აღნიშნულზე მეორე ინსტანციის გადაწყვეტილებაც მოქმედებს, რომელიც, გარდა იმისა, რომ აუქმებს პირველი

ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ აქტს რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში, თავისი მიმთითებელი ხასიათით მომავლისკენაა მიმართული. ამგვარი პრაქტიკა გასათვალისწინებელია, როგორც კანონის ანალოგიის შემთხვევა. თავად საკითხის პრობლემატურობაზე უშუალოდ სტატისტიკა მიუთითებს, ამიტომ, აუცილებელია ოფიციალური მონაცემების შედარება და ანალიზი. თავად საკითხის არსში ჩაწვდომისა და კვლევისათვის სწორი მიმართულების მისაცემად, პერიოდულად მისაღებია გამოკითხვების ჩატარება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე წრეებში. მიუხედავად აღნიშნული პრობლემის თითქოს-და წმინდა წყლის ტექნიკური და პროცესუალური ბუნებისა, სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის უფლება კონსტიტუციითა და მრავალი საერთაშორისო აქტით არის დაცული. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს თავად სამართალწარმოების პრინციპებს, ანუ ის კავშირშია იმასთან, თუ როგორ გამოიყენება ეს უფლება და ერთდროულად აწესებს გარკვეულ მოვალეობებს. კვლევის პროცესში დასაშვებია გერმანიის საპროცესო კოდექსთან პარალელების გავლება ისეთ საკითხებთან მიმართებით, რომელთა დეფინიციაც ჭირს ქართულ რეალობაში.

### **ძირითადი ნაწილი**

სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი წმინდა წყლის საპროცესო შედეგია. ერთი შეხედვით, მისი ფაქტობრივი ხასიათი ახალს არაფერს გულისხმობს, თუმცა, ნათელია, რომ მოსარჩელე მხარის სასამართლოსთვის მიმართვისას, ეს ხარვეზზე დაფუძნებული შედეგი აფერხებს არსებით სამართალწარმოების პროცესს. სასამართლოს მიერ მიღებულ აქტებს შორის, წარმოებაში მიღებაზე უარი, როგორც შედეგი, ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი გამომწვევი მიზეზის გამო დგება და შესაბამისად, მასშტაბურია. სიახლე ამ თემასთან მიმართებაში იმაში მდგომარეობს, რომ ხსენებული შედეგი ბოლო წლებში სარჩელების რაოდენობასთან ერთად მატულობს, შესაბამისად, აქამდე არნახულ აქტუალურობას იძენს.

სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი უკმაყოფილებას იწვევს საზოგადოებაში, ვინაიდან იხარჯება ბევრი დრო და რესურსი, საქმის წარმოება კი ვერ იწყება. აღსანიშნავია, რომ საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, გაიზარდა სამოქალაქო ბრუნვაც, რაც სარჩელთა რაოდენობის მატებაზე პირდაპირ აისახა. სარჩელის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის სირთულე და ხშირად, სამართალწარმოებისთვის მოსარჩელის არასრული მომზადება (მცირე ვადები, არასრული კონსულტაციები), ტოტალურად იწვევს სარჩელების წარმოებაში მიღებაზე უარს.

სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი, არსებით გადაწყვეტილებასთან შედარებით, არანაკლები სიხშირით საჩივრდება ზემდგომ ინსტანციაში. ეჭვგარეშეა, რომ მხარე მოკლებულია შესაძლებლობას სათანადოდ მოამზადოს სარჩელი სასამართლოში წარსადგენად, არ ესმის, თუ რას გულისხმობს რთულად გასაგები პროცესუალური ნორმები, მეტიც, ამას ხშირად, გარკვეული კვალიფიკაციის მქონე პირებიც ვერ ახერხებენ. მსგავსი პრობლემა ყოველთვის იქნება, რადგან ადამიანური ფაქტორიდან გამომდინარე, ყოველთვის იარსებებს შეცდომის დაშვების ალბათობა. სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი, როგორც შედეგი, მოწინავე ადგილას დგას რაოდენობის მხრივ, რაც ხშირად გამოწვეულია იმით, რომ ერთსა და იმავე მოსარჩელეს რამდენჯერმე ეთქმევა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი. ეს ცხადყოფს იმას, რომ მხარე, რომელიც აღძრავს სარჩელს, ვერ აცნობიერებს მოსამართლის

მითითებებს ხარვეზებზე, ისევე როგორც, ვერ სწვდება საპროცესო მოთხოვნების არსს, რაც არც სასარჩევლოა და არც დანაშაული, თუმცა, დამეთანხმებით, რომ პრობლემა და საჭიროებს ჩაღრმავებას. განხილული შედეგი მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლოსთვის არასაკმარისა ხოლმე საჭირო დოკუმენტაცია. მოთხოვნა სრულად და სათანადოდ არაა ჩამოყალიბებული სარჩელში, ის, ასევე, არ არის გამყარებული ურთიერთკავშირში მყოფი საჭირო ფაქტობრივი გარემოებებით, ან სახეზეა სხვა სახის შეცდომები. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სარჩელში მხარეს შეუძლია მიუთითოს დოკუმენტაციის არ წარმოდგენის საპატიო მიზეზი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი პირდაპირ მიუთითებს სარჩელის შინაარსზე[3]. მაგალითად, აღნიშნული მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სარჩელი უნდა შეიცავდეს სასარჩელო მოთხოვნას. ხშირად მოსარჩელე პირდაპირ წერს, რა უნდა, მაგრამ ეს არაა სასარჩელო მოთხოვნა. საქმე იმაშია, რომ სასარჩელო მოთხოვნა გულისხმობს ზუსტად იმის მითითებას, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში არსებობს ეს მოთხოვნა. ანუ, საიდან გამომდინარეობს ან რამდენად კანონიერია ის. ბუნებრივია, ამას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების აღწერა; ამ კუთხით მტკიცების ტვირთი მთლიანად მოსარჩელეს აწევს. სარჩელის ფორმა აუცილებლად უნდა იყოს დაცული. ბევრმა მოსარჩელემ არ იცის, რომ სარჩელი მოპასუხის რეაგირების გარეშე საკმარისი საფუძველი უნდა იყოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის, რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა ყველასთვის საქართველოს ტერიტორიის მასშტაბით. ამიტომ სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე, მოთხოვნისა და ფაქტობრივი გარემოებების სინთეზი საკმარისი უნდა იყოს მოსარჩელის სასამართლოსადმი მიმართვის აუცილებლობის, მოთხოვნის კანონიერების, მისი არსებობის დასადგენად. ფაქტობრივი გარემოებები ის მნიშვნელოვანი ღერძია, რომელსაც ეყრდნობა სასარჩელო მოთხოვნა. ამიტომ, თუკი, მოპასუხემ რეაგირება მოახდინა და შესაგებელი შემოიტანა, ის ზედმიწევნით უნდა პასუხობდეს ყველა იმ გარემოებას, რომელთაც სარჩელი შეიცავს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად იზადება შემდეგი კითხვა: თუკი სარჩელი არ შეიცავს ყველა ფაქტობრივ გარემოებას სათანადო მტკიცებულებებით და მოთხოვნაც არ არის ნათელი და კონკრეტული, მაშინ რას უნდა გასცეს მოპასუხემ შესაგებლით პასუხი? ისეთ ფაქტობრივ გარემოებას პასუხი ვერ გაეცემა, რომელიც კავშირში არაა სარჩელთან, ან საერთოდ არ არის მითითებული, ანდა შინაარსობრივად გასაგებია, მაგრამ არამკაფიოა და დაუკონკრეტებელი. არაზუსტ მოთხოვნას ვერ გაეცემა სათანადო პასუხი, ისევე როგორც, ვერ შეივსება შესაგებლის გრაფა, რომელშიც პირდაპირ უნდა ჩაიწეროს „კი“ ან „არა“ და ამგვარად გაირკვეს ეთანხმება თუ არა კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას მოპასუხე მხარე. შესაბამისად, წარდგენილი მოთხოვნა უნდა აკმაყოფილებდეს მკაცრ კრიტერიუმებს. აქედან გამომდინარე, სასამართლო არ მიიღებს ისეთ სარჩელს, რომელიც საკმარისად არ აკმაყოფილებს საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს. აღნიშნული არ ეხება ისეთ სარჩელებს, რომლებიც დასაშვებობის ეტაპისთვის მისაღებია და შემდგომ ზუსტდება მოთხოვნა ან განიხილება ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც არსებითი განხილვის საგანს წარმოადგენს. პრაქტიკაში ხშირია მტკიცებულებათა საქმეზე დართვა სასამართლო სხდომის მსვლელობისას. ამდენად, შესაძლებელია დავადგინოთ, რომ მთავარია, სარჩელი აკმაყოფილებდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო ნორმებს საქმისწარმოების დასაწყებად. შემდგომში კი, არსებითად განხილვამდე, მხარეებს კიდევ აქვთ საშუალება ამტკიცონ თავიანთი პოზიცია და ეპაექრონ მოწინააღმდეგე მხარეს.

საინტერესოა იურიდიული ინტერესის ცნების გარშემო არსებული შეკითხვები. საპროცესო კოდექსი პირდაპირ არ მიუთითებს, თუ რა არის იურიდიული ინტერესი, მაგრამ, თუკი აღძრულია აღიარებითი სარჩელი და ის არ შეიცავს იურიდიულ ინტერესს, ეს მის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველია. დაკვირვების შედეგად, იურიდიული ინტერესი მოსარჩელეს ხშირად ერევა თავის სურვილში, რომ მოიგოს სასამართლოში საქმე, ასევე, იმის განცდაში, რომ ის გამოუვალ სიტუაციაშია და მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს იმედილა აქვს. სინამდვილეში საჭიროა ამ ყველაფრის დოკუმენტაციის სახით წარმოდგენა. მაგალითად, საჯარო რეესტრის წერილობითი უარი პირის მესაკუთრედ რეგისტრაციაზე სასამართლოს შესაბამისი დადგენილების გარეშე. თავის მხრივ, იურიდიული ინტერესი გულისხმობს იმას, რომ მოსარჩელემ უკვე სხვა ხერხებით სცადა თავისთვის სასურველი შედეგის მიღწევა, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა შესაბამისი დადგენილების თუ გადაწყვეტილების გარეშე. ნათლად არის აღსაწერი, თუ რა იურიდიული შედეგის დასადგომად სჭირდება მოსარჩელეს სასამართლოს შესაბამისი აქტი; აღნიშნული შედეგის დადგომის კანონიერების დასაბუთებაც დაინტერესებულ პირს აწევს მტკიცების ტვირთად.

საბანკო სისტემის განვითარებამ გამოიწვია სარჩელების განსაკუთრებით დიდი რაოდენობის რეგისტრაცია, რომელიც ვალდებულების შეუსრულებლობას უკავშირდება[8]. სესხების, განვადებების თუ ინტერნეტ-კრედიტების დამტკიცების აქამდე არნახულმა ხელმისაწვდომობამ, რაც უდავოდ მოსახერხებელია კეთილსინდისიერი გადამხდელისთვის, ასევე, დიდი რისკების წარმოშობა განაპირობა. ამიტომ, მსესხებლების მხრიდან ხშირად ირღვევა ნაკისრი ვალდებულებები, რაც სასამართლოსადმი მიმართვის პირდაპირი საფუძველია (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების მიხედვით, გათვალისწინებულია მხარეთა შორის დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალება). წარმოდგენილი სარჩელები ხშირად არ არის დასაშვები განხილვისათვის. არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც რომელიმე საკრედიტო დაწესებულების წარმომადგენელმა ერთი ვიზიტის ფარგლებში დაარეგისტრირა რამდენიმე ათეული სარჩელი სასამართლოში, რომელთა დასაშვებობის განხილვისას გამოვლინდა, რომ ყველა წარმოდგენილ სარჩელში მეორდება ერთი და იგივე შეცდომა, რამაც ყველა მათგანის განხილვაზე უარის თქმა გამოიწვია. ასეთ შემთხვევაში, შესაძლო ტექნიკური ხასიათის შეცდომამ, რომლისგან დაზღვეულიც არავინაა, გამოიწვია სარჩელის მიღებაზე უარის მომრავლება. საკუთარი არსიდან გამომდინარე, თითოეული სარჩელი გულისხმობს დადგენილი წესით მის მომზადებას სასამართლოში წარსადგენად. ამიტომ, სხვა საქმეებში არსებული ვადიანი მინდობილობა ან სხვა სახის დოკუმენტი, რომელიც აკლია ახლად შემოტანილ სარჩელს, სასამართლოს ვერ დაავალდებულებს სარჩელის წარმოებაში მიღებას.


საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, რაიმე აუცილებელი შემცველობის დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მოსარჩელემ სარჩელში უნდა მიუთითოს შესაბამისი საპატიო მიზეზი[3]. ხშირია შემთხვევა, რომ ასეთი სახის ინფორმაციის მითითება მოსარჩელეს ავიწყდება, მაგრამ ივარაუდება, რომ მსგავსი დოკუმენტაცია არსებობს. მაგალითად, საკრედიტო დაწესებულებამ მოითხოვა გარკვეული თანხის დაკისრება მოპასუხისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო და წარმოადგინა დავალიანების შესახებ ცნობა, მაგრამ, ამასთან ერთად, არ მიუთითა დასაკისრებელი თანხის რა შემადგენელი ნაწილია სესხის ძირი, პროცენტი და

პირგასამტეხლო, შესაბამისად, ამის დასამტკიცებლად, საკრედიტო ხელშეკრულებაც არ წარმოადგინა. ყოველივე ზემო აღნიშნული სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველია, ვინაიდან ვერ დგინდება, თუ რა თანხის სესხებამ გამოიწვია პროცენტისა და პირგასამტეხლოს დაკისრება, რამდენად შეესაბამება ეს თანხები ერთმანეთს და ხელშეკრულების პირობებს. თუმცა, საინტერესოა მეორე ინსტანციის გადაწყვეტილება, რომელიც ხშირად აუქმებს პირველი ინსტანციის მიერ მიღებულ განჩინებას. ძირითადად ეს ხდება იმიტომ, რომ კერძო საჩივარში მოსარჩელე უკვე ურთავს საჭირო დოკუმენტაციას და ნავარაუდები საკრედიტო ხელშეკრულების არსებობა იწვევს წარმოდგენილი დავალიანების ცნობის გაცემას [5].

ჯამში შეიძლება ითქვას, რომ სარჩელის დასაშვებობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლო ითვალისწინებს სამომავლო შედეგებს, კერძოდ, შესაგებლის არ/ვერ წარმოდგენისას, სარჩელის შემცველობა საკმარისი უნდა იყოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მისაღებად; ასევე, მიღებაზე უარის თქმის საფუძველი არ უნდა იყოს ისეთ ჩამოუყალიბებელ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება, რომელიც საქმის არსებითად განხილვის დროს არის წარმოსადგენი.

**შედეგები**

სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შედეგი, რომლითაც სასამართლო დასაშვებად არ მიიჩნევს წარმოდგენილ სარჩელს. ამას ცხადყოფს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები[6] :



აღნიშნული ციფრები შესაძლოა მნიშვნელოვნად შემცირდეს, თუკი გათვალისწინებული იქნება სარჩელის გამართულობის მნიშვნელობა სამართალწარმოებისთვის. წინასწარი გამოკითხვის მიხედვით, ფაქტობრივი გარემოებების სწორი და სრული ჩამოთვლა, მათზე დაყრდნობილი სასარჩელო მოთხოვნის სრული განმარტება და კანონთან შესაბამისობა არის ძირითადი „დეფიციტი“ დღევანდელ სარჩელებში. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს წარმოებაში მიღებაზე უარის სიმრავლეს.

## დასკვნა

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ სასამართლოს პატივი და ღირსება მის მიმართ ნდობასთან ერთად ირყევა, თითქოს-და, გაუგებარი მიზეზებით სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმით. ამავდროულად, სასამართლო იმიტომ აფორმებს შესაბამის აქტს, რომ მოსარჩელემ სრულყოფის თავისი სარჩელი და მის მიმართ წაყენებული „მინიმალური“ მოთხოვნები დააკმაყოფილოს. ხშირი კრიტიკის მიუხედავად, რაც მოსარჩელის გაღიზიანებითაა განპირობებული, უმჯობესია სარჩელის არ მიღება წარმოებაში, ვიდრე სასამართლოს მიერ არაფექტური მართლმსაჯულების განხორციელება. სარჩელის არასათანადოდ მომზადებით შეიძლება მოპასუხემ ისარგებლოს და არასამართლიანად მოიგოს საქმე. შედეგად სარჩელი არ დაკმაყოფილდება, ხელახალი დავა კი იგივე მხარეებს შორის იმავე საფუძველით დაუშვებელი გახდება.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რა საშუალებითაა გარანტირებული სასამართლოსთვის მიმართვის კონსტიტუციით გამყარებული უფლება? მიგვაჩნია, რომ პრობლემის გადაჭრის მიზნით გაცილებით სრულყოფილად უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამისი საპროცესო ნორმები, აუცილებელია აღნიშნულ საკითხზე მუშაობა სამეცნიერო დონეზე წარმოებდეს, რაც სრულყოფს საჭირო ახსნა-განმარტებებს. საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ უნდა იზრუნოს მხარეთა სასარჩელო მოთხოვნების ჩამოყალიბებაზე და თავად ჩაერთოს მტკიცებულებათა მოძიებაში (კანონით დადგენილი შემთხვევების გარდა), ამით ხომ სამართალწარმოების ძირითადი პრინციპები დაირღვევა. ამიტომ, შეიძლება დავასკვნათ, რომ სასამართლოსთან მეტად უნდა ითანამშრომლონ ისეთმა უწყებებმა, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი სამართლებრივი კონსულტაციების ჩატარებას, დაეხმარებიან ხელმოკლე მოქალაქეებს სარჩელის სათანადოდ შედგენასა და მათი უფლებების დაცვაში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს პარლამენტი. სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (25,12,2014) მუხლი 3.
2. საქართველოს პარლამენტი. სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (25,12,2014) მუხლი 4.
4. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (25,12,2014) მუხლი 178.
5. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (25,12,2014) მუხლი 186.
6. საქართველოს პარლამენტი. სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს კონსტიტუცია. [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (25,12,2014) მუხლი 42.
7. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (25,12,2014) მუხლი 180.
8. საქართველოს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა. საქართველოს სააპელაციო სასამართლო. *საქართველოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე*. (სარჩელის მიღებაზე უარის თქმა 9 ჩანაწერი) [www.tbappeal.court.ge](http://www.tbappeal.court.ge)
9. თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგია. თბილისის საქალაქო სასამართლო. *ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები* [www.tcc.gov.ge](http://www.tcc.gov.ge)



## **Victim and His/Her Rights in Georgia (Legal and Criminological Characteristics)**

### **Summary**

The article "The victim and his rights in Georgia (legal and criminological characteristics)" discusses the topical problem for the country.

Protection of victims is of paramount importance to the state. This assertion is based on the fact that the basis of participation of public authorities in ensuring the rights of victims is necessary to restore justice and the principle of equality of all before the law and the courts.

The problem of protecting the rights of victims has traditionally been the object of earlier studies mainly, the criminal procedural law, as well as criminal law, civil law, civil procedural law, criminology and victimology.

The author gives a definition of victimology as an interdisciplinary field that investigates victimization, i.e. the process of becoming a victim of crime.

Predisposition to the fact is that being a victim of crime is sometimes called victimization, although this term has also other meanings.

The article discusses the common causes and conditions - typical of victimization in general and special reasons unique to the victimization of minors.

Inside mechanism of crime distinguishes personal and situational causes of victimization. They are also called victimogenic factors. Personal reasons - certain bio-physical, mental, psychological and social qualities. There is no "innate victims" or "the nature of victims." Acquired human physical, mental and social traits and characteristics (physical and other disadvantages, the inability to self-defense, or lack of readiness for special psychic or foreign material and financial attractiveness) can cause victimization.

Thus, by studying the personality and behavior of the victim of crime, criminology examines the problem of victims mainly in the following aspects:

- a) general description of the relationship of a victim and the perpetrator, their relationship;
- b) identity and behavior of the victim in the overall structure of the causes and conditions of committing a crime;
- c) identity and behavior of the victim in the specific situations in which the crime was committed;
- g) identity and behavior of the victim after the crime (especially in the study of recidivism);

d) relationship of the individual and the victim's behavior with latent crime.

**Keywords:** Victimization; Victim; Violence; Crime.

*ნინო სანდომე*

*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*

*სამართლის სკოლა*

*სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი*

**დაზარალებული და მისი უფლებები საქართველოში  
(სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათება)**

**რეზიუმე**

თანამედროვე საზოგადოებაში მეტად პრობლემურია დაზარალებულის, როგორც სისხლის სამართლის აქტიური სუბიექტის, მისი უფლებების და პიროვნების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათების საკითხი. ნაშრომი სწორედ ამ პრობლემის წარმოშობას და შესაძლო გამოსავლის მოძიებას ისახავს მიზნად საქართველოში.

სტატიის პირველ ნაწილში განხილულია ვიქტიმოლოგიის არსი და მნიშვნელობა, მეორე ნაწილი პიროვნების ვიქტიმიზაციის და განმეორებით ვიქტიმიზაციის პროცესს შეეხება. საუბარია დაზარალებულზე, მის უფლებებზე და როლზე ქართულ და ევროპულ კანონმდებლობაში. ასახულია დაზარალებულის მდგომარეობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის ჭრილში. ნაშრომის ბოლოს კი შევეცადეთ გვეპოვნა პრობლემის შესაძლო გადაჭრის გზები.

**სამიეზო სიტყვები:** ვიქტიმიზაცია; დაზარალებული; ძალადობა; დანაშაული

**შესავალი**

სისხლის სამართლის სფეროში მოღვაწე მეცნიერები ყურადღებას ძირითადად დამნაშავეს პიროვნებას და მის ქმედებებს უთმობენ. დანაშაულის მსხვერპლი მხოლოდ დამნაშავეს პიროვნების შესწავლის კუთხით ხვდება მათი ხედვის არეალში. მსხვერპლის იგნორირებით დანაშაული მხოლოდ ცალმხრივად შეისწავლება. მისი უკეთესად შესწავლისათვის საჭიროა მეცნიერთა კვლევის საგანი დანაშაულის მსხვერპლიც გახდეს.

ვიქტიმოლოგია სწორედ ის მეცნიერებაა, რომელიც დანაშაულის მსხვერპლს შეისწავლის. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის კრიმინალური პოლიტიკის ფორმირებაში. დანაშაულის თავიდან აცილების და მისი გახსნის თვალსაზრისით საგამოძიებო

ორგანოებისთვის ინფორმაციის მატარებელია დანაშაულის მსხვერპლი და დამნაშავე. ვიქტიმოლოგიური კვლევების ჩატარება მნიშვნელოვანია, ასევე, მსჯავრდებულის რესოციალიზაციისათვის.

თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს ფუნდამენტურ მოვალეობას სამართლებრივი ნორმების შექმნა, მათ დაცვაზე კონტროლის განხორციელება და სამართალდარღვევათა აღკვეთა წარმოადგენს. ვინაიდან სამართალდარღვევათა აღკვეთის მონოპოლია მხოლოდ სახელმწიფოს აქვს, დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირს ეკრძალება სამართლიანობის

აღსადგენად თავად გაუსწორდნეს დანაშაულის ჩამდენს ძალადობის და იძულების ღონისძიებების გამოყენებით. თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულს გაჩნია საკუთარი ინტერესები, სისხლის სამართალწარმოებაში მას გარკვეული უფლებები ენიჭება ამ ინტერესთა დასაცავად. ეს საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემაა და, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის თანახმად, პრიორიტეტულ საკითხთა რიცხვს მიეკუთვნება.

წინამდებარე სტატიის მიზანია წარმოაჩინოს დანაშაულის მსხვერპლის სამართლებრივი მდგომარეობა ევროპული და სამამულო კანონმდებლობის მიხედვით, განიხილოს ის შედარებით ჭრილში და სამართალდამცავებს შესთავაზოს ის შესაძლო რეფორმები, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს ქართული სისხლის სამართლის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობას.

სტატიაში გამოყენებულია ანალიტიკური და შედარებითი კვლევის მეთოდები და ასახულია პრობლემის შესაძლო გადაჭრის გზები.

## **ძირითადი ნაწილი**

**ვიქტიმოლოგიის ცნება.** სიტყვა „ვიქტიმოლოგია“ ლათინური წარმოშობისაა და მსხვერპლს ნიშნავს. ალბათ, თითოეულ ჩვენგანისთვის ცნობილია საზოგადოებაში არსებული შეკითხვები:

- რატომ ხდება დანაშაული და ძალადობა?
- როგორია დამნაშავე-მომალადე და როგორი - დანაშაულის მსხვერპლი?

აღნიშნულ საკითხებს დეტალურად შეისწავლის ვიქტიმოლოგია, ანუ მოძღვრება მსხვერპლის შესახებ. ის კრიმინოლოგიის ნაწილია, რომელიც განსაზღვრავს დანაშაულის მსხვერპლის როლს დანაშაულში, რაზე მსჯელობაც ბოლო დრომდე მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. 1965 წ. აშშ-ში მოეწყო დანაშაულის სტატისტიკასთან დაკავშირებული საკითხების ფართო განხილვა, რომლის მსვლელობისას გაირკვა, რომ შეუტყობინებელ დანაშაულთა „შავი სია“ ბევრად აჭარბებდა ნავარაუდევს, ასევე მსხვერპლის რაოდენობა არათანაბრად ნაწილდებოდა სხვადასხვა კლასებსა და ეთნიკურ ჯგუფებზე, ასევე ქალებსა და მამაკაცებს, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს შორის. აღმოჩნდა, რომ ქალაქის ბინადრებში, სამართალდამცავთა სიჭარბის მიუხედავად, უფრო მეტი იყო დანაშაულის ობიექტად ქცევის რისკი.

ვიქტიმოლოგიის თეორიული მიდგომების მეშვეობით ხდება მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის ურთიერთობის ბუნების, „მსხვერპლის მიერ დანაშაულის პროვოცირების“ საკითხების შესწავლა; გარკვეულ შემთხვევებში (მაგალითად, გაუპატიურებასთან დაკავშირებით), ხშირად იკვეთება დაზარალებულის როლი დანაშაულის პროვოცირებაში, რაც ლოგიკურად წამოჭრის დანაშაულში შერეული პასუხისმგებლობის საკითხს.

აღნიშნულ შემთხვევებზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ.

არსებობს ვიქტიმოლოგიის ცნების ორგვარი გაგება:

1) **ვიწრო გაგებით** ვიქტიმოლოგია მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის დანაშაულის მსხვერპლს.

2) **ფართო გაგებით**, ვიქტიმოლოგია შეისწავლის არამხოლოდ დანაშაულის, არამედ უბედური შემთხვევისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების მსხვერპლსაც. ორივე მათგანი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ვინაიდან სოციალური ურთიერთობის მსხვერპლი ადვილად შეიძლება გახდეს დანაშაულის მსხვერპლიც. თუმცა, უნდა ისიც ითქვას, რომ ვიქტიმოლოგიაში მსხვერპლის ცნება ორაზროვანია, რაც პრობლემურს ხდის ვიქტიმოლოგიის შესწავლის საგნის ზუსტ განსაზღვრას.[1] ვიქტიმოლოგიის, თუნდაც ვიწრო გაგებაც, არ იძლევა იურიდიული ცნების სრულყოფილად ჩამოყალიბების შესაძლებლობას. აღნიშნული, შესაძლებელია, მიუთითებდეს მსხვერპლის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტების მჭიდრო ურთიერთკავშირზე.

#### **პიროვნების ვიქტიმიზაციის პროცესის სახეები**

გერმანელმა მეცნიერებმა პიროვნების ვიქტიმიზაცია დაყვეს სამ ეტაპად:

- **პირველადი (ძირითადი) ვიქტიმიზაცია**  
პირველად ვიქტიმიზაციად ითვლება დანაშაულის ჩადენით მსხვერპლის მიმართ წარმოშობილი ფსიქოლოგიური, ფიზიკური და მატერიალური ზიანი.
- **მეორადი (არაძირითადი) ვიქტიმიზაცია**  
პიროვნების არაძირითადი ვიქტიმირება ხდება მასთან ურთიერთობაში მყოფი პიროვნებების მიერ გაკეთებული განცხადებებით. ( ექიმის, პოლიციელების, ადვოკატების )
- **მესამეული ვიქტიმიზაცია (ფსიქოლოგიური შედეგი )**  
მესამეულ ვიქტიმიზაციას ადგილი აქვს, როდესაც დანაშაულის მსხვერპლს, პირველადი და მეორადი ვიქტიმიზაციიდან გამომდინარე, აღარ სჯერა, რომ დაცული იქნება დანაშაულებრივი ხელყოფისგან როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე ახლო სოციალური გარემოს მხრიდან.

#### **დაზარალებულის (მსხვერპლის) ცნება და ნიშნები**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომ სსსკ) მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად, დაზარალებული შესაძლოა იყოს სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. [2]

არსებობს აზრი, რომლის თანახმად, დანაშაულის მსხვერპლად უნდა ჩაითვალოს ყველა ის პირი, ვისაც დანაშაულისგან ზიანი მიადგა, მიუხედავად იმისა, ეკუთვნოდა თუ არა მას ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთე, არის თუ არა უფლებამოსილი საჩივრით მიმართოს

შესაბამის უწყებას და დაზარალებულად მიიჩნევა თუ არა იგი სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების მიხედვით.

განსხვავებული მოსაზრების თანახმად, მსხვერპლი არის პირი, რომელიც სხვა პირის ინტერესის შემსრულებელია; კრიმინალური თვალთახედვით, მსხვერპლი არის ისეთი პირი (ასევე იურიდიული), რომლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთე ხელყოფილია.

ამერიკელი კრიმინოლოგის Schafer-ის აზრით, არ არსებობს დანაშაული მსხვერპლის გარეშე. დანაშაულებრივი ქმედებით ვიღაცა ან საფრთხეში უნდა ჩავარდეს, ან დაზარალდეს, ან დაზიანდეს, ან განადგურდეს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს თავისი მოქალაქეების უსაფრთხოება, სამწუხაროდ, არავინაა დაცული დანაშაულისგან. აღსანიშნავია, რომ ისევე, როგორც არ არსებობს დაბადებით დამნაშავე, არც დაბადებით მსხვერპლი არსებობს, თუმცა, მეცნიერები გამოყოფენ გარკვეულ ფაქტორებს, რომელთა არსებობაც ხელს უწყობს ვიქტიმიზაციის ზრდას. ასეთი ფაქტორები შესაძლებელია იყოს: პირის ფიზიკური თვისებები, ოჯახური მდგომარეობა, პირადი ცხოვრების სტილი, საქმიანობა, განათლება, სამედიცინო ისტორია, კრიმინალური წარსული, ბოლო აქტივობები (მოვლენების თანამიმდევრობაც), თუ ხელმისაწვდომია, მსხვერპლის დღიურები, დანაშაულამდე მოგზაურობის რუკა, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის გამოყენების ისტორია, მეგობრები და მტრები, ოჯახის დასაქმების ისტორია.

არსებობს განმეორებითი ვიქტიმიზაციის ცნებაც, რომელიც სერიოზულ ზეგავლენას ახდენს დანაშაულის დონის ზრდაზე. როგორც ერთმა და იმავე პირმა შეიძლება დანაშაული ჩაიდინოს განმეორებით, ისე, ერთი და იგივე პირი შეიძლება გახდეს დანაშაულის მსხვერპლი განმეორებით.

როდესაც ვიხილავთ ვიქტიმიზაციის პრობლემას საქართველოში, აუცილებელია ჩავატაროთ ვიქტიმიზაციის დონის შედარებითი ანალიზი ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ვიქტიმიზაციის კვლევები, რომლებიც „გორბი“-მ ჩაატარა 1992 და 1996 წლებში, საშუალებას იძლევა შეიქმნას პიროვნებისა და ოჯახის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დინამიკის რეტროსპექტული სურათი.

კვლევამ აჩვენა, რომ ვიქტიმიზაციის დონე 1992 და 1996 წლებთან შედარებით 2011 წელს პრაქტიკულად ყველა დანაშაულის მიხედვით შემცირდა საშუალოდ 5-დან -15-ჯერ (ბოლო ხუთი წლის მაჩვენებლებით).

#### **განმეორებითი ვიქტიმიზაციის მიზეზები:**

განმეორებითი და მრავლობითი ვიქტიმიზაციის მიზეზებს გააჩნიათ მსგავსი ნიშნები, რომლებიც ხელს უწყობენ პიროვნული და ოჯახური ვიქტიმიზაციის აღმოცენებას. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ვიქტიმიზაციის პროგნოზირებისთვის საუკეთესო საფუძველი წინა ვიქტიმიზაციის გაანალიზებაა. ყოველი შემდგომი ვიქტიმიზაციის ფაქტი ზრდის მორიგი ვიქტიმიზაციის შესაძლებლობას. ზოგჯერ ეს კანონზომიერება განპირობებულია იმით, რომ მსხვერპლი ვერ ეწინააღმდეგება ძალადობას ან საკუთარი უფლებების ხელყოფას და დამნაშავესთვის იოლ ნადავლად იქცევა (მაგალითად, ქმარი სისტემატურად აყენებს ფიზიკურ შეურაცხყოფას ცოლს, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ეწინააღმდეგება ამ

ძალადობას). განმეორებით ვიქტიმიზაციას ხელს უწყობს აგრეთვე წინა დანაშაულის წარმატებით განხორციელება. ყოველი მორიგი ვიქტიმიზაცია ნაკლებ რისკთანაა დაკავშირებული და ხშირად იმეორებს წინა ვიქტიმიზაციის ობიექტურ მხარეს. დანაშაულის და უსაფრთხოების კვლევამ გვიჩვენა, რომ განმეორებით ვიქტიმიზაციას აქვს იგივე მახასიათებლები, რაც ცალკეულ ვიქტიმიზაციას. მამაკაცები უფრო ხშირად არიან განმეორებითი ვიქტიმიზაციის მსხვერპლნი, ვიდრე ქალები. გამონაკლისია საყოფაცხოვრებო ძალადობა, რომლის მსხვერპლი, როგორც წესი, ქალბატონები არიან.

მეცნიერულ თეორიებში ვიქტიმიზაცია, განსაკუთრებით კი მისი განმეორებითი და მრავლობითი ფორმები აიხსნება დაზარალებულის პიროვნული თავისებურებებით, ანუ ე.წ. "მსხვერპლის ფენომენით". განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც განაპირობებენ პიროვნების გაზრდილ ვიქტიმურობას. ასეთი ფაქტორებია:

- ე. წ. ასოციალური ჯგუფების განსაზღვრული საქმიანობა. ასეთი ჯგუფებს შეადგენენ მეძავეები, ნარკომანები, მაწანწალები;
- სისტემატური ფიზიკური შეურაცხყოფა და ძალადობის სხვა ფორმები ოჯახში;
- დაზარალებულთა პიროვნული თავისებურებები, როგორცაა: გონებრივი ჩამორჩენილობა, აგრესიულობა, ასაკი და ა.შ.

დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევამ საქართველოში აჩვენა, რომ დაზარალებულების გარკვეული ნაწილი განმეორებითი და მრავლობითი დანაშაულის მსხვერპლია.

ვფიქრობ, მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება შესაძლებელი გახდება შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში:

- დაზარალებული უნდა დაიკითხოს უცხო პირების დაუსწრებლად;
- აუცილებელია დაზარალებულის ნდობის მოპოვება სამართალდამცავების მიერ, მისდამი თანაგრძნობით მოპყრობა;
- შეკითხვების გასაგებად ფორმულირება;
- მსხვერპლი სასურველია დაიკითხოს დისტანციურად სხვა სასამართლო დარბაზიდან.

### **დანაშაულის მსხვერპლის სამართლებრივი ასპექტები**

საქართველოს სისხლის სამართლის მატერიალური კანონმდებლობის მიხედვით, დანაშაულის მსხვერპლს დანაშაულის ან დანაშაულის შედეგის თავიდან აცილებისთვის გააჩნია შემდეგი უფლებები: აუცილებელი მოგერიების და უკიდურესი აუცილებლობის უფლება და დამნაშავის შეპყრობა. ამ უფლებების მართლზომიერად გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული პირობების დაცვით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ე.ი. ვინც მართლსაწინააღმდეგოდ ხელყოფისას დააზიანებს ხელმოყფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად.

ვიქტიმოლოგიური თვალთახედვით, მსხვერპლისთვის მნიშვნელოვანია, როგორც დანაშაულისგან თავდაცვის უფლება, ასევე იმის ცოდნა, რომ სხვასაც აქვს უფლება დანაშაულის აღკვეთაში დაეხმაროს (აუცილებელი დახმარება). იმის ცოდნა, რომ თავდაცვის

მოტივით განხორციელებული ქმედება, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, არ არის დასჯადი, მსხვერპლს შესაძლებლობას აძლევს გარკვეულწილად თვითონ აღკვეთოს დანაშაული, რითაც თავიდან აიცილებს მის წინააღმდეგ განხორციელებულ უკანონო ქმედებისგან მიღებულ ფსიქოლოგიურ ტრამვას. გარდა ამისა, მსხვერპლი, რომელმაც თვითდაცვის მექანიზმს მიმართა, სოციალურ გარემოში არ კარგავს თავის სტატუსს.

მსხვერპლადქცევისგან თავის დასაცავად სსკ-ის 30-ე მუხლი ითვალისწინებს პირის უფლებას საფრთხის თავიდან ასაცილებლად ზიანი მიაყენოს სხვა სამართლებრივ სიკეთეს (უკიდურესი აუცილებლობა). უკიდურესი აუცილებლობა აუცილებელი მოგერიებისაგან იმით განსხვავდება, რომ პოტენციური მსხვერპლი ზიანს აყენებს არა თავდამსხმელს, არამედ სულ სხვა სუბიექტს [3, 232].

აუცილებელ მოგერიებას და უკიდურეს აუცილებლობასთან ერთად, დაზარალებულის უფლებას წარმოადგენს დამნაშავის შეპყრობა, რასაც სსკ-ის 29-ე მუხლი აწესრიგებს.

საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 თავი მთლიანად ეთმობოდა დაზარალებულს და მის წარმომადგენელს, თუმცა, 2009 წლის 9 ოქტომბერს მიღებული იქნა ახალი საპროცესო კოდექსი, რომელიც მრავალ ნოვაციას შეიცავდა. ამ კოდექსის თანახმად, დაზარალებული აქტიური სუბიექტი აღარაა და მისი პროცესუალური მდგომარეობა მოწმის ფუნქციამდეა დაყვანილი.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია (შემდგომში კონვენცია) იცავს დანაშაულის მსხვერპლის უფლებებსაც. კონვენციის მე-8 მუხლი მიუთითებს დანაშაულის მსხვერპლისადმი სათუთ და ადამიანურ მოპყრობაზე, რათა მსხვერპლმა სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობის დროს არ მიიღოს აუცილებელზე მეტი ტკივილი.[4]

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-2, მე-3, მე-8 მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს დაიცვას მსხვერპლის უსაფრთხოება. [5] მნიშვნელოვანია ასევე, რომ კონვენციის მე-8 მუხლი იცავს დაზარალებულს მის პირად ცხოვრებაში მასმედიის მხრიდან ჩარევისგან. [6]

ამ მხრივ, დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ კონვენცია დაზარალებულს „არ ანიჭებს რაიმე უფლებას პირადი შურისძიებისთვის“ [7, 63] კონვენციის მიერ დაზარალებულისათვის მინიჭებული უფლებები მაინც სახელმწიფოსათვის მინიჭებული პოზიტიური ვალდებულებების ხასიათს ატარებს.

ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა (როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის) აგებულია გერმანული სამართლის მოდელზე, ცხადია, ჩვენი კანონმდებლობით დადგენილი დაზარალებულის უფლება-მოვალეობები გერმანიაში არსებულის იდენტურია. გერმანიაში, ისევე, როგორც საქართველოში, პროცესუალური უფლების მიხედვით, დაზარალებული, თითქმის, ჩვეულებრივ მოწმეს უთანაბრდება.

იტალიის კანონმდებლობის მიხედვით, დაზარალებული გვევლინება პროცესის აქტიურ სუბიექტად, მან შეიძლება წამოიწყოს კერძო დევნა ან მიიღოს პროცესის სამოქალაქო მხარის

სტატუსი. დაზარალებულს საკმაოდ ბევრი უფლება გააჩნია, როგორცაა ინფორმაციის მიღება, ადვოკატის ყოლა, განმარტების მიცემა, შუამდგომლობის აღძვრა, პროკურორისა და გამომძიებლის მოქმედებების გასაჩივრება, მტკიცებულებების წარდგენა, მოწმეებისთვის შეკითხვის დასმის, გასაჩივრების უფლება სხდომის თავმჯდომარესთან და ა.შ.

გარდა იტალიისა, საფრანგეთსა და ბულგარეთშიც დაზარალებული პროცესის აქტიურ სუბიექტს წარმოადგენს. აღნიშნული ქვეყნების მაგალითზე ნათელია, რომ საქართველოში დაზარალებული მეტად მძიმე მდგომარეობაშია. 2013 წლის ნოემბერში პარლამენტს დასამტკიცებლად წარედგინა კანონპროექტი სსსკ-ში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც ეხება დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობას. თუმცა, შედეგი ჯერ არ ჩანს და აღნიშნულ თემაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. ჩვენს სახელმწიფოს კი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება მოუწოდებს, გააგრძელოს „რეფორმების განხორციელება ისეთ სფეროებში, როგორცაა: მართლმსაჯულება, სისხლის სამართლის კოდექსი და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ამასთან ერთად“, მოახდინოს „სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში მხარეების თანასწორობის გაზრდა და ისეთი საკითხების განხილვა და სამართლებრივი წინადადებების წარმოდგენა, როგორცაა: სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლის სტატუსი და უფლებები.“

## დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დღეისათვის ქართულ სისხლის სამართალწარმოებაში დაზარალებულის როლი, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელოა. მას ჩამოერთვა რიგი უფლებები, ხოლო ის, რაც შეუნარჩუნდა, ფორმალური ხასიათის მატარებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ დაზარალებულის უფლებათა ჩამონათვალი საქართველოში გაცილებით მწირია, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის მოწესრიგებისთვის მიზანშეწონილია საქართველომ უზრუნველყოს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება და გააუმჯობესოს დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მის ეფექტურ რესოციალიზაციას.

რასაკვირველია, დანაშაულისგან სრულად დაცვა არცერთ სახელმწიფოს ძალუმს.[8, 65].

სახელმწიფო ვერც ერთ თავის მოქალაქეს მისცემს იმის გარანტიას, რომ იგი არასოდეს გახდება დანაშაულის მსხვერპლი. ამიტომ, სულ მცირე, რაც მას შეუძლია, არის ის, რომ:

1. შექმნას მექანიზმი მისთვის მიყენებული ზიანის მატერიალურად ანაზღაურებისთვის;
2. შექმნას დანაშაულით დაზარალებულთა ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი;
3. აკონტროლოს სამართალდამცავი ორგანოების მოქმედება, რათა გამოძიების დროს მინიმუმამდე იქნას დაყვანილი დაზარალებულის რევიქტიმიზაცია.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Kaiser, G. u. a., (Hrsg) 1993.S.583.



2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მე-3 მუხ. 22-ე ნაწ.
3. გამყრელიძე, ო: 2008.
4. Dearing, A., 2004 S, 81; იხ: ს. შვედეთის წინააღმდეგ, 02. 07. 2002. 34209/96, &47.
5. Dearing, A., 2004.s.81; იხ, :მასტრომატეო (mastomatteo) იტალიის წინააღმდეგ, 24.10.2002 37703/97, &67: ოსმანი (osman) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 28.10.1998, 87/1997/871/1083, &15.
6. Dearing, A., 2004. S. 82.
7. ტრექსელი, შ., 2009. გვ. 63: პერეზი (perez) საფრანგეთის წინააღმდეგ. &68.
8. თუმანიშვილი, გ., 2009.
9. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

***Tamta Bedukadze***  
*Grigol Robakidze University*  
*School of Law*  
*Master's Programme Student*

## **Violent Criminality**

### **Summary**

Social resistances raised in transitional Georgia determine violet crime determination by degrees. That is why it is very important to determine the issues of distribution of crimes and criminals' social origin and other issues related to the structure of crime of violence in transitional period.

Criminality is socio-legal phenomenon, as the mass of crimes is received by the sum of crimes committed during the given period of time. However, criminality is not simple the arithmetic sum of crimes. This is one organism where each crime is closely linked with each other. Criminality is a social phenomenon because it encroaches on public interests.

Criminality is historically changeable with its social nature. Capacity of punishable act is changing as a result of historical development, i.e. certain actions are being criminalized and vice versa, some actions are decriminalization.

Criminality is a legal phenomenon, as criminal acts have legal characteristics. The actions are described in the law and they represent violation of legislative norms.

Criminality in particular is a criminal phenomenon. Crimes within the range are defined by the criminal law. Legal side of the crime is clearly expressed during serious changes in the legislation. Especially, when the field of criminal responsibility is narrowed or widened.

Relevance of violent crime study is conditioned by its tendencies and at the same time, fighting against violent crime. Also, it became the realization means of transnational and other groups of crime.

It is very important to determine the social branch where violence is accumulated. Realization of the research of the history of violence crime is important in this direction what forms the complex prognosis base. Relevance of the subject is conditioned by it.

The research subject presents the transition time of violence crime structure and dynamic particularity.

The research object is criminal structure characterizing violence, determination levels and structure directions as well as common-social and special-crime measures.

The research target is theoretical-suing target decision against crime fighting. During working on the subject, there were used international conventions, sociological, statistical and other methods, Georgian and foreign scientific works, international and inter-legal legislation acts, publications, statistics materials, internet recourses, etc.

**Keywords:** Criminality; Violation; Criminal Law; Criminology.

*თამთა ბედუკაძე*

*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*

*სამართლის სკოლა*

*სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი*

## **ძალადობრივი დანაშაულობა**

### **რეზიუმე**

გარდამავალი პერიოდის საქართველოში წარმოშობილი სოციალური წინააღმდეგობები ხარისხობრივად განსაზღვრავენ ძალადობრივი დანაშაულობის დეტერმინაციას. ამიტომ, პერსპექტივაში, ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია დანაშაულთა, დამნაშავეთა სოციალური წარმოშობის განაწილების და გარდამავალ პერიოდში ძალადობრივი დანაშაულობის სტრუქტურასთან დაკავშირებული სხვა საკითხების დადგენა.

ძალადობრივი დანაშაულობის შესწავლის აქტუალობას განაპირობებს დღეისათვის ამ კუთხით ჩამოყალიბებული ტენდენციები და მოცემული სახეობის დანაშაულთან ბრძოლის თავისებურებები. გარდა ამისა, ძალადობრივი დანაშაულობა ტრანსნაციონალური და სხვა ჯგუფური დანაშაულობის განხორციელების საშუალებაცაა.

განსაკუთრებით აქტუალურია იმ სოციალური სფეროების განსაზღვრა, სადაც ძალადობა აკუმულირდება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ძალადობრივი დანაშაულობის ისტორიის კვლევა, რაც კომპლექსური პროგნოზის საფუძველს იძლევა.

ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს გარდამავალი პერიოდის ძალადობრივი დანაშაულობის სტრუქტურისა და დინამიკის თავისებურებები. კვლევის ობიექტია ძალადობრივი დანაშაულობის სტრუქტურული მახასიათებლები, დეტერმინაციის დონეები, ზოგად-სოციალური და სპეციალურ-კრიმინოლოგიური ზომები. კვლევის მიზანია ძალადობრივ დანაშაულთან ბრძოლის თეორიულ-გამოყენებითი საკითხების გადაწყვეტა.

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა სოციოლოგიური, სტატისტიკური და სხვა მეთოდები, გაანალიზდა საერთაშორისო კონვენციები, ქართველი და საზღვარგარეთის მეცნიერების ნაშრომები, საერთაშორისო თუ შიდასამართლებრივი საკანონმდებლო აქტები, პუბლიკაციები, სტატისტიკური მასალა, ინტერნეტ-რესურსები და სხვა.

**საძიებო სიტყვები :** ძალადობა, დანაშაული, სისხლისსამართალი, კრიმინოლოგია.

## **შესავალი**

დანაშაულობა სოციალურ-სამართლებრივი მოვლენაა, რადგან დანაშაულის მასა მიიღება საზოგადოებაში დროის მოცემულ პერიოდში ჩადენილი დანაშაულების ჯამით. თუმცა, დანაშაულობა არ არის დანაშაულთა უბრალო არითმეტიკული ჯამი. ის ერთგვარი მექანიზმია, სადაც დანაშაულები მჭიდრო ურთიერთკავშირშია.

დანაშაულობა სოციალური მოვლენაა და ის საზოგადოების ინტერესებს ხელყოფს.

დანაშაულობა ისტორიულად ცვალებადია სოციალური არსით. დასჯადი მოქმედების მოცულობა იცვლება ისტორიული განვითარების შედეგად, ანუ, ხდება გარკვეული ქმედების კრიმინალიზაცია და პირიქით, გარკვეული ქმედების დეკრიმინალიზაცია.

**თემის აქტუალობა.** გასულ საუკუნეებთან შედარებით, დანაშაულობის სტრუქტურაში თავი იჩინა ახალმა კრიმინალურმა ფორმებმა, რომლებიც უფრო რთულ, დინამიურ და საშიშ ხასიათს ატარებენ. განსაკუთრებით შეიცვალა ძალადობრივი დანაშაულობის ისეთი სახეობა, როგორცაა დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ.

საქართველოში დანაშაულობის სტრუქტურაში წარმოდგენილი ძალადობრივი დანაშაულებით თავისებურად გამოიკვეთა მსოფლიოს დანაშაულობის საერთო ტენდენციები. როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით, ძალადობრივი დანაშაულობა საქართველოში იძენს გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელ თავისებებს და, შესაბამისად, სპეციალურ კრიმინოლოგიურ გამოკვლევას ითხოვს.

**კვლევის ობიექტი და საგანი.** წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს გარდამავალი პერიოდის ძალადობრივი დანაშაულობის სტრუქტურისა და დინამიკის თავისებურებები; კვლევის ობიექტია ძალადობრივი დანაშაულობის სტრუქტურული

მახასიათებლები, დეტერმინაციის დონეები, ზოგად-სოციალური და სპეციალურ-კრიმინოლოგიური ზომები, სოციალურ-დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური მიზეზები საქართველოში, აღნიშნული სახეობის დანაშაულთან ბრძოლის პრაქტიკა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში.

**კვლევის მიზანი.** კვლევა მიზნად ისახავს ძალადობრივი დანაშაულობის შესახებ ახალი მეცნიერული ცოდნის მიღებას, ასეთ დანაშაულთან ბრძოლის თეორიულ-გამოყენებითი საკითხების გადაწყვეტას.

საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში, როდესაც ადგილი აქვს უმუშევრობას, დასაქმების ეპიზოდურობას, ეკონომიკური ზრდის შეფერხებას, საარსებო მინიმუმის ქვემოთ შრომის ანაზღაურებას და ა.შ., უპირველეს ყოვლისა, აქტუალურია დასაქმების კრიზისის დაძლევის მოდელის რეალიზაცია, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და იქ არსებული პრევენციული მოდელების დანერგვა ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა სოციოლოგიური, სტატისტიკური და **კვლევის სხვა მეთოდები.**

**ბიბლიოგრაფია** წარმოდგენილია საერთაშორისო კონვენციებით, ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომებით, საერთაშორისო თუ შიდასამართლებრივი საკანონმდებლო აქტებით, პუბლიკაციებით, ინტერნეტ-რესურსებით.

### **ძირითადი ნაწილი**

კრიმინოლოგიაში დანაშაულობის უამრავი ინტერპრეტაცია არსებობს, მათგან შესაძლებელია გამოვყოთ ფილოსოფიური, სამართლებრივი, სისხლის-სამართლებრივი და რელიგიური განმარტებები. თუმცა, ბევრი მეცნიერი იზიარებს იმ აზრს, რომ კრიმინოლოგებს არ ძალუძთ ზუსტად განსაზღვრონ დანაშაულის ცნება.

დანაშაულობის კვლევა კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე წარმოებს. პირველ რიგში დანაშაულობა ადამიანის სოციალური ქცევის ფორმაა, რომელიც ხელს უშლის საზოგადოებრივი ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას. თუმცა, ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც ლომბროზო და დიურკჰეიმი იყვნენ, მიიჩნევდნენ, რომ დანაშაულობა ბუნებრივი მოვლენაა და ის ნებისმიერ საზოგადოებას ახასიათებს.

დანაშაულობის სამართლებრივი გაგება ყველაზე ძველია, მისი განსაზღვრება ეფუძნება ამა თუ იმ ქმედების სამართლებრივ შეფასებას, თუმცა, სოციოლოგები ხშირად აკრიტიკებენ დანაშაულობის იურიდიულ მხარეს, ვინაიდან, გარკვეულ შემთხვევებში, მას თავად კანონმდებელი წარმოშობს ქმედებათა კრიმინოლოგიურად დასაბუთებული აკრძალვით. კერძოდ, აშშ-ში მშრალი კანონის შემოღებამ, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა “კოზანოსტრას” წარმოშობას.[6]

დანაშაულობის შესწავლისთვის კრიმინოლოგია ძირითადად ორ ხერხს იყენებს: სტატისტიკური მასალების შესწავლასა და შერჩევით ანკეტურ გამოკვლევას.

სტატისტიკური მასალების შესწავლაში იგულისხმება სისხლის სამართლის სტატისტიკის მონაცემები, ასევე ეკონომიკური, დემოგრაფიული და სოციალ-კულტურული სტატისტიკის მასალები.

შერჩეული ანკეტური გამოკვლევა ხდება სპეციალურად შედგენილი ანკეტების შევსების გზით, რომელთა მიზანია დამნაშავეთა ცალკეული ჯგუფის წევრთა პიროვნებების შესწავლა. ანკეტური გამოკვლევისა გარდა, მიზანშეწონილია დამნაშავეს პიროვნებაზე ფსიქოლოგიური დაკვირვების წარმოება.

აღსანიშნავია, რომ დანაშაულობის შესწავლისას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის შესაძლებელი წყაროს სწორად განსაზღვრას, ვინაიდან მხოლოდ ასეა შესაძლებელი ენერჯის მინიმალური ხარჯვით მაქსიმალური შედეგის მიღება.

მრავალი ასეთი წყაროდან შეიძლება ძირითადი ოთხი გამოვყოს, ესენია:

- სხვადასხვა სახის ოფიციალური მასალა;
- უწყებიათა ოფიციალური დოკუმენტები დანაშაულებრივ ქმედებათა და დამნაშავეს პიროვნების შესახებ, მაგალითად, სისხლის სამართლის საქმე და მსჯავრდებულის პირადი საქმე.
- თვითონ დამნაშავე;
- მისი ახლობლები და ოჯახის წევრები.

სტატისტიკური მონაცემები გამოიყენება დანაშაულობის მდგომარეობისა და მოძრაობის, ხოლო ოფიციალური საუწყებო დოკუმენტები - ცალკეული სახის დანაშაულის შესწავლისთვის. დარჩენილი ორი წყარო, ანუ დამნაშავესგან და მისი ახლობლებისგან მიღებული ინფორმაცია სუბიექტურ ხასიათს ატარებს და კრიტიკული მიდგომას საჭიროებს, ვინაიდან ხშირად აქვს ადგილი სიყალბეს, ფაქტების მცდარ შეფასებას ან მეხსიერებაში მათ არასწორად აღდგენას.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულობა უარყოფითი სოციალურ-სამართლებრივი მოვლენაა, იგი არსებობს ადამიანთა საზოგადოებაში, გააჩნია ცალკეული კანონზომიერება, ხასიათდება რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლებით, იწვევს საზოგადოებისა და ადამიანისთვის ნეგატიურ შედეგებს და მოითხოვს სპეციფიკურ სახლმწიფო თუ საზოგადოებრივ კონტროლს.

არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდა თაობაზე, განსაკუთრებით არასრულწლოვანებზე. არასრულწლოვან დევანტთა “რეზერვის” წყაროს ძირითადად წარმოადგენენ მათხოვრობაში, მაწანწალობასა და პროსტიტუციაში შემჩნეული პირები. ასეთი კატეგორიის მოზარდთა რიცხვი საგრძნობლად იზრდება რკინიგზის ვაგზლებში, ბაზრების მიმდებარე ტერიტორიებზე და ა.შ. არასრულწლოვანთა მასობრივი დაუსაქმებლობა და თავისუფალი დროის გამოყენების ორგანიზაციაში არსებული პრობლემები კიდევ უფრო ამძიმებს სიტუაციას.

დევიაციის გავრცელებას ხელს უწყობს მრავალი ბავშვის დარჩენა სკოლის კედლებს გარეთ, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, ძალადობის განწყობას წარმოშობენ.[3]

გასულ საუკუნეებთან შედარებით, დანაშაულობის სტრუქტურაში თავი იჩინეს ახალმა კრიმინალურმა ფორმებმა, რომლებიც უფრო რთულ, დინამიურ და საშიშ ხასიათს ატარებენ. განსაკუთრებით შეიძლება ძალადობრივი დანაშაულობის ისეთი ნაირსახეობა, როგორცაა დანაშაულობა სიცოცხლის წინააღმდეგ.

განზრახ მკვლელობის გავრცელებამ მსოფლიოს განვითარებას სერიოზული დაბრკოლება შეუქმნა და აღნიშნული მოვლენის მიზეზებისა და შედეგების შესწავლის გლობალური ამოცანა წამოჭრა. დღეისათვის დანაშაულობამ სიცოცხლის წინააღმდეგ ხარისხობრივად ახალი თვისებები შეიძინა, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია აფრიკის, ლათინური ამერიკისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

დანაშაულობის სტრუქტურაში მკვლელობა დეტერმინირებულია რიგი ფაქტორებით, როგორცაა, მაგალითად, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია, ცხოვრების წესი, ძალადობის სუბკულტურა და სხვ.

სოციალური კონფლიქტურობის გამძლიერება ხელს უწყობს ძალადობრივი ქცევით კონფლიქტური სიტუაციის გადაწყვეტის ოპტიმალური ხერხის შესახებ წარმოდგენათა განვითარებას. შესაბამისად, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია ვლინდება იმ სოციალურ ნორმათა მეშვეობით, რომლებიც ამართლებენ ძალადობას.

## შედეგები

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა უარყოფითად აისახება ოჯახებზე. ურბანიზაციის რთული პროცესების გამო მკვეთრად იზრდება მობილურობა, სუსტდება ნათესაური, შიდაოჯახური კავშირები. ე.წ. “ქურდულ” კანონებს ამოფარებული კრიმინალი-ემიგრანტები მონაწილეობენ ბანდიტურ გარჩევებში, რაც ხშირად თავდება მოწინააღმდეგის მკვლელობით, მოწმეთა მოშორებით და ა.შ.

მარტო ევროპის ქვეყნებში ათასზე მეტი საქართველოდან ემიგრირებული პირი იხდის სასჯელს. ძალადობის სუბკულტურის ნორმების ათვისებას, გარკვეულად, ხელს უწყობს ემიგრაციაში ქვეყნის მოსახლეობის ნაწილის ყოფნაც. ის, ამავდროულად, შეიძლება იქცეს როგორც კანონიერი, ისე კრიმინალური ექსპლუატაციის ობიექტად.

საქართველოში მკვლელობის კვლევის აქტუალობა განპირობებულია მრავალი მიზეზით, მაგრამ ძირითადად - დღევანდელ საზოგადოებაში არსებული პრობლემური სიტუაციითა და სახელმწიფო ორგანოებში ამ მოვლენისადმი არსებული მიდგომით. აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, ოფიციალური სტატისტიკა აფიქსირებს მკვლელობის შემთხვევათა კლების ტენდენციას, რაც სახელმწიფო ორგანოებში მკვლელობის პრევენციისადმი ნეიტრალური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ძირითადად მანიპულირებენ შემდეგი ფაქტებით:

- თუ 1994 – 2000 წწ. დანაშაულობაში მკვლელობების ხვედრითი წილი უდრიდა 1,5%-ს, 2001 – 2008 წწ. ეს მაჩვენებელი შემცირდა 0,09%-მდე;



- 2001-2004 წწ. მძიმე დანაშაულობაში მკვლელობების ხვედრითი წილი უდრიდა 2,38%-ს, ხოლო 2005-2008 წწ. შემცირდა 1,65 %- ით ;
- მკვლელობებისათვის მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობაში 1999 - 2008 წწ. სსკ 108-ე მუხლით მსჯავრდებულები შეადგენენ 61,4%-ს, 109-ე მუხლით მსჯავრდებულები კი – 38,6%-ს;[10]

პროკურატურის შეფასებით, 2009 წელს საქართველოში სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე გამოძიების დაწყება ყველაზე ხშირი იყო ჯანმრთელობის განზრახ, ნაკლებად მძიმე დაზიანების და თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტებზე:

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან საანგარიშო პერიოდში, წინა წელთან შედარებით, შემცირებულია ისეთი დანაშაულები, როგორცაა განზრახ მკვლელობა -40,4%-ით, განზრახ მკვლელობის მცდელობა -22%-ით, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობა -52%-ით. საანგარიშო პერიოდში სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან ქვეყანაში ყოველ 10.000 მოსახლეზე დანაშაულის მაჩვენებელი განზრახ მკვლელობის შემთხვევაში იყო საშუალოდ 0,4; დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის შემთხვევაში - 0,1; განზრახ მკვლელობის მცდელობის შემთხვევაში ყოველ 10.000 კაცზე საშუალოდ 3 დანაშაული მოდიოდა. [10]

## დასკვნა

ძალადობრივი დანაშაულობის თავიდან აცილების პრაქტიკაში წინა პლანზე უნდა წამოიწიოს საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მოთხოვნამ. ძალადობრივ დანაშაულობასთან ბრძოლა არ უნდა იყოს ძირითადად ორიენტირებული სამართალდამცავი ორგანოების ზომების გამკაცრებაზე. დემოკრატიულ ქვეყნებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რესოციალიზაციის ღონისძიებათა სისტემას. სამართალდამცავი ორგანოების ზომებთან შედარებით, სწორედ ზომათა ეს წილი უნდა სჭარბობდეს.

ძალადობრივი დანაშაულობის თავიდან აცილების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეკავოს სოციალური პროგრამების (იარაღის უკანონო ბრუნვის პროფილაქტიკის; ლოთობასთან, ნარკოტიკოსა და ტოქსიკომანიასთან ბრძოლის; საყოფაცხოვრებო და სხვა სახის კონფლიქტების ადრეული პროფილაქტიკის, ძალადობის კულტის აღმოფხვრის, პორნოგრაფიის პროპაგანდის, დანაშაულებრივ დაჯგუფებაში მოზარდის ჩაბმის აკრძალვისა და ა.შ.) შექმნა-ამოქმედების აუცილებლობას.

არსებითია საზოგადოებისა და სამართალდამცავი ორგანოების კავშირების გაძლიერება. აქ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სპეციალურმა სოციალურმა სამსახურმა, რომელმაც მზრუნველობა უნდა გაუწიოს სოციალურად სუსტად ადაპტირებულ ადამიანებს. საუბარია პირებზე, რომლებიც იმყოფებიან „რისკის ზონაში“.

ძალადობრივი დანაშაულობის ჩამდენ პირთა შორის გარკვეულ პროცენტს წარმოადგენენ პირები, რომლებიც იყვნენ პენიტენციური ზემოქმედების ქვეშ. აქედან გამომდინარე, ძალადობრივ დანაშაულობასთან ბრძოლის პრაქტიკაში მნიშვნელოვანია მსჯავრდებულთა

რესოციალიზაციის მდგომარეობისა და მკვლევლობების გავრცელების არსებული კავშირების რეგულარული შესწავლა.

პენიტენციური პრაქტიკის გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის საკითხების გადაწყვეტისას. ძალადობრივ დანაშაულობასთან ბრძოლის პრაქტიკის ეფექტურობა არსობრივად დაკავშირებული მის სამართლებრივ უზრუნველყოფასთან. ამიტომ რეკომენდაციების შემუშავებისას მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვანია კანონთა იმ ხარვეზების გათვალისწინება, რომლებიც ხელს უწყობენ კონფლიქტების, დაძაბულობის გაძლიერებას. შესაბამისად, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს კანონპროექტების კრიმინოლოგიური ექსპერტიზის უზრუნველყოფის საკითხიც.

და ბოლოს, ხაზი უნდა გავუსვათ ინდივიდუალური ქცევის კვლევის მნიშვნელობას, რადგან კვლევის მეთოდოლოგია ითხოვს ბრალდებულისა და მსჯავრდებულის პიროვნების ღრმად შესწავლას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გაბრიჩიძე ნ. 2004 *საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი ძალადობითი დანაშაულობა*. თბილისი.
2. გამყრელიძე ო. 2002 *განზრახ მკვლევლობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი*. თბილისი.
3. ტაბლიაშვილი ზ., მამნიაშვილი მ. 2000. *დევიაცია*. თბილისი.
4. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2005 წიგნი I, თბილისი.
5. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (*დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ*) 2002. ავტორთა კოლექტივი. თბილისი. 212
6. თოდრია გ. 2008 *ძალადობრივი დანაშაულობა, კრიმინოლოგია*. თბილისი
7. ტურავა მ. 2001. *სისხლის სამართალი*, თბილისი გვ. 79
8. წულაია ზ. 2003 *სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. ტომი I*. თბილისი, «ინტელექტი»
9. ჯანაშია გ. 2001 *ძალადობითი დანაშაულობის კრიმინოლოგიური დახასიათება*, თბილისი.
10. საქართველოს მთავარი პროკურატურა – 2009 *წელს არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის ანგარიში*. თბილისი.



## **Development of Law History**

### **Summary**

The world civilization has developed on the basis of separate country's individual law system-models. These works represent the basic points of law history. In this work we will observe the ancient law collections and their development to the real modern justice reality.

The main points will be discussed about Shumeral-Akkadian, Babilonian, Chinese, the ancient Greek and Roman, Islamic and European Law creative work. This work, alongside with the first part, involves the whole integrity of the state and law history.

In this theme we are observing the state and law university development history during the existence of Georgian Literature which had the doctrine teaching about the mankind history and its periods. On the contrary of this doctrine point of view, this work represents the full aspects of classical country's states and their territory integrity as well as the wide range of panoramas which belong to the evolution of the law.

History science is one of the most important companions of the humanity. It is also the faithful teacher. It is extremely difficult to find one of the fields of society politics, economy, moral, religion, art, law, where you can't find historical manuscripts and facts.

**Key words:** Law; History; Code; Development; Evolution.

### **Introduction**

Law creation rooted from the ancient time. The first law creators were the tribe chiefs. Deciding the arguments they used the usual norms. These norms have been developed during many centuries and years till the period when it finally established the writing form. Transformation of tribe connections into the states promoted the creation of the Law.

The support of the state was the law; the Law Institutes were created.

In the ancient societies there was the great demand for the development of law and as a result the law was developed as one of the fields of science.

In every society, the law was developing according to the demands and interests of the society. This helped to create the collections of the rules [2].

### **Description of the problem**

The ancient law creators were the people who are represented in the history as Shumeral-Akkadian. One of the clearest persons was the King Shulgi (2093-2046 B.C.). He created the classical state and the first codex of laws was published. The law system that reached till our period belongs to the Isini Kingdom, King Lipishtar as well.

The Eshramu laws are the previous rules of Khamurabi laws which date back to 1790 B.C. The development of the traditions of Mesopotamian law jurisprudent system is quite clear. At that period the modern concept did not exist. That is why Mesopotamian lawyers did not try to include all the occasions in their rules. The culmination of the Mesopotamian jurisprudence was the laws of Khamurabi. From Mesopotamia we do not have the theoretical writings about the law system. Khamurabi laws are the system of law collection and integrity system. Such an occasion as can be the murdering purposely is not mentioned at all.

In the old Babylon there was the modern principal that “one case can’t be decided twice”. Babylonian law as well as ancient law was not divided into the criminal, family, civil or other fields.

In the Hamurabi laws there are mentioned the punishment for the definite crime. The death penalty was used widely.

The basic principle was “Talion principle” or mirror principle what meant that punishment was the price paid for crime. The Khamurabi laws were the standard during the whole history of ancient Mesopotamia and it was the fundament for the next law principals. Nowadays, we have remains of 40 Hamurabi texts (King Hamurabi ruled 1796-1750 B.C.). By faith he was chosen by gods to write the laws for his people. In the codex the main paper he wrote - “Anum and Bell called me by my name Hamurabi the man who is afraid of God, the great prince to rule the country and rules”.

The laws are numbered from 1 to 282 (numbers 13 and 66-99 are lost) and are written in print of the old Babylonian 2, 5 meter steles. They were discovered in Susa (Elami, nowadays Khuzestan, Iran) in December of 1901. They were presumably considered the letters of XII century B.C. King Shutruk-Nahunte of Elami Kingdom. This is kept in Paris museum. The laws begin with prolog, where is exaltation of the Babylon Hamurabi; then we can see the laws, then - epilog where is a curse against guilty people. Laws are divided into several parts: 1) The basic principle of justice; 2) The protection of the property of the king and people; 3) The norms of the state property; 4) The real estate operations; 5) Trade and commercial operations; 6) Family justice; 7) Physical injury; 8) Movable property and renting operations [12].

Prolog and epilog are written in antique language, but laws are written with simple business language. This codex was mentioned as the first law conception and it is so simple that even the king could not change this. According to the order of Hamurabi, the codex could not be changed.

Hamurabi codex was one of the most eastern from this collection. The majority of these codices and the most numbers of the laws which are included in the codex are similar to each other.

The earliest codex of Ur-Namu (B.C. XXI Ur-Ili Dynasty), Hittite laws (B.C. 1300), and the law of Moses (B.C. 1400 year) have Articles that are periphrasis of Hamurabi laws. The development of the law shows us the highest level of the state culture.

In the classical eastern countries, the development was visible in the ancient law system of Babylon especially in Khamurabi (not in Hamurabi codex). We may say, that the law codex of Khamurabi had an impact on the law development process of south Asian countries, Elamian, Persian, China, etc.

China was the country where the paper, gun, power and compass were invented. The first book was published in China. Also the silkworm breeding and law medicine were established.

There is a book of Mao Dzo-Beni - "This is invented in China", from which we can understand that the first book printing began from VIII century A.D.

In X-XIII centuries, the "xylographical" methods of printing started developing.

At the beginning, print was made from clay, but in XIV century it was made from metal. We must note that China cannot be compared with its development to old Shumer and ancient Egypt, but it is one of the oldest countries. The first hieroglyphs appeared in China in XVIII-XVII cc. B.C.

It was very difficult for the Chinese scientists to read these writings. Reading these hieroglyphs was the heroic act from the researchers. Writing tradition counts nearly 3500 years in China. The greatest monument of Chinese and the world literature is considered to be the ancient folk song and hymn collection "the Song Book", which was written in about XI-VI centuries B.C.

In VII-XII centuries A.D., Chinese law knew the three forms of property: 1) The private property, the so called "Si"; 2) The state fiscal property "Guan"; 3) The society, Buddhists and religious organization property.

In the same cases the law acknowledged the private property which was called "Dzi".

The Chinese law protected the property strictly with the help of civil law means or using punishment rules.

If one of the state officials would take the land plot from the private owner (the 600 square meter land) the state criminal was punished with the thick stick (hits with a stick 60 times). Chinese law was the original legal system; it was not influenced by other countries' law, though it had impact on law of many Asian countries. It also influenced the law of Vietnam. The codex of 1815 is taken from the Manjur dynasty book [14].

Shariti is an Arabic word and means to go to the right way. The collection of religious, ethical and law norms are based on Quran, Suni and Fikh law methods. It was written in VII-XII c.c. in Arabic world: when Muhammed was alive, he created the law and was the judge at the same time.

After his death, it was clear that studying Quran rules was not enough to solve the law issues. When it was impossible to find the answer to a certain question in Quran, they took as a pattern a fortuneteller's behavior, actions and saying in the similar situation. Namely these "established regulations" were described in Shariat in VIII-IX centuries. Besides the Muslim basic rules, Shariat involves state, civil, family and blood law norms. This is the collection book of behavior norms for all the occasions of our life. In Shariat book moral is not separated from the law.

In Islamic world there is combination of the human spiritual world with the religious and secular rights. In Shariat law, the blood revenge is weakly described. In Quran is written that you must take revenge for the killed person. Murdering must be forgiven if "blood price is" given. Shariat worked out in details the amount of fines for injuries, wounds. For example: if the tooth was broken they used to take from "blood price" 1/40 or 1/20, for cutting finger - 1/10, for the injured eye half and so on [15].

The punishment of Shariat law maintained savageness typical of Middle Ages. If a person was against Islam or killed someone on purpose, this person was given punishment of death penalty. According to Islamic law, a robber must be punished with death penalty. Discussing the Muslim law we must say that, by the Shariat law when a man punishes his wife with the death this is acceptable, but Quran does not allow this. Muslim clerics usually claim that if the wife betrays her husband, it is better for him to forgive the woman this crime. Quran prohibits punishing people with death strictly.

From my point of view, in spite of the fact that Shariat law is produced in Quran this is invented mostly by people. Thus, it is clear that there is such a rule to punish with death. The evident fact which proves this is fact which was on media as well - when brother killed his sister in Marneuli because she had an intimate relationship with the man, parents even did not cry. People who lived there said that it was Shariat law.

Putting people in prison was rarely used in the beginning of XIX century in Azerbaijan. It was time when Azerbaijan was conquered by Russians. If one used to find justice in Azerbaijan, they had to go to the Russian judges, but there were few people who behaved like that. The reason why they behaved so was not that Russian judges were not professionals, but people of Azerbaijan did not like them because they imprisoned robbers and they used to sit clear cameras and used to drink tea. People were puzzled and they would come to their mosque and were finding the justice. The wisest old people used to sit in the circle and punish people with the Islamic law. Azerbaijanis did not need the Russian judges and even children used to laugh at them.

Like in Shariat law, also in Georgian history there was the punishments by "blood price", known as the blood revenge rule. This rule always was the justice for people.

This rule was prohibited by the Georgian King George the Brilliant and Beka Agbuys. But the term "an eye for an eye" exists nowadays as well.

In my opinion, in town hill Georgia where Christianity was the basic religion the law was spreading easily. In mountain regions (Svaneti) Pshew, Khevsureti where Christianity existed alongside with idolatry, the idolatrous rules were all around.

Nowadays, when I have my own ideas about Islam, I would conclude that Christian religion is really humane and loyal towards other religions.

Despite the fact that the nature did not separate Asia from Europe, there are major moral borders between two of these continents. The central Europe completely differs from the central Asia. Most part of Georgian nation is located in this border lines; we have Eastern wisdom and European understanding of life moral.

The history fundamentals of Roman law is opposite to the public law, but the ancient Romans observed the justice as a system as concrete unity and they divided them in different law institute aspects where they had special persons who managed the society authority between the people. If we are talking about Georgian monuments we must observe the most important monument like “Dasturlamali” which was created by Vakhtang VI. It consisted of two parts: one part of Dasturlamali was King and the second - for Queen. Dasturlamali for Queen was created by George XI in 1683 – 1689. It is not known what changes were introduced in Dasturlamali that was created by George VI. This book involves the important news about Georgia Law State System. It was a wide range law monument. It was organized by alphabetical order in order to become easier for the state officials to read clearly. During the period of the creation of this monument, Georgia was divided into little kingdoms. Dasturlamali was for Kartli Kingdom which was in vassal relationship with Iran (in the monument the King is Iranian Shakh and the master is the King of Kartli). While creation of Dasturlamali the King of Kartli tried to maintain his power and he wanted to have the unite law politics. He wanted to prohibit many rules that feudal lords used at that time. In Dasturlamali are described the rules of acceptance at the palace as well as the rules of feasts. The invitation rules were defined by the condition of the person in the feudal hierarchy. The main governor of the palace was the house chief. Lots of servants were under his control when they had feast; it was a political meeting as well. The secretary was always there.

According to Dasturlamali, the governing system was: economic administrative (the chief of the house, Naziri, cashiers), police (police officer, the main police officer), secretariat (writer, secretary), hunting (hunter chief, hunters), protection of the King (Kularasagi, Khorchibashi). The local officials were the commanders, Aragvi and Ksani governors, feudal and so on. The manager was the governor of the town who had administrative and law functions. He had an assistant. The town officials were also village head and Meliki.

It is very important to study the depth of Georgian economic conditions. Dasturlamali observes all these issues. There are observed details of the payment taxes of the peasants in the lands of the kings and queens. Establishing the payment rules for the King’s peasants was the most progressive step. The payment was divided into different forms: state, official, feudal, and extraordinary or with such an occasions wedding, death or church payment cases.

Dasturlamali is one of the most important monuments where Turkish tribes are described – Elebi, their History and economic conditions. Also, there is Paragraph 203 which describes the King's funeral ceremony.

Georgian constitutionalism is based on the constitution of 1921 of the first independent Georgian Republic. According to this constitution, citizens have equal rights and it prohibits the rank differences between people. Citizens of the both sex are equal with political, civil, economic or family rights. The constitution also acknowledges the rights of the national minority. The fourteenth chapter belongs to this case. This describes the rules which state that the development of cultural and social economic side of national minority must not be limited. Every person has the right to write, print and speak in his/her own language. The constitution of Georgian Democratic Republic played the great role in the development of the Georgian state.

In reality, it did not play any significant role, but it is a very important document. It was twice restored in the 1990s. At first it was restored by the Military Committee of Georgia on February 21, 1992 though, the document was valid only three days. The second attempt was made in 1993, when the State Constitutional Commission was tasked to develop a new edition of the Constitution of 1921, but the attempt failed. Instead, a new constitution was adopted, which was based on the basic principles of the Constitution of 1921.

In the ancient Roman world were observed private relations. These particular relations determined people's will. There was a private law which was called *Lex Privata*. But if the relations concerned common interests of certain people, for example *Kviriti* people, these relations were discussed according to the views of public law (*Lex Publica*). This normative system contained religious rituals, the management system and so on [17].

The modern constitution system is the USA constitution. It is the supreme law of the country. The work on it was finished on September 7, 1787. Afterwards, each state ratified the document of this document on the Special Convention. This contributed to establishing the Federal Union of the sovereign states. This union had the federal government. It came into force in 1789 and is used as a model for other states. The laws which are included in the USA Constitution determine: governing of the states, the relations between the states, the of the USA citizens' as well as foreigners' relations with the government.

## **Conclusion**

In the presented work were described all the important aspects of law history development. We have seen their evolution and development. It enables us to make parallels between them taking into consideration their cultural heredity. The above mentioned law directions supported the development of the modern system of law world. It was the most significant achievement in the development of the history of mankind.

## **References**

1. Sharashenidze G. 1987. Georgian Soviet Encyclopedia, Vol. 11, Tbilisi, p. 429.

2. Tsatsanashvili M.G. 2010. The General History of State and Law, (Part Two).
3. Miguel Civil. 2011. "The Law Collection of Ur-Namma." *Cuneiform Royal Inscriptions and Related Texts in the Schøyen Collection*, 221-286, edited by A.R. George.
4. Claus Wilcke. 2002. "Der Kodex Urnamma (CU): Versuch einer Rekonstruktion." Riches hidden in secret places: ancient Near Eastern studies in memory of Thorkild Jacobson, edited by Zvi Abusch.
5. Martha T. Roth. 1995. "Law Collections from Mesopotamia and Asia Minor." *Writings from the Ancient World*, vol. 6. Society of Biblical Literature.
6. Finet, André. 1973. Le trone et la rue en Mésopotamie: L'exaltation du roi et les techniques de l'opposition, in *La voix de l'opposition en Mésopotamie*. Bruxelles: Institut des Hautes Études de Belgique.
7. Mottahedeh, The Mantle of the Prophet, (1985, 2000), p. 225
8. Creel, Herrlee G. Confucius and the Chinese Way. Reprint. New York: Harper Torchbooks. (Originally published under the title Confucius—the Man and the Myth.)
9. Watson, Burton, Trans. Han Fei Tzu: Basic Writings. New York: Columbia University Press, 1964.
10. Qian, Sima. 1993. Records of the Grand Historian, Qin Dynasty. Translated by Burton Watson. New York: Columbia University Press.
11. Barbieri-Low, Anthony, Trans. The Standard Measure of Shang Yang (344 B.C.) (2006).
12. <http://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm>
13. <http://gumilevica.kulichki.net/HE1/he105.htm#he105para4>
14. <http://all.auf.ge/news/2010-11-12-4502>
15. <http://genia.ge/?p=5426>
16. Surguladze I., GSE, Vol. 3, p. 396-397, Tb., 1978.
17. <https://docs.google.com/document/d/145btcpqmKwjRTMjLjLoxRZYE2b61FdMqAYVy5pqg7M/edit?pli=1>
18. <http://www.bu.org.ge/x1265?lang=geo>

*მიხეილ ყაზიშვილი*

*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*

*სამართლის სკოლა*

*სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი*

## სამართლის განვითარების ისტორია

### რეზიუმე

მსოფლიო ცივილიზაცია ცალკეული ქვეყნის მიერ შექმნილ ინდივიდუალურ სამართლებრივ სისტემათა მოდელეზზე დაყრდნობით განვითარდა. აქედან გამომდინარე, ნაშრომში სამართლის განვითარების ისტორიის ქვაკუთხედს მიმოვიხილავთ. თემაში განხილული იქნება უძველესი კანონთა კრებულების განვითარება თანამედროვე სამართლებრივ რეალობამდე. ძირითადი აქცენტები გაკეთდება - შუმერულ-აქადურ, ბაბილონელთა, ჩინურ,

ძველბერძნულ-რომაულ, ისლამურ და ევროპულ სამართალშემოქმედებაზე. ნაშრომი წარმოადგენს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის ერთ მთლიანობას. მასში განხილულია სახელმწიფოებრივი და იურიდიული ინსტიტუტების განვითარების ისტორიული პროცესები. ქართულ ლიტერატურაში აქამდე არსებული კაცობრიობის ისტორიის პერიოდიზაციისადმი დოქტრინალური მიდგომისგან განსხვავებით, ტერიტორიული პრინციპის საფუძველზე, გადმოცემულია კლასიკური ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ევოლუციის ფართო პანორამა. ისტორიული მეცნიერება კაცობრიობის უცვლელი თანამგზავრი და მისი ერთგული მასწავლებელია. ძნელად თუ მოიძებნება საზოგადოებრივი ურთიერთობის რომელიმე სფერო (პოლიტიკა, ეკონომიკა, მორალი, რელიგია, ხელოვნება, სამართალი), რომელიც ისტორიის ნარკვევებით არ იყოს გაჯერებული და ფაქტების თუ მოვლენების ანალიტიკურ აღწერას არ ეფუძნებოდეს [2].

**საძიებო სიტყვები:** სამართალი, ისტორია, კოდექსი, სახელმწიფო, განვითარება-ევოლუცია.

## შესავალი

სამართალშემოქმედება თავისი განვითარების სათავეებს უძველესი დროიდან იღებს. უპირველესი სამართალშემოქმედნი ტომურ-თემური კავშირის ბელადები იყვნენ. ამა თუ იმ დავის გადასაწყვეტად ისინი ჩვეულებითი ნორმებით ხელმძღვანელობდნენ. აღნიშნული ნორმები ყალიბდებოდა და ვითარდებოდა მრავალი ათეული საუკუნის განმავლობაში, სანამ, საბოლოოდ, წერილობითი ხასიათი არ შეიძინა. ტომობრივ-თემური კავშირების სახელმწიფოებად გარდაქმნამ ხელი შეუწყო სამართალშემოქმედების განვითარებას. სახელმწიფოს საყრდენად კანონი იქცა. შეიქმნა სამართლებრივი ინსტიტუტები, უძველეს საზოგადოებებში გაჩნდა მოთხოვნა სამართლის განვითარებაზე, მის შესწავლაზე; აქედან გამომდინარე, სამართალი მეცნიერების დარგად ჩამოყალიბდა. თითოეულ საზოგადოებაში სამართალი არსებული მოთხოვნებისა და ინტერესების შესაბამისად განვითარდა, რამაც ხელი შეუწო სხვადასხვა კრებულის შექმნას.

## ძირითადი ნაწილი

უძველესი სამართალშემოქმედების ერთ-ერთი ნიმუშია შუმერულ-აქადური სამართალშემოქმედება და მისი თვალსაჩინო წარმომადგენელი მეფე შულგია (ძვ. წ. აღ. 2093-2046), რომელმაც კლასიკური ბიუროკრატიული სახელმწიფო შექმნა და კონონების პირველი კოდექსი გამოაქვეყნა. შემდეგი ჩვენამდე მოღწეული კანონმდებლობა ისინის სამეფოს მეფის ლიპიტ-იმტარის სახელს უკავშირდება, ხოლო ხამურაბის კანონების უშუალო წინამორბედი



სტელა რომელზეც ასახულია ხამურაბის კანონთა კრებულის ფრაგმენტი

ემნამუს კანონებია, რომლებიც ძვ. წ. აღ. 1790 წლით თარიღდება.

ამრიგად, სახეზეა მესოპოტამიის იურისპრუდენციის ტრადიციის განვითარება, რომლის კულმინაციას ხამურაბის კანონების შექმნა წარმოადგენს. იმ დროს არ არსებობდა დღევანდელი ცნება "nullum crimen sine lege - დანაშაული არ არსებობს კანონის გარეშე". ამიტომ მესოპოტამიელი იურისტები არ ცდილობდნენ კანონებში ყველანაირი შემთხვევა აესახათ. მესოპოტამიიდან ჩვენამდე არ მოუღწევია რაიმე სახის თეორიულ ნაწარმოებს სამართალმცოდნეობაზე. მიუხედავად

ამისა, იკვეთება, რომ ხამურაბის კანონები კანონთა შეგროვების,



სისტემატიზაციის და განზოგადების ნაყოფია, თუმცა ისეთი შემთხვევა, როგორც, მაგალითად, განზრახ მკვლელობაა, მათში საერთოდ არაა ნახსენები. მსგავს საქმეებზე განაჩენი ჩვეულების საფუძველზე გამოჰქონდათ.

ბაბილონური სამართალი, სხვა ძველი სამართლის ნაირსახეობათა მსგავსად, არ იყოფოდა კრიმინალურ, საოჯახო, სამოქალაქო და სხვა დარგებად. საგულისხმოა, რომ ძველ ბაბილონში მოქმედებდა თანამედროვე პრინციპი: "ერთ საქმეზე ორჯერ გადაწყვეტილება არ გამოიტანება".

ხამურაბის კანონებში კარგადაა განსაზღვრული სასჯელები დანაშაულის ჩადენისათვის. ფართოდ გამოიყენებოდა სიკვდილით დასჯაც. ძირითადად ხელმძღვანელობდნენ "ტალიონის (სარკისებრი) პრინციპით", რაც იმას ნიშნავდა, რომ სასჯელი ერთგვარი საფასური იყო დანაშაულის ჩადენისთვის. ხამურაბის კანონები ძველი მესოპოტამიის მთელი ისტორიის მანძილზე ეტალონად ითვლებოდა. მას შეისწავლიდნენ თაობები და იგი შემდგომში შექმნილ კანონებს ედებოდა საფუძვლად. ჩვენამდე ხამურაბის კანონების ტექსტის 40-მა ეგზემპლარმა მოაღწია. ხამურაბის (მმართველობის პერიოდი ძვ.წ.აღ 1796 - 1750 წწ.) რწმენით, ის ღმერთების მიერ იყო წარმოგზავნილი ხალხისთვის კანონების დასაწერად. კანონების კოდექსის თავფურცელში ვკითხულობთ: "ანუშ და ბელმა სახელით მომიხმეს მე, ჰამურაბი, ღვთისმოშიში, ამაღლებული უფლისწული, რათა ქვეყნისთვის მომეტანა ჭეშმარიტების მმართველობა".

კანონები დანომრილია 1-დან 282-მდე (ნომრები 13 და 66-99 დაკარგულია) და დაწერილია 2.5 მეტრიან სტელებზე ძველ ბაბილონური შრიფტით, რომლებიც აღმოაჩინეს 1901 წლის დეკემბერის თვეში სუსაში, იგივე ელამი, ამჟამად, ხუზესტანი - ირანი და ჩათვალეს ძვ. წ. აღ. მე-12 საუკუნის ელამის მეფის შუტრუკ-ნაჰუნტეს წერილებად. ამჟამად ისინი პარიზში ლუვრის მუზეუმშია გამოფენილი. ხამურაბის კანონები იწყება "პროლოგით", რომელშიც, ძირითადად, ბაბილონი და ხამურაბია განდიდებული, შემდეგ ჩამოწერილია კანონები და ეპილოგით სრულდება, რომელიც შეიცავს წყევლას კანონის დამრღვევთა მიმართ. თვითონ კანონები შემდეგ ნაწილებად იყოფა:

1. მარლთმსაჯულების ძირითადი პრინციპები.
2. მეფის, ტაძრების და თავისუფალი ხალხის ქონების დაცვა.
3. სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული ნორმები.
4. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები.
5. სავაჭრო და კომერციული ოპერაციები.
6. საოჯახო სამართალი.
7. ფიზიკური დასახიჩრება.
8. მოძრავ ქონებასთან და მის დაქირავებასთან დაკავშირებული ოპერაციები.

პროლოგი და ეპილოგი არქაული ლიტერატურული ენითაა დაწერილი, ხოლო კანონები — მშრალი, ოფიციალური ენით [12].

აღნიშნულ კოდექსს ხშირად იურიდიული კონცეფციის პირველ ნიმუშად მოიხსენიებენ. ხამურაბის ბრძანებით, კოდექსი ქვაზე გამოკვეთეს, რათა უცვლელად დარჩენილიყო. ხამურაბის კოდექსი ერთ-ერთია ახლო აღმოსავლეთის უძველეს კანონთა კრებულებს შორის.

მათი უმრავლესობა მონათესავე კულტურებიდან მომდინარეობს და მათში შესულ კანონთა დიდი ნაწილი ერთმანეთს ემსგავსება. ურ-ნამუს ადრეული კოდექსი (ძვ. წ. XXI ს. ურ-ილის დინასტია), ჰიტიტთა კანონთა კოდექსი (ძვ. წ. 1300 წ.) და მოსეს კანონი (ძვ. წ. 1400 წ.) - ყველა მოიცავს მუხლებს, რომლებიც ხამურაბის კანონთა პერიფრაზია.

სამართალგანვითარების დონე აუცილებლად მიგვითითებს ამა თუ იმ სახელმწიფოს ისტორიულ-კულტურულ განვითარებაზე. კლასიკური აღმოსავლეთის ქვეყნების წრეში სამართალგანვითარების უმაღლესი დონე დაფიქსირდა ძველი ბაბილონის კანონმდებლობაში.

საინტერესო ვითარებაა ამ მხრივ ჩინეთში. ჩინეთი იყო ის ქვეყანა, სადაც გამოიგონეს ქაღალდი, თოფის წამალი (დენთი), კომპასი, სეისმოგრაფი, ფაიფური. აქ დაიბეჭდა პირველი წიგნი და გახეთი, წარმოიშვა და განვითარდა მეაბრეშუმეობა, სასამართლო მედიცინა და ა.შ.

არსებობს მათი ძო-ბენის წიგნი – “ეს გამოგონებულია ჩინეთში”, საიდანაც ვგებულობთ, რომ წიგნის ბეჭდვა ახ.წ.აღ-ით VIII საუკუნეში იწყება, X-XIII საუკუნეებში ვითარდება ბეჭდვის ქსილოგრაფიული მეთოდები. ამავე ეპოქაში გაჩნდა მოძრავი ლიტერებით ბეჭდვა. თავდაპირველად შრიფტი თიხისგან მზადდებოდა, ხოლო XIV საუკუნიდან თიხა მეტალმა ჩაანაცვლა. ჩინური ტრადიციის თანახმად, ქვეყნის ისტორია იყოფა სამეფო დინასტიების ზეობის შესაბამისად. რაღა თქმა უნდა, ჩინეთი თავისი კულტურის, სახელმწიფოსა და სამართლის სიძველით ვერ შეედრება ძველ შუმერს და ძველ ეგვიპტეს, მაგრამ ის მაინც ერთ-ერთი უძველესი კულტურის ქვეყანაა მსოფლიოში. ძვ.წ.აღ-ით XV-XIV საუკუნეებში ჩინეთში ჩამოყალიბდა ადრემონათმფლობელური ინის სახელმწიფო. პირველი იეროგრაფიული წარწერები, რომლებიც შესრულებული იყო ცხოველთა ძვლებზე და კუს ჯავშნებზე, განეკუთვნებიან ძვ.წ.აღ-ით XVIII-XVII და მომდევნო საუკუნეებს. ამ წარწერების ამოკითხვას დიდი ენერგია შეაღიეს ჩინელმა მეცნიერებმა და საბოლოოდ სწორად გაშიფრეს ისინი. მიჩნეულია, რომ მსგავსი წარწერების წაკითხვა ისეთივე დიდი მეცნიერული გმირობაა, როგორც ფრანსუა შამპოლიონისა და სხვა მკვლევართა მიერ ძველ ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობის გაშიფვრა. ასე რომ, წერილობითი ტრადიცია ჩინეთში 3500-ზე მეტ წელს ითვლის.

ჩინური და მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს ძეგლად ითვლება უძველესი ხალხური სიმღერებისა და ჰიმნების კრებული “სიმღერების წიგნი”, რომელიც დაწერილი უნდა იყოს ძვ.წ.აღ-ით XI-VI საუკუნეებში.

ახ.წ.აღ-ით VII-XII საუკუნეების ჩინური სამართალი უკვე იცნობდა საკუთრების სამ ფორმას:

- 1) კერძო საკუთრება, იგივე “სი”;
- 2) სახელმწიფო-სახაზინო საკუთრება, იგივე “გუან”;
- 3) საზოგადოებრივი, ბუდისტებისა და სხვა რელიგიური ორგანიზაციების საკუთრება.

ზოგიერთ შემთხვევაში სამართალი აღიარებდა პირადი საკუთრების უფლებასაც, რომელსაც „ძი“-ს უწოდებდნენ. ჩინური სამართალი მკაცრად იცავდა საკუთრებას არამართო სამოქალაქო-სამართლებრივი საშუალებებით, არამედ სასჯელების გამოყენებითაც. თუკი რომელიმე სახელმწიფო მოხელე კერძო მესაკუთრეს ერთი მუს ოდენობის (600 კვადრატული

მეტრი) მიწის ნაკვეთს წაართმევდა, დამნაშავეს მსხვილი ჯოხით სამოცჯერ დაარტყამდნენ. ჩინური სამართალი ორიგინალური სამართლებრივი სისტემა იყო, რომელზედაც სხვა ქვეყნების სამართალს არ მოუხდენია გავლენა, თავად მას კი უამრავი აზიური ქვეყნის სამართალი დაესესხა. მაგალითისთვის ვიეტნამიც კმარა, რომლის 1815 წლის კოდექსი თითქმის მთლიანად მანჯურთა დინასტიის დროს მიღებული სამართლის წიგნებიდან იქნა აღებული [14].

შარიათი არაბული სიტყვაა და სწორ გზაზე დაყენებას ნიშნავს. ეს რელიგიური, ეთიკური და სამართლებრივი ნორმების კრებული ეფუძნება ყურანს, სუნასა და ფიკხს (სამართალმცოდნეობის მეთოდს). იგი შეიმუშავეს VII-XII საუკუნეებში არაბულ სახელმწიფოში. შარიათი უცებ არ წარმოშობილა. თავიდან, სანამ მუჰამედი ცოცხალი იყო, ის თვითონ იყო ერთდროულად კანონმდებელიცა და მსაჯულიც. მრავალი იურიდიული ნორმა მის მიერ იყო შემოღებული და ყურანის სურებში შევიდა. "... ჩვენ ვასრულებთ მათ, როგორც არაბულ სამართალს, ალაჰის სახელით!" ნათქვამია ყურანში. ბუნებრივია, მუჰამედს არ შეეძლო განეჭვრიტა ყველა ის სამართლებრივი კაზუსი, რომელსაც ადგილი აქვს ადამიანის ცხოვრებაში. მისი სიკვდილის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ყურანის მითითებები საკმარისი არაა ყველა იურიდიული საკითხის გადასაჭრელად. თუ ყურანში რამე კითხვაზე პასუხს ვერ იპოვნიდნენ, შემდეგ ხერხს მიმართავდნენ: ნიმუშად იღებდნენ მსგავს სიტუაციაში წინასწარმეტყველის საქციელს, ქმედებებსა და გამონათქვამებს. სწორედ ეს "დაფუძნებული" დებულებებია ასახული შარიათში.



ისლამური რეჯულისკანონთა სიმბოლო

ძირითადი მუსლიმანური რელიგიური განაწესის გარდა, შარიათი მოიცავს სახელმწიფო, სამოქალაქო, საქორწინო-საოჯახო და სისხლის სამართლის ნორმებს. ეს არის ქვეყნის წესების კრებული მუსლიმთათვის ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის. შარიათში მორალი სამართლისგან არ განიყოფა. ისლამისთვის, საერთოდ, დამახასიათებელია ადამიანის სულიერი და პრაქტიკული მოღვაწეობის მრავალი სფეროს შერწყმა რელიგიურ და საერო უფლებებთან, კანონებისა და ეთიკის, იურისპუნდენციისა და წესიერი ცხოვრების განუყოფლობა. შარიათში წახალისებულია სისხლის აღება. ყურანში ვკითხულობთ: "თქვენ გევალებათ შურისძიება მოკლულთათვის. ჩადენილი მკვლელობა შეიძლება გამოისყიდონ დაღუპული ნათესავისთვის "სისხლის საფასურის" გადახდით". შარიათმა დეტალურად შეიმუშავა ჯარიმების ოდენობა დასახიჩრებისთვის, დაჭრისთვის. ასე მაგალითად, ჩამტვრეული კბილისთვის იღებენ "სისხლის ფასის" 1/40-დან 1/20-მდე. მოჭრილი თითისთვის - 1/10-ს, დაზიანებული თვალისთვის - ნახევარს და ა.შ. [15].

შარიათის სასჯელმა შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი სისასტიკე შეინარჩუნა. ისლამისგან განდგომის, განზრახ მკვლელობისა და ყაჩაღობისთვის შარიათის კანონი სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს. სიკვდილით უნდა დაისაჯოს ყაჩაღიც. მუსლიმანურ სამყაროში გააბრაგებული ადამიანი შუადამისას მეჩეთში შეპარული დებს შემდეგ ფიცს: "ვფიცავ წმინდათა-წმინდა ადგილს, რომელსაც პატივს ვცემ, დღეის მერე განკიცხული გავხდე. მე ადამიანთა სისხლი მწყურია, ვფიცავ არავინ შევიბრალო, ვფიცავ დევნა დავუწყო ადამიანებს. ყველას მოვპარო ის, რაც უღირთ და რასაც აფასებენ. დედას მკერდზე დავაკლა

ძუძუმწოვარა ბავშვები, ულტაკესი მათხოვრის ქოხს ცეცხლი წავეუკიდო. ვფიცავ, ბოროტება დავთესო ყველგან, სადაც აქამდე სიხარული სუფევდა. და თუ ეს ფიცი არ შევასრულო, თუ ჩემს გულს სიყვარული და სიბრალული შეეპაროს, ვედარასოდეს ვიხილო მამაჩემის საფლავი. მწყუროდეს და წყალმა წყურვილი ვერ მომიკლას, მშიოდეს და პურმა ვერ დამაპუროს, მოვკვდე და ჩემი ლეში ძაღლების საჯიჯგნი გახდეს”, ეს არის ადამიანის მსოფლმხედველობა, რომელიც მზადაა შური იძიოს ყველა მოკვდავზე თავისი ბედუკულმართობის გამო.

შარიათის კანონით გამართლებულია ქმრის მიერ მოღალატე ცოლის სიკვდილით დასჯაც. მოლასთან ჩემი პირადი ვიზიტისას მან აღნიშნა, რომ, თუ ქალმა შესცოდა ქმრის წინაშე, მაშინ უმჯობესია კაცმა აპატიოს მას თავისი დანაშაული და გაუშვას, ყურანი სასტიკად კრძალავს სიკვდილით დასჯას, განსხვავებით შარიათისგან. ამის დამადასტურებელი მაგალითია პრესაში გაჟღერებული ორი წლის წინანდელი ფაქტი, მარნეულში ძმამ მოკლა და, რომელიც თავისუფალი ცხოვრების წესს ეწეოდა. მოკლული შვილი მშობლებმა არც კი დაიტირეს. თანასოფელელთა თქმით, ძმამ შარიათის კანონი აღასრულა. რაც შეეხება მოლას განცხადებას : - “ყურანი ყველანაირ ძალადობას კრძალავს”-ო, მან, როგორც სასულიერო პირმა, განზრახ აარიდა თავი თავისი თანამემამულეების ბარბაროსულ ადათებზე საუბარს.

ციხეში ჩასმა წინაისლამურ პერიოდში ძალიან იშვიათად გამოიყენებოდა. XIX საუკუნის 20-30-იან წლებში, მაშინ, როდესაც აზერბაიჯანი რუსებს ჰქონდათ დაპყრობილი, შარიათი აქტუალური გახდა. აზერბაიჯანში თუ ვინმე სამართალს ეძებდა, რუს მოსამართლეებთან უნდა წასულიყო. მაგრამ ასე ერთეულები იქცეოდნენ. იმიტომ კი არა, რომ რუსი მოსამართლეები „ცუდები იყვნენ, შეიძლება სამართლიანი და შემწყნერებლებიც ყოფილიყვნენ, მაგრამ ისინი აზერბაიჯანელ ხალხს არ მოსწონდა. ქურდები, რომლებსაც ისინი აპატიმრებდნენ, სუფთა საკნებში ისხდნენ და ჩაის მიირთმევდნენ, თანაც შაქრით.

მოსახლეობა ამაზე მხრებს იჩეჩდა და სამართალს თვითონ ეძებდა. მომჩივანნი ნაშუალამევს მეჩეთში მიდიოდნენ. ბრძენი მოხუცები წრეში ისხდნენ და ალაჰის კანონით ასამართლებდნენ: ”თვალი თვალის წილ, კბილი-კბილის წილ”. ღამლამობით ქუჩაში იდუმალი აჩრდილები „დაბორილებდნენ“. სადღაც ხანჯალი იელვებდა, ვიღაც იყვირებდა და სამართალიც „გაჩენილი“ იყო. ყველგან, სახლიდან სახლში სისხლის ასაღებად შურისმაძიებლები დამრწოდნენ. სამართალს ბრძენი ადამიანები იცავდნენ და რუსი მოსამართლეები არავის სჭირდებოდა. მათ ბავშვები ქუჩაში დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ”.

„შარიათი“ თითქოს გამოძახილს საქართველოშიც ჰპოვებდა. ჩვენი ქვეყნის მთიან რაიონებში სისხლის აღების წესი მტკივნეულ და ხშირად ტრაგიკულ სახეს იღებდა. სისხლის აღება, ანუ თვითგასამართლება ყველა საზოგადოებაში არსებობდა. საქართველოში ეს წესი ჯერ კიდევ გიორგი ბრწყინვალეს სამართლით აიკრძალა. ანუ სისხლის სამართლის დანაშაულზე ფორმალური სასჯელი დაწესდა, თუმცა, ფორმულირება “თვალი თვალის წილ...” - თავის აქტუალობას ინარჩუნებდა.

ქართული სამართლის ძეგლებზე საუბრისას აუცილებელია აღვნიშნოთ ვახტანგ VI<sup>1</sup>-ს მიერ შექმნილი დასტურლამალი, რომელიც შედგება ორი მთავარი ნაწილისგან, ესენია: სამეფო დასტურლამალი და სადედოფლო დასტურლამალი. სადედოფლო დასტურლამალი თავდაპირველად გიორგი XI-ს შეუდგენია 1683-1689 წლებში. არ არის ცნობილი, თუ სახელდობრ რა ცვლილებები შეიტანა ვახტანგმა გიორგისეულ დასტურლამალში მისი განახლებისას. დასტურლამალი მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ. იგი იმდენად ფართო შინაარსის საკანონმდებლო ძეგლი იყო, რომ თავის დროზე ანბანური წესითაც დაულაგებიათ, რათა მოხელეებს და დაინტერესებულ პირებს გაადვილებოდათ კანონებით სარგებლობა. ძეგლის შედგენის დროს საქართველო პოლიტიკურად დანაწილებული იყო სამეფო-სამთავროებად; დასტურლამალი განკუთვნილი იყო ქართლის სამეფოსთვის, რომელიც ამ პერიოდში ირანთან ვასალურ დამოკიდებულებაში იყო (ძეგლში ირანის შაჰი "ხელმწიფედ" იხსენიება, ქართლის მეფე კი "ბატონად"). დასტურლამალის შედგენით ქართლის მეფე ცდილობდა თავისი ხელისუფლების განმტკიცებას - ერთიანი სამართლებრივი პოლიტიკის გატარებას და ფეოდალთა თვითნებობის ალაგმვას.


დასტურლამალში აღწერილია სასახლეში მიღებისა და ნადიმობის წესები. მოპატიჟების წესი და მაგიდასთან ადგილი მტკიცედ იყო განსაზღვრული მოპატიჟებულის მდგომარეობით ფეოდალურ იერარქიაში. სასახლის მთავარი განმკარგველი იყო სახლთუხუცესი, რომელსაც მოხელეთა მთელი შტატი ექვემდებარებოდა. ნადიმობას საქმიანი მხარეც ჰქონდა, ამიტომ მას მდივანიც უნდა დასწრებოდა: "ან წიგნის დაწერა ითქმის, ან სამართალი რამ ჩამოვარდების, ეგების ბატონმა ბრძანოს რამე" (§ 21). ძეგლში დახასიათებული არიან მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი აპარატის მოხელეები. დასტურლამალის მიხედვით, ცენტრალური მმართველობა შემდეგი სახით წარმოგვიდგება: სამეურნეო-ადმინისტრაციული (სახლთუხუცესი, ნაზირები, მოლარეები და სხვა), საპოლიციო (ემიკადასბაში, ბოქაულთუხუცესი, ბოქაული, იასაული და სხვა), სასამართლო (მდივანბეგი, მდივანი, სასამართლოს იასაული და სხვა), სამდივნო (მდივნები, მორდალი, მწერალი და სხვა), სამონადირეო (მონადირეთუხუცესი, ბაზიერთუხუცესი, ბაზიერი და სხვა), სამეჯინიბო (მეჯინიბეთუხუცესი, მეჯინიბეები, ზინდრები ანუ ცხენის შემკაზმველები და სხვა), მეფის დაცვა (ყულარაღასი, ყორჩიბაში, უზბაშები და სხვა). ადგილობრივი მოხელეობის ფუნქციები ჰქონდათ სარდლებს, არაგვისა და ქსნის ერისთავებს, საერთოდ ფეოდალებს, მოურავებს, ნაცვლებსა და მამასახლისებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ხევისთავის სახელი, რომელიც შემოღებული იყო საკუთრების უფლების ეფექტიანი დაცვის მიზნით. ხევისთავი წელიწადში ერთხელ ჩამოივლიდა მისდამი რწმუნებულ სოფლებს ქურდების გამოსააშკარავებლად.

ქალაქის მმართველობის სათავეში იდგა მოურავი, რომელსაც ჰქონდა ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციები. მას ჰყავდა მოადგილე - მოურავის ნაცვალი. ქალაქის მოხელეები იყვნენ აგრეთვე მელიქი და მამასახლისი. განსაკუთრებით დიდია დასტურლამალის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისთვის. მასში დაწვრილებით არის გათვალისწინებული საგლეხო გადასახადები მეფისა და დედოფლის

<sup>1</sup> ვახტანგ VI (დ. 15 სექტემბერი, 1675 — გ. 26 მარტი, 1737, ასტრახანი) — ქართლის გამგებელი (ჯანიშინი) 1703-1714 წლებში, მეფე 1716-1724 წლებში, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პოეტი, მთარგმნელი, ისტორიკოსი, კოდიფიკატორი და მეცნიერი

მამულებში. სამეფო და სადედოფლო გლეხებისათვის ერთიანი გადასახადების დაწესება საკანონმდებლო გზით პროგრესული ნაბიჯი იყო. დასტურლამალი კრძალავდა სამეფო და სადედოფლო სოფლებში მოხელეების თვითნებობას და მაგალითსაც აძლევდა ფეოდალებს გადასახადების დაწესების საქმეში. დასტურლამალში გლეხების გადასახადები შემდეგ სახეებად იყო დანაწილებული: სახელმწიფო, სამოხელეო, საფეოდალო, ექსტრაორდინალური ანუ ფეოდალის ოჯახში მომხდარ რაიმე შემთხვევასთან (ქორწილი, სიკვდილი და სხვა) დაკავშირებული და საეკლესიო გადასახადები. დასტურლამალი ერთადერთი ძეგლია, რომელიც შეიცავს ძვირფას ცნობებს ქართლში ჩამოსახლებული თურქული მოდგმის ტომების - ელების ისტორიისა და ეკონომიკური წყობის შესახებ; ძეგლში დასახელებულია ქართლისა და კახეთის საზღვრები, გათვალისწინებულია ქართლის აღწერის წესები, ცალკე (203-ვ) პარაგრაფია მიძღვნილი მეფის დასაფლავების ცერემონიალისადმი და სხვა [16].

ქართული კონსტიტუციონალიზმის საფუძველთა საფუძველს საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია წარმოადგენს. 1921 წლის



კონსტიტუციაში განმტკიცებულია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. კონსტიტუცია აცხადებს კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობას და კრძალავს წოდებრივ განსხვავებებს. ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ, ისე სამოქალაქო, ეკონომიკურ და საოჯახო უფლებებით. გარდა მოქალაქეთა უფლებებისა, კონსტიტუცია აღიარებს ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, რასაც მთლიანად ეძღვნება მეთოთხმეტე თავი, რომელშიც ნათქვამია, რომ არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, დედაენაზე სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შიდა მართვა-გამგეობა; ყველას აქვს უფლება წეროს, ბეჭდოს და ილაპარაკოს დედაენაზე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარებაში. მისი აღდენა ორჯერ სცადეს 1990-იან წლებში. პირველად 1992 წლის 21 თებერვალს, როდესაც ის საქართველოს სამხედრო საბჭომ აღადგინა, თუმცა, მხოლოდ სამი დღის განმავლობაში მოქმედებდა. მეორე მცდელობა იყო 1993 წელს, როდესაც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას დაევალა 1921 წლის

**საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია**

კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავება, მაგრამ არც ამჯერად მოხერხდა მისი აღდგენა. სანაცვლოდ მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელიც დაეყრდნო 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს.

სამართლის განვითარების ისტორიის მიმოხილვისას, გვერდს ვერ ავუვლით რომაულ სამართალს, რომლის მიხედვითაც კერძო ურთიერთობების სუბიექტების ფორმალიზებული ნება, რომელიც განსაზღვრავდა აღნიშნული ურთიერთობებისა და კავშირების რეჟიმს, კერძო კანონად ითვლებოდა – Lex Privata, ხოლო თუ ურთიერთობები ეხებოდა რომელიმე ხალხის – კვირიტების საერთო ინტერესებს (Populus Romanus Quiritum), მაშინ ამ ინტერესების საფუძველს წარმოადგენდა მთელი ხალხის ფორმალიზირებული ნება Lex Publica (საჯარო




კანონი). ამასთან, მონაწილეთა შემადგენლობის მიხედვით, მკაცრად ეროვნული რომაელი სამოქალაქო თემის (ცივიტას) სამართალი Ius Civile რომაელთათვის იყო “კვირიტული”.

ეს ნორმატიული სისტემა შეიცავდა ნორმათემოქმედებით წესებს, რელიგიურ რიტუალებს, მმართველობის საყოველთაო-სახალხო ორგანოების საქმიანობის რეჟიმს (სენატი და მაგისტრატურა) მართლზომიერი მოთხოვნების სასამართლო დაცვის ფორმებს, უცხოელებთან ურთიერთობის პრინციპებს, პირის სტატუსის შეცვლის წესებს, რომელი მოქალაქეებისა და ქორწინების განსაზღვრის ნორმებს, მოქალაქეებს შორის (როგორც მათ სიცოცხლეში, ისე გარდაცვალების შემდეგ) ქონებრივი ურთიერთობების მყარ ფორმებს (სანივთო, ვალდებულებითი, მემკვიდრეობითი სამართალი) [17].

თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის ფუძემდებლურ დოკუმენტად შეგვიძლია ჩავთვალოთ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია წარმოადგენს, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს კანონს. მასზე მუშაობა დასრულდა 1787 წლის 17 სექტემბერს, რის შემდეგაც სპეციალური კონვენციით მოხდა რატიფიკაცია თითოეული შტატის მიერ. ამით შეიქმნა სუვერენული შტატების ფედერალური გაერთიანება და ამ გაერთიანების მმართველი ფედერალური მთავრობა. იგი ძალაში შევიდა 1789 წელს და გამოყენებულია მოდელად სხვა სახელმწიფოების მიერ.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია ამჟამად მოქმედ კონსტიტუციებს შორის ყველაზე ძველია. მასში შემავალი კანონები განსაზღვრავს: შტატების მართვას, შტატებს შორის ურთიერთობას, თითოეული შტატისა და ფედერალური მთავრობის ურთიერთობას; საქმის წარმოებას აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებს შორის. ის ასევე განსაზღვრავს როგორც აშშ-ს მოქალაქის, ასევე უცხოელთა ურთიერთობას ფედერალურ და შტატების მთავრობებთან.



აშშ კონსტიტუციის მიღების ილუსტრაცია, (1787 წელი)

## დასკვნა

წინამდებარე სტატიაში ჩვენ მიმოვიხილეთ სამართლის ისტორიის მნიშვნელოვანი ფაქტები, შევხებთ კანონთემოქმედების განვითარებასა და ევოლუციას, რამაც საშუალება მოგვცა პარალელები გაგვევლო სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტს შორის. აღნიშნულმა სამართლებრივმა მიმდინარეობებმა მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი თანამედროვე საკანონმდებლო სისტემების ჩამოყალიბებას, რამაც კაცობრიობის განვითარების ისტორიაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. შარაშენიძე ჯ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, გვ. 429, თბ., 19
2. cacanaSvili m.g. , 2010. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია (ნაწილი მეორე)
3. Miguel Civil. "The Law Collection of Ur-Namma." *Cuneiform Royal Inscriptions and Related Texts in the Schøyen Collection*, 221-286, edited by A.R. George, 2011,
4. Claus Wilcke. "Der Kodex Urnamma (CU): Versuch einer Rekonstruktion." *Riches hidden in secret places: ancient Near Eastern studies in memory of Thorkild Jacobson*, edited by Zvi Abusch, 2002
5. Martha T. Roth. "Law Collections from Mesopotamia and Asia Minor." *Writings from the Ancient World*, vol. 6. Society of Biblical Literature, 1995
6. Finet, André (1973). *Le trone et la rue en Mésopotamie: L'exaltation du roi et les techniques de l'opposition*, in *La voix de l'opposition en Mésopotamie*. Bruxelles: Institut des Hautes Études de Belgique.
7. Mottahedeh, *The Mantle of the Prophet*, (1985, 2000), p.225
8. Creel, Herrlee G. *Confucius and the Chinese Way*. Reprint. New York: Harper Torchbooks. (Originally published under the title *Confucius—the Man and the Myth*.)
9. Watson, Burton, trans. *Han Fei Tzu: Basic Writings*. New York: Columbia University Press, 1964.
10. Qian, Sima. *Records of the Grand Historian, Qin Dynasty*. Translated by Burton Watson. New York: Columbia University Press, 1993.
11. Barbieri-Low, Anthony, Trans. *The Standard Measure of Shang Yang (344 B.C.)* (2006)
12. <http://www.hist.msu.ru/ER/Etext/hammurap.htm>
13. <http://gumilevica.kulichki.net/HE1/he105.htm#he105para4>
14. <http://all.auf.ge/news/2010-11-12-4502>
15. <http://genia.ge/?p=5426>
16. *სურგულაძე ი.*, ქსე, ტ. 3, გვ. 396-397, თბ., 1978
17. <https://docs.google.com/document/d/145btcpqmK-wjRTMjLjLoxRZYE2b61FdMqAYVy5pqg7M/edit?pli=1>
18. <http://www.bu.org.ge/x1265?lang=geo>



## **Labor Discrimination and Preliminary Contract Relationship**

### **Summary**

The article "Labor Discrimination and Preliminary Contract Relationship" discusses topical problem for contemporary Georgia. Discrimination is treatment or consideration of, or making a distinction in favor of or against a person or thing based on the group, class, or category to which that person or thing belongs rather than on individual merit.

This includes treatment of an individual or group based on their actual or perceived membership in a certain group or social category, "in a way that is worse than the way people are usually treated".

It involves the group's initial reaction or interaction, influencing the individual's actual behavior towards the group or the group leader, restricting members of one group from opportunities or privileges that are available to another group, leading to the exclusion of the individual or entities based on logical or irrational decision making.

There are multiple dimensions that need to be considered when discussing such discrimination. The most obvious is that the group discriminated against is paid less for identical jobs. This is known as wage discrimination and is the most prevalent form of discrimination. The attempt to combat such a form of discrimination can be seen in increasing equal pay legislation in different countries including Georgia.

There are some forms of discrimination. The most obvious is that the group discriminated against is paid less for identical jobs. This is known as wage discrimination and is the most prevalent form of discrimination. The attempt to combat such a form of discrimination can be seen in increasing equal pay legislation in different countries. Secondly, the level of unemployment for the disadvantaged group in general is higher than that of other groups that do not face such discrimination. Thirdly, there is discrimination based on the kind of jobs that they have access to, the discriminated group is given preference for repetitive and menial tasks. This is known as employment discrimination where an individual is excluded from a job that is worked on by a person with equal productivity. When this happens, the disadvantaged group is employed for a job its members are over-qualified for, simply because the group members have no access to better paying jobs in part to their counterparts and are denied opportunities of recruitment and promotion.

The present article aims to clarify the concept of discrimination, the ways of its expression and the results.

The goal of article is to analyze specific areas of discrimination, particularly in labor legislation.

**Keywords:** Labor legislation; Discrimination; Contract

*თამთა გელუკაშვილი  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი,  
სამართლის სკოლა  
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი*

## **დისკრიმინაცია შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში**

### **რეზიუმე**

წინამდებარე ნაშრომში განმარტებულია დისკრიმინაციის ცნება, გამოკვეთილია მისი გამოხატვის ფორმები და შედეგები. თემის არჩევა განაპირობა მისმა არამართო დღევანდელმა, არამედ ისტორიულმა აქტუალობამ. დისკრიმინაციის პრობლემა სცილდება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ ფარგლებს და არ შემოისაზღვრება დროის ჩარჩოებით.

დისკრიმინაცია დაუშვებელია. იგი საფრთხეს უქმნის საზოგადოების, ეკონომიკის და, ზოგადად, ქვეყნის ნორმალურ განვითარებას. ჩემი მიზანია განვიხილო დისკრიმინაცია კონკრეტულ, კერძოდ, შრომის სფეროში. შევეცდები მაქსიმალურად დეტალურად გამოკვეთო დისკრიმინაციის პრობლემა შრომით ურთიერთობებში, მისი სახეები და ის, თუ რა შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს მან სოციალური. ასევე მინდა გავმიჯნო დისკრიმინაცია და დამსაქმებლის უფლება კანონის ფარგლებში დააწესოს შეზღუდვა პირის დასაქმებაზე ან დასაქმებაზე უარის თქმაზე. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანია დისკრიმინაციის არსში ჩაწვდომისთვის.

**საძიებო სიტყვები:** შრომის სამართალი; დისკრიმინაცია; კონტრაქტი

### **შესავალი**

დისკრიმინაცია ნიშნავს ადამიანების მიმართ უთანაწორო, უსამართლო მოპყრობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს მიმართულია რაიმე ნიშნით განსხვავებულ ადამიანთა ჯგუფის წინააღმდეგ. ტერმინი გაგებულ უნდა იქნას, როგორც განსხვავება, გამორიცხვა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება რაიმე ნიშნით. დისკრიმინაცია, როგორც გამორჩევა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება თანაბარი უფლებებისა და მათი დაცვის უარყოფის მიზნით, არის თანასწორობის პრინციპის შელახვა და ადამიანის ღირსების ხელყოფა. განსხვავებული მოპყრობის მიზეზებზე საუბრისას შეიძლება გამოვყოთ დისკრიმინაცია რასის, ეთნიკური წარმოშობის, კანის, ფერის, სქესის, რელიგიის, სქესობრივი ორიენტაციისა და სხვა ნიშნების საფუძველზე, თუმცა, აუცილებელია მხედველობაში ისიც მივიღოთ, რომ, ადამიანის უფლებათა დარღვევის თვალსაზრისით, ყველა სახის გამორჩეული დამოკიდებულება არ არის დისკრიმინაცია. მხოლოდ გონივრულ და ობიექტურ კრიტერიუმზე დამყარებული გამორჩეული მოპყრობის გამართლება შეიძლება დემოკრატიულ საზოგადოებაში.

დისკრიმინაცია ლახავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს. მისი აკრძალვა კონსტიტუციის უმთავრესი პრინციპია. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის

მიხედვით, ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. დისკრიმინაციის აკრძალვას ემსახურება ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა დისკრიმინაციისათვის აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. დისკრიმინაცია იკრძალება შრომის კოდექსით და სხვა მრავალი საერთაშორისო შეთანხმებებითა თუ კონვენციებით. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ: კონვენცია მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ, კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ და სხვ. [1].

### ისტორიული მიმოხილვა

დისკრიმინაცია ოდითგანვე იკვეთებოდა როგორც რასობრივი, ეთნიკური სქესობრივი და რელიგიური, ისე სხვა ნიშნების მიხედვით. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ 1915 წელს ამერიკაში სეგრეგაციის დაკანონებას, რაც დისკრიმინაციის უკიდურეს ფორმას წარმოადგენს და კანონის ან წეს-ჩვეულების საფუძველზე ეთნიკური ჯგუფების განცალკევებას ნიშნავს. ევროპაში არსებობდა სეგრეგაციის ოფიციალური ფორ

მები; მაგალითად, ოდესღაც ებრაელები გეტოებში იყვნენ იზოლირებული. ამჟამად ევროპის რამდენიმე ქვეყანაში მტრულად ეპყრობიან ბოშებს და ეკონომიკური სეგრეგაციით აიძულებენ, ცალკე თემებად იცხოვრონ. დისკრიმინაციის ისტორიული მიმოხილვისას აუცილებლად უნდა შევხვთ ნაცისტების მიერ შექმნილ გამოსასწორებელ-შრომით საკონცენტრაციო ბანაკებს, რომელთა შექმნის მიზანი ნაცისტური რეჟიმის მოწინააღმდეგე პირთა იზოლაცია იყო. თავის დროზე ასეთ ბანაკებში აღმოჩნდნენ გერმანიის კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები იმ მიზეზით, რომ ისინი ნაცისტურ რეჟიმს ეწინააღმდეგებოდნენ. აღსანიშნავია ეროვნული დისკრიმინაციის გამო ოსვენციმის ბანაკში დაღუპულ ებრაელთა დიდი რაოდენობა. არსებობს ასევე დისკრიმინაცია კანის ფერის მიხედვით, მეცხრამეტე საუკუნეში შეიქმნა ორგანიზაცია სახელწოდებით „კუ-კლუქს-კლანი“ რომელიც დღემდე მოქმედებს შავკანიანების წინააღმდეგ. წინამდებარე ნაშრომში ჩემი მიზანია განვიხილო დისკრიმინაციის კონკრეტული შემთხვევა, კერძოდ, დისკრიმინაცია შრომის სამართალში. მინდა ვისაუბრო დისკრიმინაციის გამოხატვის ფორმებზე და შედეგებზე, როგორც დასაქმებულის, ასევე დამსაქმებლისთვის.

### შრომის სამართლის ზოგადი მიმოხილვა

შრომა მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენაა. თავდაპირველად ადამიანი შრომას საკუთარი ოჯახის, გვარის, ან თემის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის და საჭირო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისთვის ეწეოდა. ასეთი შრომა არ ატარებდა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ორგანიზებულად მოწესრიგებული ურთიერთობების ხასიათს.

შრომის სამართლის, როგორც დარგის, უპირველესი მიზანია დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებული არათანაბარი ურთიერთობის დაბალანსება. სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობების ეფექტური

რეგულირება, რადგან, სწორედ ამ სფეროს კარგად ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული საზოგადოების კეთილდღეობა და ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა. ზემოთხსენებული პრიორიტეტის განმტკიცებას ემსახურება კონსტიტუციის 30-ე მუხლი, რომელიც გარანტირებულს ხდის პირის თავისუფლებას შრომითი საქმიანობის არჩევისა და განხორციელების დროს. საქართველოს შრომის კანონის (შემდგომში ს.შ.კ.) მე-2 მუხლის მიხედვით, შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ. [2] რაც შეეხება შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, იგი წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით. თანასწორუფლებიანობის პრინციპს განამტკიცებს კონსტიტუციის მე-14 მუხლი, რომლის მიხედვითაც ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა და საცხოვრებელი ადგილისა [1].

შრომის სამართლის სუბიექტები ს.შ.კ.-ის მიხედვით არიან დამსაქმებელი ან დამსაქმებელთა გაერთიანება და დასაქმებული და დასაქმებულთა გაერთიანება, რომელიც შექმნილია „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის #87 და #89 კონვენციებით გათვალისწინებული მიზნებითა და წესით. დამსაქმებელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ან პირთა გაერთიანება, რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება განსაზღვრული სამუშაო, ხოლო დასაქმებული არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისთვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შრომითი ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს პირთა თანასწორუფლებიანობას. თანასწორუფლებიანობა დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის წინაპირობაა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კანონმდებლის მიერ ამ ნორმის დაწესებას საფუძველად სწორედ რომ პირთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა და ადამიანების დისკრიმინაცია უდევს. შრომით ურთიერთობებში დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის უფლება-მოვალეობების წარმოშობა დაკავშირებულია შრომითი ხელშეკრულების დადებასთან.

ზემოთ მოყვანილი ზოგადი მიმოხილვის შემდეგ დეტალურად განვიხილავ დისკრიმინაციას შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში.

### **დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუციით, შრომის კოდექსით, სხვა კანონებითა და საერთაშორისო შეთანხმებებით, შრომა დაფუძნებულია პირთა თანასწორობაზე. შრომასთან დაკავშირებულ უფლებათა ერთობლიობა შეიძლება დაიყოს რამდენიმე ქვეკატეგორიად, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია დისკრიმინაციის დაუშვებლობა. ეს პრინციპი ადამიანის უფლებების დაცვის ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს, იგი ასახულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონულ ხელშეკრულებებში. სამართლის ფორმირების დროს საქართველოში სამართლიანად მიუთითებდნენ იმ ფაქტზე, რომ შრომის სამართლის ძირითად ფუნქციად უნდა იქცეს თანასწორუფლებიანი ხელშეკრულების ელემენტების სულ უფრო მეტად შეტანა შრომით ხელშეკრულებაში, კანონმდებლის მთავარი მიზანი სწორედ სამუშაო ადგილებზე

დისკრიმინაციის აკრძალვა უნდა იყოს. 1973 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი სათანადოდ ვერ არეგულირებდა შრომით ურთიერთობებს. სწორედ ამან განაპირობა 2006 წელს საქართველოს შრომის კოდექსის მიღება. თანასწორობის უფლება გარანტიცაა იმისა, რომ არ მოხდეს ადამიანისთვის უსაფუძვლო უპირატესობის მინიჭება, ანუ დისკრიმინაცია. ეს პრინციპი როგორც უკვე აღვნიშნეთ, უზრუნველყოფილია კონსტიტუციის მე-14 მუხლით და იგი დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი პრინციპია. შრომის თავისუფლებას განამტკიცებს კონსტიტუციის 30-ე მუხლი, რომელშიც საკმაოდ ლაკონურადაა ჩამოყალიბებული სათქმელი - შრომა თავისუფალია.

დისკრიმინაციის აკრძალვას ემსახურება კონსტიტუციის 38-ე მუხლი, თუმცა უნდა აღვნიშნოთ რომ იგი ეხება უფრო მეტად კონკრეტულ სუბიექტებს. [4] საქართველოს შრომის კოდექსში დისკრიმინაციის ფორმები ამომწურავადაა ჩამოთვლილი, თუმცა არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი, რომელიც შემოიფარგლება ნიშნებით და რომლითაც არ დაიშვება დისკრიმინაცია. ამასთან დაკავშირებით, უნდა ვახსენოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. სასამართლოს აზრით, შესაძლებელია დისკრიმინაცია იმ ნიშნების მიხედვით, რომლებიც არაა ნახსენები კონვენციის მე-14 მუხლში. ს.შ.კ.-ის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში შემოთავაზებულია ნიშნები, რომელთა მიხედვითაც იკრძალება დისკრიმინაცია. [2] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაში ასახულ ნიშანთაგან ვხვდებით ისეთებს, რომლებიც არაა ჩამოთვლილი საქართველოს შრომის კოდექსსა და კონსტიტუციაში, მაგალითად, გაერთიანება ეროვნულ უმცირესობებთან, ქონება, დაბადება და სხვა რაიმე სტატუსი.

ხელშეკრულების დადების თავისუფლების მიხედვით, მომავალი დასაქმებული თავისი ნების შესაბამისად ირჩევს მისთვის შესაფერის დამსაქმებელს და ამყარებს მასთან ურთიერთობას. დამსაქმებელიც, ასევე, თავისი ნებით ირჩევს დასაქმებულს და ამყარებს მასთან ურთიერთობას. აღნიშნულ ურთიერთობას საფუძვლად უდევს შრომის ხელშეკრულება. თუმცა, აქვე უნდა ვახსენოთ საზღვარგარეთის კანონმდებლობა, კერძოდ, საფრანგეთში საწარმოები, რომლებიც 20-ზე მეტ მუშაკს ითვლიან, ვალდებული არიან დასაქმონ თითო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი მაინც. ასეთ დათქმას ქართული კანონმდებლობა არ იძლევა. კანონიერების ფარგლებში, როგორც წესი დამსაქმებელი თავად წყვეტს საკითხს დაასაქმოს თუ არა რომელიმე პირი თავის საწარმოში, შესაბამისად, მას ენიჭება უფლება პირს უარი უთხრას დასაქმებაზე, უფრო მეტიც, დამსაქმებელს აქვს უფლება დასაქმების მაძიებელს არც კი აუხსნას ან დაუსაბუთოს დასაქმებაზე უარის თქმის მოტივები. სწორედ აღნიშნული წესის ბოროტად გამოყენებას მივყავართ ხშირად დისკრიმინაციამდე. მაგალითად, როდესაც დამსაქმებელთან მიდის სამსახურის მაძიებელი პირი, რომელიც აკმაყოფილებს დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას, მაგრამ მაინც დაუსაქმებელი რჩება იმის გამო, რომ ფერადკანიანია.

აღნიშნული შემთხვევა პირდაპირ გვაძლევს დისკრიმინაციის შემადგენლობას, კერძოდ, დისკრიმინაციას კანის ფერის გამო. სწორედაც თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპის დაცვას ემსახურება ს.შ.კ.-ის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი: რომლის მიხედვითაც შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში დაუშვებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების წარმოშობის,

ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო. მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი იძლევა დისკრიმინაციის კოდექსისეულ განმარტებას, დისკრიმინაცია არის პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი შევიწროვება.

---

**დისკრიმინაციად ჩაითვლება:**

პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი შევიწროვება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაზინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისათვის ისეთი პირობების შექმნას, რომლითაც პირდაპირ ან არაპირდაპირ უარესდება მისი მდგომარეობა ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით. საინტერესოა, თუ რა განსხვავებაა პირდაპირ და არაპირდაპირ დისკრიმინაციას შორის.

**პირდაპირ დისკრიმინაციასთან გვაქვს საქმე**, როდესაც დამსაქმებელი სამუშაოს მაძიებელთა ჯგუფს არ ასაქმებს პიროვნული შეხედულებებისა და სტერეოტიპების გამო, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სუბიექტი სავსებით აკმაყოფილებს სამუშაო ადგილის დასაკავებლად წაყენებულ მოთხოვნებს.

**არაპირდაპირი დისკრიმინაცია**, დამსაქმებელი აწესებს მოთხოვნას, რომელიც უარყოფითად იმოქმედებს უმცირესობის წარმომადგენელთა დასაქმებაზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოთხოვნის დაწესება დისკრიმინაციად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია, იგი არ გამოდინარეობდეს სამუშაოს ხასიათიდან. ზოგიერთ შემთხვევაში, ირიბი დისკრიმინაცია შეიძლება დასაშვები იყოს, მაგალითად, როცა დამსაქმებელი, ამგვარი დისკრიმინაციის საჭიროებას დაასაბუთებს.

წინამდებარე თემის უკეთ განხილვის მიზნით მოვიყვან ამონარიდს კონვენციიდან, რომელიც ეხება მამაკაცთა და ქალთა თანაბარი შრომისათვის თანაბარ ანაზღაურებას. მუხლი 2, პუნქტი ბ „ტერმინი „მამაკაცთა და ქალთა თანასწორი ანაზღაურება თანაბარი ღირებულების შრომისათვის“ ეხება ანაზღაურების განაკვეთს, რომელიც განისაზღვრება სქესობრივი დისკრიმინაციის გარეშე, რომლის მიხედვით დაუშვებელია არსებითად იდენტური ობიექტური გარემოებების დროს არათანაბარი ანაზღაურება, ხოლო არსებითად განსხვავებული ობიექტური გარემოებების დროს იდენტური ანაზღაურება. დისკრიმინაცია სახეზე გვაქვს, როდესაც არ იკვეთება პირისადმი შეზღუდვის ან მისთვის უპირატესობის მინიჭების საფუძველი.

აღნიშნული ასევე გამომდინარეობს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპიდან, რომელიც ერთდროულად ადმინისტრაციული სამართლის პრინციპიცაა.

„კონვენცია შრომისა და საქმიანობის სფეროში დისკრიმინაციის შესახებ“ ადგენს, რომ: „ყველა ადამიანს, რასის, რწმენის ან სქესის მიუხედავად, უფლება აქვს განახორციელოს თავისი მატერიალური კეთილდღეობა და სულიერი განვითარება თავისუფლებისა და ღირსების, ეკონომიკური სტაბილურობისა და თანასწორობის შესაძლებლობების პირობებში. ჩაქტია,

რომ შრომა და შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვა სწორედ მატერიალური კეთილდღეობისკენაა მიმართული. რაც მთავარია, აღნიშნული კონვენცია ხაზს უსვამს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას.

იმისათვის, რომ მკაფიოდ განვსაზღვროთ დისკრიმინაციის რაობა, მინდა წარმოვაჩინო შემთხვევები, რომლებიც არ ჩაითვლება დისკრიმინაციად. აღნიშნულისთვის, პირველი რიგში, გამოვიყენებ ზემოხსენებულ კონვენციას შრომისა და საქმიანობის სფეროში დისკრიმინაციის შესახებ. კონვენციის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ნებისმიერი განსხვავება, დაუშვებლობა ან უპირატესობა გარკვეული სამუშაოს მიმართ, დამყარებული მის სპეციფიკურ მოთხოვნებზე, დისკრიმინაციად არ მიიჩევა. დაცვა და განსაკუთრებული დახმარება პირისა, რაც განსაკუთრებული პირობების არსებობითაა გამოწვეული, კონვენციის მიხედვით, ვერ ჩაითვლება დისკრიმინაციად. ასევე აღსანიშნავია კონვენცია მამაკაცთა და ქალთა თანასწორი ანაზღაურების შესახებ თანაბარი ღირებულების შრომისათვის. კონვენციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სხვაობა ანაზღაურების განაკვეთებს შორის, რომელიც შეესაბამება სქესის მიუხედავად სხვაობას, გამომდინარე შესრულებადი სამუშაოს ობიექტური შეფასებიდან, არ განიხილება მამაკაცთა და ქალთა თანასწორი ანაზღაურების პრინციპის დარღვევად. მნიშვნელოვანია, ასევე, შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს შემთხვევებს, რაც არ ჩაითვლება დისკრიმინაციად. სამყაროში არ არსებობს ორი აბსოლიტურად იდენტური გარემოება, კონსტიტუცია და შრომის კოდექსი სულაც არ მოითხოვს ყოვლისმომცველ, ტოტალურ გათანაბრებას, არამედ კრძალავს უსაფუძვლო დიფერენციაციას. დისკრიმინაციის აკრძალვის მთავარი მოთხოვნაა რომ თანასწორს თანასწორად, ხოლო არათანასწორს მისი თავისებურების შესაბამისად მოეპყრონ. თანასწორობის პრინციპი არ იქნება დარღვეული, როცა არსებობს დიფერენციაციის გონივრული საფუძველი. მაშასადამე, ყველა სახის დიფერენციაცია არ წარმოადგენს დისკრიმინაციას.

**აღსანიშნავია საზღვარგარეთის პრაქტიკა,** კერძოდ, პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, კონსტიტუციაში ჩამოთვლილი დისკრიმინაციის ამკრძალავი ნიშნები არ არის ამომწურავი. განსხვავებულ ვითარებაში მყოფ პირთა და პირთა ჯგუფის განხილვა დასაშვებია, თუ კავშირი დიფერენციაციის ნიშანსა და განსხვავებულად განხილვას შორის იძლევა რაციონალური ახსნის საშუალებას და თუ სამართლებრივად განსხვავებული შედეგები ფაქტობრივად არსებული განსხვავების პროპორციულია. აუცილებლად უნდა აღნიშნოს ის ფაქტი რომ, შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-6 ნაწილი ქმნის გარანტიებს მხარეთა კანონიერი ინტერესების დასაცავად.

#### **ნეგატიური და პოზიტიური დისკრიმინაცია:**

ერთი შეხედვით რთული წარმოსადგენია, თუ რა პოზიტივი შეიძლება ახლდეს თან დისკრიმინაციას. ცალკეულ შემთხვევაში კანონი პირდაპირ ავალდებულებს პირს, რომ, სხვასთან შედარებით, განსხვავებულად არ მოექცეს დასაქმებულს, თუმცა, არათანასწორი მოპყრობა ყოველთვის არ ითვლება უარყოფით მოვლენად. მართალია, ამ შემთხვევაში იზღუდება დამსაქმებლის უფლება, მაგრამ ეს იძულება შეიძლება სწორედაც თანასწორობასა და სამართლიანობას უწყობდეს ხელს. ს.შ.კ. ში არ არის დათქმა პოზიტიური დისკრიმინაციის შესახებ. კანონმდებელი მხოლოდ ისეთი სახის განსხვავებას არ მიიჩნევს დისკრიმინაციად, რომელიც სამუშაოს არსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარეობს. სწორედ

ამგვარ შემთხვევას შეგვიძლია ვუწოდოთ პოზიტიური დისკრიმინაცია, რომელზეც ზემოთ ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ.

### **დისკრიმინაცია წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში**

წინასახელშეკრულებო ურთიერთობა ეს არის ურთიერთობა პოტენციურ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის, რა დროსაც ძირითადად მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლას აქვს ადგილი. დამსაქმებელს ენიჭება უფლება, მოიპოვოს ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელიც ესაჭიროება გადაწყვეტილების მისაღებად მის დასაქმებასთან დაკავშირებით. ეს შეიძლება იყოს ინფორმაცია ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებაში და ა.შ.

ლოგიკურია, რომ მოლაპარაკებისას კანდიდატი ცდილობს არ აცნობოს დამსაქმებელს იმ ფაქტების შესახებ, რომელთა შეტყობინების ვალდებულებაც მას არ აკისრია. დამსაქმებლის მიერ შეკითხვის დასმისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ პასუხი სამუშაოს უნარის შეფასებას უნდა გულისხმობდეს. დამსაქმებელს არ აქვს უფლება შეკითხვა დასვას იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც, თუმცა, რელევანტურია სამუშაო ადგილისთვის, მაგრამ კანდიდატის პირადი ცხოვრების სფეროში ჩარევასთანაა დაკავშირებული. განასხვავებენ დასაშვებ და დაუშვებელ შეკითხვებს. დასაშვებია შეკითხვა, რომლითაც არ ხდება კანდიდატის პირადი ცხოვრების სფეროში ჩარევა და რომელიც რელევანტურია სამუშაო ადგილისთვის.

სამყაროში არ არსებობს ორი აბსოლიტურად იდენტური გარემოება. კონსტიტუცია და შრომის კოდექსი სულაც არ მოითხოვს ყოვლისმომცველ, ტოტალურ გათანაბრებას, არამედ კრძალავს უსაფუძვლო დიფერენციაციას. დისკრიმინაციის აკრძალვის მთავარი მოთხოვნაა, რომ თანასწორს თანასწორად, ხოლო არათანასწორს მისი თავისებურების შესაბამისად მოეპყრონ. თანასწორობის პრინციპი არ დაირღვევა, თუ არსებობს დიფერენციაციის გონივრული საფუძველი. მაშასადამე, ყველა სახის დიფერენციაცია არ წარმოადგენს დისკრიმინაციას.

აღსანიშნავია საზღვარგარეთის პრაქტიკა, კერძოდ, პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, დაუშვებელია შეკითხვა, როდესაც არ არსებობს დამსაქმებლის ინტერესის გამამართლებელი გარემოება და არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი რომლის მისაღწევადაც იგი დაისვა.

ახლა კი განვიხილოთ იმ შეკითხვების დასმის შესაძლებლობის ფარგლები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის.

შეკითხვა ნასამართლეობის შესახებ შესასრულებელი სამუშაოსთვის რელევანტურია მაშინ, როდესაც პირის მიერ ჩადენილი ქმედება ხელყოფს ისეთ სიკეთეს, რასაც პირდაპირი კავშირი აქვს შესასრულებელ სამუშაოსთან. რაც შეეხება შეკითხვას შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ, ამ ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობის გამო, მისი დასმა დაუშვებელია; მაგრამ, თუ კანდიდატის შრომისუნარიანობის მოშლა რელევანტურია დასაკავებელი სამუშაოსთვის, მსგავსი შეკითხვის დასმა დასაშვებია ხდება. ზოგადად დაუშვებელია შეკითხვა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებაც, რადგან იგი კანდიდატის ინტიმურ სფეროს ეხება,



თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ამგვარი შეკითხვის დასმა შესასრულებელი სამუშაოს დაძლევისთვის მნიშვნელოვანია. დაუშვებელია და დისკრიმინაციად მიიჩნევა შეკითხვა რწმენისა და აღმსარებლობის შესახებ. არ დაიშვება დისკრიმინაცია პარტიული ნიშნითაც. ასე რომ, შესაბამისი შეკითხვის დასმა გამართლებული იქნება დასასაქმებლის პარტიულობა-უპარტიულობის დადგენის კონტექსტში. რაც შეეხება შეკითხვას ნარკო-, ალკოჰოლური ან ნიკოტინოდამოკიდებულების შესახებ, ის შეიძლება დისკრიმინაციულიც იყოს, თუმცა, მეორე მხრივ, მასზე პასუხი შესაძლებელია მეტად მნიშვნელოვანი იყოს სამუშაოს არსიდან გამომდინარე. არაერთგვაროვანია დამოკიდებულება იმის მიმართ, უნდა ჩაითვალოს თუ არა დისკრიმინაციად შეკითხვა სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ. რაც შეეხება შეკითხვას, ორსულობისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ, ის დასაშვებად მიიჩნევა, რადგან აღნიშნული გარემოებების არსებობისას მუშაობამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას, ერთი მხრივ, კანდიდატის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მეორე მხრივ კი ზიანი მიაყენოს დამსაქმებელს.

თავის მხრივ, დასასაქმებელიც უფლებამოსილია, მიიღოს სრული ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოს, შრომის პირობების, შრომითი ურთიერთობისას მისი უფლებრივი მდგომარეობისა და შრომის ანაზღაურების შესახებ. წინასახელშეკრულებო ურთიერთობა სრულდება შრომითი ხელშეკრულების დადებით ან დასაქმებაზე უარის თქმით. დამსაქმებელი ვალდებული არ არის დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება დასაქმებაზე უარის თქმის შემთხვევაში.

ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დისკრიმინაციის დაუშვებლობა, რასაც ითვალისწინებს შრომის კოდექსის როგორც ზოგადი, ისე წინასახელშეკრულებო ურთიერთობების მომწესრიგებელი დებულებები. საკმაოდ აქტუალურია ვაკანსიების დაკავებისას წარმოშობილი სირთულეები, მოუწესრიგებელია განცხადების გაკეთების პრინციპი თავისუფალი სამუშაო ადგილის შესახებ, რაც დასაქმების კანდიდატთა მიმართ არათანასწორი მოპყრობის საფრთხეს ქმნის. დასაკავებელი თანამდებობისთვის სასურველი კრიტერიუმის არარსებობისას აღმოცენდება დამსაქმებლის მიერ სუბიექტური ან/და დისკრიმინაციული გადაწყვეტილების მიღების საფრთხე.

ის, რომ, ს.შ.კ.-ის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, დამსაქმებელი არ არის ვალდებული დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება ითქვას, ართულებს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას. მიზანშეწონილია მოხდეს შეკითხვების დასმის ფარგლების განსაზღვრა წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას. დამსაქმებელს უფლება უნდა ჰქონდეს კანდიდატს მხოლოდ ისეთი კითხვები დაუსვას, რომლებიც რელევანტურია დასაკავებელი სამუშაო ადგილისთვის. აღსანიშნავი და მეტად სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ს.შ.კ. პირდაპირ არ ადგენს დისკრიმინაციის აკრძალვას წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში.

წინასახელშეკრულებო შრომისსამართლებრივი ვალდებულების ფარგლებში დამსაქმებელს ეკრძალება განსაზღვრული ნიშნის მიხედვით დასაქმების კანდიდატის მიმართ არათანასწორი მოპყრობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია განისაზღვროს დისკრიმინაციის არსი წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში და მისი აკრძალვის მნიშვნელობა დასაქმებულის, დამსაქმებლისთვის და, რაც მთავარია, ქვეყნის ნორმალური განვითარებისთვის.

### **კანდიდატის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება**

წინასახელშეკრულებო შრომისსამართლებრივი მოლაპარაკების წარმოებისას დამსაქმებლის მიერ დასაქმების კანდიდატისთვის დაუშვებელი შეკითხვის დასმა შეიძლება მივიჩნიოთ წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევად. ს.ს.კ.-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კრედიტორს დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების უფლებას ანიჭებს. მაგალითად, თუ დამსაქმებელმა გასაუბრებისას გაიგო კანდიდატის ორსულობის შესახებ და მხოლოდ ამ მიზეზით განაცხადა უარი მასთან თანამშრომლობაზე, სამუშაოს მაძიებელმა კი, თავისი მაღალი კვალიფიკაციიდან გამომდინარე ჩათვალა, რომ დამსაქმებელი მას სამუშაოზე აიყვანდა და უარი განაცხადა სხვა შემოთავაზებაზე.

კანდიდატის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გათვალისწინებულია გერმანულ სამართალში. ეს შესაძლებელია ხელშეკრულების პირველ ჰიპოთეტურ მოშლამდე, ხელფასის ოდენობის ფარგლებში.

### **მტკიცების ტვირთი**

ს.ს.ს.კ.-ის 102-ე მუხლი, სასამართლოში სასარჩელო განცხადების წარდგენით სამოქალაქო საქმისწარმოების დამწყებ მხარეს ავალდებულებს თავად დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც იგი მოთხოვნას ამყარებს. შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების დადებაზე ორიენტირებული მოლაპარაკების წარმოებისას, დამსაქმებლის მიერ დასმული შეკითხვის დისკრიმინაციული ხასიათის მტკიცების ტვირთი აწევს კანდიდატს, რომელიც არასწორი მოპყრობის მსხვერპლი გახდა.

### **დასკვნა**

კვლევა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, შრომის კოდექსს, საქართველოს სამოქალაქო და საპროცესო კოდექსებსა და, ასევე, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებს.

როგორც უკვე აღვნიშნე, ნაშრომი მიზნად ისახავდა დისკრიმინაციის ცნებისა და სახეობების გამოკვეთას. მინდოდა წარმომეჩინა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დისკრიმინაციის აკრძალვას საზოგადოების ნორმალური განვითარებისათვის, ქვეყნის ეკონომიკისთვის, ასევე, უმუშევრობის პრობლემის გადაჭრისთვის. დისკრიმინაციის აკრძალვა სახელმწიფოს დემოკრატიულობისა და მისი წინსვლის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. ქვეყნის მთავარი კანონი სწორედ მის აკრძალვას ემსახურება, რაც შემდგომ აირეკლება იერარქიით განსხვავებულ საფეხურზე მდგომ საკანონმდებლო აქტებში.

### **აბრევიატურები:**

- სსკ \_ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- სშკ \_ საქართველოს შრომის კოდექსი
- სსსკ \_ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. საქართველოს კონსტიტუცია, 2014.

- 2.საქართველოს შრომის კოდექსი, 2014.
  - 3.საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 2014.
  - 4.საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 2005.
  - 5.საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 2014.
  6. ძამუკაშვილი დ. 2012. *შრომის სამართალი*
  - 7.საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარები, 2006.
  - 8.შრომის სამართლის სტატიათა კრებული, 2011.
  9. ჩაჩავა ს. სადისერტაციო ნაშრომი. 2010.
- 

**Natia Grzelishvili**  
*Grigol Robakidze University*  
*School of Law*  
*Master's Programme Student*

## **Famely (Domestic) Violence as Criminologic Phenomenon in Georgia**

### **Summary**

The article “Famely (domestic) violence as criminologic phenomenon in Georgia” discusses very interesting and topical problem in modern Georgia. Domestic violence (also domestic abuse, spousal abuse, intimate partner violence, battering or family violence) is a pattern of behavior which involves violence or other abuse by one person in a domestic context against another, such as in marriage or cohabitation. Intimate partner violence is domestic violence by a spouse or a partner in an intimate relationship against the other spouse or partner. Domestic violence can take place in heterosexual or same-sex relationships. Domestic violence can take a number of forms including physical, emotional, verbal, economic and sexual abuse which can range from subtle, coercive forms to marital rape and violent physical abuse that results in disfigurement or death.

Globally, a wife or a female partner is more commonly a victim of domestic violence, though the male partner can also be a victim, or both partners may be involved in abusive or violent behavior, or the victim may act in self-defense or retaliation.

Domestic violence often occurs because the abuser believes that abuse is justified and acceptable, and may produce intergenerational cycles of abuse that condone violence. Awareness, perception, definition and documentation of domestic violence widely differ from country to country. There may be a cycle of abuse during which tensions rise and an act of violence is committed, followed by a period of reconciliation and calm.

Victims of domestic violence may be trapped in domestic violent situations through isolation, power and control, insufficient financial resources, fear, shame or to protect children. As a result of abuse,

victims may experience physical disabilities, chronic health problems, mental illness, limited finances, and poor ability to create healthy relationships. Victims may experience post-traumatic stress disorder.

**Keywords:** Disorder; Victim; Domestic violence; Abuse.

ნათია გრძელიშვილი  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
სამართლის სკოლა  
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი

## ოჯახური ძალადობა, როგორც კრიმინალური ფენომენი საქართველოში

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია ოჯახური ძალადობა, როგორც კრიმინალური ფენომენი. აგრეთვე, გაანალიზებულია ძალადობის სოციალური მიზეზები და პრევენციული ღონისძიებების შემუშავების მექანიზმები. საუბარია იმაზე, თუ რატომ გახდა აღნიშნული დანაშაული განსაკუთრებით აქტუალური ბოლო პერიოდში.

დანაშაულის მოცემული სახეობა ძალადობის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა. ის ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. O ოჯახური ძალადობის პრობლემატურობაზე მეტყველებს მსოფლიო სტატისტიკური მონაცემები: ყოველწლიურად ამერიკაში 2-3 მილიონი ადამიანი ხდება მეუღლის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი. ოთხიდან ერთი ქალის მიმართ ერთხელ მაინც განხორციელებულა ძალადობის აქტი. “ოჯახში ძალადობა” გულისხმობს არამართო ბავშვისა და ქალის, არამედ მამაკაცის მიმართ განხორციელებულ ძალადობასაც. გაეროს ეგიდით ჩატარებულ კვლევებში იკვეთება ქართველი ქალის, როგორც მორჩილი ცოლის, დიასახლისის და დედის სახე. ქალის სამსახური და კარიერა მეორეხარისხოვნად ითვლება, შესაბამისად, სოციალურ დონეზე, ქალს მოეთხოვება, რომ კაცის მორჩილი იყოს, მისი სურვილების შესაბამისად მოიქცეს და საკუთარი სურვილები უკანა პლანზე გადაწიოს. ამგვარი დამოკიდებულება ზოგადად დამახასიათებელია პატრიარქალურ საზოგადოებაში და საქართველოც სწორედ ამგვარ საზოგადოებად მიიჩნევა.

მსოფლიო სტატისტიკური მონაცემებით ოჯახში ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა ცოლის ცემაა. მის ოთხ ძირითად მიზეზს გამოყოფენ, ესენია:

- ეჭვიანობა;
- ქმრის მიმართ უპატივცემლობა;
- ქმრის, როგორც ოჯახის უფროსის და “გამგებლის” უფლება სცემოს ცოლი;

- ალკოჰოლური თრობის მდგომარეობა.

გარდა ფიზიკური ძალადობისა, არსებობს ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებიც, რაც შეიძლება გამოიხატოს: ცოლის მუდმივ კონტროლში, საკუთარი მშობლებისგან და მეგობრებისგან მის იზოლაციაში, მუქარაში, დაშინებაში, სიტყვიერ შეურაცხყოფაში, დამცირებაში და ა.შ

**საკვანძო სიტყვები:** უკანონობა; დაზარალებული; ოჯახური ძალადობა

### **ოჯახური ძალადობის სისხლისამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათება**

ოჯახური ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოში 2006 წელს მიღებულ იქნა კანონი, რომელიც გულისხმობს ოჯახში ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური სექსუალური ძალადობით ან იძულებით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლი აწესრიგებს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობას, რომელიც გამოიხატება სისტემატურ შეურაცხყოფაში, შანტაჟში, დამცირებაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2012 წლის 14 ივნისს გამოაქვეყნა სტატისტიკა, სადაც ასახულია 2007 წლიდან 2011 წლის ჩათვლით ოჯახური ძალადობის რაოდენობრივი მაჩვენებელი. აღნიშნული სტატისტიკის მიხედვით ბოლო ოთხი წლის მანძილზე საქართველოში ოჯახური ძალადობის 1025 ფაქტი დაფიქსირდა, რომელშიც 1997 პირი მონაწილეობდა. [6]

შსს-ს ცნობით, მოძალადეებს შორის ჭარბობდნენ მამაკაცები -887, ხოლო ქალების რაოდენობა შეადგენდა 89-ს. შესაბამისად, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ძირითადად ქალები არიან. მდგომარეობას ის ფაქტი უფრო ართულებს, რომ ამგვარი ძალადობის მსხვერპლი ხშირ შემთხვევაში ერიდება ოჯახის წევრის დაპატიმრებას, რის გამოც არ მიმართავს პოლიციას, რაც კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას და ხშირად სავალალო შედეგები ახლავს თან (მკვლელობის ჩათვლით). აღნიშნულ საკითხს კრიმინოლოგიაშიც საკმაოდ ვრცელი თავი ეთმობა. კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, ოჯახური ძალადობა, ზოგადად, ოჯახური კონფლიქტის შედეგია, რომელიც ხასიათდება ოჯახის წევრებს შორის წინააღმდეგობათა უკიდურესი გამძაფრებით.

ოჯახური ძალადობის უფრო ხშირი მიზეზებია:

- ქალის სისუსტე და დაუცველობა;
- სოციალური პრობლემები;
- არასწორი აღზრდა;
- უსიყვარულობა;
- ურთიერთგაგების არარსებობა;
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გამოყენება.

გამოკითხვის დროს ერთი და იგივე რესპონდენტი ხშირად სხვადასხვა მიზეზს ასახელებს. უფრო ხშირად ეს არასწორი აღზრდა ან მძიმე სოციალური ფონით განპირობებული მოძალადის ფსიქიკური მდგომარეობაა. გამოკითხულთა ზოგიერთ ჯგუფებში გამოვლინდა განსხვავებული პოზიციებიც. მაგალითად, ეთნიკურ უმცირესობაში მყოფი ქალები აქტიურად საუბრობენ ადრე გათხოვების პრაქტიკაზე და ამით გამოწვეულ ძალადობის ფაქტებზე.

### **ოჯახური ძალადობის აქტუალურობა და მასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები**

ოჯახური ძალადობა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა მსოფლიოში. ის უნივერსალურია თავისი ხასიათით და საზოგადოების ნებისმიერ წევრს შეიძლება შეეხო. საერთაშორისო დონეზე ოჯახში ძალადობის თემა განსაკუთრებით აქტუალური მე-20 საუკუნის ბოლოდან გახდა. 90-იანი წლებიდან საერთაშორისო უწყებებმა აქტიურად დაიწყეს ამ ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა. თუ აქამდე ითვლებოდა, რომ ძალადობის ეს სახეობა მხოლოდ კონკრეტული ოჯახის პრობლემაა, ახლა მას ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პრობლემად მიიჩნევენ, რომლის გადაწყვეტა სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა მოხდეს.

ოჯახში ძალადობა გენდერული დისკრიმინაციის ფორმაა. ის უნივერსალური პრობლემაა კლასის, რასის, განათლებისა და ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად. გენდერული უთანასწორობა ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია და მისი მსხვერპლი უფრო ხშირად ქალია.

### **ოჯახური კონფლიქტების სტატისტიკა**

2010-2011 წლებში სულ დაფიქსირდა 3952 ოჯახური კონფლიქტი და 8381 გამავალი პირი. 2010 წელს ოჯახურ კონფლიქტებში მონაწილე პირებიდან 53% მამაკაცია, ხოლო 47% ქალი. თანაფარდობა თითქმის უცვლელი რჩება 2011 წელს - მამაკაცები 52%, ქალები 48%. ოჯახურ კონფლიქტებში მონაწილე მამაკაცების (53,4%), ისევე, როგორც ქალების (44,1%) უმეტესობა 25-44 წლის ასაკობრივ კატეგორიას მიეკუთვნება.

სულ 2010-2011 წლის პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაფიქსირდა კონფლიქტის 117 ფაქტი, ხოლო არასრულწლოვნებთან მიმართებაში საქართველოში აღირიცხა 72 ასეთი ფაქტი.

საქართველოს რეგიონებს შორის ყველაზე მეტი ოჯახური კონფლიქტი დაფიქსირდა თბილისში (1237 ფაქტი) და შიდა ქართლიში/სამცხე-ჯავახეთში (759 ფაქტი), ხოლო 10 000 მოსახლეზე კონფლიქტის ფაქტების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა მცხეთა-მთიანეთსა (23,9 შემთხვევა) და შიდა ქართლში/სამცხე-ჯავახეთში (13,3 შემთხვევა).

ოჯახური კონფლიქტების განეიტრალების მიზნით სამართალდამცავი სტრუქტურებისა და სასამართლო ორგანოების მიერ ხორციელდება შესაბამისი ეტაპობრივი რეაგირება, რაც გამოიხატება გაფრთხილებაში, ოქმის შედგენაში, შემაკავებელი ან დამცავი ორდერის გამოცემაში და ა.შ. [6].

პრობლემასთან შეხებაში მყოფი პრაქტიკოსების დაკვირვებით, ჯახური ძალადობა საქართველოსთვის მწვავე პრობლემაა. ძალადობის მსხვერპლი ძირითადად სუსტი სქესის წარმომადგენლები არიან, ხოლო მოძალადეები საკუთარ ქცევას აღიქვამენ, როგორც ოჯახის მართვის ტრადიციულ მეთოდს, სადაც მამაკაცი უნდა ბატონობდეს ქალზე.

70-იან 80-იან წლებამდე ოჯახურ ძალადობაზე ღიად არავინ საუბრობდა. დღესდღეობით კი მის წინააღმდეგ მთელი განათლებული მსოფლიო იბრძვის.

ამის დამამტკიცებელია, თუნდაც, ადამიანის უფლებების დაცვისადმი მიძღვნილი ისეთი საერთაშორისო დოკუმენტი, როგორცაა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია”, მიღებული 1950 წლის 4 ნოემბერს [4]. აღნიშნული კონვენცია პირდაპირ არ უკავშირდება ქალის მიმართ ძალადობას. მოგვიანებით, საერთაშორისო საზოგადოება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ძალადობა საფრთხეს უქმნის ქალის სიცოცხლეს. გაეროს ბავშვთა დახმარების საერთაშორისო ფონდის 1997 წლის საგამომცემლო სტატიაში აღინიშნა, რომ მსოფლიოში ქალების მეოთხედი პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლია.

საერთაშორისო დოკუმენტებიდან უნდა გამოვყოთ, აგრეთვე, 1993 წლის 20 დეკემბრის გაეროს დეკლარაცია „ქალის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ” [5].

მასში განსაზღვრულია, რომ “ქალის მიმართ ძალადობა გულისხმობს სქესობრივ განსხვავებაზე დაფუძნებულ ნებისმიერ ძალდობრივ ქმედებას, რომელიც ფიზიკურ, სექსუალურ, ან ფსიქოლოგიურ ზიანს ან ტანჯვას აყენებს ან შეიძლება მიაყენოს ქალს, მათ შორის, ასეთი ქმედების მუქარას, იძულებას ან თავისუფლების უკანონო აღკვეთას, მიუხედავად იმისა, ასეთ ქმედებას ადგილი აქვს საზოგადოებრივ, თუ პირად ცხოვრებაში.

დეკლარაცია წარმოადგენს პირველ დოკუმენტს, სადაც განხილულ იქნა ოჯახური ძალადობის შემადგენელი ქმედებები. ესენია: ცემა, მდებდრობითი სქესის ბავშვებზე სექსუალური ძალადობა ოჯახში, მეუღლის მიერ გაუპატიურება, პარტნიორებს შორის ძალადობა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ძალადობა. დეკლარაციამ სახელმწიფოებს მოუწოდა აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობისკენ. სახელმწიფოები ვალდებული არიან სათანადო დახმარება აღმოუჩინონ მსხვერპლს, შექმნან ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის ბაზა და განახორციელონ მართლმსაჯულება.

## **ოჯახში ძალადობის პრევენცია**

არსებობს ოჯახში ძალადობის პრევენციის სხვადასხვა სახეობა. ესენია:

1. პოლიციური პრევენცია უბნის ინსპექტორის ჩართულობით. ის გეგმიურ შემოწმებას ატარებს თავის უბანში. ავლენს კონფლიქტურ ოჯახებს, ამოწმებს, ხომ არ ინახება ასეთ ოჯახში ცეცხლსასროლი იარაღი, ხომ არ ჰქონია ადგილი ცემის ფაქტს, იბარებს პოლიციაში და დაკითხავს მოძალადესა და ძალადობის მსხვერპლს

2. საკანონმდებლო პრევენცია გულისხმობს სასჯელის გამკაცრებას მოძალადის მიმართ. მართალია 2012 წლის მაისში მოხდა ოჯახური ძალადობის კრიმინალიზაცია, მაგრამ მსგავსი დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელი გამკაცრებას საჭიროებს.
3. ფსიქოლოგთა დახმარება. უბნის ინსპექტორის ინფორმაციის საფუძველზე გამოვლენილ კონფლიქტურ ოჯახებში უნდა ტარდებოდეს ფსიქოლოგის კონსულტაციები სახელმწიფო ხარჯზე.
4. ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია მასმედიის ჩართულობა. აღნიშნულ პრობლემას უნდა მიეძღვნას გადაცემები, რომლებშიც საზოგადოებისთვის ავტორიტეტული ადამიანები დაგმობენ ძალადობას. მნიშვნელოვანია ფსიქოლოგებისა და სასულიერო პირების მოწვევა.
5. აღსანიშნავია ეკლესიის როლიც. საგულისხმოა, რომ 2013 წელს პატრიარქმა 17 მაისი ოჯახის სიმტკიცისა და პატივისცემის დღედ გამოაცხადა.

## დასკვნა

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში ძალადობის პრევენცია რთულია, ვინაიან ოჯახი და მისი ცხოვრება ინტიმური და ზედმიწევნით პირადულია. შესაბამისად, მკვეთრი და თამამი ნაბიჯებითა თუ ხერხებით მასში ჩარევა ვერ მოხდება. მნიშვნელოვანია, საზოგადოებაში მკვეთრად ნეგატიური აზრის ფორმირება და ოჯახური ძალადობის შედეგების “გამუქება“.

ყველაზე სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ბევრმა ქალმა არც კი იცის რომ ის მსხვერპლია და რომ მასზე ფსიქოლოგიურად, ფიზიკურად, ეკონომიკურად და სექსუალურად ძალადობენ, ამიტომ მიმაჩნია, რომ საჭიროა განათლების დონის ამაღლება, სხვადასხვა სახის ტრენინგების, კურსების, სარეკლამო აქციებისა და სხვა მსგავსი ტიპის ღონისძიებების ჩატარება, რომელთა მეშვეობით ქალებს მიეცემათ სრული ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ და, თუ თავად გახდებიან ძალადობის მსხვერპლნი, ეცოდინებათ, ვის უნდა მიმართონ დახმარებისთვის და რა ტიპის დახმარების მიღება შეუძლიათ. ასევე, მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობის ინფორმირება, რადგან სწორედ ისინი წარმოადგენენ მომავალ ოჯახს. მნიშვნელოვანია, პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი და კოორდინირებული საქმიანობა, ასევე ურთიერთდახმარება მსხვერპლთა დაცვის საქმეში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, 2006.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2014.
3. წულაია ზ. კრიმინოლოგია, 2005. თბილისი.
4. ”ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია”, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი.
5. გგაეროს დეკლარაციები, 1993 წლის 20 დეკემბერი.
6. [www.police.g](http://www.police.g)



## **Premeditated Homicide Committed with Extreme Cruelty**

### **Summary**

The article "Premeditated Homicide Committed with Extreme Cruelty" discusses the topical problem of contemporary Georgia reality.

The author analyzes homicide committed with extreme brutality as a social phenomenon related to criminal activity that often appears as a result of social unrest, economic crises and the absence or weakness of democratic institutions. Georgia, which more than 20 years suffered from ethnic conflicts, civil wars and military confrontation with Russia, faces high level of violence, including premeditated murder under aggravating circumstances.

The author discusses murder as the extreme end of a violence continuum that comprises different types of confrontation with different characteristics which occur in various areas of a city and affect different segments of the problem-oriented population.

Proceeding from the situation existing in the country, many discussions, reports and TV programs were dedicated to murder cases committed in Georgia that have significant negative impact on most citizens of the country.

During the discussion, three main questions that often arise on the topic will be answered. Are murders committed with extreme brutality serious problem in Georgia? What is the difference between ordinary murder and a murder committed with extreme brutality? How problematic is the correct legal qualification of brutal forms of homicide?

An issue about murder has become topical in Georgia recently; however, whether the murder is committed with extreme brutality or not is never a topic of discussion despite the importance of the case in terms of its content and severity of the punishment. A number of topics have been reviewed by various scientists in their works or theses, but murders committed with extreme brutality are paid less attention.

Both, in Georgia and in foreign countries no one can remain indifferent to this problem. The Constitution of Georgia, Criminal Code of Georgia, Criminal Procedure Code of Georgia, also many other International Laws, such as Universal Declaration of Human Rights, European Convention for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment, and European Convention on Human Rights proves that each person's right to live shall be protected by law and its encroachment envisages certain punishment.

**Envisages for premeditated homicide.** Such homicide is considered to be a simple murder as the murder does not imply qualifying circumstances or existence of privileged murder. In this case, the aim of the guilty person is the outcome of criminal result in the form of death. According to subparagraph “b”, paragraph 3, Article 109 of the Criminal Code, other circumstance can be found regarding committing a crime. Murder itself is brutality, but a murder committed with extreme brutality makes it surpassing. A guilty person can reveal extreme brutality in different circumstances. Its main purpose during committing it is extermination of a human's life and consequences, also inflicting the victim during this process.

To give correct qualification to the crime, it is necessary to ascertain that the intention of a guilty person was to commit a murder in the extreme torment way or by means that can cause physical and spiritual torture. In all particular cases attention is paid to intentional attitude of a guilty person not only to the result, but also to extreme brutality – as a murder with aggravating circumstances.

"Extreme brutality" is a Legal Commandment and does not require special report of forensic authority.

Crime prevention requires more attention to a brutally committed murder, also, discussion of issues, development of plans for deprivation of prevention and care for improvement of society's psychological condition. Crime prevention will be stipulated by giving possibility of education to citizens, their employment, also involvement of physiologists in educational institutions, preparation of qualified personnel, establishment of treatment institutions, introduction of modern methods and means for underage, homeless, drug addicted people. Cooperation with foreign countries, sharing their experience in Georgia, active involvement of the society in the events, effective work of law enforcement agencies will contribute to crime prevention.

Unfortunately, the complete elimination and prevention of homicide is unlikely in the foreseeable future. However, strategies exist that can be used to reduce the likelihood of homicide victimization and offending where the risk is greatest.

**Keywords:** Homicide; Extreme brutality; Qualification; Penal Code.

*გვანცა გუჯაბიძე  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
სამართლის სკოლა  
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი*

**მკვლელობა ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით**

**რეზიუმე**

საქართველოში განვითარებული მოვლენების შედეგად, თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ასევე წინამდებარე თემატიკის გარშემო არსებული პრობლემების გათვალისწინებით, მინდა განვიხილო ისეთი საკითხი, როგორცაა მკვლევლობა, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით.

ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, არაერთი დისკუსია, რეპორტაჟი და გადაცემა მიემდგნა საქართველოში ჩადენილი მკვლევლობის ფაქტებს, რომლებიც დამთრგუნველად ზემოქმედებს ქვეყნის თითოეულ მოქალაქეზე.

თემის განხილვისას პასუხი გაეცა სამ ძირითად შეკითხვას, რომელიც ყველაზე ხშირად დაისმის ხოლმე. ხდება თუ არა საქართველოში განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლევობები? რა განსხვავებაა მკვლევობასა და სისასტიკით ჩადენილ მკვლევობას შორის? რამდენად პრობლემატურია მუხლის კვალიფიკაცია?

**სამიზნო სიტყვები :** მკვლევლობა; განსაკუთრებული სისასტიკე; დანაშაული; მუხლის კვალიფიკაცია.

## **შესავალი**

საქართველოში, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, მკვლევლობის თემა აქტუალური გახდა. მაგრამ აღრიცხული მკვლევობებიდან, არის თუ არა რომელიმე ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით, ამაზე არავინ საუბრობს, მიუხედავად იმისა, რომ ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც შინაარსობრივად, ისე სასჯელის დანიშვნის კუთხით. მეცნიერები თავიანთ ნაშრომებს არაერთ საკითხს უძღვნიან, მაგრამ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლევობებს ნაკლებად განიხილავენ.

როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში ამ პრობლემისადმი გულგრილი არავინ რჩება. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ასევე, სხვა მრავალი საერთაშორისო აქტი (როგორცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია და სხვ.) მოწმობს, რომ ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონითაა დაცული და მისი ხელყოფა გარკვეულ სასჯელს ითვალისწინებს.

## **მკვლევლობა – ნორმის აღწერა**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108–ე მუხლი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს განზრახ მკვლევლობისათვის.[1] ამ მკვლევობას მარტივ მკვლევობასაც უწოდებენ, ვინაიდან მკვლევობა არ გულისხმობს მაკვალიფიცირებელ გარემოებას. ასეთ შემთხვევაში დამნაშავის მიზანს წარმოადგენს დანაშაულებრივი შედეგის დადგომა სიკვდილის სახით. სულ სხვა გარემოებას აქვს ადგილი სისხლის სამართლის კოდექსის 109–ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას. მკვლევობა თავისთავად წარმოადგენს სისასტიკეს, მაგრამ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლევობას იგი უფრო აღმატებულ ხარისხში აჰყავს. განსაკუთრებული სისასტიკე

დამნაშავის მიერ შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა გარემოებაში. მისი მთავარი მიზანი როგორც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ისე მსხვერპლისთვის ტანჯვის მიყენებაა.

იმისათვის, რომ დანაშაულს სწორი კვალიფიკაცია მიეცეს, აუცილებელია დადგენილ იქნეს, რომ დამნაშავის განზრახვა მოიცავდა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობას განსაკუთრებული მტანჯავი ხერხით ან საშუალებით, რომელსაც შეიძლება გამოეწვია ფიზიკური ტანჯვა ან/და სულიერი წამება. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ყურადღება ექცევა დამნაშავის შეგნებულ დამოკიდებულებას არამარტო შედეგის, არამედ, სისასტიკისადმი, როგორც მკვლელობის დამამძიმებელი გარემოებისადმი.

„განსაკუთრებული სისასტიკე“ იურიდიული ცნებაა და არ განეკუთვნება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის სფეროს [4].

განსაკუთრებული სისასტიკით შეიძლება იყოს ჩადენილი მკვლელობა პირის ცოცხლად დაწვით, შეგნებულად მრავალი ჭრილობის მიყენებით, სხეულის დანაწევრებით; განსაკუთრებით სასტიკია, ასევე, მშობლის ან შვილის თვალწინ ჩადენილი მკვლელობა, ახლობლის თვალწინ ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ხანგრძლივი დროს განმავლობაში საკვების ან წყლის არ მიცემა, შემზარავი მოქმედების განხორციელება, სხეულის დანაწევრება და სხვა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განზრახ მკვლელობისათვის სასჯელის ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე. მკვლელობა, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით [1]. როგორც ვხედავთ, დანაშაულის შინაარსის მნიშვნელოვანი განსხვავების შესაბამისად, სასჯელის ზომაც გამკაცრებულია. დანაშაულის განსაკუთრებული შემამრწუნებლობის გამო, ვფიქრობ, თავისუფლების უვადო აღკვეთა ყველაზე მართებული სასჯელი იქნებოდა ჩადენილი დანაშაულისთვის.

### **კვალიფიკაციის საკითხი**

საგამომიებო მოქმედებების დაწყებიდან, სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე, ქმედების თითოეული დეტალი იქნება გასათვალისწინებელი იმისათვის, რომ მას სწორი კვალიფიკაცია მიეცეს. განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის დროს დამნაშავის მიზანია როგორც ადამიანის მოკვლა, ისე მისთვის ტანჯვის მიყენება, ან რაიმე სახვა მაპრივილეგირებელი გარემოების არსებობა. [2] სწორედ ეს ქმნის პრობლემას კვალიფიკაციის დროს. შესაძლებელია არ არსებობდეს სხვა რაიმე გარემოება და რთული გახდეს იმის დამტკიცება, ჰქონდა თუ არა დამნაშავეს განზრახული პირისთვის ტანჯვის მიყენება და მოკვლა. მაგალითისთვის განვიხილოთ საქმის შემდეგი ვერსიები:

- პირმა მეუღლის მიმართულებით 10 მეტრის მანძილიდან განახორციელა სამი გასროლა, პირველი ორი ააცილა, ხოლო მესამე ზურგში მოარტყა, რის შედეგადაც მეუღლე გარდაიცვალა. ამ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება როგორც განზრახ მკვლელობა (108-ე მუხლი).

- პირი მივიდა უნივერსიტეტში, სადაც მისი მეუღლე სტუდენტებთან ლექციას ატარებდა, სტუდენტების თვალწინ მეუღლეს ზურგის არეში ესროლა, რის შემდეგაც ის დაეცა; მიუახლოვდა, მეორედ ესროლა თავის არეში; დარწმუნდა რა, რომ მიზნისთვის არ აუცილებია, მკვლელმა ხელის შეხებით შეამოწმა ცოცხალი იყო თუ არა მსხვერპლი და ახლო მანძილიდან (დაახლოებით 3სმ) კვლავ თავის არეში განახორციელა საკონტროლო გასროლა. (109–ე მუხლის მე–3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). აქ დამნაშავეს განსაკუთრებულ სისასტიკეს მოწმობს მისი მოქმედების ხასიათი, ის, რომ მსხვერპლისთვის ტანჯვის მიყენება სურდა, ასევე ისიც, რომ ახლობლების თვალწინ მოკლა ადამიანი და გულგრილად მოეკიდა მათ გრძნობებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ მსხვერპლის ახლობელთა წრე არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ ახლო ნათესავეებით [4].
- პირმა შეუკრა ადამიანს ხელ–ფეხი, ბასრი იარაღის (ე.წ. სამართებლის) გამოყენებით მრავალი ჭრილობა მიაყენა მას და გაიქცა. მსხვერპლი გადარჩა, სასამართლო სამედიცინო ექსპერიზის დასკვნით მისთვის მიყენებული არც ერთი ჭრილობა სასიკვდილო არ ყოფილა, თუმცა, შესაძლებელი იყო, იგი სისხლდენით გარდაცვლილიყო. კვალიფიკაციის დროს რთული გასარკვევია ეს იყო განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის მცდელობა, თუ ადამიანის წამება, ვინაიდან დამნაშავეს განზრახვის საკითხის დადგენა და მისი ფსიქოლოგიური მოტივის გაგება სირთულეს წარმოადგენს. სასჯელის ზომად ადამიანის წამება ითვალისწინებს ჯარიმას, თავისუფლების აღკვეთას ვადით შვიდიდან ათ წლამდე, ხოლო სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის მცდელობა, თავისუფლების აღკვეთას ვადით თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო პატიმრობას.

კვალიფიკაციის დროს ასევე პრობლემას წარმოადგენს 108–ე, 258 –ე (განზრახ მკვლელობა, მიცვალებულისადმი უპატივცემულობა) მუხლების გამიჯვნა 109–ე მუხლის მე–3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისგან. მაგალითისათვის განვიხილოთ შემდეგი შემთხვევა: ნაპოვნია მამაკაცის დანაწევრებული გვამი. გასარკვევია, საქმე გვაქვს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობასთან, როცა პირმა სხეულის დანაწევრებით მოუსპო მსხვერპლს სიცოცხლე, თუ დამნაშავემ, კვალის დაფარვის მიზნით, მკვლელობის შემდეგ დაანაწევრა გვამი? თუ მკვლელობის პროცესში ადგილი არ ჰქონდა სისასტიკის გამოვლენას, მაშინ ჩადენილი დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს 108–ე, 258–ე მუხლებით, ვინაიდან სიკვდილის შემდეგ აღარ არსებობს დანაშაულის ობიექტი - ადამიანის სიცოცხლე და არ შეიძლება დანაშაული დამძიმდეს [5].

## უცხოეთი

გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით შეიძლება ჩადენილ იქნეს სიამოვნების მიღების, სექსუალური, ასევე სხვა დანაშაულის დაფარვის და სხვა მოტივებით [10].

ამერიკის შეერთებულ შტატებში მკვლელობების კლასიფიკაცია ხდება ხარისხების მიხედვით: First Degree Murder, Second Degree Murder და ა.შ. [11].

ბრედ ბეილი (Boston Criminal Defense Lawyer) თავის სტატიაში განიხილავს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობას. მისი განმარტებით, მკვლელობა ნიშნავს, რომ ბრალდებულმა გამოიწვია ადამიანის სიკვდილი რაიმე მეთოდით.

სისასტიკესთან გვაქვს საქმე, თუ ეს მეთოდი უკიდურესად ბოროტი, აღმაშფოთებელი, შემადრწუნებელია. იმისთვის, რომ გადაწყდეს საკითხი განსაკუთრებული სისასტიკით არის თუ არა ჩადენილი მკვლელობა გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- დამნაშავის გულგრილობისა და სიამოვნების მიღების ხარისხი გარდაცვლილის ტანჯვის გამო.
- გარდაცვლილისთვის დაზიანების მიყენების ხარისხი;
- გამოყენებული იარაღის/ინსტრუმენტის, მეთოდის ტიპი;
- აცნობიერებდა თუ არა დამნაშავე, რომ მოკლული იტანჯებოდა;
- ადგილი ჰქონდა თუ არა გადამეტებული ძალის გამოყენებას [12].

საგულისხმოა, რომ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაზე ცალკე მონაცემები არ არსებობს. მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკის მიხედვით, 2014 წლის იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით სულ დარეგისტრირებულია 17458 დანაშაული. მათ შორის, 55 განზრახ მკვლელობა, აქედან მკვლელობის მაკვალიფიცირებელი ნიშანი გააჩნია 14-ს. რამდენია მათგან განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი, მითითებული არ არის. ასევე, ამავე სტატისტიკით რეგისტრირებულია 62 მკვლელობის მცდელობა, რომელთაგან მაკვალიფიცირებელი ნიშანი აღმოაჩნდა მხოლოდ 11-ს [13].

## დასკვნა

დანაშაულის პრევენციისათვის საჭიროა სასტიკად ჩადენილი მკვლელობისადმი მეტი ყურადღების მიქცევა, საზოგადოების ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. მოსახლეობის დასაქმება, ფსიქოლოგების ჩართვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის პროცესში, კვალიფიციური კადრების მომზადება, სპეციალური სამკურნალო და გამომასწორებელი დაწესებულებების შექმნა ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულთათვის, უსახლკართა და არასრულწლოვანთათვის, უცხოეთთან თანამშრომლობა, მათი გამოცდილების გაზიარება საქართველოს პრაქტიკაში, საზოგადოების აქტიურად ჩაბმა პრევენციულ ღონისძიებებში, სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის ეფექტიანობის გაზრდა და სხვ.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. სისხლის სამართლის კოდექსი. 2014. თბილისი: „ბონა კაუზა“.
2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2014. თბილისი: „რაიზი“.
3. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. 2011. თბილისი: „მერიდიანი“.
4. ტურავა მ. *სისხლის სამართლის ზოგადი მომობილვა*. 2010. თბილისი: „ბონა კაუზა“
5. *საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე*. 2010 .
6. *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია*, ევროპის საბჭოს ხელშეკრულებათა სერია N5.
7. გაეროს გენერალური ასამბლეა, *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია* 1948 წ. 10 დეკემბერი.

8. წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია, სტრასბურგი, 26.11.1987წ.
9. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 04.11.1950
10. გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი –Criminal Code in the version promulgated on 13 November 1998, Federal Law Gazette [Bundesgesetzblatt] I p. 3322, last amended by Article 3 of the Law of 2 October 2009, Federal Law Gazette I p. 3214
11. ბრედ ბეილის სამართალი, <http://bradbaileylaw.com/practice-areas/violent-crimes/first-degree-murder/>
12. <http://www.freeuni.edu.ge/sites/default/files/ganzrax%20mkvleloba%20damamdzimebel%20garemoebeshi.pdf>
13. შინაგან საქმეთა სამინისტრო, სტატისტიკა <http://police.ge/ge/useful-information/statistics/statistics1>

*Tengiz Sisauri*  
*Grigol Robakidze University*  
*School of Law*  
*Master's Programme Student*

## Legal and Criminological Characteristics of Juvenile Crime

### Summary

The article “Legal and Criminological Characteristics of Juvenile Crime” discusses the topic problem of Georgia.

Considering the criminological aspect, it should be noted that juvenile delinquency has a decisive impact on crime in general, and in particular - on organized, professional and recurrent crimes.

We can note that the state of juvenile delinquency influences formation of society’s moral. Juvenile delinquency, its dynamics and structure largely characterize the level of development of society and its moral and social maturity, and, certainly, affect the social, economic and political situation in the country.

Scientists have proved that the earlier a person begins to commit anti-social behavior and crime, the greater is the likelihood that the behavior will be the same when he grows up. That is why we can say that the crime rate is directly dependent on juvenile delinquency. An analysis of the biographies of repeat offenders clearly shows that the vast majority of them began criminal activity while being teenagers. Many of them committed crimes before reaching the age of criminal responsibility. Organized criminal groups are composed mostly of people who are still under 18 who often came into

the view of law-enforcements and brought to administrative and criminal liability. In short, organized crime is also linked to juvenile delinquency.

The authors identifies the following measures to prevent juvenile delinquency:

1. General prevention of neglect and juvenile crime - manager that includes a system of social, legal, educational and other measures aimed at identifying and eliminating the causes and conditions that contribute to delinquency and anti-social acts of minors, conducted in conjunction with the individual preventive work with minors and families at risk.
2. Individual preventive work - work on timely identification of minors and families at risk, as well as their social and educational rehabilitation, and (or) prevention of the commission of offenses and antisocial acts.

The fight against juvenile crime can only be effective if it will be coordinated by joint actions of various ministries for the prevention of offenses and crimes against and among minors. It should also be an understanding that incarceration does not solve the problem of crime among young people.

**Keywords:** Juvenile offender; Crime; Criminal behavior; Prevention.

*თენგიზ სისაური  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
სამართლის სკოლა  
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი*

### **არასრულწლოვანთა დანაშაულის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათება**

#### **რეზიუმე**

წარმოდგენილი სტატია ეძღვნება თანამედროვე საქართველოსთვის უაღრესად აქტუალურ პრობლემას.

კრიმინოლოგიური ასპექტების გადახედვისას გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული სერიოზულ გავლენას ახდენს მთლიანად დანაშაულობაზე, ასევე დანაშაულის რეციდივის დინამიკაზე.

შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულობის მდგომარეობა ზემოქმედებს საზოგადოების ზნეობრივ ჩამოყალიბებაზე. მისი დინამიკა და სტრუქტურა მნიშვნელოვნად ახასიათებს საზოგადოების განვითარების დონეს, მის ზნეობრიობასა და სოციალურ ზრდასრულობას. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ, და პოლიტიკურ მდგომარეობაზეც აისახება.



ზოგადად, სახელმწიფო დანაშაულოზე მკვეთრად რეაგირებს, ვინაიდან მისი ზრდა საფრთხეს უქმნის ქვეყნის სუვერენიტეტსა და საზოგადოების მშვიდობიან თანაცხოვრებას. ნაშრომში საუბარია, ასევე, მშობლების როლზე არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციაში, დღეისათვის არსებულ საკანონმდებლო ბაზაზე, შემოთავაზებულია რეკომენდაციები და პრევენციის სრულყოფის საშუალებები.

**საძიებო სიტყვები:** არასრულწლოვანი და დანაშაული; დანაშაული; დამნაშავე პირი; პრევენცია.

## შესავალი

მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ადამიანი, რაც უფრო ნაადრევ ასაკში იწყებს ანტისაზოგადოებრივ საქმიანობას და ჩადის დანაშაულს, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ მისი ნეგატიური ქცევა ნაკლებად დაექვემდებარება გამოსწორებას ასაკის მატების მიუხედავად. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის დონე პირდაპირ არის დამოკიდებული არასრულწლოვნის დანაშაულობის დონეზე.

დამნაშავე-რეციდივისტთა ბიოგრაფიების ანალიზი დამაჯერებლად მოწმობს, რომ მათი უმრავლესობა დანაშაულებრივ საქმიანობას მოზარდ ასაკში იწყებდა. და დანაშაული ჯერ კიდევ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის მიღწევამდე ჩაიდინა. დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფები ძირითადად შედგება ადამიანებისგან, რომლებიც 18 წლამდე არაერთხელ მოხვედრილან მართლმსაჯულების ორგანოების მხედველობის არეალში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ორგანიზებული დანაშაული მჭიდროდაა დაკავშირებული არასრულწლოვანთა დანაშაულთან.

ჩვენს ქვეყანაში სავსებით აქტუალურია ანტისაზოგადოებრივი და დანაშაულებრივი ქმედების პრობლემა, რომლებსაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი მოზარდები სჩადიან.

არასრულწლოვანთა დანაშაულობის მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობა საერთაშორისო სამართლის აქტებს ეფუძნება. ესენია: კონვენცია ადამიანის დაცვაზე და ძირითად თავისუფლებაზე (1950წ) კონვენცია ბავშვის უფლებებზე (1989), პეკინის წესდება (1985) და ა.შ.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას ან მისგან გათავისუფლებისას არასრულწლოვნად ითვლება ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა თოთხმეტი წელი, მაგრამ არ შესრულებია თვრამეტი წელი. (ს.ს.ს.კ მუხ:80) აღნიშნული მუხლი მიუთითებს, რომ პირი, რომელმაც 14 წლამდე ჩაიდინა დანაშაული, ვერ აგებს პასუხს სისხლისსამართლებრივად, მაგრამ საქართველოს კანონში პატიმრობის შესახებ მუხ: 83 კ1-ში ნათქვამია, რომ „თორმეტიდან თოთხმეტ წლამდე არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში სასჯელს იხდის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული თორმეტიდან თოთხმეტ წლამდე არასრულწლოვანი.

სამწუხაროა რომ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აღნიშნული დაწესებულება არ არსებობს.

## ძირითადი ნაწილი

საქართველოში არასრულწლოვანთა დანაშაულთან ბრძოლის კუთხით ხდება გამომძიებლების, პროკურორების და იმ პირთა გადამზადება, (სერტიფიცირება) რომლებსაც შეეხება აქვთ/ექნებათ პირთა აღნიშნულ კატეგორიასთან [1].

უნდა ითქვას, რომ არასრულწლოვანმა შეიძლება ჩაიდინოს ყველა სახის დანაშაული, სამოხელეოს გარდა. ს.ს.ს.კ მუხ:82 განმარტავს სასჯელის იმ სახეებსაც, რომლებიც შეიძლება დაეკისროს არასრულწლოვან დამნაშავეს. ესენია: ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამოსასწორებელი სამუშაო, თავისუფლების შეზღუდვა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა [3].

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა ვერ პასუხობს სათანადო მოთხოვნებს. მაღალია არასრულწლოვანთა დანაშაულობის ხვედრითი წილი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით 2004 წელს საქართველოში იყო 598 არასრულწლოვანი მსჯავრდებული, მათ შორის 10 გოგონა, 2005 წელს 475 (6 გოგო), 2006 წელს 1002 (23 გოგო) 2007 წელს 1060 (34 გოგო), 2008 წელს 1166 (47 გოგო). პროცენტულად დიდია ქურდობის, ხულიგნობის, ნარკოტიკების უკანონო დამზადების, შეძენის, შენახვის მაჩვენებელი; შემდეგ ადგილზეა მკვლელობა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება [2].

სანამ არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის საკითხებზე გადავიდოდეთ, პირველ ყოვლისა, უნდა გავაცნობიეროთ ის შედეგები, რასაც განსახილველი თემის მიმართ უყურადღებო დამოკიდებულება მოგვიტანს. უნდა გავიაზროთ, რომ ქვეყნის მომავალი მნიშვნელოვნად განისაზღვრება იმით, თუ როგორ ახალგაზრდობას აღზრდის ის დღეს. როგორც ვიცით, თანამედროვე კრიმინოლოგიური მეცნიერება სწორედ დანაშაულის ჩადენის მიზეზების აღმოჩენასა და მათ აღმოფხვრაზეა ორიენტირებული.

არასრულწლოვანთა დანაშაულის ეფექტიანი პრევენციისთვის, ჩემი შეხედულებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სკოლა და ოჯახი კომპლექსურად უნდა მოქმედებდეს, ვინაიდან სამივე ინსტიტუტს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ახალგაზრდის ჩამოყალიბებაში. მიზეზები იმისა, თუ რატომ ჩადის დანაშაულს არასრულწლოვანი, ძირეულად არ განსხვავდება სრულწლოვნის მოტივაციისგან. პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როცა მშობლები აიძულებენ ბავშვს ქურდობის ჩადენას. მთავარი მიზეზი მაინც მშობლების მოუცლევლობა და სკოლასა თუ ქუჩებში კონფლიქტებში მონაწილეობაა.

პიროვნების სულიერი განვითარების გზაზე 11-12 წლის ასაკს გარდამტეხი მნიშვნელობა ენიჭება. მოზარდს ამ ასაკში ენერჯის უსაზღვრო მოზღვავება აქვს, სურს საკუთარი მეს წარმოჩენა, თვითდამკვიდრება, სხვებისგან გამორჩეულობა, რის გამოც ხშირად ისეთ ქმედებამდე მიდის, რაც სცილდება სოციალური ურთიერთობის ნორმებს და სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს [4].

არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენცია გულისხმობს აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარებას. მნიშვნელოვანია სასწავლო დაწესებულებათა ჩართულობა. კონკრეტულმა ორგანომ უნდა შეატყობინოს მოზარდის უარყოფითი ქცევის შესახებ მშობელს.

ფსიქოლოგიური პრევენციული ღონისძიებები ახალგაზრდას გამოუმუშავებს თვითშეფასების ადეკვატურობისა და კონფლიქტის მოგვარების უნარ-ჩვევებს, საგანმანათლებლო კუთხით მნიშვნელოვანია მოზარდმა გაითავისოს ჯანმრთელი ცხოვრების წესის მნიშვნელობა [4] და ა.შ.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია უნდა განხორციელდეს შემდეგ დონეებზე:

1. სოციალური, პედაგოგიური, საკანონმდებლო პრევენციული ზომების გატარება, რაც მიმართული იქნება არასრულწლოვანთა დანაშაულის ხელშემწყობი პირობებისა და მიზეზების გამოსავლენად და დროულად აღსაკვეთად.
2. ინდივიდუალური პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება - ისეთი არასრულწლოვნებისა და ოჯახების გამოვლენა, რომლებიც სოციალურად საშიშ გარემოში იმყოფებიან, მათი სოციალურ-პედაგოგიური რეაბილიტაცია და ინფორმირება კანონდარღვევისა და ანტისაზოგადოებრივი ქმედების შედეგების თაობაზე.

## დასკვნა

არასრულწლოვანთა დანაშაულთან ბრძოლა ეფექტური შეიძლება იყოს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის ერთიანი კოორდინებული მოქმედების შემთხვევაში. აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ თავისუფლების აღკვეთა არ ხსნის ახალგაზრდა ადამიანებს შორის დანაშაულის ჩადენის პრობლემას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://matsne.gov.ge/ka/document/>
2. [police.ge](http://police.ge/) / <http://info.police.ge/>
3. <http://education.ge/index.php>
4. ძალადობა ოჯახში და მისი გადაჭრის გზები. კატეგორია: გენდერი კავკასიაში. ავტორი: ელა კუსიანი 2012-03-01 .
5. სისხლის სამართლის კოდექსი. 2014. თბილისი: „ბონა კაუზა“.
6. [supremecourt.ge](http://supremecourt.ge)

## **The Principle Quick of Justice in Criminal Proceedings**

### **Summary**

The given article “The Principle of Quick Justice in Criminal Proceedings” analyzes the “Procedural Agreement” or the “Plea bargaining procedure both in Georgia and abroad”. The institute of the “Plea bargaining” is generally included in an agreement between accused persons and a prosecutor, which aims at receiving confession in return for facilitating accusations and/or the prosecution. The main advantage of this institution is that it promotes the rapid implementation of justice.

The article describes the main advantages and disadvantages of “plea bargaining” process in Georgia.

Among advantages are the following factors: rapid and effective justice which reduces expenses, helps to make less overcrowded penal institution. In addition, plea bargaining decreases the work load of prosecutors by allowing them to get ready for more serious cases by leaving petty and effortless charges in order to settle through; plea bargaining is a factor in restructuring the offender by agreeing to the blame for their trial and by voluntarily submitting themselves before law – without having a time-consuming and expensive trial; from a perspective of criminal defense, the most helpful benefit of this kind of agreement is to remove the trial’s uncertainty. It helps the defendant to make sure that they will not obtain more serious charges for the charged criminal acts filed against them.

As for the negative factors or disadvantages, should be mentioned: The prosecution is capable of presenting accused with unconscionable pressure. Even though the process pleas as controlled, there are chances of it being coerced; the prosecution is capable of taking full advantage of accepting the criminal act in weakest trials. The more likely the trial ends in acquittal, the more beneficial a guilty claim is for the prosecution.; if you know that you are innocent and agree to plead guilty, then you will likely pay a fine or be imprisoned for a criminal act that you did not commit. In addition, you will have a criminal record that cannot be erased forever; plea bargaining does not provide benefits to defendants who are innocent.

Nowadays, plea bargaining is one of the most important sources of increasing Georgia's budget and also for some contest of offence can be fined with 10 000-10 000 GEL. Certainly, the Georgian version of plea bargain is not perfect and the above mentioned factors are one of the most important principle differences between rapid implementation of justice both in our county and abroad.

**Keywords:** Fact Bargaining; Plea Bargaining; Prosecution.

## სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში

### რეზიუმე

აღნიშნულ სტატიაში საუბარია საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტზე საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში. საპროცესო შეთანხმება, ზოგადად, ბრალდებულსა და ბრალმდებელს შორის შეთანხმებაა, რომელიც მიზნად ისახავს აღიარებითი ჩვენების მიღებას წარსადგენი ან/და წარდგენილი ბრალდების შემსუბუქების სანაცვლოდ. ამ ინსტიტუტის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ მართლმსაჯულების სწრაფ განხორციელებას უწყობს ხელს. აქვე მინდა აღვნიშნო საქართველოში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეები: დადებით მხარეს წარმოადგენს: სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება, სასჯელადსრულების დაწესებულების ნაკლები გადატვირთულობა; რაც შეეხება უარყოფით მხარეს, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, საპროცესო შეთანხმება დღეისათვის საქართველოში ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა, საგულისხმოა ისიც, რომ ერთი და იგივე შემადგენლობის დანაშაულზე შეიძლება დაინიშნოს 10 000 და 100 000 ლარი ჯარიმის სახით. სწორედ ზემოთ აღნიშნული გახლავთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ჩვენსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებულ სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს შორის. ცხადია, რომ საპროცესო შეთანხმების ქართული ვარიანტი უნაკლო არაა.

**სამიუბო სიტყვები:** საპროცესო შეთანხმება; საზღველი; ბრალი; პასუხისმგებლობა

### შესავალი

#### ა. კვლევის აქტუალობა:

უკანასკნელი წლების განმავლობაში მომხდარმა უმნიშვნელოვანესმა ცვლილებებმა განაპირობა საქართველოში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებითი ხასიათის ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში პირველად იქნა შეტანილი ახალი პრინციპი – საპროცესო შეთანხმება, რომლის მიზანია სასამართლო გამოძიების გარეშე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების უზრუნველყოფა. ამავე დროს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცალკე XXI თავი დაეთმო საპროცესო შეთანხმებისა და სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების პროცესუალურ წესებს რის გამოც დაჩქარებული პროცესის პრინციპი – საპროცესო შეთანხმება ამ საკანონმდებლო ცვლილებებით კიდევ უფრო გაფართოვდა. მართლმსაჯულების დაჩქარების ინსტიტუტის გაფართოება წინ გადადგმული ნაბიჯია ჩვენი საპროცესო კანონმდებლობისათვის, მაგრამ ამავე დროს შეიძლება დაისვას კითხვა, სისხლის სამართალწარმოების პროცესში მყარად დამკვიდრებულია თუ არა საპროცესო საქმიანობის სუბიექტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტიები, რაც პირველ რიგში გულისხმობს იმას, რომ წინაწარი გამოძიება და საქმის სასამართლოში

განხილვა უნდა წარმოებდეს საპროცესო კოდექსის სრული დაცვით. მიუხედავად ამ თემისადმი პრაქტიკოს და მეცნიერ იურისტთა დიდი ყურადღებისა, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ურთიერთგანსხვავებულადაა გაშუქებული თემის ესა თუ ის პროცესუალური საკითხი. ცალკეულ შემთხვევაში საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით მეცნიერები გვთავაზობენ საპროცესო კოდექსში გარკვეულ ცვლილებებს. ზოგჯერ თეორიაში გამოთქმულია რადიკალური შეხედულებაც, რომლის თანახმადაც, საქართველოს სიხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების იდეა მცდარია და ეწინააღმდეგება არამარტო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის პრონციპებს, არამედ მთლიანად მის დებულებებსაც. ის გარემოება, რომ აღნიშნული საკითხი ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის შესწავლილი, უარყოფით გავლენას ახდენს საგამომიებო-სასამართლო პრაქტიკაზე, ცალკეულ შემთხვევაში გვხვდება საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევებით საპროცესო შეთანხმების დადება, პრაქტიკაში მკვეთრად არაა ერთმანეთისგან გამიჯნული ბრალზე და სასჯელზე შეთანხმებები, ფაქტობრივად, ზოგჯერ ადგილი აქვს საპროცესო შეთანხმების პროცესუალური წესების არაერთგვაროვან რეალიზაციას.

**ბ. სტატიის მიზნები:** საპროცესო შეთანხმების პრობლემის განსაკუთრებული აქტუალობა, მისი მიმართება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან, პრაქტიკული მნიშვნელობა, საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკაში დაგროვილი საკითხების განზოგადება, წარმოადგენს ამ სტატიის კვლევის მიზანს. სტატიაში თანმიმდევრულად იქნება განხილული საერთო სამართლის ქვეყნების და რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათავისუფლებული საპროცესო შეთანხმებისა და მართლმსაჯულების დაჩქარების საკითხები და გაკეთდება შესაბამისი შედარებით-სამართლებრივი ანალიზი. ასევე ყურადღება იქნება გამახვილებული საპროცესო შეთანხმებისა და სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების ქართული მოდელის ყველა ასპექტზე, განხილულ იქნება მათი მიმართება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან.

**გ. სტატიის სიახლე:** საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღება ნოვაციაა საქართველოს კანონმდებლობისთვის. აღნიშნული შემოღებულ იქნა 2004 წლის 13 თებერვალს. საპროცესო შეთანხმება სასამართლო განაჩენის გამოტანის დაჩქარებული ფორმაა და გულისხმობს ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარებას, ან გამოძიებასთან თანამშრომლობას შედარებით მსუბუქი სასჯელის სანაცვლოდ. ამ ინსტიტუტის მთავარი უპირატესობა ის არის, რომ მართლმსაჯულების სწრაფ განხორციელებას უწყობს ხელს. სტატია შეიცავს მოკლე ისტორიულ მიმოხილვას, საქართველოს კანონმდებლობაში მისი შემოღების საფუძვლებს და არსს, ასევე მოცემულია იურისტების მოსაზრებები ამ ინსტიტუტთან დაკავშირებით, მიმოხილულია საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელი, მისი შედარებით-სამართლებრივი ანალიზი სხვა ქვეყნების საკანონმდებლო სისტემასთან, დასმულია პრობლემატური საკითხები, რომლებზედაც ნაწილობრივ მიღებულია პასუხები, მოცემულია ოფიციალური სტატისტიკური მასალები და ამ მონაცემების საფუძველზე განხილულია ზოგადი სიტუაცია, სტატიის დასასრულს მოცემულია დასკვნა სადაც შეჯამებულია სტატიის პრობლემატური საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც, ავტორის აზრით, აუცილებლობას წარმოადგენს.

**დ. კვლევისას გამოყენებული მეთოდოლოგიური საფუძვლები:** სტატიაზე მუშაობისას კვლევის ძირითად მეთოდად გამოყენებული იყო დიალექტური კვლევის მეთოდი. ასევე, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზისა და სინთეზის, ლოგიკური აზროვნების კვლევის მეთოდები, საპროცესო შეთანხმებისა და სასჯელისაგან სრულიად გათავისუფლების სისხლის სამართლის საქმეთა სტატისტიკური მონაცემები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შედარებით-სამართლებრივი მეთოდი, რომელსაც ფაქტობრივად ეფუძნება საკითხის კვლევის მიმდინარეობა. შედარებითი ანალიზი გულისხმობს, უცხოური ლიტერატურისა და იქ არსებული პრაქტიკის შესწავლას, ასევე მის სინთეზურ ანალიზს ქართულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში.

## ძირითადი ნაწილი

საპროცესო შეთანხმება – Fact Bargaining<sup>2</sup>(ინგლ.) ზოგადად ბრალდებულსა და ბრალმდებელს შორის შეთანხმებაა, რომელიც მიზნად ისახავს აღიარებითი ჩვენების მიღებას წარსადგენი ან/და წარდგენილი ბრალდების შემსუბუქების სანაცვლოდ. კლასიკური გაგებით, საპროცესო შეთანხმება სამი ფორმისაა: charge bargaining, sentence bargaining, factbargaining.

თითოეული ფორმის თავისებურებანი შეთანხმების შინაარსში გამოიხატება, კერძოდ: charge bargaining – შეთანხმების საყოველთაოდ ცნობილი და ხშირადგამოყენებადი ფორმაა, რომელიც გულისხმობს მოლაპარაკების წარმოებას ბრალმდებელსა და ბრალდებულს შორის უფრო მძიმე დანაშაულში ბრალდების მოხნის სანაცვლოდ, ნაკლებად მძიმე დანაშაულის აღიარების მიზნით. ამგვარი შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ბრალდებული წარდგება სასამართლოს წინაშე და დასთანხმდება შეთანხმების დადებაზე. მაგ: ბრალმდებელი შეიძლება დასთანხმდეს შეცვალოს ბრალდება პირველი ხარისხის მკვლელობაში (განზრახმკვლელბაში) გაუფრთხილებლობით მკვლელობის ბრალდებით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით), თუ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს. sentence bargaining – შეთანხმების ფორმაა, როდესაც მოლაპარაკებები მიმდინარეობს კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში წარდგენილი ბრალის აღიარების სანაცვლოდ, მსუბუქი სასჯელის მოთხოვნის პირობით. ბრალდებული აღიარების მოთხოვნით ზოგავს დროს და აღარ უხდება დამატებითი მტკიცებულების მოძიება საკუთარი პოზიციის სასამართლოში დასასაბუთებლად. ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად არ იცვლება ბრალდების შინაარსი და შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კვალიფიკაცია, საუბარია მხოლოდ გათვალისწინებულ სასჯელთაგან მსუბუქის მოთხოვნაზე. Fact bargaining – შეთანხმების ფორმაა, როდესაც ბრალდებული და ბრალმდებელი თანხმდებიან სისხლისსამართლის საქმეზე გარკვეული ფაქტების არსებობაზე – სანაცვლოდ ბრალმდებელს არ შეაქვს სასამართლოში წარსადგენად მტკიცებულების ნუსხაში სხვა ფაქტები. ფაქტების ქვეშ იგულისხმება როგორც ნივთიერი, ასევე ვერბალური მტკიცებულებები. მაგ: ბრალდებული არ უარყოფს ნარკოტიკული ნივთიერების შეძენის ფაქტს და ასახელებს კონკრეტულ პიროვნებას, ვისგანაც შეიძინა იგი, სანაცვლოდ, პროკურატურა თანახმაა უარი თქვას ავტომობილის მართვის მოწმობის გარეშე ავტომობილის მართვის ბრალდებაზე ან სხვა ისეთ წვრილმან ბრალდებებზე, რომლებიც ფორმალურად სამართალდარღვევას წარმოადგენენ, მაგრამ არ მიუყენებიათ უშუალო ზიანი კონკრეტული პირისათვის.

---

<sup>2</sup>საპროცესო შეთანხმება

2004 წლის თებერვალში სისხლისსამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა 6791 მუხლი „საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას. ბრალდებულის ბრალის აღიარებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე უარის თქმის სანაცვლოდ გარკვეულ კომპენსაციას იღებს, რადგან ის ყველა მხარეს ათავისუფლებს გაჭიანურებული და გადატვირთული სასამართლო პროცესისგან. შეთანხმების ტექსტს სასამართლო განიხილავს და ამტკიცებს. მოსამართლემ ასევე უნდა დაადასტუროს, რომ საპროცესო შეთანხმება ნებაყოფლობით, დაშინების, მოტყუების და ძალადობის გარეშე ფორმდება, რომ ბრალდებულმა კვალიფიციური იურიდიული დახმარება მიიღო (სსსკ-ის 212-ე მუხლი). საქართველოს სისხლისსამართლის საპროცესო კანონდებლობა ორი სახის საპროცესო შეთანხმებას იცნობს, ესაა ბრალზე შეთანხმება და სასჯელზე შეთანხმება. ბრალზე შეთანხმება - გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა. დანაშაულთა ერთობლიობა განმარტებულია სსკ-ის 16.1 მუხლში. აღნიშნული მუხლის მიხედვით, დანაშაულთა ერთობლიობა გულისხმობს: პირის მიერ ორი ან ორზე მეტი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც ჩამდენი არ ყოფილა მსჯავრდებული; ან პირის მიერ ისეთი ქმედების ჩადენას. რომელიც შეიცავს სისხლისსამართლის კოდექსით გათვალისწინებული ორი ან ორზე მეტი დანაშაულის ნიშნებს. ზემოაღნიშნული მუხლის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობა შესაძლოა ორი ფორმით არსებობდეს. ერთ შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობა გულისხმობს ერთი პირის მიერ ორი ან ორზე მეტი დანაშაულის ჩადენას. ხოლო, მეორე პირობის მიხედვით, დანაშაულთა ერთობლიობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პირის მიერ ჩადენილი ერთი კონკრეტული ქმედება ერთდროულად მოიცავს ორი ან რამოდენიმე დანაშაულის ნიშნებს. საქართველო სსსკ-ის 209.4 მუხლის მიხედვით, ბრალზე შეთანხმებისას ბრალდებული აღიარებს დანაშაულს. თუმცა, ბრალდებული აღიარებს არა ყველა ბრალდებას, არამედ ბრალდებათა მხოლოდ ნაწილს (ან მხოლოდ ერთს). კერძოდ:1. თუ სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობის ზემოთმოცემული პირველი შემთხვევა (ე.ი. პირს ბრალად ედება ორი ან ორზე მეტი დანაშაულის ჩადენა), ბრალდებულს ეძლევა წინადადება, რომ ჩადენილ რამდენიმე დანაშაულთაგან აღიაროს მხოლოდ ნაწილი (ან მხოლოდ ერთი დანაშაული). ასეთი აღიარების სანაცვლოდ, პირს მოეხსნება ბრალდება სხვა დანაშაულთან მიმართებაში. შედეგად, ბრალდებული იღებს სასჯელს მხოლოდ აღიარებულ დანაშაულ(ებ)ზე და არ ისჯება სხვა დანარჩენი დანაშაულების სანაცვლოდ. ბრალის ერთი ნაწილის აღიარებით პროკურორი პირს მოუხსნის ბრალდების დანარჩენ ნაწილს და საბლოოდ ბრალდებული მიიღებს იმაზე ნაკლებ სასჯელს, ვიდრე იგი მიიღებდა ყველა ბრალდების აღიარების შემთხვევაში. 2. დანაშაულთა ერთობლიობის მეორე შემთხვევაში (ე.ი. პირის მიერ ჩადენილი ქმედება ერთდროულად შეიცავს ორი ან ორზე მეტი დანაშაულის ნიშნებს), ბრალდებულს ეძლევა წინადადება, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამის რამდენიმე შესაძლო დანაშაულთაგან აირჩიოს და აღიაროს ერთ-ერთი ან უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენა. ასეთი აღიარების სანაცვლოდ, პირს სასჯელი შეეფარდება მის მიერ აღიარებული მსუბუქი დანაშაულის შესაბამისად. ასე რომ, იგი არ გასამართლდება მის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი სხვა, თუნდაც უფრო მძიმე დანაშაულისათვის. ზემოთ მოცემულ ორივე შემთხვევაში ბრალდებული აღიარებს ერთ ან რამდენიმე დანაშაულს. შესაბამისად, საპროცესო შეთანხმების გაფორმების შედეგად პირი ჩაითვლება ნასამართლევად. სასჯელზე შეთანხმება - გამოიყენება მაშინ, როდესაც პირს



ბრალად ედება ერთი კონკრეტული დანაშაულის ჩადენა და ადგილი არ აქვს დანაშაულთა ერთობლიობას. სასჯელზე შეთანხმების განმარტება მოცემულია სსსკ-ის 209.3 მუხლში. აღნიშნული მუხლის თანახმად, სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებული არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალს, თუმცა, ეთანხმება პროკურორის სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულად გათავისუფლებაზე. სასჯელზე შეთანხმების შედეგია პირის ნასამართლობა. სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებული არ აღიარებს მის მიმართ წაყენებულ ბრალს, მაგრამ არც ეწინააღმდეგება მას, რაც სასამართლოს შესაძებლობას აძლევს, რომ განაჩენი დაადგინოს საქმის არსებითი განხილვის გარეშე. სასჯელზე შეთანხმების სანაცვლოდ, პირს მის მიერ აღიარებული დანაშაულისთვის გათავლისწინებული რამდენიმე შესაძლო სასჯელიდან ენიშნება შედარებით მსუბუქი. მაგალითად, თუ პირის მიმართ წაყენებული ბრალდება ითვალისწინებს თავისუფლების აღვეთას ან ჯარიმას, ბრალის აღიარების სანაცვლოდ, პროკურატურამ, შესაძლოა, თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, სასამართლოსგან მოითხოვოს ჯარიმის დაკისრება. საპროცესო შეთანხმების ზემოთაღნიშნულ ორ შემთხვევასთან დაკავშირებით, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ შეთანხმების გაფორმების შედეგად (მიუხედავად იმისა, იქნება ეს შეთანხმება ბრალზე თუ სასჯელზე), ბრალდებული იღებს იმაზე უფრო მსუბუქ სასჯელს, ვიდრე შეიძლებოდა მიეღო შეთანხმების მიღწევის გარეშე. საპროცესო შეთანხმების გაფორმების საფუძველზე პროკურორი პირს წაუყენებს ბრალს უფრო მსუბუქი დანაშაულისთვის ან მოითხოვს უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნას. შესაბამისად, საპროცესო შეთანხმების გაფორმებით, ბრალდებული იღებს სასჯელს, რომელიც იმაზე მნიშვნელოვნად მსუბუქია, ვიდრე ის სასჯელი, რომელიც მას შეიძლებოდა დაკისრებოდა შეთანხმების გაუფორმებლობის შემთხვევაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ნ.გვენეტაძე არ ეთანხმება საპროცესო შეთანხმების ორ საფუძველს, ბრალზე შეთანხმების და სასჯელზე შეთანხმების ორად გაყოფას და მიიჩნევს, რომ 2004 წლის 25 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით საპროცესო შეთანხმების ორად გაყოფა ფორმალური აღმოჩნდა და ისედაც არაერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას კიდევ უფრო მეტი პრობლემა შეუქმნა, რადგან ბრალზე გარიგება თავისთავად გულისხმობს სასჯელზე შეთანხმებას, მითუმეტეს, რომ ორივე შემთხვევაში იმ დროისათვის ამის პირობა ერთი და იგივე იყო. ნაწილობრივ ვიზიარებ ავტორის ამ შეხედულებას, ვინაიდან ვფიქრობ, რომ საპროცესო შეთანხმების ორი საფუძველი სასჯელზე შეთანხმება და ბრალზე შეთანხმება პრაქტიკული თვალსაზრისითაა სისხლი სასამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შემოღებული და დავეთანხმები გ.ჭანტურიძის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას, პროკურორები ოქმში ორივე საფუძველს მიუთითებენ. არცთუ იშვიათად შევხვდებით ფრაზებს: „მოხდა ბრალზე გარიგება და სასჯელზე შეთანხმება“. ერთი შეხედვით, ეს ფრაზა კანონს არ ეწინააღმდეგება, მაგრამ საპროცესო შეთანხმების საფუძველები ერთი მეორეშია არეული. გ.ჭანტურიძე მართებულად მიიჩნევს ნ.გვენეტაძის იმ მოსაზრებას, რომ ბრალზე გარიგება თავისთავად გულისხმობს სასჯელზეც შეთანხმებას. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განმარტავს, რომ აღიარებითი ჩვენება იმ შემთხვევაშია უტყუარი მტკიცებულება, თუ ის სხვა გარემოებებითაც დასტურდება, მაგრამ საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, დაზარალებულის ადვოკატებს არ ეძლევათ საშუალება, წარადგინონ მტკიცებულებები, რაც ცრუ აღიარებით ჩვენებაზე შეიძლება მიუთითებდეს. კანონი ასევე არ განმარტავს, რა კატეგორიის დანაშაულზე უნდა გაფორმდეს ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება და რა ბრალზე შეიძლება მორიგება. პროკურორი თავად წყვეტს, რა სახის თანამშრომლობა რა სასჯელის რა ზომას შეესაბამება.

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი არ გახლავთ „წმინდა ქართული ნოვაცია“. ეს ინსტიტუტი პირველად მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ამერიკის შეერთებულ შტატებში დაინერგა. საკანონმდებლო დონეზე ამ ინსტიტუტის რეგლამენტირება პრაქტიკაში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე მოხდა. როგორც ცნობილია, მისი შემოღება სისხლის სამართლის საქმეების სიმრავლით და სასამართლოში დავისთვის საჭირო რესურსების ნაკლებობით იყო განპირობებული. საპროცესო შეთანხმება სხვადასხვა ფორმით არსებობს ისეთი განსხვავებული სამართლებრივი მემკვიდრეობის ქვეყნებში, როგორცაა არგენტინა, ინდოეთი, კანადა თუ ბულგარეთი. აშშ-ში სისხლის სამართლის საქმეთა 99% საპროცესო შეთანხმებით სრულდება, ხოლო ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 25%-ს აჭარბებს. ამ შემთხვევაში ბრალდებული ცალმხრივად, საკუთარი შეცდომების აღიარების სანაცვლოდ (სასჯელის შემცირების მიზნით) უთანხმდება პროკურატურას ბრალდების მოცულობის თაობაზე. „შეთანხმება სასამართლოში წარმოთქმული სიტყვის თაობაზე“. კომისიის აზრით, არის „ყოველგვარი შეთანხმება, რომლის შედეგად ბრალდებული თანხმდება ბრალის აღიარებას, ხოლო ბრალმდებელი ან თანხმდება მოქმედების მოცემულ გეგმას, ან არა. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი რეალურად შეიმუშავებს ისეთ საყოველთაო სტრატეგიებს, რომლის დროსაც იზოგება სასამართლოსა და პროკურატურის დრო. პროკურატურა ბრალდებულს სთავაზობს რამოდენიმე სახის შეთანხმებას: 1. პასუხისმგებლობის შემცირებას; 2. მიმდინარე ხარჯებისაგან გათავისუფლებას; 3. კონკრეტულ წინადადებას სასჯელის შესახებ. ასევე, პროკურატურა შეიძლება დასთანხმდეს შემდეგ პირობას - შენარჩუნებულ იქნას კონფიდენციალურობა ბრალდებულის გათავისუფლების შემთხვევაში.

რაც შეეხება იმას, თუ რა არის ზემოაღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტის საქართველოს კანონმდებლობაში შემოღების მიზანი, აღნიშნულთან დაკავშირებით იურისტთა მოსაზრებები მრავალფეროვანია. გამოყოფენ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის დადებით და უარყოფით მხარეებს: დადებითი მხარე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება, ასევე, სასჯელადსრულების დაწესებულების ნაკლები გადატვირთულობაა. რაც შეეხება უარყოფითს, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, საპროცესო შეთანხმება დღეს საქართველოში ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა და ის, რომ ერთი და იგივე შემადგენლობის დანაშაულზე შეიძლება დაინიშნოს 10 000 და 100 000 ლარი ჯარიმის სახით. ცხადია, რომ საპროცესო შეთანხმების ქართული ვარიანტი უნაკლო არ არის. პრობლემები თვალშისაცემი იყო ამ ინსტიტუტის დანერგვის პირველივე ეტაპზე. საერთაშორისო ორგანიზაციები ერთხმად საუბრობდნენ პროკურატურის ორგანოების მხრიდან ჯარიმების თვითნებური გამოყენების პრაქტიკაზე, რაც საზოგადოებაში ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ დამნაშავეებს შეეძლოთ „თავისუფლების ყიდვა“. ეს აზიანებდა საზოგადოების ისედაც დაბალ ნდობას მართლმსაჯულების სისტემისადმი და განსაკუთრებით ვნებდა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს, რომელიც ჯერ კიდევ ფეხს იდგამდა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს თითქმის ყველა აღიარებს ამ სფეროში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო პროგრესის არსებობას, რამდენიმე საკითხი კვლავ გადაუჭრელი რჩება. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან მიმართებაში არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ: შესაძლებელია თუ არა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გამოყენება არასრულწლოვანის ან ისეთი პირის მიმართ, რომელსაც, თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო, არა აქვს საშუალება თვითონ გამოხატოს თავისი ნება. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საპროცესო

ომეთანხმების რეალიზაციისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ინდივიდის ფსიქიკური უნარიც და, ვფიქრობ, რომ, იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდს გააჩნია ფსიქიკური ნაკლი, აღნიშნული ექვექვემ აყენებს საპროცესო შეთანხმების პირობების გააზრების საშუალებას. ამავდროულად, ვეთანხმები გარემოებას, რომ არასრულწლოვანის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საპროცესო შეთანხმება, რადგან არასრულწლოვანი უზრუნველყოფილია დაცვის უფლებით, უნარით გააცნობიეროს მისთვის წაყენებული ბრალდება. გ.ჭანტურიძე აღნიშნავს, რომ შესაძლებელია არასრულწლოვანმა ითანამშრომლოს გამოძიებასთან, რის შედეგადაც გამოვლინდეს მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირები, რასაც ვერ ვიტყვით ფიზიკური და ფსიქიკური ნაკლის მქონე პირებზე, რადგან მათ მოშლილი აქვთ ინტელექტუალური უნარი, ვერ უწყვენ თავიანთ თავს ანგარიშს, რის გამოც, ვფიქრობ, რომ მათ მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები.

2005 წლიდან, საქართველოს პროკურატურაში მოქმედებს შიდასახელმძღვანელო მითითებები, რაც ბევრ ქვეყანაში საპროცესო შეთანხმების თანმიმდევრული გამოყენების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. თუმცა, ეს მითითებები საქართველოში საჯარო არ არის, რაც საპროცესო შეთანხმების დადებას გაუმჭვირვალე პროცესად აქცევს და ნამდვილად არ უწყობს ხელს საზოგადოების ერთ ნაწილში არსებული წარმოდგენის გაბათილებას, რომ, ხშირად, სასჯელის შემსუბუქება დამოკიდებულია ისეთ არამათლზომიერ ფაქტორებზე, როგორცაა ბრალდებულის გავლენა, ან მატერიალური კეთილდღეობა. საზოგადოების თვალში, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ლეგიტიმურობის გაზრდისათვის, პროკურატურამ მკაფიოდ უნდა განმარტოს მისი გამოყენების პოლიტიკა და პროცედურები. ამისთვის მან შიდასახელმძღვანელო მითითებების, სულ მცირე, ის ნაწილი უნდა გახადოს საჯარო, რომელიც საპროცესო შეთანხმების დადების გარემოებებს და სასჯელის შერჩევის წესებს განსაზღვრავს.

ბოლო წლებში, საქართველოში სასამართლოების მიერ განხილულ სისხლის სამართლის საქმეთა 98% მსჯავრდებით დასრულდა. ბრალდებულს, ფაქტობრივად, ერთი არჩევანი აქვს: დასთანხმდეს საპროცესო შეთანხმებას პროკურორის მიერ შეთავაზებული პირობებით. მთავარი საფრთხე კი ის არის, რომ საქმის არსებითი განხილვის დროს, უდანაშაულო ბრალდებულმა, შეიძლება, მსჯავრდების შიშით გადაწყვიტოს სასამართლო განხილვაზე უარის თქმა და საპროცესო შეთანხმების გაფორმება. თუმცა, მსჯავრდებათა რაოდენობა საპროცესო შეთანხმების შემოღებამდეც დაახლოებით ამდენივე - 97% იყო. ამიტომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტზე უარის თქმა ამ მხრივ დადებით შედეგებს ვერ მოიტანს, სამაგიეროდ, გამოიწვევს მთელ რიგ სისტემურ პრობლემებს, რაც პირდაპირ აისახება ბრალდებულებზე უსასრულოდ გაწეილი სასამართლო პროცესების სახით.

ქართულ კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების მუხლი იმ ქვეყნების საკანონმდებლო სისტემების გამოცდილებას ეყრდნობა, სადაც სასამართლო შეჯიბრებითობის პრინციპით მუშაობს. იტალიაში საპროცესო შეთანხმება ეფექტურად გამოიყენება ორგანიზებულ (მაფია, ნარკოდილერები), ასევე წვრილმან დანაშაულებთან ბრძოლაში. კანონში არაა დაკონკრეტებული, რა იგულისხმება „გამოძიებასთან თანამშრომლობაში“. შეთანხმების გაფორმებამდე პროკურორი დაზარალებულთან გადის ერთგვარ კონსულტაციას – წინასწარ ატყობინებს შეთანხმების ზოგად პირობებს, თუმცა, დაზარალებულს არ აქვს საპროცესო

მორიგებისათვის ხელის შეშლის, მოგვიანებით კი აპელაციის უფლება. პროკურორის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, გაითვალისწინებს თუ არა დაზარალებულის პოზიციას.

მინდა ვისაუბრო, ასევე, საპროცესო შეთანხმებაზე (მსგავსებასა და განსხვავებაზე) საზღვარგარეთის ქვეყნებში (აშშ, საფრანგეთი, გერმანია, იტალია და რუსეთის ფედერაცია).

**აშშ.** საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ისტორიული სამშობლოა აშშ, სადაც ის XIX საუკუნიდან იყო ცნობილი. მე-XX საუკუნის დასაწყისიდან სისხლის სამართლის საქმეთა 80% წყდებოდა შეთანხმების დადებით ნაფიც მსაჯულთა წინაშე, სასამართლო გამოძიების გარეშე. აშშ-ში დღეისათვის, „ბრალის აღიარებაზე გარიგების“ გზით გადაწყვეტილ საქმეთა ხვედრითი წილი 90%-ს უტოლდება. საპროცესო შეთანხმების საკანონმდებლო რეგულირებითა და მისი გამოყენების პრაქტიკული თავისებურებებით ერთმანეთისაგან განსხვავდება ამერიკული და ევროპული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობები. აშშ-ში ამ ინსტიტუტს მიმართავენ პროცესის შემოკლებისა, ანუ სისხლის სამართლის საქმეთა სწრაფი განხილვისა და სახელმწიფო რესურსების ეფექტიანი (ეკონომიკური) გამოყენების კუთხით, როგორც მთელი საზოგადოების ინტერესების, ასევე კონკრეტულად ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით. აშშ-ს კონსტიტუციაში სამოქალაქო უფლებების განმარტების შესახებ მუხლების არსებობა, ქვეყნის არსებობის პირველივე წლებში დიდი პოლიტიკური უთანხმოების საგნად იქცა. შესაბამისად, მიღებულ იქნა ე.წ. „უფლებათა ბილი“, რომლითაც განისაზღვრა სამოქალაქო უფლებების გარანტიები და ის შეერთებული შტატების კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილად იქცა. ჩვენთვის საინტერესოა „მეექვსე შესწორება“, რომლითაც ბრალდებულს გარანტირებული აქვს „სისხლისსამართლებრივი დევნის ყველა შემთხვევაში სწრაფი და საჯარო სასამართლოს უფლება, მიუკერძოებელი მსაჯულების მონაწილეობით. სწრაფი მართლმსაჯულების უფლება გახდა ამოსავალი წინაპირობა საპროცესო შეთანხმების პრინციპების ჩამოყალიბებისათვის. XX-ე საუკუნის დასაწყისში აშშ-ს სასამართლო პრაქტიკაში პირველად ფართოდ დაინერგა საპროცესო შეთანხმება და მას შემდეგ, ეს ინსტიტუტი დისკუსიის საგანია. საპროცესო შეთანხმება - ეს არის შეთანხმება პროკურატურასა და ბრალდებულს შორის, ბრალდების ფარგლებისა და სასჯელის შესახებ. აშშ-ში გამოიყენება საპროცესო შეთანხმების შემდეგი სახეები: **Charge bargaining, Sentence bargaining, Fact bargaining.**

საინტერესო პრეცედენტი განხორციელდა ამერიკის ერთ-ერთ შტატში – ალიასკაზე, როდესაც 1975 წელს, ალიასკის მთავარმა პროკურორმა აკრძალა საპროცესო შეთანხმების გაფორმება ბრალდებულებთან. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მხრიდან „ნაადრევი“ აღიარებითი ჩვენება „სავალდებულო“ აღარ იყო და მათ შეჯიბრებითობისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის სრული დაცვით შეეძლოთ სასამართლოსა და მსაჯულების წინაშე წარდგომა, ალიასკას სასამართლო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ აღიარებითი ჩვენების ხვედრითი წილი სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას იგივე დარჩა – 70%. სამაგიეროდ, დაფიქსირდა გამოძიებისა და სასამართლო ხარჯების მკვეთრი ზრდა, რადგან პროკურატურა და სასამართლო ვალდებული იყო სრული მოცულობით განეხორციელებინა „უფლებათა ბილის“, მე-6 შესწორების მოთხოვნა – სწრაფი მართლმსაჯულების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ გამოძიების ორგანოები და სასამართლო ვერ უზრუნველყოფენ სწრაფ და ეფექტიან სასამართლო პროცესის წარმართვას, მოქალაქეს წარდგენილი ბრალდება უნდა მოეხსნას და ხელმეორედ მისი (ბრალდების) წარდგენა არ

შეიძლება. განმეორებით ბრალდების წარდგენის აკრძალვა გარანტირებულია „უფლებათა ბილის“ მე-5 შესწორებით. მაგ: ნიუ-იორკის შტატში სასამართლოსათვის მოსამზადებლად დასაბუთებული ბრალდების წარსადგენად გამოძიებას აქვს ექვსთვიანი ვადა, ეს ვადა ვრცელდება ყველა კატეგორიის დანაშაულზე, გარდა მკვლელობისა.

აშშ-ში საპროცესო შეთანხმების არსებობის მთავარ არგუმენტად გვევლინება „უფლებათა ბილის“ ხსენებული მე-6 შესწორებით გარანტირებული სწრაფი მართლმსაჯულების უფლება. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გარეშე ამერიკული მართლმსაჯულების სისტემა უბრალოდ ჩამოიშლება. როგორც თვითონ ამერიკელი მკვლევარები აღნიშნავენ, „ბრალის აღიარებაზე გარიგების“ ფესვები საძიებელია ანგლო-საქსური იურისპრუდენციის „არამეცნიერულობაში“, სადაც სასამართლო გამოძიება ხორციელდება საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის, ჭეშმარიტების დადგენა კი ამ მიზნის მიღწევის მხოლოდ მეორეხარისხოვანი საშუალებაა. აშშ-ში ბრალდებულის მიერ მისთვის ინკრიმინირებულ დანაშაულში ბრალის აღიარება პრაქტიკულად სპობს საქმეზე მტკიცებულებათა გამოკვლევის აუცილებლობას. ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება სასამართლოში განიხილება, როგორც იურიდიული ფაქტი, რომლის გამოც საჭირო აღარ არის მკიცებულებათა განხილვა და შეფასება, ვინაიდან ამ განცხადებით ისპობა დავა ბრალდებულსა და ბრალდებულს შორის. როგორც ვხედავთ, აშშ-ის სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარებას გაუმართლებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რაც ამ ქვეყნის სისხლის სამართლის პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. აშშ-ში ბრალის აღიარების გარიგების პრაქტიკის წარმოშობა შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ ამერიკული სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებას აქვს სარჩელის ფორმა, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარებას. ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება განიხილება, როგორც იურიდიული ფაქტი, რომლის გამოც საჭირო აღარ არის მტკიცებულებათა განხილვა და შეფასება, ვინაიდან ამ განცხადებით ისპობა დავა ბრალდებულსა და ბრალდებულს შორის. ამასთან, მის მასობრივ გამოყენებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ამერიკული სისხლის სამართლის სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მასობრივია ბრალის აღიარება.

აშშ-ს პრაქტიკის მიხედვით, „ბრალის აღიარებაზე გარიგების“ დადებით, სისხლის სამართლის პროცესის ყველა მონაწილეა დაინტერესებული. „ბრალის აღიარების გარიგების“ პრაქტიკაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს ბრალმდებლის მისწრაფება, რაც შეიძლება სწრაფად მოიშოროს განსახილველ საქმეთა დიდი რაოდენობა. დაინტერესებული შეიძლება იყოს ბრალდებულებიც, რადგან იგი გვერდს აუვლის ხანგრძლივ, ხშირად კი მატერიალურად არახელსაყრელ სასამართლო პროცედურას და შეუძლია მსუბუქი სასჯელის იმედიც ჰქონდეს. ბრალდებული ხშირად ვარაუდობს იმას, რომ ვინც ბრალს აღიარებს, ის მსუბუქ სასჯელს მიიღებს. იმისთვის, რომ ბრალდებულთა მაქსიმალური რაოდენობა დასთანხმდეს „ბრალის აღიარების გარიგებას“, აშშ-ს რამდენიმე ოლქში არსებობს პრაქტიკა, რომლის მიზანია იმ ბრალდებულების წახალისება, რომლებიც უარს იტყვიან ნაფიც მსაჯულებზე და დასთანხმდებიან მოსამართლის მიერ საქმის ერთპიროვნულად განხილვას. ამისათვის, ყველაზე მკაცრი მოსამართლეები ინიშნებიან ნაფიც მსაჯულთა თავმჯდომარეებად, ხოლო უფრო ლიბერალური ერთპიროვნულად იხილავენ საქმეებს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე. ვფიქრობ, რომ აღნიშნული პრაქტიკა აშშ-ში პირდაპირი ზეწოლაა ბრალდებულზე. თვით სასამართლოც კი დაინტერესებულია იმით, რომ ის დასთანხმდეს „ბრალის აღიარების

პროცედურას“, რადგან აღნიშნული ამარტივებს და აიაფებს სასამართლო პროცედურებს. სწორედ ამის გამო შეარქვეს „ბრალის აღიარების პროცედურას „კონვეირული მართლმსაჯულება“, რომლის განხორციელებაზეც სასამართლოში, საშუალოდ, ერთიდან ოთხ წუთამდე იხარჯება. ასევე ნიშანდობლივია, რომ, საქართველოს მსგავსად, ამერიკის კონსტიტუცია თავის დებულებებში მოიცავს ისეთ საპროცესო უფლებებს, რომლებიც იზღუდება საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას. ესენია: მოწმის დაკითხვის უფლება, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამოყენება და ბრალდებულის უფლება, რომ არ აღიაროს დანაშაული. სწორედ ამიტომ მე-19 საუკუნის დასაწყისში ამერიკული სასამართლოები საპროცესო შეთანხმების გამოყენების წინააღმდეგნი იყვნენ და იმდენად ღრმად იჭრებოდნენ ბრალდებულის კომპეტენციაში, რომ ცდილობდნენ ბრალდებულის დარწმუნებას გაფორმებული შეთანხმების ანულირებაში. თუმცა, ვითარება მეოცე საუკუნეში მკვეთრად შეიცვალა. ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ნიუ-იორკის შტატში 1839 წლიდან 1926 წლამდე, საპროცესო შეთანხმებათა რაოდენობა 20%-დან 90%-მდე გაიზარდა. საყურადღებოა, რომ საპროცესო შეთანხმების კონსტიტუციურობის საკითხზე დავა აშშ-ში მხოლოდ 1970 წლებში დაიწყო. სასამართლომ დაადგინა, რომ საპროცესო შეთანხმება ესაა დამნაშავისათვის კონსტიტუციით გარანტირებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლებაზე უარი. აღნიშნულის სანაცვლოდ, პროკურატურა და სასამართლო ზოგავს ფინანსებსა და დროს, ხოლო ბრალდებული შემსუბუქებულ სასჯელს იღებს.

აშშ-ს იუსტიციის სტატისტიკის ბიურომ 2006 წელს დაადგინა, რომ სისხლის სამართლის ფელონიის დანაშაულებზე 94% საპროცესო შეთანხმებით მთავრდება. საქართველოს მსგავსად, აშშ-ში საპროცესო შეთანხმების პირობების შესახებ მოლაპარაკება მიმდინარეობს პროკურორსა და დაცვის მხარეს შორის, მაგრამ საპროცესო შეთანხმება მოსამართლის თანხმობის გარეშე ვერ მიიღწევა. სავალდებულოა საპროცესო შეთანხმების პირობების განხილვა სასამართლო პროცესზე და ამ მონაცემების შეტანა სხდომის ოქმში. სანამ შეთანხმება გაფორმდება, მოსამართლე არკვევს რამდენად სწორად ესმის ბრალდებულს საპროცესო შეთანხმების არსი, ესმის თუ არა, რომ იგი ამ შეთანხმებით უარს ამბობს გარკვეულ კონსტიტუციურ უფლებებზე. ასევე, მოსამართლე არკვევს, ზუსტად იცის თუ არა ბრალდებულმა იმ ჯარიმების შესახებ, რისი გადახდაც მოუწევს კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით. კალიფორნიის სასჯელაღსრულების კოდექსის მიხედვით, მოსამართლე ვალდებულია გაარკვიოს, რომ აღიარება დაფუძნებულია ბრალდებულის თავისუფალ ნებაზე და რომ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს ბრალდებულის აღიარებას. საქმეზე კალიფორნიის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლო ღია სხდომაზე დასმული შეკითხვა „ჩაიდინეთ თუ არა ის დანაშაული, რასაც ჩვენებაში ასახელებთ? ბრალდებულის მხრიდან დადებითი პასუხის შემთხვევაში, საკმარისი ფაქტობრივი მტკიცებულებაა საპროცესო შეთანხმებისათვის. მოსამართლის უფლებები საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას ქართულ საპროცესო კანონმდებლობაში ფორმალურად მსგავსია ამერიკული მოდელისა. ქართული საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას დამოუკიდებლობა კანონით გარანტირებულია. საქართველოში საპროცესო შეთანხმების შეთავაზება შეუძლია მოსამართლესაც. ამერიკული მოდელის მსგავსად, სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენით ამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას ბრალზე, ან სასჯელზე გარიგებით. ამერიკის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, საქართველოში საპროცესო შეთანხმების დასამტკიცებლად, მოსამართლეს, ბრალდებულის აღიარების გარდა, უნდა ჰქონდეს სხვა დამატებითი მტკიცებულებები, რის საფუძველზეც

სასამართლო რწმუნდება, რომ აღნიშნული დანაშაული ამ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ, კალიფორნიის სასჯელაღსრულების კოდექსის მიხედვით, გამოყოფილია დანაშაულთა კატეგორიები, რომლებზეც შეზღუდულია საპროცესო შეთანხმების გამოყენება, მათ შორისაა ფელონიის სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულები, რომელთათვის დაწესებულია სიკვდილით დასჯა ან უვადო თავისუფლების აღკვეთა. ამ მხრივ ქართულ და კალიფორნიის მოდელებს შორის არსებითი განსხვავებაა, რადგან, ქართული კანონმდებლობის მიხედვით, საპროცესო შეთანხმება შესაძლებელია გაფორმდეს ყველა კატეგორიის დანაშაულზე და კანონმდებლობა ამ კუთხით არანაირ შეზღუდვას აწესებს. ვერ დავეთანხმები ც.რატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მიზანშეწონილი არაა ყველა კატეგორიის დანაშაულზე საპროცესო შეთანხმების დადება, პირიქით, საპროცესო შეთანხმება არის მართლმსაჯულების აღსრულების ძალზე ეფექტური საშუალება, რომელზედაც იხარჯება ადამიანური რესურსის მინიმალური ოდენობა, რომელიც საშუალებას იძლევა გახსნას მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები და პასუხისგებაში მიეცენ საშიში დამნაშავეები; ამის გარეშე სასამართლოს გაუჭირდება ფუნქციონირება და, უფრო მეტიც, დამნაშავე ციხის კედლებს მიღმა აღმოჩნდება. რაც შეეხება საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ გადასახადებს, ამერიკის კანონმდებლობის მიხედვით საპროცესო შეთანხმების გაფორმებისათვის განსხვავებული გადასახადებია დაწესებული. დამნაშავე ვალდებულია გადაიხადოს გარკვეული რაოდენობის თანხა იმ ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც მისმა ქმედებამ მიაყენა დაზარალებულს.

მძიმე დანაშაულისათვის ეს თანხა შეადგენს \$200-10.000, ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის 100-1000 აშშ დოლარს. ქართული საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, აღნიშნული საკითხი ბუნდოვანია. კანონით მხოლოდ ჯარიმის მინიმალური ოდენობაა განსაზღვრული, ხოლო დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურების საკითხი საპროცესო შეთანხმების დადებისას არ წყდება. აღნიშნული საკითხი პრაქტიკაში ფაქტობრივად უგულვებელყოფილია. როგორც ვხედავთ, ამერიკაში, საქართველოს მსგავსად, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი ამოქმედების დღიდან ფართო განხილვის საგანია. აშშ-ში დღესაც არ წყდება არგუმენტები ამ სამართლებრივი ინსტიტუტის წინააღმდეგ. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს ასევე მრავალი კრიტიკოსი ჰყავს საქართველოში, თუმცა ჩვენს ქვეყანაში საპროცესო შეთანხმებით მოგვარებული საქმეები, ამერიკასთან შედარებით, მცირეა. კამათი ამ ინსტიტუტის აქტუალობის შესახებ შეიძლება კვლავაც გაგრძელდეს.

**საფრანგეთი** სისხლის სამართლის პროცესში გარიგებათა ინსტიტუტის არსის გაგებისა და საქართველოს რეალობაში მისი დანერგვის უკეთ გააზრებისათვის ერთობ საინტერესო იქნება, გავეცნოთ ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების პრაქტიკის თავისებურებებს, რაც ამ კონკრეტული თვალსაზრისით საკმაოდ განსხვავდება ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკისაგან. უპირველესად მინდა აღვნიშნო საფრანგეთი, სადაც საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი საქართველოს მსგავსად პრაქტიკულად 2004 წლის თებერვლის თვეში დაინერგა. ფრანგული სისტემა ანგლო-საქსურ Plea Bargaining-ს არ იცნობს, თუმცა ითვალისწინებს ორ სიტუაციას, რომელიც ამ ინსტიტუტს უახლოვდება. საფრანგეთმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საპროცესო შეთანხმების მარეგულირებელი ნორმები 495-495/16 მუხლებში გვხვდება და მას გამარტივებული წარმოება ეწოდება. აღნიშნული ნორმები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესწორებების შეტანის სახით საფრანგეთმა 2004 წლის თებერვალში მიიღო.

კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის ძირითადი მიზანი იყო ორგანიზებულ დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლა და სასჯელის შემცირებით ბრალდებულისათვის გამოძიებასთან თანამშრომლობის სტიმულირება. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა არ იცნობდა ბრალის აღიარების გარიგებას, ითვალისწინებდა ორ საფუძველს, რომელიც ამ ინსტიტუტს უახლოვდება. ზოგ დანაშაულზე კანონი იძლეოდა საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. მაგ: საგადასახადო საქმეებზე მხარეთა მორიგება შეიძლებოდა მომხდარიყო საქმეზე საბოლოო განაჩენის გამოტანამდე. კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს შეიძლება ბრალდებულისათვის შეეთავაზებინა ფაქტების აღიარება და ფიქსირებული თანხის გადახდა, რის სანაცვლოდაც მის წინააღმდეგ საქმე შეწყდებოდა. ამ შემთხვევაში უნდა აღვნიშნოთ ერთი ფუნდამენტური განსხვავება ზემოთ აღნიშნულ გარიგების სახესა და ტიპურ საპროცესო შეთანხმებას შორის, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლოს მონაწილეობა შეიძლება საერთოდ გამოირიცხოს. მეორე შემთხვევა ეხება ნარკოტიკების მომხმარებელთა საქმეებს. თუ ნარკოტიკების მომხმარებელი დაეთანხმებოდა პროკურორის წინადადებას, ჩაეტარებინა მკურნალობა, ან დამორჩილებოდა სამედიცინო მეთვალყურეობას, ასეთი პირი თავისუფლდებოდა დევნისაგან. საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისად, საპროცესო შეთანხმების დადების პროცედურა –plaider coupable<sup>3</sup> მოსამართლის თანდასწებით უნდა განხორციელდეს. მაგ: ნარკოტიკების მომხმარებლის მიმართ შეიძლება საქმის წარმოების შეწყვეტა, თუ იგი დაეთანხმება პროკურორის წინადადებას მკურნალობის კურსის გავლის შემდეგ. გარდა ამისა, საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 495-ე მუხლი უშვებს რიგ დათქმებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში, დასაშვებად მიიჩნევა საპროცესო შეთანხმების დადება (გამარტივებული წესით საქმის წარმოება), კერძოდ: სამართალდარღვევები, რომლებიც დაკავშირებულია საგზაო მოძრაობის წესებთან და მათ დარღვევასთან, რომლებიც გათავალისწინებულია წინამდებარე კოდექსით; სახმელეთო ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევასთან დაკავშირებული დანაშაულები; დანაშაულები, რომლებიც დაკავშირებულია ნარკოტიკების მოხმარებასთან, ჯამრთელობის კოდექსის 3421-1 მუხლის შესაბამისად. დანაშაულები, რომლებიც გათვალისწინებულია სამშენებლო კოდექსის 126-3 მუხლით; ამასთან, მუხლის მეორე ნაწილში ჩამოყალიბებულია ის გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, გამარტივებული წესით საქმის განხილვის პროცედურა არ გამოიყენება.

როგორც ჩანს, საფრანგეთმა, შეიძლება ითქვას, პრინციპულად გაიზიარა აშშ-ს პრაქტიკა და ამ მხრივ დაშორდა სხვა ევროპულ ქვეყნებს, სადაც ვნახავთ, რომ საპროცესო შეთანხმება პრინციპულად გამოიყენება ნაკლებად მძიმე დანაშაულის დროს. როგორც გაირკვა, საფრანგეთის რესპუბლიკა ძალზე შეზღუდულად უშვებს საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობას.

**გერმანია** - ერთობ საინტერესოა გერმანიის, როგორც ერთ-ერთი უდიდესი სამართლებრივი კულტურის მქონე ევროპული ქვეყნების დამოკიდებულება საპროცესო გარიგების მიმართ. გამოძიების და კანონიერების პრინციპის მოქმედება გერმანულ სამართალში ადგილს აღარ უტოვებს გარიგებას ბრალის აღიარებით. მიუხედავად ამისა, პრაქტიკა იცნობს ზოგიერთი ფორმის გარიგებას, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომაც კი დასაშვებად გამოაცხადა. ეს არის ე.წ „არაფორმალური გარიგებები“, რაც მხოლოდ ახლახან გახდა სამართლებრივი

<sup>3</sup>საპროცესო შეთანხმების დადების პროცედურა



დისკუსიის საგანი ამ ქვეყანაში. გამოვლინდა, რომ განსაკუთრებით რთულ საქმეებზე, სადაც დასაკითხი იყო ბევრი მოწმე, დაცვის ადვოკატებმა განავითარეს პრაქტიკა, საქმის შესახებ წინასწარ მოელაპარაკებოდნენ ბრალმდებელს და მოსამართლეს. მაგალითად, დაცვის ადვოკატმა შეიძლება წარმოადგინოს დაპირება, რომ მისი კლიენტი ნაწილობრივ ან მთლიანად სცნობს თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, რის სანაცვლოდაც სასამართლოს მიერ შეფარდებულმა სასჯელმა გარკვეულ ზომას არ უნდა გადააჭარბოს. ასეთი გარიგება მიუღებელია, რადგან ის კერძო მოლაპარაკებას ემსახურება, შესაბამისად, მოკლებულია იმ პროცესუალურ ელემენტებს, რაც საპროცესო გარიგებას ახლავს, მან არ უნდა ხელყოს ჭეშმარიტი პრინციპი და განსასჯელის უფლებები.

**იტალია** - ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების მომძლავრება და მათი ტოტალური ჩართულობა სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში გახდა წინაპირობა, რომლის გათვალისწინებით იტალიის რესპუბლიკამ ევროპაში რომანო-გერმანული სამართლის სისტემის სახელმწიფოთა შორის პირველმა დაუშვა ბრალდებულთან საპროცესო შესაძლებლობა, რასაც იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პატტეგვიამენტო ეწოდება. Pentito<sup>4</sup>- ასე უწოდებენ იტალიაში იმ ადამიანებს, რომლებიც წარსულში იყვნენ დამნაშავეთა ან ტერორისტული ორგანიზაციის წევრები და დაპატიმრების შემდეგ, გამოძიებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, „მონანიება“ და სასამართლო სისტემასთან, საგამომიებო ორგანოებთან თანამშრომლობა გადაწყვიტეს. სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებში „მონანიებულებმა“ მონაწილეობის მიღება დაიწყეს 1970-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც იტალიაში აქტიურად მოქმედებდნენ სხვადასხვა მაფიოზური დაჯგუფებები.

გამომძიებისათვის საინტერესო ინფორმაციის მიწოდების ნაცვლად, „მონანიებულების“ მიმართ გამოიყენება უფრო მსუბუქი სასჯელი – თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ვადის სახით, ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოები მათ საერთოდ ათავისუფლებდნენ სასჯელისაგან. იტალიის მართლმსაჯულებასთან თანამშრომლობის შემდეგ „მონანიებულს“ შეეძლო სიცოცხლის დაცვის გარანტიების, ახალი სახელის, ფულადი სახსრების მიღება, რაც მას შესაძლებლობას აძლევდა დაეწყო ახალი ცხოვრება – ახალ ადგილას, ახალი სახელით, იტალიის ფარგლებს გარეთ გადასახლების შესაძლებლობის ჩათვლით. ამგვარი პრაქტიკა ასევე დანერგილია აშშ-ში, როდესაც ბრალდებულის მიერ თანამზრახველების წინააღმდეგ მოცემული ჩვენება საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს, იგი შეიძლება მოხვდეს ე.წ. მოწმეთა დაცვის პროგრამაში. ფაქტობრივად 1970-იანი წლებიდან, იტალიის სასამართლოები და პროკურატურა აქტიურად იწყებენ საპროცესო შეთანხმების დანერგვას პრაქტიკაში. 1973 წლის 29 მარტს, ლეონარდო ვიტალე ნებაყოფლობით გამოცხადდა პალერმოს პოლიციის განყოფილებაში და განაცხადა, რომ იყო მაფიის წევრი, მონაწილეობდა გამოძალვაში, ქონების განადგურებაში და ორ მკვლელობაში. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მაფიის წევრი ნებაყოფლობით გამოცხადდა „მონანიებით“ და თანამშრომლობა დაიწყო იტალიის პოლიციასთან. ერთერთი ყვლაზე ცნობილი პიროვნება, რომელმაც გამოიყენა „მონანიება“, იყო 1990-იან წლების სოციალური მაფიის ერთ-ერთი თავკაცი – ტომაზო ბუშეტა. მისი ჩვენების საფუძველზე, 1983-87 წლებში სიცილიაზე გაიმართა სასამართლო პროცესების სერია იტალიის მაფიის ასეულობით წევრისა და თავკაცის მიმართ – ე.წ. Maxi Trial. მას შემდეგ, რაც იტალიის ხელისუფლებამ დაიწყო მაფიის წინააღმდეგ ბრძოლა და


<sup>4</sup>ის ვინც მოინანია

შესაძლებლად გამოაცხადა საპროცესო შეთანხმების გაფორმება, მაფიის რამდენიმე ათეულმა ცნობილმა თავკაცმა ისარგებლა ამ შესაძლებლობით და „მოინანია“ ჩადენილი დანაშაული. იტალიის სისხლის სამართლის სისტემაში გამოიყენება ისეთი საპროცესო გარიგების სახეები, როგორცაა: სასჯელის დანიშვნა მხარეთა თხოვნით, რომლის დროსაც განსასჯელმა და პროკურორმა შეიძლება იშუამდგომლონ მოსამართლის წინაშე შეთანხმებული სასჯელის ზომის გამოყენების შესახებ. ამგვარი პროცედურით სასჯელის დანიშვნა არ უნდა აღემატებოდეს ორი წლით თავისუფლების აღკვეთას. სახელმწიფოს უპირატესობა არ არის ის რომ პროცესი მიმდინარეობს შეკვეცილი ფორმით. განსასჯელი უარს ამბობს თავის უფლებაზე, სადავო გახადოს პროკურორის ბრალდება, მისი აპელაციის უფლება შეზღუდულია. განსასჯელის უპირატესობა ისაა, რომ თუ იგი თანხმობას განაცხადებს საპროცესო შეთანხმებაზე, სასჯელი 2/3-ით შეუმცირდება. უფრო მეტიც, მას დამატებითი სასჯელი არ დაეკისრება და ასევე არ დაევალება პროცესის ხარჯების ანაზღაურება. სასჯელს არ მოჰყვება ადმინისტრაციული ან სამოქალაქო შედეგები. ასეთი გარიგება დაიშვება როგორც წინასწარი გამოძიების, ისე სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე. გამონაკლის შემთხვევაში, იგი დაიშვება სააპელაციო სტადიაზეც. პრაქტიკაში ამგვარი პროცედურა მოწონებულ იქნა, მაგრამ საზოგადოების, განსაკუთრებით კი დაზარალებულთა უარყოფით რეაქციას იწვევს. ასევე, იტალიის პრაქტიკაში გამოიყენება გარიგება ისეთი დანაშაულის ჩადენისას, რომელიც ისჯება ჯარიმით, ბრალდებული წინასწარ გაფრთხილდება პროკურორის მიერ ან სისხლის სამართლებრივი ბრძანებით, რომ, თუ იგი გადაიხდის კანონით ფიქსირებულ თანხას, მის მიმართ დევნა შეწყდება. ამდენად, იტალიის რესპუბლიკის სისხლის სამართალწარმოების სიტემაში საპროცესო შეთანხმების და მოწმეთა დაცვის პროგრამის არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ის ხელს უწყობს, პირველწყაროდან დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას და მოწმეთა მიერ მიცემული უმნიშვნელოვანესი ჩვენებების საფუძელზე, შესაძლებელს ხდის ორგანიზებული დანაშაულებრივი სისტემის სხვა წევრების დაპატიმრებას. დასკვნის სახით შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს საპროცესო შეთანხმების უმნიშვნელოვანესი როლი იტალიაში ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

**რუსეთის ფედერაცია** - რუსეთის ფედერაციის საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ინტიტუტი ძალაში შევიდა 2009 წლის 14 ივლისს. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით, რუსეთის ფედერაცია შეუერთდა იმ ქვეყნების კატეგორიას, სადაც საპროცესო შეთანხმების დადება შესაძლებელია. შუამდგომლობა შეთანხმების მიღწევის შესახებ, სასამართლო განხილვამდე, პროკურორის სახელზე წერილობით უნდა წარმოადგინოს ბრალდებულმა ან ექვმიტანილმა, შუამდგომლობას ასევე ხელს უნდა აწერდეს დამცველი. ექვმიტანილს ან ბრალდებულს უფლება აქვს შეთანხმების შესახებ შუამდგომლობა სასამართლო განხილვამდე წარმოადგინოს ნებისმიერ დროს, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან წინასწარი გამოძიების დამთავრებამდე. შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს: რა მოქმედებებს განახორციელებს ექვმიტანილი/ბრალდებული დანაშაულის გახსნისათვის, დანაშაულის სხვა თანამონაწილეთა გამოვლენისათვის, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების დაბრუნებისათვის. თუმცა, გამოძიების ორგანოებს უფლება აქვთ უარი განაცხადონ საპროცესო შეთანხმების დადებაზე. ასეთ შემთხვევაში, წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე გაგრძელდება ჩვეულებრივი წესით. საპროცესო შეთანხმების შესახებ წერილობითი დოკუმენტი, სისხლის სამართლის საქმის მასალებთან ერთად, უნდა წარედგინოს სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება. თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ შეთანხმება დადებულია

კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, იგი უარს განაცხადებს შეთანხმების დამტკიცებაზე და საქმის განხილვას განაგრძობს საერთო წესით. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ექვმიტანილის/ბრალდებულის მხრიდან გამოძიებასთან თანამშრომლობა შემოიფარლება დანაშაულში მხოლოდ საკუთარი მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით, ეს გარემოება სასამართლოსათვის არ წარმოადგენს საქმის გამარტივებული წესით განხილვის საფუძველს. შესაბამისად, ივარაუდება, რომ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არაპირდაპირ მიუთითებს, რომ სასამართლო განხილვამდე, თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ჯგუფური დანაშაულის შემთხვევაში. ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზემოთხსენებული ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო პრაქტიკაში, გარიგებათა გამოყენების თვალსაზრისით, აღინიშნება შემდეგი თავისებურებანი: 1. ამ ქვეყნებისათვის ცნობილია გარიგების რამდენიმე სპეციფიკური სახე; 2. გარიგებები ხდება ძირითადად არაფორმალურად, დადგენილი სამართლებრივი ნორმების რეგულირების გარეთ და აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ ხსენებულ ქვეყანაში გარიგებები ხდება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ჩადენისას, რომელთათვისაც კანონით დაწესებული სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას, განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობისაგან, რომელიც საპროცესო შეთანხმების დადების დროს არ ითვალისწინებს დანაშაულის კატეგორიას. 3. გარიგების შედეგად, უმეტეს შემთხვევაში, შეიძლება დადგეს არა განაჩენი არსებითი განხილვის გარეშე, არამედ საქმე ფორმალურად წყდება მხოლოდ ბრალდებულის მიერ რიგ ვალდებულებათა შესრულების პირობით, რაც გამოიხატება თანხის გადახდით, მიყენებული ზიანის ანაზღაურებით და სხვ. 4. გარიგებათა წარმოებისას შეინიშნება ევროპის ქვეყნების ტენდენცია დაზარალებული მხარის ინტერესების პატივისცემისა და მათი მხდევლობაში მიღების თვალსაზრისით.

**საპროცესო შეთანხმების სტატისტიკა საქართველოში** - საპროცესო შეთანხმება, მისი შემოღების დღიდან, სულ უფრო ხშირად გამოიყენება საქართველოში. საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, რასაც ოფიციალური სტატისტიკაც ადასტურებს. უზენაესი სასამართლოს მონაცემებით: 2005 წელს საპროცესო შეთანხმებით 932 საქმეზე იქნა გამოტანილი განაჩენი, 2006 წელს – 3791-ზე, 2007 წელს 8432-ზე, 2008 წელს – 9207-ზე, 2009 წელს 9073-ზე, 2010 წელს- 13345, 2011 წელს – 12718 საქმეზე.



ასევე, აღსანიშნავია სასამართლოს უარი საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე. სასამართლომ უარი თქვა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე 2006 წელს -10, 2007 წელს 15, 2008 წელს – 15, 2009 წელს 17, 2010 წელს – 19, 2011 წელს – 6 საქმეზე.

როგორც სტატისტიკურმა მონაცემებმა აჩვენა, საპროცესო შეთანხმებით დასრულებულ საქმეთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ამავდროულად, აღსანიშნავია ისიც, რომ საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის სტატისტიკა ძალზე დაბალია. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს მოსამართლეთა 99% აკმაყოფილებს პროკურორის შუამდგომლობას საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამტანის თაობაზე, ანუ არ ხდება გარკვევა, არსებობს თუ არა საკმარისი მტკიცებულებები იმისათვის, რომ ადამიანს დაუმტკიცდეს დანაშაული. მოსამართლეები შემოიფარგლებიან ბრალდებულისადმი მხოლოდ ზოგადი ხასიათის კითხვების დასმით, როგორცაა „ხომ არ ჰქონია ადგილი საპროცესო შეთანხმების დადების დროს მუქარას, იძულებას, შანტაჟს“ და ა.შ. რეალურად, მოსამართლეები ამ შეკითხვაზე მიღებულ დადებით პასუხს ეყრდნობიან. მიმაჩნია, რომ ეს საკითხი დამატებით კვლევასა და ანალიზს საჭიროებს, რასაც აუცილებლად სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა, რათა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტმა უფრო გამჭვირვალედ იმუშაოს და ამაღლდეს მის მიმართ ნდობა საზოგადოებაში.

## დასკვნა

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილ იქნა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში. შევეცადე განმეხილა საპროცესო შეთანხმების ცალკეული პროცესუალური ასპექტები და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სრულყოფის მიზნით შემომეთავაზებინა მთელი რიგი მოსაზრებები, კერძოდ: იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბრალდებულის სასჯელისაგან გათავისუფლება წარმოადგენს მასტიმულირებელ ნორმას, აღნიშნული შეიძლება გაზიარებულ იქნას, მაგრამ არ შეიძლება ის შევადაროთ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას, რადგან საპროცესო შეთანხმების დროს პირი თავისუფლდება სასჯელისგან, ხოლო დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დროს - სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ ამ პირს არა აქვს ჩადენილი სხვა დანაშაული.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის მუხლებში, „საპროცესო შეთანხმების“ ინსტიტუტის შემოღებამდე, სიტყვა „შეთანხმებასთან“ ერთად, „გარიგებაც“ გამოიყენებოდა. შემდგომ „გარიგება“ ამოღებულ იქნა და ის მთლიანად ჩანაცვლდა „შეთანხმებით“, რაც, ჩემი აზრით, სწორია, რადგან ბრალდებულს, დამცველსა და პროკურორს შორის იდება წერილობითი შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე. სიტყვა „შეთანხმებას“ ამ შემთხვევაში ზუსტი დატვირთვა გააჩნია და ზუსტად მიუთითებს საპროცესო შეთანხმების მიზნებსა და ამოცანებზე.

როგორც აღვნიშნე, საპროცესო შეთანხმება არამხოლოდ მართლმსაჯულების დაჩქარების შესაძლებლობას იძლევა, არამედ ორგანიზებული და კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაცაა. აქ იგულისხმება ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება, როდესაც ბრალდებული ასახელებს თანამდებობის

პირებს, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენთ. ვფიქრობ, აღნიშნული გარემოების ჩადება საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტში სწორია, რადგან ამის მეშვეობით გაიხსნება ბევრი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. შეთანხმების ინსტიტუტთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, კერძოდ: შესაძლებელია თუ არა ბრალზე ან სასჯელზე შეთანხმება გამოყენებულ იქნეს არასრულწლოვანის ან იმ პირის მიმართ, რომელსაც არა აქვს შესაძლებლობა თვითონ განახორციელოს დაცვა. ჩემი აზრით, არასრულწლოვანის შემთხვევაში ეს გამართლებულია, რადგან არასრულწლოვანი უზრულველყოფილია უფლებით, განახორციელოს დაცვა კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით. მას შეუძლია გააცნობიეროს მისთვის წარდგენილი ბრალდება, რასაც ვერ ვიტყვით ფიზიკური და ფსიქიკური ნაკლის მქონე პირებზე, რადგან მათ მოშლილი აქვთ ინტელექტუალური უნარები, ადეკვატურად ვერ აცნობიერებენ მომხდარს, რის გამოც, ვფიქრობ, რომ მათ მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები უნდა იქნეს გამოყენებული. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტზე საუბრისას არ შეიძლება, არ ვისაუბროთ დაზარალებულზე. პროკურორი ვალდებულია გაიაროს კონსულტაცია დაზარალებულთან და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ. ამ შემთხვევაში გაუგებარია, რა იგულისხმება სიტყვა კონსულტაციაში, რა სამართლებრივი მიზანი აქვს მას და რისი გადაწყვეტა შეუძლია. კანონმდებელი დაზარალებულს მხოლოდ სამოქალაქო სარჩელის შეტანის უფლებას უტოვებს. რაც შეეხება ჯარიმის ოდენობას, საპროცესო შეთანხმების დადების დროს ის კანონმდებლობით დარეგულირებული არ არის. აქ საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ ჯარიმის მინიმალური ოდენობა შეადგენს 2000 ლარს. ჯარიმის ოდენობას განსაზღვრავს პროკურატურა თავისი შეხედულებისამებრ. ვფიქრობ, რომ აღნიშნული არასწორია. საპროცესო შეთანხმების დადების დროს კონკრეტულ დანაშაულთან მიმართებაში უნდა მოხდეს ზიანის შეფასება კომპეტენტური ექსპერტის დასკვნით, რადგან ერთი და იგივე შემადგენლობის დანაშაულზე შესაძლებელია დაწესდეს ჯარიმის განსხვავებული ოდენობა. აღნიშნულის შეფასება ექსპერტების მიერ, ვფიქრობ, უფრო კანონიერი იქნება და საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი არ იქნება მიჩნეული ბიუჯეტის შევსების წყაროდ საზოგადოების მხრიდან. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი ახალია საქართველოს კანონმდებლობისთვის, რის გამოც ჯერ კიდევ სრულად არ არის აღმოფხვრილი მისი თანმხლები ნაკლოვანებები. ამიტომ, ვფიქრობ, უნდა გაგრძელდეს საგამომიებო-სასამართლო პრაქტიკის განზოგადება და მეცნიერული კვლევები მასთან დაკავშირებით, რათა სისტემამ უფრო ეფექტურად და კონსტიტუციის ფარგლებში იმუშაოს. აღნიშნული საჭიროებს კიდევ უფრო ღრმად შესწავლას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის პრობლემები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სამართლებრივი და პრაქტიკული კუთხით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია. 1995. თბილისი.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 1999. თბილისი.
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2012. თბილისი .
4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია 1950 წლის 4 ნოემბერი.
5. კანადის სამართლის სარეფორმო კომისია. 1989. „დისკუსიები და შეთანხმებები დასაცავი სიტყვის გარშემო, სამუშაო დოკუმენტი #60.

6. მანაგაძე მ., საპროცესო შეთანხმება საზღვარგარეთ და საქართველოში. *მართლმსაჯულება და კანონი* #1, 2010.
7. გვენეტაძე ნ., ტურავა მ. 2006. *სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია*, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია.
8. „გზამკვლევი“ საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. 2010. თბილისი.
9. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები - ABA. 1993. თბილისი.
10. პრადელი ჟ. 1999. „შედარებითი სისხლის სამართალი“. თბილისი.
11. შუმანაშვილი ა. 1999. „უდანაშაულობის პრეზუმფცია“ წიგნში *მხოლოდ კანონიერება და სამართლიანობა*. თბილისი: ორიონი.
12. [http://www.osgf.ge/files/publications/2010/Plea Bargaining in Georgia - Negotiated Justice - GEO \(2\).pdf](http://www.osgf.ge/files/publications/2010/Plea_Bargaining_in_Georgia_-_Negotiated_Justice_-_GEO_(2).pdf)
13. [http://www.juridicainternational.eu/public/pdf/ji\\_2004\\_1\\_116.pdf](http://www.juridicainternational.eu/public/pdf/ji_2004_1_116.pdf)
14. <http://www.supremecourt.ge/2011-year-statistic/> -უზენაესი სასამართლოს 2011 წლის სტატისტიკა
15. <http://www.loc.gov/rr/program/bib/ourdocs/billofrights.html>-აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკა

***Ketevan Kenia***

*Grigol Robakidze University School of Law  
Master's Programme Student*

## **Rights and Responsibilities of Spouses: Legal Institute of Property**

### **Summary**

The article “Rights and Responsibilities of Spouses: Legal Institute of Property” discusses the topical problem of modern Georgia.

The article deals with individual rights and responsibilities of spouses - a set of objective rights of spouses in marriage. When determining the personal (and property) rights of husband and wife, family law is based on the principle of equality of spouses. The law gives spouses the possibility of personal will and mutual consent.

The author analyzes the legal regime of marital property.

Each spouse has the right to ownership of all property - allocation of shares only if the division of property. Each spouse is entitled to the property no matter what was his/her income when the property was acquired.

Spouses have the right to dispose the common property by mutual consent, but only a certain type of property requires notarial consent of the other spouse. If one spouse makes the sale of the common property without the consent of the other party, the court's decision about transaction may be invalidated. A lawsuit may be filed within one year after the transaction.

One of the chapters of the Family Law, an important part of the Civil Code of Georgia, sets out co-ownership of the spouses, i.e. the movable and immovable property they acquired during their marriage. Also, the Code specifies what property does not fall into the category of co-ownership and the part the nuptial contract plays in the division of property after divorce.

In the course of human history, property rights and obligations of the spouses were determined. To a certain extent, the Roman law governed proprietary issues of spouses. Initially, the husband was a domineering figure to whom the wife was subordinated. Afterwards, owing to dowry, more equality established between the spouses. The dowry preconditioned assertion of the wife's property rights in terms of gifts which became her property, her inheritance and personal property. As to legal relationships in the family, the Civil Code of Georgia grants the spouses equal rights to co-owned property.

**Keywords:** Civil Law; Family law; Spouse; Property.

*ქეთევან ყენია  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
სამართლის სკოლა  
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი*

## მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების სამართლებრივი ინსტიტუტი

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია მეუღლეთა უფლება-მოვალეობების სამართლებრივი საკითხები, ასევე, მათი რეგულირების მეთოდები და ასპექტები, განსხვავებული ქვეყნების მაგალითები. აღწერილია მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების ჩამოყალიბების სტადიები.

**საძიებო სიტყვები:** მეუღლეები; ქონება; საოჯახო სამართალი; თანასაკუთრება.

**შესავალი**

ოჯახის შექმნა მეტად საპასუხისმგებლო ნაბიჯია როგორც ქალის, ისე მამაკაცისთვის. მათი ერთობა უნდა ემყარებოდეს მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას და ნებაყოფლობას.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, თუ რა ქონება შეადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას, უნდა დავიმახსოვროთ ერთი მარტივი პრინციპი: მეუღლეთა თანასაკუთრება (საერთო ქონება) არის ის ქონება (როგორც მოძრავი, ისე უძრავი), რომელიც მათ ქორწინებაში ყოფნის მანძილზე შეიძინეს. ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშვება მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს, ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი [3].

გასათვალისწინებელია, რომ მეუღლეთა თანასაკუთრებას არ წარმოადგენს მეუღლეების მიერ ქორწინებამდე შეძენილი ქონება, ასევე ქორწინების პერიოდში მეუღლეების მიერ ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონება.

ქონება, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს, განქორწინების შემთვევაში იყოფა თანაბარწილად, მაგრამ, მხედველობაშია მისაღები საქორწინო კონტრაქტის არსებობა, რომელშიც შეიძლება განსაზღვრული იყოს ზემოხსენებულისგან სრულიად განსხვავებული პირობები მეუღლეთა თანასაკუთრებასთან და განქორწინების შემთვევაში ქონების გაყოფასთან დაკავშირებით [3].

რაც შეეხება მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების განვითარების სტადიებს, ანუ ისტორიულ თანმიმდევრობას, ძალიან საინტერესეოა, თუ როგორ ვითარდებოდა მეღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობები რომის სამართლიდან დღემდე. თავდაპირველად, ქორწინების შედეგად ქალი და მისი ბავშვები მამაკაცის დაქვემდებარებაში ექცეოდნენ. ქმრის ძალაუფლება ძველი რომაული სამართლით განუსაზღვრელი იყო. მას ცოლის ფიზიკური განადგურების უფლებაც კი ჰქონდა. მოგვიანებით ეს უფლებები თანდათან შეიზღუდა და დაიხვეწა. მას შემდეგ, რაც ცოლი შედიოდა ქმრის ოჯახში, იგი ქმრის ძალაუფლებას აღიარებდა, ქალი მოკლებული იყო პირად უფლებებს და ამ უფლებების განხორციელების საშუალებას. ცოლის ქონება ქმრის ქონება ხდებოდა [1;2].

კლასიკური რომის სამართალი შედარებით განსხვავდება ძველ რომში არსებული სამართლისაგან, თუმცა, მიუხედავად ამისა, ცოლი და ქმარი მაინც არ არიან თანაბარუფლებიანები, თუნდაც ქონებრივი ურთიერთობის სფეროში.

მოგვიანებით, რომში თავისუფალი ქორწინების წარმოშობის შემდეგ, გადაიდგა ნაბიჯი მამაკაცისა და ქალის უფლებების გათანაბრებისკენ, რაც გამოიხატებოდა მზითვის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში. თუმცა, ეს არასაკმარისად მიიჩნიეს და მზითვის ნაცვლად, რომელიც ქმრის ხელში გადადიოდა, ცოლი მეუღლისგან ღებულობდა საქორწინო საჩუქარს. შემდგომში საქორწინო საჩუქარი თავისებურ ხელშეკრულებად ჩამოყალიბდა [1;2].

VI საუკუნისთვის, როგორც პატარძლის მამას ევალეობდა შვილისთვის მზითვის მიცემა, ზუსტად ასევე საქმროს მამაც ვალდებული იყო რძლისთვის საჩუქარი გაეკეთებინა. საქორწინო საჩუქარზე საკუთრების უფლება ცოლს ეკუთვნოდა.



IX-X საუკუნეებში, სამცხეში, როგორც ამას “სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებიდან” ვგებულობთ, წარჩინებულთა წრეში ქალს მშობლების ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება ჰქონდა. შემდგომ, უკვე დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის მიხედვით, ცხადი ხდება, რომ ქალის ინტერესები კანონით იყო დაცული და მისი პირადი ქონება ხელშეუხებელი იყო [2].

როგორც ფეოდალურ ევროპაში, ისე საქართველოში მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობა ნელა იცვლებოდა. გიორგი ბრწყინვალის “მეგლისდების” თანახმად, საოჯახო ქონებაში ქალს სრული წილი არ გააჩნდა, თუმცა, განსხვავებული სურათია ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნში, რომლის მიხედვითაც, მზითვი, რომელიც მოძრავი ქონების სახით ჰქონდა ქალს მშობლების ოჯახიდან წაღებული, მისი უპირობო, ხელშეუხებელი საკუთრება იყო. რაც შეეხება უძრავ ქონებას, ანუ მამულს, თუ ქალი თავისი ნებით დატოვებდა ქმრის ოჯახს, მისი ნაშთითევი მამული ქალის მშობლების საკუთრებაში ბრუნდებოდა [2].

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ XIII-XVIII საუკუნეების საქართველოში მეუღლეთა პირად და ქონებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგლამენტაცია გარკვეულ ცივილიზებულ ჩარჩოებშია მოქცეული. ქალი, როგორც მეუღლე, არ წარმოადგენს ობიექტს, იგი თვითონვეა სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი [2].

დღევანდელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1159-ე მუხლის თანახმად, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები, ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით. ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს რომელიმე მეუღლის, როგორც მესაკუთრის უფლებამოსილებათა რაიმე ფორმით შეზღუდვას, ბათილად უნდა ჩაითვალოს, რადგან ეწინააღმდეგება კანონის იმპერიულ დებულებას მეუღლეთა უფლებების თანაბრობის შესახებ.

აღნიშნულიდან ჩანს, რომ საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსი ზედმიწევნით არეგულირებს იმ საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებს, რომლებიც მეუღლეთა შორის წარმოიშობა [3;4].

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია და ამავე დროს საინტერესო, გავარკვიოთ, თუ როგორ რეგულირდება შესაბამისი პრობლემა უცხო ქვეყნებში. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ რუსეთის, შვეიცარიისა და მისულმანური ქვეყნების კანონმდებლობა.

რუსეთის ფედერაციის საოჯახო კოდექსის 24-ე მუხლში ჩამოთვლილია ცოლ-ქმრის საერთო ქონების ძირითადი სახეობები. ესენია:

- 1) ძირითადი შემოსავლები - ცოლის ან ქმრის შემოსავალი (ხელფასი, შემოსავლები კომერციული საქმიანობიდან, პენსორარები, პენსიები, ფულადი დახმარებები და სხვ);
- 2) მოძრავი და უძრავი ნივთები, რომლებიც შეძენილია მეუღლეთა საერთო შემოსავლების ხარჯზე;
- 3) ფასიანი ქაღალდები (აქციები, ობლიგაციები და სხვ);

4) ნებისმიერი სხვა ქონება, რომელიც შეძენილ იქნა ცოლქმრობის პერიოდში.

აღნიშნული ქონება ითვლება საერთო საკუთრებად, მიუხედავად იმისა, შეძენილია იგი ორივეს სახელზე თუ მხოლოდ ერთის. აგრეთვე, არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ვის სახელზეა ქონება დარეგისტრირებული [8].

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, 1158-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა საკუთრებაში არსებული ქონება შეიძლება სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმის იყოს. საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად: ინდივიდუალურ და საერთო საკუთრებად. ინდივიდუალურია ისეთი, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის და თვითონვე განკარგავს. ასეთია ქორწინებამდელი და ქორწინების პერიოდში მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონება, პირადი მოხმარებისათვის შეძენილი ნივთები და სხვ. მეუღლეთა საერთო საკუთრებაა მათ მიერ ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება, რომელსაც განეკუთვნება მეუღლეთა ერთობლივი მოხმარების საგნები და ფულადი დანაზოგი მისი მიღების წყაროს მიუხედავად. თანაზიარი საკუთრება მეუღლეებს ეკუთვნით თანაბრად, წილთა განუსაზღვრელად და გამოიყენება საერთო ინტერესებიდან გამომდინარე [3].

საინტერესო პარალელი შეიძლება გავავლოთ რუსეთის ფედერაციის საოჯახო კოდექსის 24-ე მუხლის “ბ” პუნქტსა და სსკ-ის 1162-ე მუხლს შორის, სადაც ნათლად არის აღნიშნული, რომ მეუღლეთა საერთო ქონებას წარმოადგენს მოძრავი და უძრავი ნივთები, რომლებიც შეძენილია მეუღლეთა საერთო შემოსავლების ხარჯზე, თუმცა, სსკ-ის 1162-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა საერთო სახსრებით შეძენილი ყველა ქონება არ ითვლება მათ თანასაკუთრებად, რაც ნიშნავს, რომ, მართალია, ქონება შეძენილია მეუღლეთა საერთო სახსრებით, თუმცა, განკუთვნილია ერთ-ერთი მათგანის ინდივიდუალური სარგებლობისათვის. ამგვარი ქონება აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ინდივიდუალურ საკუთრებად გარდა ძვირფასეულობისა [8].

რუსეთის ფედერაციის საოჯახო კოდექსის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გარიგებები საერთო ქონების განკარგვასთან დაკავშირებით მეუღლეებს შეუძლიათ მოახდინონ არა მხოლოდ ერთობლივად, არამედ ცალ-ცალკე. ამ შემთხვევაში ცოლის ან ქმრის თანხმობა იგულისხმება და ამას მინდობილობა არ სჭირდება. ამიტომ ის გარიგება, რომელიც დაიდო ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორის თანხმობის გარეშე, სასამართლომ შეიძლება ბათილად ცნოს მეორე მეუღლის მოთხოვნით იმ შემთხვევაში თუ დამტკიცდება, რომ გარიგებაში შესულმა მეორე მხარემ იცოდა, ან უნდა სცოდნოდა მეუღლის წინააღმდეგობის შესახებ აღნიშნულის მიმართ [8].

განსხავებული ვითარება გვაქვს სსკ-ის 1160-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის მიხედვით მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით, ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ მან არ იცოდა გარიგების შესახებ, ან ის არ ეთანხმებოდა გარიგებას [3].

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ორი ქვეყნის სასამართლო სისტემა ბათილობის ინსტიტუტს სხვადასხვა მნიშვნელობით იყენებს.

რაც შეეხება შვეიცარიის მაგალითს, აქ საქართველოსა და რუსეთისგან სრულიად განსხვავებულ სამართლებრივ რეგულირებას აქვს ადგილი. არსებობს მხოლოდ სამი რეჟიმი, რომელთაგან მხოლოდ ერთის შეტანა შეიძლება საქორწინო ხელშეკრულებაში:

- 1) La Participation Aux Axquets- ეს არის რეჟიმი, რომლის დროსაც ქონება, რომელიც შეძენილია მეუღლეთა თანაცხოვრების მანძილზე, ითვლება საერთო ქონებად, ხოლო განქორწინების შემთხვევაში ეს ქონება იყოფა თანაბრად. ის საკუთრება კი, რომელიც მეუღლეებს გააჩნდათ, გაყოფას არ ექვემდებარება.
- 2) La Communauté De Biens- ეს არის რეჟიმი, რომლის დროსაც მეუღლეთა ქონება ერთიანდება. აქ შესაძლებელია სამი შემთხვევა: საერთო ხდება ან ქმრის, ან ცოლის, ან ორივეს ქონება. აღნიშნული განისაზღვრება საქორწინო ხელშეკრულებაში და განქორწინების შემთხვევაში იგი იყოფა თანაბრად მეუღლეებს შორის.
- 3) La Séparation De Biens- ეს არის ქონების ცალ-ცალკე ფლობის რეჟიმი. რაც ნიშნავს, რომ თითოეული მეუღლე ინარჩუნებს საკუთრების უფლებას კუთვნილ ქონებაზე როგორც ქორწინების დროს, ისე განქორწინების შემთხვევაში [9].

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აღნიშნული სამი რეჟიმიდან მხოლოდ ერთი უნდა იყოს დაფიქსირებული საქორწინო ხელშეკრულებაში.

რაც შეეხება მუსლიმანური ქვეყნების მაგალითს, შარიათის ნორმების მიხედვით, მამაკაცს და ქალს ერთიანი საკუთრება არ შეიძლება გააჩნდეთ, ამიტომაც, რაიმე სახის უთანხმოება ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით მუსლიმანურ სამართალში ძალზე იშვიათია [9].

ყველა მოვალეობას ოჯახის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით კისრულობს ქმარი. რაც შეეხება ქალს, იგი არ არის ვალდებული უზრუნველყოს ოჯახი, მას უფლება აქვს განკარგოს ქონება თავისი შეხედულებისამებრ. მამაკაცის ზემოაღნიშნული ვალდებულება შეტანილია ყურანში. თანხა, რასაც ქმარი გაიღებს ცოლის უზრუნველსაყოფად, დამოკიდებულია ქმრის შემოსავალზე. ცოლს აქვს უფლება, მოითხოვოს ქმრისაგან შემოსავალი სასამართლოს წესით მაშინაც კი, როდესაც მას გააჩნია საკუთარი ხელფასი, ხოლო, თუ ქმარი ვერ უზრუნველყოფს ცოლს, ამ უკანასკნელს უფლება აქვს მოითხოვოს განქორწინება. ასეთ შემთხვევაში სასამართლო დაავალდებულებს ქმარს გადაუხადოს ცოლს დადგენილი ფულადი თანხა. აღნიშნული გარემოება ეხება მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც ცოლი ასრულებს ქმრის კანონიერ მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქმარს შეუძლია აღუკვეთოს ცოლს მატერიალური უზრუნველყოფა. გარდა იმისა, რომ ქმარი „ინახავს“ ცოლს, განქორწინებისას იგი ვალდებულია მას გარკვეული საზღაური (მიხრი) გადაუხადოს, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ორივე მხარის მიერ ქორწინებამდე ან ქორწინების განმავლობაში [9].

აღნიშნული საზღაური შეიძლება იყოს როგორც ფულადი თანხა, ასევე ნებისმიერი ნივთი, რომელსაც გააჩნია ფასეულობა და თვისება დააკმაყოფილოს ადამიანის რომელიმე მოთხოვნილება. ამ ნივთის გამოყენება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შარიათის ნორმებს, “მიხრის” ოდენობა აღინიშნება ან საქორწინო ხელშეკრულებაში, ან სპეციალურ შეთანხმებაში. “მიხრის” ძირითად აზრი მდგომარეობს იმაში, რომ იგი განამტკიცებს ცოლქმრულ ურთიერთობას.

რაც შეეხება მრავალცოლიანობას, კაცი ვალდებულია რომ უზრუნველყოს ყველა ცოლი თანაბრად, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ამ თანასწორობას ვერ დაიცავს, მაშინ მისთვის რეკომენდებული იქნება მხოლოდ ერთი ცოლის ყოლა. აღნიშნული განმტკიცებულია ყურანში [9].

მნიშვნელოვანია განქორწინების საკითხი. სასურველია, რომ ქმარი ცოლს ჩუქნიდეს დიდი რაოდენობით ოქროს, რომელსაც ცოლი სულ თან ატარებს, ამგვარი მოთხოვნა ეფუძნება იმას, რომ მუსულმანური ქვეყნების უმრავლესობაში მოქმედებს “სასწრაფოდ განქორწინების” წესი. მას შემდეგ, რაც ქმარი წარმოთქვამს გაყრის მიმანიშნებელ სიტყვას, ცოლი ვალდებულია დატოვოს სახლი დაუყოვნებლივ, ისე, რომ მას არ აქვს უფლება, წაიღოს რაიმე სახლის ქონებიდან. იგი მიდის ქმრისგან მხოლოდ იმით, რაც აცვია. სწორედ აღნიშნული გარემოება განაპირობებს, რომ ქალს თან დააქვს მთელი ოქრო, რაც გააჩნია და ხშირად ოქროს წონა ათ კილოგრამსაც კი აღემატება. იმ შემთხვევაში თუ ცოლი მუშაობს და გააჩნია საკუთარი შემოსავალი, მას აქვს უფლება წაიღოს იგი ისე, რომ არ ჰკითხოს ქმარს. ყველა სხვა შემთხვევაში ქმარი ვალდებულია განქორწინებისას გადაუხადოს ცოლს “მიხრის” ნახევარი.

ზემოხსენებულმა ფაქტორებმა განაპირობა ის, რომ ქალები ქორწინებიდან რამდენიმე თვეში ითხოვდნენ განქორწინებას, ხოლო სასამართლო ვალდებული იყო მათი ქონებრივი მოთხოვნილებები დაეკმაყოფილებინა. როგორც ჩანს, მუსულმანური ქვეყნების სამართალი საგრძნობლივად განსხვავდება საქართველოში მოქმედი სამართლისაგან [9].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელია ყურადღების გარეშე დავტოვო და ორიოდ სიტყვით არ შევეხო იმ სამართლებრივ ინსტიტუტს, რასაც საქორწინო ხელშეკრულება ჰქვია. მართალია, დღევანდელ რეალობაში საქართველოში არც ისე გავრცელებულია საქორწინო კონტრაქტის დადების პრეცედენტი, თუმცა, საკითხი თანდათანობით აქტუალური ხდება. კანონი განსაზღვრავს იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რაც მეუღლეებს ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ. თუმცა, მათ უფლება აქვთ, როგორც დაქორწინებამდე, ისე ნებისმიერ დროს ქორწინების განმავლობაში დადონ საქორწინო ხელშეკრულება და მათი ქონებრივი უფლებები კანონისაგან განსხვავებულად დაარეგულირონ. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქორწინო ხელშეკრულებით მხოლოდ ქონებრივი უფლება-მოვალეობების განსაზღვრა ხდება. აგრეთვე, ყურადსაღებია ის გარემოება, რომ თუ კონტრაქტის მხარეები არიან დასაქორწინებელი პირები, მათ შეუძლიათ ქორწინების რეგისტრაციამდე რამდენჯერმე შეადგინონ და დადონ საქორწინო კონტრაქტი. ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან ძალაში შესულად ჩაითვლება მხოლოდ ის კონტრაქტი, რომელიც დადებული იყო ყველაზე ბოლოს. რაც შეეხება ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ დადებულ კონტრაქტს, იგი ავტომატურად შედის ძალაში მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე [1;6].

მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობების კანონით რეგულირების დროს არ არის გათვალისწინებული მათი უფლება-მოვალეობების შეზღუდვა. საქორწინო ხელშეკრულებით კი მათ შეუძლიათ თავიანთი ნების გამოვლენის საფუძველზე შეზღუდონ ისინი, ოღონდ ერთი პირობით, ყოველი ასეთი შემთხვევისთვის საერთო საფუძველებს განსაზღვრავს კანონი, მათი კონკრეტული რეალიზაცია კი თავად მეუღლეებზეა დამოკიდებული. კანონი ადგენს,

რომ საქორწინო ხელშეკრულებით შესაძლებელია მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების შეზღუდვა განსაზღვრული დროით ან რომელიმე პირობის დადგომით [1,6].

**დასკვნის** სახით შეიძლება ითქვას, რომ, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, მართალია, საქართველოში საქორწინო ხელშეკრულება ჯერ არ არის ფართოდ გავრცელებული (რაც, ალბათ, სამართლებრივი კულტურის ნაკლებად განვითარებაზე მეტყველებს), მაგრამ ახალი სამოქალაქო კოდექსი და მასში შესული მრავალი ცვლილება სამომავლოდ ქვეყნის მეტად განვითარებისა და წინსვლის სასარგებლოდ მეტყველებს.

მეუღლეთა შორის საოჯახო ურთიერთობების გაგრძელება და შემდგომ განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ მატერიალურ ბაზაზე, რაც საფუძვლად ედება ოჯახის შექმნას. მეუღლეებს თავიანთ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სჭირდებათ განსაზღვრული ქონება. ქონებრივია ყველა ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია მის განსაზღვრულ ოდენობასთან, მის მფლობელობასთან, სარგებლობასა და განკარგვასთან.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. მეტრეველი ვ. 2005. *რომის სამართალი*. თბილისი;
2. მეტრეველი ვ. 2005. *ქართული სამართლის ისტორია*. თბილისი;
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 2014. თბილისი;
4. საქართველოს სამოქალაქო საროცესო კოდექსი. 2012. თბილისი;
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეხუთე. 2000. თბილისი: “სამართალი”
6. თუმანიშვილი გ. 2010. *საქორწინო კონტრაქტი*. თბილისი: “უნივერსალი”
7. [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)
8. [www.bibliotekar.ru](http://www.bibliotekar.ru)
9. [www.geneve.kdmid.ru](http://www.geneve.kdmid.ru)

*Nana Arakishvili  
Grigol Robakidze University  
School of Law  
Master's Programme Student*

## **Diversion and Mediation**

### **Summary**

The article “Diversion and Mediation” discusses the topical problem of modern Georgia. This is an important step in the introduction of the Criminal Justice Policy Institute, a liberalization, resulting in

a possible criminal records, provided to reduce the number of convicts and prisoners, as well as the prosecutor and the court of the resources.

In the framework of Diversion and Mediation Program, the prosecutor has the discretionary authority upon the possibility of criminal liability to diverse persons who have committed a minor offense for the first time if they admit to commit a crime and are willing to pay damages and apologize to the victim.

After making a decision on diversion, the prosecutor contacts with the social worker and transfers it to the juvenile court. Social worker develops a minor biopsychosocial portrait which is determined on the basis of factors which have a positive impact on juvenile and contribute to its improvement. Then, under the mediation, which includes elements of restorative justice, the parties agree on the terms of the contract, including minor responsibilities and obligations.

The agreement was signed by the offender, prosecutors, social workers and the injured. According to the terms of the agreement, the offender will be given the provision of services and the victim or society - the realignment of responsibilities.

The program's main objective is to give a chance to a criminal, and to promote the establishment of a law-abiding person. In addition, the program aims to increase the level of satisfaction to victims and their involvement in activities in support of minors.

**Keywords:** Diversion; Mediation; Offender; Rehabilitation.

*ნანა არაყიშვილი  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
სამართლის სკოლა  
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი*

## მედიაცია და განრიდება

### რეზიუმე

აღნიშნულ სტატიაში საუბარია მედიაციასა და განრიდებაზე. განრიდება, ეს არის ჰუმანური საქმე, რომელიც ეხმარება არასრულწლოვანს, საზოგადოებას დაუბრუნდეს, როგორც სრულფასოვანი წევრი, ნასამართლობის გარეშე.

მედიაცია და განრიდება გავრცელებულია მრავალ განვითარებულ ქვეყანაში, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები, ევროპის არაერთი ქვეყანა. ის ხელს უწყობს მხარეების

ემოციურ შერიგებას, კონფლიქტის მოგვარებას და უკვე შემდგომ ისეთ გადაწყვეტილებამდე მისვლას, რაც ხელსაყრელი და მისაღებია მოდავე მხარეთათვის.

მედიაცია და განრიდება, უპირველეს ყოვლისა, ემოციური პროცესია, რომელიც არც ერთ მხარეს ტოვებს დაუკმაყოფილებელს და არც ერთი პატარა დეტალი რჩება სადაო.

მედიაცია და განრიდება, ეს არის ემოციური შერიგებისა და საუკეთესო გამოსავლის ძიების გზა, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, ფულისა და დროის ხარჯვის გარეშე.

**საძიებო სიტყვები :** მედიაცია; განრიდება; პროცესი; კვლევა მედიაციაზე.

## **შესავალი**

მედიაციის განვითარების ისტორია დაახლოებით 30 წლის წინ დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუმცა, არაერთ მეცნიერს გააჩნია მოსაზრება, რომ მედიაციის ძველი სახეობა 2600 წლის წინ გამოიყენებოდა და დღესდღეისობით, მედიაცია, რომელიც ასეა გავრცელებული მსოფლიოში, კარგად დავიწყებული და შემდგომ აღდგენილი ძველი ინსტიტუტია.

ბერძნულად medos მიუკერძოებელსა და ნეიტრალურს ნიშნავს , ხოლო ლათინური ზმნა mederi - გაჯანსაღებასა და გამოსწორებას. მოპოვებული წყაროების მიხედვით, მედიაციას ვხვდებით როგორც ანტიკურ საბერძნეთში, ისე ჩინეთში, ეგვიპტესა და ინგლისში.

მეცნიერების ნაწილი თვლის, რომ მედიაციის აკვანი სწორედ ევროპაა. თუმცა, 1898 წელს აშშ-ს კონგრესმა პირველად შექმნა მედიაციის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები. ამერიკული მედიაციის განვითარებისათვის ისტორიული მნიშვნელობის მქონედ ითვლება ჰარვარდის პროფესორის Frank E. Sander მოხსენება, რომელიც დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას შეეხებოდა და რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა უკვე განმტკიცებული სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელსაც მედიაცია ეწოდა. ამის შემდეგ, 1976 წელს აშშ-ს მოსამართლეების, ადვოკატებისა და აკადემიური წრეების მონაწილეობით ჩატარდა ფართომასშტაბიანი კონფერენცია, რომელზეც აღიარებულ იქნა გადატვირთული სასამართლოს გათავისუფლება მედიაციის გამოყენებით.

980-იან წლებში მედიაცია უკვე განიმარტებოდა, როგორც მესამე პირის ანუ პროფესიონალი მედიატორის დახმარება მოდავე მხარეებისადმი, რომელთაც სურთ მათ შორის არსებული დავა შეთანხმებით დაასრულონ.

სწორედ მედიაციის არსიდან წარმოიშვა მოსაზრება საფრანგეთში 1979 წელს იმის შესახებ, რომ კარგი იურისტი სიამოვნებას უნდა ღებულობდეს არა სასამართლოში საქმის მოგებით, არამედ მხარეთა მორიგებით.

1990 წელს მედიაციის აღმავლობის პერიოდად მიიჩნევენ. ბრიტანულ და ევროპულ სამართალში მას უფრო და უფრო ხშირად მიმართავდნენ, თუმცა, აშშ, ამ მხრივ, მინიმუმ, 10 წლით მაინც უსწრებდა წინ ევროპას.

იურიდიულ პრაქტიკაში მედიაციას თავდაპირველად სამართლის ხელოვნურ ნაყოფსაც უწოდებდნენ, თუმცა, შემდგომ ის ჩამოყალიბდა როგორც მეცნიერება, როგორც დავების გადაწყვეტის ერთ-ერთი ალტერნატიული საშუალება [1].

### რა არის მედიაცია და განრიდება?

მედიაცია, ეს არის მხარეთა თავისუფალ ნებაზე დაფუძნებული პროცედურა, რომლის დროსაც დავის საბოლოოდ გადაწყვეტის უფლების არმქონე მედიატორი სისტემატურად უწყობს ხელს მხარეთა შორის კომუნიკაციას, რათა შესაძლებელი გახადოს მოდავეებს შორის დამყარებული შეთანხმების მიღწევა. [1] მედიაციას ხშირად ახასიათებენ, როგორც კონფლიქტის მენეჯმენტისა და მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის საუკეთესო შესაძლებლობას. მედიაციის მიზანია [1]:

კონკრეტული კონფლიქტის სწრაფად და საბოლოოდ მოგვარება, ასევე

1. შედარებით სუსტი მხარის ინტერესების გათვალისწინება და კონფლიქტის ორივე მხარის სასარგებლოდ დასრულება;
2. მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობით კონფლიქტის გადაწყვეტის გზების ძიება და სამომავლო პერსპექტივების გათვალისწინებით გადაწყვეტილების მიღება;
3. დავის გადაწყვეტა მშვიდობიანი და არაკონფლიქტური გზებით, რაც ხელს უწყობს მხარეთა შორის ურთიერთობის გამყარებას;
4. ერთი კონკრეტული კონფლიქტის მოგვარებას შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს ზოგადად საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარებაში.

მედიაციისას, მხარეები ზოგავენ უდიდეს დროს, რაც სასამართლო პროცესის გარდაუვალი თანმდევი. დროის გარდა, მხარეები, ასევე, ზოგავენ ფულს. ყველა ქვეყანაში, სასამართლო განხილვა ყოველთვის დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მედიაციის პროცესი, სასამართლოსთან შედარებით, ყოველთვის ხელმისაწვდომია. მედიაციის უდიდეს უპირატესობად მიიჩნევა მხარეების შერიგება, რაც, თითქმის, გამორიცხავს შემდგომი დავის წარმოშობას, მაშინ როდესაც, მოსამართლის მიერ სავალდებულო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მხარეები ერთმანეთთან ისევ დაპირისპირებული რჩებიან და, უბრალოდ, ვალდებული არიან დაემორჩილონ მის გადაწყვეტილებას. პიროვნებათაშორისი კონფლიქტი ამით არ სრულდება, უფრო მეტიც, ამან შეიძლება უფრო მასშტაბური და სერიოზული კონფლიქტი წარმოშვას. მედიაცია კი არიგებს მხარეებს და მათივე ნება-სურვილითვე ხდება დავის მოგვარება.

მედიაცია ემყარება 5 ძირითად პრინციპს, ესენია:

1. კონფიდენციალობა;
2. ნებაყოფლობა;
3. ნეიტრალობა;
4. გადაწყვეტის გზის უნიკალობა;
5. ორიგინალურობა.

მომრიგებელი მედიატორი ვალდებულია დაიცვას მედიაციის ეს 5 ძირითადი პრინციპი. სწორედ მას ევალება, მხარეებმა თავი დაკმაყოფილებულად იგრძნონ და არც ერთ მათგანს ჰქონდეს „მოგების“ თუ „წაგების“ შეგრძნება. მედიატორმა უნდა დაიმსახუროს მხარეების



ნდობა და სიმპათია, რათა ისინი ბოლომდე გაიხსნან მასთან, რაც დავის გადაწყვეტის უპირველესი ხელშემწყობი პირობაა. მედიატორი ვალდებულია მედიაციის პროცესში მიღებული ინფორმაცია არ გაამჟღავნოს არსად. მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მედიაცია ნებაყოფლობითი პროცესია და მხარეებს ის შედეგი უნდა მისცეს, რომელსაც მისგან, როგორც დავის გადაწყვეტის ამ ალტერნატიული საშუალებისგან მოელიან. მედიატორი მშვიდი და გაწონასწორებული უნდა იყოს, არ უნდა აჰყვეს ემოციებს, რათა შეძლოს ისედაც აღელვებულ მხარეთა დამშვიდება და მათი კონფლიქტის ამოწურვისათვის ხელშეწყობა. ამავდროულად, იგი ნეიტრალური და ობიექტური უნდა იყოს, უნდა შეძლოს დავის შინაარსის ნათლად გააზრება, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შეძლებს დაპირისპირებულ მხარეთა მორიგებას. მედიატორი ვალდებულია იყოს ორიგინალური და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებული და ყველაზე შესაფერისი გზა ეძიოს მხარეთა მორიგებისთვის, ყველა კონფლიქტი ხომ ინდივიდუალური და უნიკალურია, რომ ადარაფერი ვთქვათ მხარეებზე. მაშასადამე, მედიატორი არის ნეიტრალური მხარე, რომელიც მოდავე მხარეებს ეხმარება დავის მოგვარებაში მოლაპარაკების მაგიდასთან.

მედიაცია გამოიყენება სამოქალაქო დავების შემთხვევაში. ის სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმიცაა, როგორც არასრულწლოვნის, ისე სრულწლოვნის მიმართ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105 -ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული და დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მას არ შესრულებია 18 წელი, პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, დევნის საჯარო ინტერესის არ არსებობის გამო. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანთან გააფორმოს ხელშეკრულება განრიდების ან მედიაციის შესახებ, რომლის პირობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. ამ ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადაა 1 წელი [2]. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105 -ე მუხლის მე-4 ნაწილში ხსენებული საჯარო ინტერესი ითვალისწინებს სხვადასხვა გარემოებას, როგორიცაა:

1. სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები;
2. დანაშაულის ბუნება და სიმძიმე;
3. სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა;
4. პირის ბრალეულობის ხარისხი;
5. პირის კრიმინალური წარსული;
6. გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი;
7. პიროვნული მახასიათებლები;
8. მოსალოდნელი სასჯელი მსჯავრდების შემთხვევაში ან სხვა შედეგი.

იუსტიციის მინისტრის # 216 ბრძანების “განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით, თუ საქმეზე დაწყებულია გამოძიება, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი (სისხლისსამართლებრივი დევნისათვის საჭირო მტკიცებულებითი სტანდარტი), რომ არასრულწლოვანმა ჩაიდინა დანაშაული, პროკურორი უფლებამოსილია დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე

არ დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოიყენოს განრიდებისა და მედიაციის პროგრამა. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წინაპირობაა შემდეგი გარემოებების ერთობლიობა [3]:

1. არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული;
2. არასრულწლოვანს არ მიუღია მონაწილეობა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში;
3. არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს და მზად არის ბოდიში მოიხადოს დაზარალებულის წინაშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. არასრულწლოვანი (მისი ოჯახი) მზად არის აანაზღაუროს ზიანი, ან დაზარალებული უარს აცხადებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე;
5. პროკურორის შინაგანი რწმენითა და არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინებით, არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ან უკვე დაწყებული დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი.

მაშასადამე, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ფარგლებში, დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, პროკურორს აქვს შესაძლებლობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განარიდოს პირი და ამასთან, ხელი შეუწყოს რეციდივის თავიდან აცილებას, მის გამოსწორებასა და კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას. აღნიშნული პროგრამა საშუალებას აძლევს პროკურორს, შეწყვიტოს ან არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა ზოგიერთ დანაშაულზე დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის პირობებში და ამავე დროს, არ დატოვოს დანაშაულის ფაქტი და დაზარალებულის ინტერესი რეაგირების გარეშე. განრიდების გადაწყვეტილებას მხოლოდ პროკურორი იღებს და ის კანონით არ არის ვალდებული ამ გზას მიმართოს. აღნიშნული ინსტიტუტის შემოღებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციისკენ, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ნასამართლევი, პირობით მსჯავრდებულ პირთა და პატიმართა რაოდენობის შემცირება, ასევე პროკურატურისა და სასამართლოს რესურსების დაზოგვა. ამ პროგრამას „ერთი შანსის“ პროგრამასაც უწოდებენ, რადგან არასრულწლოვანს ეძლევა ერთი შანსი ჩადენილი დანაშაულის მონაწილისთვის და ნასამართლობისა და სისხლისსამართლებრივი სასჯელის თავიდან არიდებისთვის. ყველა ამ დადებითი მხარის გათვალისწინებით, საქართველოს პროკურატურა გასული წლის ყველაზე წარმატებულ პროექტად ”არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამას” ასახელებს.

აღნიშნული პროგრამა გათვალისწინებულია უპირველეს ყოვლისა, არასრულწლოვნების მიმართ, რადგან მათ რეაბილიტაციასა და სოციალურ რეინტეგრაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მისი მთავარი მიზანია არასრულწლოვანს მისცეს ერთი შანსი და ხელი შეუწყოს მის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას. ამასთანავე, პროგრამა ემსახურება დაზარალებულის დაკმაყოფილების დონის გაზრდას და არასრულწლოვანთა მხარდაჭერის ღონისძიებებში მის ჩართვას.

მედიაციის მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება, დანაშაულით გამოწვეული ემოციური თუ მატერიალური შედეგების გამოსწორება და სამართლიანობის აღდგენა. სწორედ აქ ეკისრება მედიატორს გადაწყვეტი როლი. პროგრამის განვითარებასა და გავრცელებასთან ერთად, მედიატორის პროფესიაც დაიხვეწა, მშრალი საუბრები ძალიან

საინტერესო, გრძნობებით სავსე პროცესად იქცა. მედიაცია დიდი სიკეთეა, მედიატორი კი მოლაპარაკების ხელოვნების კარგი მცოდნე.

### განრიდების მიმდინარეობის პროცესი

როგორ ხორციელდება თავად განრიდების პროცესი? განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, პროკურორი გადასცემს სოციალურ მუშაკს არასრულწლოვნის საქმეს, რომელიც შეიმუშავებს არასრულწლოვნის ბიოფსიქოსოციალურ პორტრეტს და მის საფუძველზე განსაზღვრავს, თუ რომელი პირობის შესრულება იმოქმედებს დადებითად არასრულწლოვანზე და ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას. არასრულწლოვნისთვის დაკისრებული რომელი ვალდებულება (საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, დაზარალებულთან მუშაობა, სავალდებულო ლიტერატურის წაკითხვა და სხვ.) დაეხმარება მას ახალი ინტერესის, ნიჭის გამოვლენაში, ასევე პროფესიულ განვითარებასა და დასაქმებაში. ამის შემდეგ, მედიაციის ფარგლებში, მხარეები შეთანხმდებიან სამოქალაქო ხელშეკრულების პირობებზე, მათ შორის, არასრულწლოვნის პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების შესახებ. არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას მეთვალყურეობას უწევს სოციალური მუშაკი. თუ არასრულწლოვანმა პირნათლად შეასრულა ხელშეკრულების ყველა პირობა, მას არ ემუქრება სასჯელალსრულებით დაწესებულებაში მოთავსება და ნასამართლობა, ხოლო ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, სოციალური მუშაკი საქმეს კვლავ პროკურორს დაუბრუნებს, რომელიც უფლებამოსილია დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა მის მიმართ.

თვალსაჩინოებისათვის, განვიხილოთ განრიდების ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც ინტერნეტ სივრცეში გარცელდა [4] და რაც მკაფიოდ წარმოაჩენს განრიდების პროცესის დადებით მხარეებს, მით უმეტეს არასრულწლოვნებში.

თბილისის ერთ-ერთ ტაძარში, ლოცვის დროს გოგონამ ჩანთა დაკარგა. „ძალიან ვინერვიულე, ჩანთაში ფოტოკამერა და ახალი ტელეფონი მქონდა, რომელიც ორი დღის წინ გამომიგზავნეს.“ ეკლესიიდან პირდაპირ პოლიციაში წავიდა და შემთხვევის შესახებ განაცხადა. პოლიციამ ჩანთა სამ დღეში იპოვნა და გოგონას დაკარგული ნივთები დაუბრუნა. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ დანაშაული არასრულწლოვანმა სტიქაროსანმა, ანდრომ ჩაიდინა. ქურდობის ჩამდენს 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელოდა. ძველი თბილისის რაიონის პროკურორმა ნინო ცაციაშვილმა არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას განარიდა. სტიქაროსანმა დანაშაული აღიარა და დაზარალებული მხარეც აქტიურად ჩაება პროგრამაში. ორივე ძალიან განიცდიდა ამ ამბავს, გოგონა მისი თანატოლის დაპატიმრების წინააღმდეგ კი იყო. პროკურორმა, განრიდების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საქმე სოციალურ მუშაკს გადააბარა. სოციალურმა მუშაკმა სპეციალური სამოქმედო გეგმა შეადგინა და განსაზღვრა, რა პირობების შესრულება მოუწევდა განრიდებულს.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცედურა კონფერენციაა, პროცესი, როცა განრიდებული და დაზარალებული ერთმანეთს ხვდებიან და ესაუბრებიან. მხარეების კონფერენციისთვის, ე.წ. „შერიგებისთვის“ მომზადება მედიატორის მოვალეობაა. მედიატორი თინათინ ჯავახიშვილი გვიხსნის, რომ კონფერენციისთვის ორივე

მხარეს დამოუკიდებლად ამზადებს. თავდაპირველად მათ ერთმანეთთან შეხვედრის ფორმატს უხსნის. შეხვედრისას დაზარალებულიცა და განრიდებულიც თავის ამბავს ჰყვება, ერთმანეთს კითხვებს უსვამენ და გაურკვეველობა ქრება. „ამ დროს ორივე მხარე ძალიან ნერვიულობს. ეკლესიაში ქურდობის შემთხვევაში დაზარალებულს პრეტენზია არ ჰქონდა. ზოგადად, დაზარალებულებს განსაკუთრებული მოთხოვნები არ აქვთ ხოლმე, თუკი ზარალი უნაზღაურდებათ. გააზრებული აქვთ ის, რომ არასრულწლოვნებისთვის სასარგებლო საქმე კეთდება. ეს კონფერენციაც დადებითი ემოციებით იყო დამუხტული. დაზარალებული განრიდებულის მიმართ საოცრად კეთილგანწყობილი იყო. ბიჭი ნერვიულობდა. თუმცა, კონფერენციაზე ისე ისაუბრა, განცვიფრებულები დავრჩით. ჩანდა, რომ ძალიან წუხდა, გულწრფელად ინანიებდა. პროცესი 40 წუთი გაგრძელდა და ეს ერთ-ერთი ყველაზე ემოციური, ემპათიით სავსე კონფერენცია იყო“. მედიატორს დაზარალებულთან მეტი სამუშაო აქვს, ვინაიდან მას ხშირად გაცნობიერებული არ აქვს პროგრამაში მონაწილეობის მნიშვნელობა. „ყოფილა შემთხვევები, როცა დაზარალებული ამაყობდა ჩვენთან თანამშრომლობის გამო, თავი გმირად წარმოედგინა. მაგრამ უმეტესად დაზარალებულები ორჭოფობენ. არ უნდათ დროის დაკარგვა. ბოლომდე ვერ აცნობიერებენ საკუთარი როლის მნიშვნელობას. თუმცა, პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ, ხშირად ხვდებიან, რომ მედიაციის პროცესში მათ არამარტო მატერიალური, არამედ მორალური ზიანიც უნაზღაურდებათ,“ ამბობს დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრის პროექტების მენეჯერი ანა სუბელიანი.

განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით მედიატორის ფუნქცია სრულდება. განრიდებულთან მუშაობას კი სოციალური მუშაკი აგრძელებს. არასრულწლოვნები თავად ირჩევენ სფეროს, საქმიანობას და პროგრამაც მათი ინტერესების მიხედვით იქმნება. ანდრო რამდენჯერმე იყო მოხუცთა თავშესაფარში პროგრამაში მონაწილე სხვა არასრულწლოვნებთან ერთად. ხანდაზმულებს მათ საკვები და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები მიუტანეს. განრიდებულმა თავად შეარჩია ტრენინგები რამდენიმე ორგანიზაციაში. მონაწილეობა მიიღო სემინარში შიდსისა და აივ-ინფექციების შესახებ. სავალდებულო საკითხავი ერთი წიგნიც თვითონ აირჩია.

“ყოველთვის ვეკითხებით განრიდებულებს, რა თემები აინტერესებთ, რისი კეთება მოსწონთ. არ გვინდა დავალებული საქმე იძულებით შეასრულონ. თუკი საჭიროა, განრიდებული კონსულტაციაზე ფსიქოლოგთანაც დაგვყავს,“ ამბობს სოფო სანიკიძე.

თუმცა, ხანდახან ხდება ისეც, რომ არასრულწლოვანი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო არ ან ვერ ასრულებს შეთანხმებით გათვალისწინებულ მოვალეობებს. ამ შემთხვევაში სოციალური მუშაკი ცვლის სამუშაოს შესრულების ვადას, თუ განრიდებულს მისი დროულად დასრულება ობიექტური მიზეზების გამო არ შეუძლია. ხოლო თუ განრიდებული უარს აცხადებს მოვალეობის შესრულებაზე, სოციალური მუშაკი პროკურორს მიმართავს ზომების მისაღებად.

### **სტატისტიკური მონაცემები საქართველოსა და უცხოეთში**

საქართველოსგან განხსვავებით, მედიაციის ინტიტუტი ნოვაცია არ არის სხვა ქვეყნებში. მათ უკვე დიდი პრაქტიკა დაუგროვდათ და შესაბამისადაც, განრიდებულთა რიცხვიც ძალიან

დიდია. მაგალითად, ავიღოთ ფინეთი, სადაც განრიდებულთა უდიდესი მაჩვენებელია. გთავაზობთ ფინეთში განრიდებულთა (სრულწლოვნებსა და არასრულწლოვნებს ერთად) სტატისტიკურ მაჩვენებლებს: [6]

ფინეთი

<b>2006</b>	<b>3749 განრიდებული</b>
<b>2007</b>	<b>10015 განრიდებული</b>
<b>2008</b>	<b>11249 განრიდებული</b>
<b>2009</b>	<b>12027 განრიდებული</b>
<b>2010</b>	<b>12434 განრიდებული</b>
<b>2011</b>	<b>13181 განრიდებული</b>

ასევე, უდიდესია ეს მაჩვენებელი ევროპის ქვეყნებში და, რასაკვირველია, აშშ-ში, თუმცა, რუსეთში მდგომარეობა საგრძნობლად განსხვავებულია. გთავაზობთ რუსეთში განრიდებულთა (სრულწლოვნებსა და არასრულწლოვნებს ერთად) სტატისტიკურ მაჩვენებლებს [5]:

რუსეთი

<b>2013 წელი</b>	<b>29 არასრულწლოვანი</b>
<b>2014 წელი</b>	<b>103 არასრულწლოვანი</b>

აქვე, წარმოგიდგინთ შვეიცარიის არასრულწლოვან განრიდებულთა სტატისტიკურ მონაცემებს: [7]

შვეიცარია

<b>2005 წელი</b>	<b>65 არასრულწლოვანი</b>
<b>2006 წელი</b>	<b>65 არასრულწლოვანი</b>
<b>2007 წელი</b>	<b>144 არასრულწლოვანი</b>
<b>2008 წელი</b>	<b>105 არასრულწლოვანი</b>
<b>2009 წელი</b>	<b>112 არასრულწლოვანი</b>

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ეს ახალი მექანიზმი საქართველოში ამოქმედდა მხოლოდ 2010 წლის 15 ნოემბერს. პროგრამა თავდაპირველად მოიცავდა საქართველოს ოთხ ქალაქს: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი და ბათუმი. 2011 წლის ნოემბერში დაემატა ორი ქალაქი: გორი და სამტრედია, ხოლო 2012 წლის თებერვალში 9 ახალი ქალაქი: მცხეთა, კასპი, გარდაბანი, წყალტუბო, ტყიბული, ბაღდათი, ხონი, ვანი და ქობულეთი. 2013 წელს დაემატა 10 ქალაქი: ხაშური, ქარელი, მარნეული, თელავი, გურჯაანი, სიღნაღი, ზუგდიდი, სენაკი, ფოთი და მესტია.

გთავაზობთ არასრულწლოვანთა განრიდების სტატისტიკურ მონაცემებს საქართველოში პროგრამის ამოქმედების დღიდან 2013 წლამდე.

## საქართველო

2010 წელი	2 არასრულწლოვანი
2011 წელი	81 არასრულწლოვანი
2012 წელი	120 არასრულწლოვანი
2013 წელი	200 არასრულწლოვანი

საბოლოოდ, დღეისათვის განრიდებულია 600–მდე არასრულწლოვანი და აქედან განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა მხოლოდ 24–მა, რაც ნიშნავს, რომ განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელი 4%-ს უტოლდება, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, პროგრამა წარმატებულად ითვლება თუ ეს მაჩვენებელი 25%-ს არ აღემატება.

### დასკვნა

წინა თავში წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ნათლად ჩანს, რომ საქართველოში მედიაცია და განრიდება ჯერ მხოლოდ განვითარების პროცესშია, თუმცა, თავისი მაჩვენებლებით წინ უსწრებს რუსეთსა და ბევრ სხვა ქვეყანას.

ამერიკასა და ავსტრალიაში დავების 90% არ მიდის სასამართლომდე, ხოლო ყაზახეთში 2013 წელს დავების მხოლოდ 1% გადაწყდა მედიაციით. ადამიანების 99% ჩვეულების გამო მიდის სასამართლოში და არც კი ფიქრობს, რომ დავის გადაწყვეტის უკეთესი და უფრო მარტივი გზაც არსებობს.

აქედან გამომდინარე, გამოსავალი მხოლოდ ერთია: ვინაიდან მედიაცია და განრიდება, სხვადასხვა მიზეზთა გამო, საუკეთესო საშუალებაა დავის გადასაწყვეტად, აუცილებლად უნდა შეეწყოს ხელი მის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. აუცილებლად უნდა მიეწოდოს საზოგადოებას სათანადო ინფორმაცია, რათა ხელი შეეწყოს მოცემული პროგრამის უფრო ხშირად გამოყენებას. ის, ვინც არ იცის მედიაციის არსებობის შესახებ, რასაკვირველია, ვერც გადაწყვეტს დავას მედიატორის დახმარებით. ამასთან, აქტიური პროპაგანდა უნდა წარმოებდეს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს შორის. მათ უნდა შესთავაზონ მედიაციის სხვადასხვა კურსი, რადგან ძირითადად იურისტები წარმოადგენენ მედიატორებს (თუმცა, არც სხვა პროფესიის წარმომადგენლებისთვისაა ეს საქმიანობა აკრძალული).

მედიაციის მხარდაჭერა სამართლებრივი პოლიტიკის რანგში უნდა იქნეს აყვანილი და სახელმწიფომ ამას მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი. სწორედ ეს მოახერხა ყველა იმ ქვეყანამ, რომლებშიც, დღესდღეისობით, დავების უმრავლესობა მედიაციის მაგიდასთან და არა სასამართლო დარბაზში წყდება. სახელმწიფოს როლი მედიაციის განვითარებაში უდიდესია, ის ვალდებულია დაანახოს მოსახლეობას, რომ მედიაციის პროცესი ბევრად ხელსაყრელია კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში, როგორც მხარეებისთვის, ისე სასამართლოში საქმეთა რაოდენობის შემცირების კუთხით, რაც საგრძნობლად დაზოგავს ბიუჯეტს.

მედიაციის გავრცელება ძალიან მნიშვნელოვანია. მისი გამოყენებით, განხილული დავების 85% წარმატებითა და ორივე მხარის დაკმაყოფილებით სრულდება.

მედიაცია, ეს არის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, რომლის გამოყენებაც აუცილებელია ჩვენი ქვეყნის სამართლებრივი თუ მოქალაქეობრივი განვითარების კუთხით.

### ბიბლიოგრაფია

1. ცერცვაძე გ. 2010. *მედიაცია*. თბილისი: მერიდიანი.
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
3. საქართველო. იუსტიციის სამინისტრო. იუსტიციის მინისტრის ბრძანება # 216 “განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“.
4. ნინო ბაქრაძე. განრიდებულის პირადი საქმე. (26.12.14) <http://newscafe.ge/index.php/geo/multimediaqartttt/895-ganridebulispiradisaqme>
5. რუსეთის ფედერაციის საოლქო სასამართლოს სააპელაციო კოლეგიის მოსამართლის ნ.ტ. ნურყიგიტოვის პუბლიკაცია <http://mirposrednik.ru> (26.12.14)
6. Соня Кортелайнен и Ярмо Койстинен 2012 Медиация – альтернативный выбор [http://epublications.uef.fi/pub/urn\\_isbn\\_978-952-61-0918-3/urn\\_isbn\\_3.pdf](http://epublications.uef.fi/pub/urn_isbn_978-952-61-0918-3/urn_isbn_3.pdf) РУССКО-ФРАНЦУЗСКАЯ КОНФЕРЕНЦИЯ ПО МЕДИАЦИИ, Материалы Конференции, 2010 [http://www.mediationgeneve.com/docs/0 Actes\\_version%20russe.pdf](http://www.mediationgeneve.com/docs/0 Actes_version%20russe.pdf)

*Kristina Rzgova*

*Grigol Robakidze University School of Law  
Master's Programme Program Student*

## Conceptualization of the Maritime Border Delimitation in Georgia

### Summary

The article "Conceptualization of the Maritime Border Delimitation in Georgia" discusses the topical issues related to implemantatsiey provisions of the United Nations Convention on the sea.

The author examines and analyzes the provisions of the Convention related to the continental shelf, territorial sea and special economic mesons.

The author also assesses the agreements between Turkey and Georgia configuration foreshore that do not determine the specific circumstances in the field of border delimitation and questions related to Continental Shelf.

Maritime delimitation in international law is among the most complex problems related to important economic, political, defense and other interests of states, and often controversial. Delimitation, which have not been resolved, can be dangerous for good-neighborly relations between states and even cause international conflicts. In addition, the delimitation has some relevance to global issues of development and use of the seas which are closely interrelated and must be addressed with the participation of all States in an integrated manner. The essence and significance of maritime delimitation is that it can help set boundaries of the territorial sovereignty (sovereignty) of the state and its spatial (functional) jurisdictions. Differentiation or the establishment of Maritime State boundaries and limits of action of functional jurisdiction, creates legal conditions to prevent harm in the public interest. International maritime law allows states to set their own external maritime borders (both public and those who determine the scope of the functionality of the sovereign rights of coastal States) in the case when there is no overlap of titles of two or more states.

**Keywords:** Maritime boarder; Delimitation; Jurisdiction; Continental shelf.

*ქრისტინა რზგოვა  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
სამართლის სკოლა  
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი*

## საქართველოს საზღვაო საზღვრის დელიმიტაციის კონცეპტუალიზაცია

### რეზიუმე

სტატია ეძღვნება თანამედროვე საქართველოსთვის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას.

ავტორის მიერ შესწავლილი იქნა საქართველოს საზღვაო საზღვრის დელიმიტაციის პრობლემატიკა, მოძიებულ იქნა შესაბამისი ლიტერატურა, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა და მსოფლიოში არსებული პრაქტიკა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხერხებით იქნება შესაძლებელი საქართველოსა და რუსეთს შორის საზღვაო საზღვრის დელიმიტაციის საკითხის დაყენება.

კვლევამ აჩვენა, რომ საერთაშორისო კანონმდებლობაში გაწერილი პრინციპი ყოველთვის ვერ მუშაობს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა კონკრეტული მიდგომა ტერიტორიის გეოგრაფიული, გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. საქართველოს შემთხვევაში case-by-case მიდგომა ძალზედ მნიშვნელოვანია, მისი, გარკვეულწილად, არახელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო.

სტატიაში შემოთავაზებულია აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზა, რათა საქართველოს საზღვაო საზღვრის დელიმიტაცია სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით განხორციელდეს.



**საძიებო სიტყვები:** კონტინენტური შეღფი; ტერიტორიული ზღვა; განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა.

## შესავალი

საზღვაო კანონმდებლობა წარმოადგენს კანონის რთულ და მრავალმხრივ ნაწილს, რომელიც მოიცავს ისეთ ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოს უფლებებსა და ვალდებულებებს საზღვაო სფეროში. ნებისმიერ საზღვაო ქვეყანას აქვს იურისდიქცია ზღვებსა და ოკეანეებზე, რომლის ფარგლები განსაზღვრულია საერთაშორისო კონვენციებით; ეროვნული რეგულაციები კი საერთაშორისო კანონმდებლობას უნდა შეესაბამებოდნენ.

სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია მშვიდობის, უსაფრთხოების და ეკონომიკური კეთილდღეობის შენარჩუნებისთვის.

საერთაშორისო კანონმდებლობა სახელმწიფოს უფლებას რთავს, განავრცოს საკუთარი განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა საწყისი წერტილიდან 200 საზღვაო მილამდე ისე, როგორც განსაზღვრულია „ზღვის შესახებ“ 1987 წლის კონვენციის 57-ე მუხლით. ასევე, ქვეყანას კონტინენტური შეღფის გავრცელება შეუძლია 200 საზღვაო მილის ფარგლებში საწყისი წერტილიდან და შესაძლებელია უფრო გრძელ მანძილზეც, თუ საერთაშორისო კანონმდებლობა იძლევა აღნიშნულის საშუალებას [2].

სახელმწიფოებს შორის საზღვაო ზონები ხშირად იკვეთება და უნდა განისაზღვროს გამყოფი ხაზი, რათა გამოიკვეთოს სახელმწიფოების უფლებები და ვალდებულებები. შესაბამისად, დელიმიტაცია არის საზღვაო ზონების გაყოფის პროცესი, სახელმწიფოებს შორის პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში.

საზღვაო დელიმიტაცია რთული პროცესია. ის ეყრდნობა უფლებამოსილების წყაროს, დელიმიტაციის ჩატარების მეთოდებს, რიგ ტექნიკურ საკითხებს, ფაქტობრივი ხაზების გავლების ადგილის განსაზღვრას.

საქართველო და რუსეთის ფედერაცია შავ ზღვაზე ესაზღვრებიან ერთმანეთს და მომავალში, სახმელეთო ხაზის დელიმიტაციის პროცესის დასრულების შემდეგ, საზღვაო საზღვრის დელიმიტაცია დაიწყება.

1958 წლის „ტერიტორიული ზღვის შესახებ“ კონვენციის მიხედვით, თანაბრად დაშორებაში იგულისხმება „ხაზი, სადაც ყოველი პუნქტი თანაბრად დაშორებულია უახლოესი საზღვის ხაზებიდან, საიდანაც ყოველი სახელმწიფოს ტერიტორიული ზღვის სიგანე გაიზომება.“ კონტინენტური შეღფის შესახებ 1058 წლის კონვენცია იგივე განმარტებას იძლევა. აღნიშნული კონვენცია იყენებს ტერმინს „შუალედური ხაზი“ თანაბრად დაშორებული ხაზისთვის მოპირისპირე სახელმწიფოთათვის [3].

დისტანციის პრინციპის აუცილებლობა ნორმალურ სიტუაციაში დაკავშირებულია თანაბარი დაშორების/შუალედური ხაზის სამართლიან მეთოდთან. თუმცა, მიუხედავად დისტანციურობის პრინციპის აღიარებისა, როგორც განსაკუთრებული ეკონომიკური

ზონისთვის, ისე კონტინენტური შელფისთვის 200 საზღვაო მილის ფარგლებში, თანაბარი დაშორების პრივილეგირებული როლი გაპროტესტებულ იქნა საერთაშორისო სასამართლოს და განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეების მიერ. ზემოაღნიშნული პრივილეგირებული სტატუსი თანაბრად დაშორების მეთოდთან მიმართებაში შემცირებული იქნა საერთაშორისო და საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ, რადგან განიხილებოდა, როგორც მეთოდი, რომელიც გარკვეულ შემთხვევაში გამოიწვევდა არასამართლიან და არაგონივრულ შედეგს. უმრავლეს შემთხვევაში, განცხადებულ იქნა, რომ თანაბარი დაშორების მეთოდი არ წარმოადგენდა კანონის სავალდებულო ნორმას, რომელიც ძირითად როლს თამაშობს დელიმიტაციის პროცესში.

მიუხედავად თანაბარი დაშორების შემცირებული როლისა, მან ჰპოვა თავისი გზა სახელმწიფოთა პრაქტიკაში. საზღვაო დელიმიტაციის ორმხრივი ხელშეკრულებების უმრავლესობა ჯერ კიდევ იყენებს ხაზს თანაბარი დაშორების მეთოდზე დაფუძნებით. ბევრ შემთხვევაში სახელმწიფოები მოლაპარაკებას იწყებენ თანაბარი დაშორების პრინციპზე დაყრდნობით, თუმცა შეუძლიათ კორექტივები შეიტანონ მასში.

სახელმწიფო პრაქტიკაში თანაბარი დაშორების მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ვიცნობდეთ საზღვაო დელიმიტაციის ხელშეკრულებებს შავ ზღვაში.

საქართველომ და თურქეთმა დადეს ხელშეკრულება 1997 წლის ივლისში, რომელიც შეეხებოდა მათ საზღვაო საზღვრებს და ადასტურებდა თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის 1973-1987 წწ დადებულ ხელშეკრულებას.

1973 წლის 17 აპრილს თურქეთმა და საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერეს პროტოკოლს, რომელიც შეეხებოდა ორი სახელმწიფოს ტეროტიორიული ზღვის საზღვრებს. საზღვაო საზღვარი გამომდინარეობდა თანაბარი დაშორების პრინციპიდან.

1978 წლის 23 ივნისს, ზემოაღნიშნულმა სახელმწიფოებმა დაასრულეს მუშაობა ხელშეკრულებაზე შავ ზღვაში კონტინენტური შელფის დელიმიტაციის შესახებ. მცირე შესწორებებით, სასაზღვრო ზოლი მიყვება ჩრდილო დასავლეთის მიმართულებას და თანაბრადაა დაშორებული მხარეების უახლოესი პუნქტებიდან. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია გეოგრაფიული მდებარეობა და თანაბარი დაშორების მეთოდი.

1987 წლის 8 თებერვლის ნოტების გაცვლით, თურქეთი და საბჭოთა კავშირი შეთანხმდნენ, რომ მათი კონტინენტური შელფის საზღვარი ასევე შეუცვლელი დარჩებოდა განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონასთან მიმართებაში, როგორც მითითებული იყო 1987 წლის ხელშეკრულებაში.

სამი ორმხრივი ხელშეკრულება საქართველოსა და თურქეთს შორის ძალაში შევიდა 1999 წელს და დაადგინა ერთი საზღვაო საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის, ყველა შემთხვევაში, თანაბარი დაშორების პრინციპის გამოყენებით.

სამართლიანობის ცნებამ დელიმიტაციის პროცესში ასახვა ჰპოვა ტურმანის 1945 წლის პროკლამაციაში, რომელიც აშშ-სა და მეზობელ ქვეყნებს შორის კონტინენტური შელფის

დელიმიტაციას შეეხებოდა. აღნიშნულ პროკლამაციაზე დაყრდნობით, სასამართლომ „ჩრდილოეთი ზღვის“ საქმეზე დაადგინა, რომ „დელიმიტაცია უნდა განხორციელდეს შეთანხმების საფუძველზე სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად და ყველა სათანადო გარემოების გათვალისწინებით“ [4].

„ზღვის შესახებ“ გაეროს კონვენციის 74-ე და 83-ე მუხლები, რომლებიც შეეხება განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის და კონტინენტური შელფის დელიმიტაციას, მის ეფექტურობას განსაზღვრავენ შეთანხმების საფუძველზე, საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, სამართლიანი შედეგის მიღწევის მიზნით, მაგრამ სამართლიანობის იდეის პრობლემა არის ის, რომ განისაზღვროს პრინციპები და კრიტერიუმები სამართლიანი შედეგის მისაღწევად. კონვენცია ადგენს მხოლოდ მიზანს და არაფერს ამბობს იმაზე, თუ როგორ უნდა იქნას მიღწეული ეს მიზანი. ამავე დროს, არსებობს მთელი რიგი ტექნიკური ხასიათის დოკუმენტები, რომლებიც შემუშავებულია კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და გამოიყენება საზღვრების დელიმიტაციის დროს.

საზღვაო დელიმიტაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროპორციულობის კონცეფცია, რომლის თანახმადაც, საზღვაო დელიმიტაცია უნდა განხორციელდეს კონტინენტური შელფის და წყლის თანაფარდობის მხედველობაში მიღებით და შესაბამისი სანაპირო ზოლის სიგრძის თანაფარდობით. 1969 წელს ჩრდილოეთ ზღვის საზღვაო დელიმიტაციის საქმე იყო პირველი, რომელშიც პროპორციულობის კონცეფცია გაიშალა.

კიდევ ერთი მეთოდი დელიმიტაციისა გახლავთ პერპენდიკულარული ხაზის გავლება. აღნიშნული მეთოდი გამოიყენებოდა საერთაშორისო სასამართლოს მიერ და ასევე იქნა დამკვიდრებული სახელმწიფოთა პრაქტიკაში. პერპენდიკულარული ხაზის გამოყენება უფრო ხშირია იმ ქვეყნებში, სადაც ნაპირი მეტნაკლებად სწორია. პერპენდიკულარ ხაზზე დაფუძნებული გვერდული დელიმიტაცია შეიძლება განხორციელდეს ორივე მხარისთვის მისაღები შედეგის შემთხვევაში, როდესაც ნაპირი არის სწორი და სანაპიროს ძირითადი მიმართულება ადვილი განსასაზღვრია.

შავი ზღვის რეგიონში სახელმწიფოების მიერ არ გამოიყენება პერპენდიკულარული ხაზი საზღვაო დელიმიტაციის ხელშეკრულებებში, განსხვავებით ბალტიის ზღვის მოსაზღვრე სახელმწიფოებისგან.

მიღებულია აზრი, რომ საზღვაო დელიმიტაციის პროცესი, უმეტეს შემთხვევაში, შეიძლება დაიწყოს თანაბარი დამორების ხაზით, მაგრამ არ არის აუცილებელი მისითვე დასრულდეს, ვინაიდან კონკრეტულ გარემოებებში შეიძლება არასამართლიანობა გამოიწვიოს. საერთაშორისო სამართლის კომისიამ განსაკუთრებული გარემოებები ჟენევის 1958 წლის კონვენციის პროექტის მომზადებისას გაითვალისწინა და დააწესა გამოანკლისი, რომელიც გულისხმობს თანაბარი დამორების/შუალედური ხაზის გაწევას, თუ ის არასამართლიან შედეგს იწვევს.

გეოგრაფიული გარემოებები, განსაკუთრებით კი სანაპირო კონფიგურაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფო პრაქტიკაში. 1997 წელს საქართველოსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულებით, სანაპიროს კონფიგურაცია არ აწესებს განსაკუთრებულ

გარემოებებს სადელიმიტაციო ხაზის გასავლებად. სახელმწიფოთა ნაპირები არ არიან შეჭრილი ან არასწორი.

გამომდინარე იქიდან, რომ „ზღვის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის მე-3, მე-4, მე-5, მე-7(1,3), მე-9, მე-10, მე-15 და მე-17 მუხლებში ჩამოყალიბებულია საწყისი ხაზების და წერტილების დადგენის პრინციპი, მაგრამ არაა შეზღუდული მანძილი ნაპირის ზოლზე, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო ხსენებული წერტილებისა და ხაზების გამოთვლისას. მდინარე ფსოუს შავი ზღვის შესართავი ძალიან რთულ და „არახელსაყრელ“ კონფიგურაციას წარმოადგენს საქართველოსთვის, ყველაზე ოპტიმალური ასეთ შემთხვევაში კომბინირებული მეთოდის გამოყენება იქნებოდა. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ მდინარე ფსოუს შესართავში სახმელეთო საზღვრის საბოლოო წერტილზე, რომელიც, ამავე დროს, საზღვაო საზღვრის საწყისი წერტილიც იქნებოდა, 24 საზღვაო მილის მანძილზე ერთი საზღვაო კვანძის ბიჯით (1532მ), დატანილ უნდა იქნას კონცენტრირებული წრეები. მათი ნაპირის გადაკვეთის წერტილები და მათ შორის მანძილების (ხორდების) შეჯამება შექმნის მრუდე ხაზს, რაც დაადგენს ნაპირის ზოგად ან გენერალურ მიმართულებას და ამ ნაპირის ზოგადი მიმართულების ხაზიდან, პერპენდიკულარის დატანა მდინარე ფსოუს სრუტეში საწყისი წერტილიდან მოგვცემს საზღვრის მიმართულებას (დაახლოებით 215 გრადუსი), რომელიც დადგენილ უნდა იქნეს, როგორც საქართველოსა და რუსეთს შორის საზღვაო საზღვრის ხაზი.

მსგავსი მეთოდის გამოყენება გამართლებულია, თუ გავითვალისწინებთ კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის ფორმულირებას. „თუმცა, ზემოაღნიშნული დებულება არ გამოიყენება, თუ ისტორიულად განვითარებული სამართლებრივი საფუძვლების ან სხვა გარემოებების ძალით აუცილებელია განისაზღვროს ორი სახელმწიფოს ტერიტორიული ზღვები სხვა ფორმით, ვიდრე ეს მითითებულია მოცემულ დებულებაში.“

კერძოდ, „ისტორიულად განვითარებულ სამართლებრივ საფუძვლებად“ საჭიროა გამოყენებულ იქნას ისეთი ფაქტები, როგორიცაა სსრკ-ის დროს არსებულ საკავშირო უწყებათაშორის დოკუმენტებში („ავარიულ-სამაშველო ოპერაციების გეგმა შავ ზღვაში“, „შავ ზღვაში ნავთობის ავარიული დაღვრის ლიკვიდაციის გეგმა“), რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკის თევზის მრეწველობის ორგანოების თევზდაცვის ზონის გამიჯვნა, რუსეთის და საქართველოს სასაზღვრო ორგანოებს შორის, სასაზღვრო რაიონის მონაკვეთის გადაცემის პროტოკოლში, ერთი და იგივე აზიმუტის 215 გრადუსის მითითება, შესაბამისი წერტილების კოორდინატების არსებობა თურქეთთან კონტინენტური შელფის და ეკონომიკური ზონის გამყოფ ხაზამდე. არ არის ცნობილი მეთოდი, რომლის მიხედვითაცაა გამოთვლილი მოცემული აზიმუტი, მაგრამ ჩვენი გამოთვლები მიუთითებს იმაზე, რომ საფუძვლად აღებული იყო - სანაპიროს საერთო მიმართულება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. სირაძე ე., საერთაშორისო საზღვაო სამართლის ლექციები [თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის](#) იურიდიულ ფაკულტეტზე.

2. [http://www.un.org/ru/documents/decl\\_conv/conventions/lawsea.shtml](http://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/lawsea.shtml)
3. [http://www.un.org/ru/documents/decl\\_conv/conventions/pdf/tsea.pdf](http://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/pdf/tsea.pdf)
4. [http://www.un.org/ru/documents/decl\\_conv/conventions/pdf/conts.pdf](http://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/pdf/conts.pdf)

*Tinatin Tikaradze*  
*Grigol Robakidze University*  
*School of Law*  
*Master's Programme Program Student*

## **Defense of Intellectual Property Right: Pros and Cons**

### **Summary**

The scientific article “Defense of Intellectual Property Right: Pros and Cons” discusses very topical issues in contemporary world and Georgia particularly.

Intellectual property (IP) is a legal term that refers to creation of the mind. Examples of intellectual property include music, literature, and other artistic works; discoveries and inventions; words, phrases, symbols and designs.

Under intellectual property law, owners of intellectual property are granted certain exclusive rights. Some common types of intellectual property rights (IPR) are copyright, patents, and industrial design rights; the rights that protect trademarks, trade dress, and in some jurisdictions trade secrets. Intellectual property rights are themselves a form of property, called intangible property.

Although many of the legal principles governing intellectual property and intellectual property rights IPR have evolved over centuries, it was not until the 19<sup>th</sup> century that the term *intellectual property* began to be used, and not until the late 20<sup>th</sup> century that it became commonplace in the majority of the world intellectual property rights including patents, copyright, industrial design rights, trademarks, trade dress, and in some jurisdictions trade secrets.

Copyright violation is reproducing, distributing, displaying or performing work, or making derivative work without permission from the copyright holder, which is typically a publisher or other business representing or assigned by the work's creator. It is often called "piracy". Generally the copyright holder can only get money damages if the owner registers the copyright. Enforcement of copyright is generally the responsibility of the copyright holder.

**Keywords:** Intellectual Property; Copyright, Patents; Industrial design rights.

**ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის  
დადებითი და უარყოფითი მხარეები**

**რეზიუმე**

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა ხშირად წარმოადგენს დაცვის საგანს. არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, უნდა იყოს თუ არა იგი კანონით დაცული. ზოგიერთის მოსაზრებით, ინტელექტუალური საკუთრება მაქსიმალურ დაცვას საჭიროებს, სხვების აზრით, მისი დაცვა უნდა ხდებოდეს მინიმალურ დონეზე ან არ ხდებოდეს საერთოდ. სტატიაში განვიხილავ ორივე მხარის პოზიციას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, ასევე, წარმოვაჩენ საქართველოში ამ კუთხით არსებულ მდგომარეობას. სტატიაში განხილული მოსაზრებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საჭიროა ბალანსის დაცვა ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვასა და საზოგადოებისთვის მის ხელმისაწვდომობას შორის.

**საძიებო სიტყვები:** ინტელექტუალური საკუთრება; პატენტი; ინვესტიციები; გლობალიზაცია.

**შესავალი**

პირველ რიგში, განვიხილოთ, თუ რა არის ინტელექტუალური საკუთრების უფლება. ეს ისეთი სახის უფლებაა, რომელიც ადამიანს ანიჭებს შესაძლებლობას, განკარგოს თავისი გონებრივი შრომის შედეგად მიღებული პროდუქტი. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი უნდა იყოს შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს მეცნიერები სამ ჯგუფად ყოფენ. ესენია:

- საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ობიექტები;
- სამრეწველო საკუთრების ობიექტები;
- სხვა არატრადიციული ობიექტები.

პირველი ჯგუფი აერთიანებს ყველა სახის ნაწარმოებებს, შესრულებას, ფონო- და ვიდეოგრამას, სამაუწყებლო ორგანიზაციის გადაცემას. მეორე ჯგუფი მოიცავს ტექნიკური შემოქმედებისა და კომერციული აღნიშვნების სადღეისოდ ცნობილ ობიექტებს. მესამე ჯგუფში შედის ახალი სახის ობიექტები და, ასევე, ისეთი ტრადიციული ობიექტები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან პირველ და მეორე ჯგუფს. ამ ჯგუფის ობიექტები შინაარსობრივად შეიძლება მიეკუთვნებოდნენ ხსენებული ორი ჯგუფიდან რომელიმეს, მაგრამ მაინც ცალკე არიან გამოყოფილი, რადგან საკუთრების უფლება მათზე შეიძლება დაცულ იქნას ზოგადი საკანონმდებლო ნორმებით. [1, 20] ზოგადად, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებად დაყოფას დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გადაწყვეტისას, თუ რომელი კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს ესა თუ ის შემთხვევა. მაგალითად,

სამრეწველო საკუთრების ობიექტზე ვერ გავრცელდება ის ნორმები, რომლებიც გათვალისწინებულია საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ობიექტებისთვის.

ინტელექტუალური საკუთრება, თავისი ბუნებით, განსხვავებულია საკუთრების უფლებისგან, რადგან ის არ მიეკუთვნება სხეულოვანი ნივთების (res corporales) კატეგორიას და უსხეულოა (res incorporales), ამიტომ ინტელექტუალური საკუთრების რეგულირება შესაძლებელია ჩვეულებრივი საკუთრებისგან განსხვავებულად.

### **დადებითი და უარყოფითი მხარეები**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით სხვადასხვა პოზიცია არსებობს. დაცვის მომხრეების აზრით, ის ხელს უწყობს ახალი გამოგონებების შექმნასა და ინვესტიციების განხორციელებას. მოწინააღმდეგეები ამბობენ, რომ ინტელექტუალური საკუთრების დაცვა მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი, რადგან ამით ხელი შეეწყობა იდეებისა და ინფორმაციის თავისუფლად გავრცელებას და საზოგადოება მეტ სარგებელს მიიღებს. ადამიანებს შეეძლებათ გამოიყენონ უკვე არსებული იდეა, გამოგონება, მოახდინონ მათი გაუჯობება ან მის საფუძველზე შექმნან რაიმე მსგავსი [2]. განსხვავებით ჩვეულებრივი საკუთრებისგან, ინტელექტუალური საკუთრებით შეიძლება ისარგებლოს ყველამ ისე, რომ არ შეაწუხოს სხვა ადამიანი.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ხელს უშლის ადამიანებს თავისუფლად მიიღონ ინფორმაცია, ხელი მიუწვდებოდეთ სხვადასხვა გამოგონებაზე, წამალზე და ა.შ. ღარიბ ქვეყნებში ამას შეიძლება თან მოჰყვეს მოსახლეობის განვითარების შეფერხება, რადგან შეიძლება ვერ შეძლონ წიგნების შეძენა და კარგი განათლების მიღება, მაღალი ფასის გამო ხელი არ მიუწვდებოდეთ ინტერნეტზე, კომპიუტერზე და თანამედროვე ტექნოლოგიებზე. მეორე მხრივ, არსებობენ ისეთი პროფესიის ადამიანები, რომლებიც ინტელექტუალური საკუთრების დაუცველობის შემთხვევაში ვერ მიიღებენ შემოსავალს. ასეთები არიან მუსიკოსები, რეჟისორები, მწერლები და ა.შ. შეიძლება, მაგალითად, ადამიანი იყოს კომპოზიტორი და მას არ ჰქონდეს სხვა პროფესია. თუ ინტელექტუალური საკუთრების უფლება არ იქნება დაცული, ამან მის შემოსავალზე შეიძლება მკვეთრად ნეგატიურად იმოქმედოს.

საინტერესოა იმის განხილვა, ნამდვილად ზრდის თუ არა ინოვაციათა რაოდენობას ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა. ლოგიკურად რომ მივუდგეთ ამ საკითხს, იმის ნაცვლად, რომ ადამიანმა იდეის კოპირება მოახდინოს უკვე შექმნილი პროდუქტიდან, ის იგონებს რაღაც ახალს, რათა არ შელახოს სხვისი ინტელექტუალური საკუთრების უფლება. ამ საკითხთან დაკავშირებით Dalibor Sacha Eterovic Maggio\_მ და Cassandra Mehlig Sweet\_მ ჩაატარეს კვლევა. კვლევა ჩატარდა 94 ქვეყანაში 1965–2005 წლებში. კვლევის მიხედვით აღმოჩნდა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც განვითარების დონე საშუალოზე მაღალია, ინტელექტუალური საკუთრების დაცვას პოზიტიური ეფექტი აქვს ქვეყნის პროდუქტიულობის გაფართოვებისა და ინოვაციის ხელშეწყობის თვალსაზრისით, ხოლო განვითარებად ქვეყნებში ინტელექტუალური საკუთრების დაცვას შეიძლება უარყოფითი ეფექტი ჰქონდეს. აღნიშნული საკითხის განხილვისას საინტერესოა ჩინეთის მაგალითი, ვინაიდან ის უცხოურ ტექნოლოგიებზეა დამოკიდებული. ჩინეთში ინტელექტუალური

საკუთრება არასათანადოდაა დაცული. ქვეყანაში აქტიურად ხდება უცხოური პროდუქციის კოპირება, რაც აფერხებს ინოვაციას. იგივეს ადასტურებს ბრაზილიის მაგალითიც. მსგავსად ჩინეთისა, იქაც არასათანადოდაა დაცული ინტელექტუალური საკუთრება და ამ ქვეყანაშიც დგას ინოვაციის ნაკლებობის პრობლემა. 1980 წელს ბრაზილიაში მხოლოდ 33 პატენტი იყო დარეგისტრირებული, ხოლო 2000 წელს - 113 [3].

ინტელექტუალური საკუთრების დაცვა მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვის კუთხითაც. ინვესტორები რომ ქვეყანაში შემოვიდნენ, ამისათვის ინტელექტუალური საკუთრების სათანადოდ დაცვაა საჭირო. მაგალითად „ფლი“, „პრადა“ და ა.შ ქართულ ბაზარზე არ შემოვა, თუ მისი უფლებები აქ სათანადოდ არ იქნება დაცული. ქვეყანაში, სადაც არაა დაცული ინტელექტუალური საკუთრების უფლება, არავინ განახორციელებს უცხოურ ინვესტიციას, არ დააბანდებს ფულს.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვას გავლენა აქვს გლობალიზაციის პროცესზეც. გლობალიზაციის პროცესს ყავს ბევრი მოწინააღმდეგე და ადამიანთა გარკვეული ნაწილი მას სახიფათოდ მიიჩნევს, მაგრამ გლობალიზაციის შედეგად ქვეყნებს შორის მყარდება მშვიდობა და მეგობრული დამოკიდებულება. ამის მიზეზი ისაა, რომ ქვეყნები ერთმანეთზე ეკონომიკურად დამოკიდებულები ხდებიან, შესაბამისად, არავის აწყობს სხვა ქვეყანაში ომის დაწყება ან რაიმე კონფლიქტი. პირიქით, ქვეყნები ცდილობენ ერთმანეთს დაეხმარონ, ვინაიდან ერთი ქვეყნის პრობლემა მნიშვნელოვანი ხდება სხვა ქვეყნებისთვისაც. ამის კარგი მაგალითია ევროკავშირი, სადაც ქვეყნები გაერთიანდნენ და მშვიდობიანად თანაცხოვრობენ.

### **ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა საქართველოში**

რაც შეეხება საქართველოს, აქ ინტელექტუალური საკუთრების უფლება კანონითაა დაცული. არსებობს სხვადასხვა კონვენცია, რომლის მონაწილე საქართველოცაა და შესაბამისი საკანონმდებლო აქტებიც გაგვაჩნია. ინტელექტუალური საკუთრების დარღვევისთვის საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. თუმცა, პრაქტიკაში ეს ნაკლებად ხორციელდება და ქართულ ბაზარზე მაინც არსებობს ყალბი საქონელი. მსგავსი რამ ხდება განვითარებულ ქვეყნებშიც, მაგრამ, მათგან განსხვავებით, საქართველოში ღიად ხდება ყალბი პროდუქციის გაყიდვა და მას დიდ მალაზიებსა და სუპერმარკეტებშიც შევხვდებით. ამის მიზეზი ისაა, რომ ადამიანებს არ ეშინიათ სანქციების დაკისრებისა [4]. ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაუცველობის მიზეზი ისიცაა, რომ ბაზრიდან ყალბი პროდუქციის ამოსაღებად ხშირად არ ტარდება რეიდები. მაგალითად, 2013 წელს იგი მხოლოდ ერთხელ ჩატარდა. თუმცა, ადამიანები დღეს უფრო მეტად ზრუნავენ თავიანთი ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვაზე, ვიდრე ადრე. წინა წლებთან შედარებით, ახლა უფრო მეტ ადამიანს შეაქვს სარჩელი სასამართლოში ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის მოთხოვნით. 2013 წელს სასამართლოში 169 სარჩელი შევიდა აღნიშნულ თემაზე. 2013 წელს დასრულებული დავების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება 2012 და 2011 წლების მაჩვენებლებს. იზრდება საავტორო უფლებათა ასოციაციის წევრების რიცხვიც, რაც კიდევ უფრო უწყობს ხელს ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას, რადგან ეს ასოციაცია ინტელექტუალური საკუთრების ბაზარზე სწორედ მათი მფლობელების



ინტერესებს იცავს. 2011 წელს ასოციაციაში 500-მდე ავტორი იყო გაწევრიანებული, 2014 წელს კი მათმა რაოდენობამ 1000-ს მიაღწია [5].

### დასკვნა და რეკომენდაციები

საერთო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინტელექტუალური საკუთრების დაცვას თავის დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, რაც ბალანსის დაცვის სჭიროებას ბადებს. ინტელექტუალური საკუთრების უფლება მოქმედებს ადამიანის სიკვდილის შემდეგაც, თუმცა ის არ გრძელდება სამუდამოდ. ეს ვადა შეიძლება იყოს 70; 50 წელი და ა.შ. მის ხანგრძლივობას განსაზღვრავს კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობა. ვფიქრობ, ბალანსის დასაცავად უკეთესი იქნებოდა, თუ ინტელექტუალური საკუთრების უფლება სიკვდილის შემდეგ აღარ გაგრძელდებოდა და ადამიანის გარდაცვალებისთანავე შეწყდებოდა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ძამუკაშვილი დ. 2006 . *ინტელექტუალური უფლებები*. თბილისი: ინტელექტი.
2. Beckerman-Rodau,A(2011). The problems with intellectual property rights:subject matter expansion. Yale Journal of Law and Technology.
3. James A. Lewis. 2008 . *Intellectual property protection*, central for strategic international studies.
4. *ყალბი ბაზარი*. 2010 . <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/104308/>
5. ევგენიძე ნ. 2014 . *ინტელექტუალური საკუთრების დაცვა*  
<http://www.radiotavisupleba.ge/content/ინტელექტუალური-საკუთრების-დაცვა/25369005.html>

*Mariam Togonidze  
Grigol Robakidze University  
School of Law  
Master's Programme Student*

## Drug-related Crimes and Sanctions According to the Criminal Code of Georgia

### Summary

Article “Drug-related Crimes and Sanctions According to the Criminal Code of Georgia” discusses the history of crimes related to drugs, new drug in relation to sanctions and the cases that contributed to the spread of crime.

As drugs have been abused for hundreds of years all over the world, their effects have been felt for just as long. Since drugs have been used, there were always those who abused them which led to full-blown addiction and the bevy of side effects that come with it. As the physical and mental health implications of addiction became clearer, rehabilitation efforts began to appear.

Annual overview of the major developments in drug markets for the various drug categories is made ranging from production to trafficking, including development of new routes and modalities, as well as consumption. The World Drug Report 2014 provides a global overview of the latest developments with respect to opiates, cocaine, cannabis and amphetamines (including "ecstasy") and the health impact of drug use.

Georgia is a transit and destination country for illicit drugs produced in other countries. The highlight of Georgia's counter narcotics efforts in 2014 was the seizure in July of 2.7 metric tons of liquid heroin near the Port of Batumi, believed to be the largest overland heroin seizure in history. The most significant drug trafficking route runs from Afghanistan and Iran through Azerbaijan or Armenia to Georgia, then to destinations in Western Europe, Turkey, and Russia.

This article discusses the existing drug policy in Georgia and its consequences, as well as the practice of foreign countries in the fight against drug trafficking. The article clearly emphasizes the need to actively pursue a comprehensive treatment and preventive measures aimed at overcoming this problem by public policy.

In terms of countering illegal drug use and importing narcotics, Georgia implemented extensive legislative amendments to the existing drug-related laws and enacted a new law on psychotropic substances which came into force in May 2014. In 2014, Georgia significantly expanded the list of pharmaceuticals for which a person needs a prescription in an effort to better control the illegal use of pharmaceuticals. Consequently, the use of home-made drugs and the import of new psychotropic substances has decreased by over 90 percent since 2013. The Ministry of Internal Affairs began a new anti-drug awareness campaign targeted on preventing the use of new psychotropic substances.

In addition, the country is reflected in the spread of crimes related to drugs, based on a survey conducted by the Ministry of the Interior.

Drug abuse and related crimes are the most painful problems in Georgia and not only in Georgia, but also throughout the world.

**Keywords:** Drug abuse; Psychotropic substances; Sanctions.

*მარიამ ტოგონიძე  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
სამართლის სკოლა  
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი*

**ნარკოდანაშაული და მასთან დაკავშირებული სანქციები საქართველოში**

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ნარკოტიკული დანაშაულის ისტორია, საქართველოში არსებული სანქციები ნარკოდანაშაულთან მიმართებით და ის მოვლენები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მის გავრცელებას. აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, ასახულია ნარკოტიკული დანაშაულის გავრცელების შედეგები ქვეყნის მასშტაბით, განხილულია საქართველოში არსებული ნარკოპოლიტიკა და მისი შედეგები, წარმოჩენილია საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა ნარკოდანაშაულთან ბრძოლის კუთხით, წამოჭრილია ნარკომომხრებელთა რეაბილიტაციის საკითხი, მკაფიოდაა გამოკვეთილი ქვეყანაში კომპლექსური პრევენციული ღონისძიებების გატარების და აღნიშნული პრობლემის დასაძლევად სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების უცილებლობის საკითხი.

**სადიებო სიტყვები:** ნარკოდანაშაული; ნარკომომხარებელი; დანაშაული; რეაბილიტაცია.

## **შესავალი**

ბოლო პერიოდში ნარკომანია იქცა პრობლემად, რომელიც საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ მოსახლეობის ჯანმრთელობას, არამედ მთელი რიგი ქვეყნების ეროვნულ უშიშროებასაც, რამეთუ ნარკობიზნესი ტერორიზმის ერთერთ უმსხვილეს დამფიანსებლად გადაიქცა.

ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო მოხმარება საკმაოდაა გავრცელებული მსოფლიოში. 2010 წლის მონაცემებით, თითქმის 243 მილიონ ადამიანს, ანუ დაახლოებით მსოფლიო მოსახლეობის 5.2 %-ს(ასაკი 15-დან 64 წლამდე) ერთხელ მაინც ჰქონდა გასინჯული ნარკოტიკული ნივთიერება. ნარკომომხმარებელთა ყველაზე პრობლემურ ნაწილს კი 27 მილიონი ადამიანი შეადგენს, რაც დედამიწის მოსახლეობის 0,6 %-ს წარმოადგენს.

ჰეროინის, კოკაინის, ამფეტამინის, სტიმულატორებისა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების შედეგად ყოველწლიურად უამრავი ადამიანი იღუპება. [1] გარდა იმისა, რომ ნარკოდანაშაული დამლუპველია სოციალისტების, ის მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ხელს უწყობს დანაშაულის ზრდას, არასტაბილობას, დაუცველობას, აივ ინფექციისა და სხვა დამლუპველი დაავადებების გავრცელებას [6].

გაეროს 2014 წლის მოხსენების მიხედვით, მსოფლიოში თითო მილიონ მოსახლეზე ნარკოტიკების უკანონო მოხმარების შედეგად იღუპება საშუალოდ 183.000 (დიაპაზონი 95.000-226.000) ადამიანი [1].

ნარკომანია ერთ-ერთი გავრცელებული დანაშაულია საქართველოშიც.

## **ნარკოტიკული დანაშაულის ისტორია**

ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებას საკმაოდ დიდი და საინტერესო ისტორია აქვს. განსაკუთრებით დინამური ხასიათი მან მას შემდეგ შეიძინა, რაც მეცნიერულად დასაბუთდა ნარკოტიკული ნივთიერებების მავნე ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნარკოტიკული ნივთიერებების არასამედიცინო მიზნებით გამოყენება თითქმის მთელ მსოფლიოში აიკრძალა, რამაც ნარკობიზნესი არალეგალური გახადა, თავის მხრივ, ამან ნარკოტიკული ნივთიერებების მწვავე დეფიციტი გამოიწვია და, შესაბამისად, რამდენჯერმე გაზარდა ნარკოტიკული ნივთიერებით უკანონო მოვაჭრეთა ფინანსური მოგება. ფინანსურმა დაინტერესებამ უფრო ორგანიზებული და სასტიკი გახადა ნარკობიზნესი, დღეისათვის ნარკოტიკული დანაშაული სრულიად ახალ ფაზაში შედის, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მიერ ის მიჩნეულია ტერორიზმის დაფინანსების მთავარ წყაროდ, შესაბამისად, მის წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო ძლიერდება, რაც, სავარაუდოდ, კიდევ უფრო მომგებიანს გახდის მოცემულ დანაშაულს. ნარკოტიკებს შორეული ისტორია აქვს და ის დრამატიზმითაა აღსავსე. ადრეულ პერიოდში, რელიგიათა მრავალი ნაირსახეობის არსებობისას, სხვადასხვა ცივილიზაციაში ვაწყდებით ფაქტებს, რომლებიც ნარკოტიკების გამოყენებას ადასტურებენ. მაგალითად, უძველესი პერიოდიდანაა ცნობილი ე.წ ფსიქოაქტიური მცენარე, რომელიც საძილე საშუალებად გამოიყენებოდა, ბანგი, სიყვარულის წამალი, მისტიკური რიტუალების ჩატარებისას მოხმარებული ნაირგვარი საშუალება [6].

მეცნიერების ვარაუდით, შუმერები ნარკოტიკებს ჯერ კიდევ 5000 წლის წინათ მოიხმარდნენ. არქეოლოგიური გათხრებისას შუმერულ ნაქალაქრებში აღმოჩენილი იქნა ოპიუმის დამზადებისა და გამოყენების წესი, რომელიც თიხაზე იყო ამოტვიფრული. როგორც ჩანს, ოპიუმის გამოყენება ასევე არ იყო უცხო ადრეული ეპოქის ბერძნული კულტურისთვის. ძველ საბერძნეთში მკურნალთა ღმერთის თავს სწორედ ყაყაჩოს სამი კოლოფი ამკობდა [2].

შუა საუკუნეებში ნარკოტიკულ ნივთიერებებს აქტიურად იყენებდნენ სამკურნალო საშუალებებად, უფრო მოგვიანებით კი მათ გართობისა და დროის სასიამოვნოდ გატარებისთვისაც მოიხმარდნენ. ისტორიულ ცნობებში ვხვდებით ინფორმაციას, თუ რა პრობლემებს აწყდებოდა ადმირალი ნელსონი ზღვაოსნობისას. მის რამდენიმე წერილში ვკითხულობთ, რომ მეზღვაურები კანაფის თოკებს ეწეოდნენ ნარკოტიკული ეფექტის მისაღებად. ინგლისელებს საკმაოდ დიდი „დამსახურება“ აქვთ ნარკოტიკების პოპულარიზაციაში. მე-18 საუკუნის ბოლოს ინგლისი ჰაშიშის ერთერთი ყველაზე დიდი მწარმოებელი ქვეყანა გახლდათ, ინგლისელ ბიზნესმენებს ნარკოტიკული ნივთიერებები მოჰყავდათ კოლონიების ტერიტორიებზე და შემდგომ სარეალიზაციოდ ჩინეთსა და მუსულმანურ ქვეყნებში გაჰქონდათ.

განსაკუთრებული ზიანი ნარკოტიკებმა ჩინეთს მიაყენა. მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ამ ქვეყანაში ბრიტანული ოპიუმის ექსპორტი 120 ტონიდან 2500 ტონამდე გაიზარდა, ჩინეთში თითქმის შეწყდა სხვა საქონლით ვაჭრობა, დიდი რაოდენობით ოპიუმის ექსპორტმა ჩინეთიდან ძვირფასი ლითონების გადინება გამოიწვია, რასაც, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკის განადგურება მოჰყვა. მოსახლეობის ნახევარი ნარკომანიით დაავადდა, სახელმწიფო ინსტიტუტები, ჯარის ჩათვლით, დეზორგანიზებული და შრომის უუნარო გახდა. საპასუხოდ, ჩინეთის ხელისუფლებამ აკრძალა ოპიუმით ვაჭრობა. მოვაჭრეებს იჭერდნენ, საქონელს კონფისკაციას უკეთებდნენ, ხოლო ოპიუმით დატვირთულ გემებს ზღვაში ძირავდნენ. ბრიტანეთი კარგავდა ყველაზე დიდი გასაღების ბაზარს და, შესაბამისად, უზარმაზარ მოგებასაც. ამას შედეგად ომის გაჩაღება მოჰყვა ჩინეთთან. დეზორგანიზებული ჯარი ვერ უწევდა წინააღმდეგობას ბრიტანელებს და ჩინეთს კუნძულ სიანგანგის დათმობა

მოუწია, რომელზეც ბრიტანელებმა ახალი კოლონია ჰონკონგი ააშენეს. ბრიტანეთმა, მართალია, აიღო ვალდებულება აღარ ევაჭრა ოპიუმით ჩინეთის ტერიტორიაზე, თუმცა, პირობა არ შესრულდა.

ახალი ომის შემდეგ, ჩინეთმა დაუშვა ოპიუმის იმპორტი, სანაცვლოდ, მას ბაჟის მოთხოვნის უფლება მისცეს. ინგლისთან ერთად, ოპიუმის ექსპორტს ჩინეთში უკვე აშშ და საფრანგეთი ეწეოდა, რასაც ნარკომანიის არნახული გავრცელება მოჰყვა. ჩინეთის ხელისუფლების ყველა მცდელობა, დაემარცხებინა ნარკომანია, სრული კრაზით დასრულდა. ასე გრძელდებოდა 1950 წლამდე, სანამ კომუნისტურმა მთავრობამ უსასტიკესი ანტინარკოტიკული კანონი არ მიიღო. ოფიციალური მონაცემებით, ამ კანონის საფუძველზე დაპატიმრებული იქნა 80 000 ადამიანი. მათგან ბევრი სიკვდილით დასაჯეს. აღნიშნული ისტორიის გამოძახილია ის ფაქტი, რომ ჩინეთს ბოლო პერიოდამდე ყველაზე მკაცრი კანონმდებლობა ჰქონდა ნარკოტიკებთან მიმართებაში.

ნარკოტიკების გავრცელების მხრივ, საქართველოში განსაკუთრებით მძიმე ფონი 90- იანი წლების დასაწყისში შეიქმნა. ამ პერიოდში მოიშალა და უფუნქციო გახდა ნარკოდანაშაულთან ბრძოლის სახელმწიფო სისტემა, განადგურდა ქვეყნის ეკონომიკის 70 %, რამაც ტოტალური უმუშევრობა და უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა გამოიწვია, სრულად მოიშალა ქვეყნის სასაზღვრო დაცვა, სახელმწიფომ დაკარგა კონტროლი გარკვეულ ტერიტორიებზე, მკვეთრად გაუარესდა კრიმინოგენული მდგომარეობა, კორუფციამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. ამ ყველაფერს დაემატა ჩვენი ქვეყნის იდეალური ნარკოსატრანზიტო ადგილმდებარეობა, რამაც ის ერთ-ერთ ხელსაყრელ ტერიტორიად აქცია აზიიდან ნარკოტიკების ევროპაში შესატანად [2,123].

ბოლო წლებში გარკვეულწილად გაიზარდა საქართველოში ევროპიდან შემოსული ნარკოტიკების მოცულობა, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ექსტაზი და სუბოტექსი. საქართველო საკმაოდ მნიშვნელოვანი ქვეყანაა ნარკოტრანზიტის კუთხით, აქ რამდენიმე მიმართულებიდან შეიძლება ნარკოტიკული ნივთიერებების მიღება და შემდგომ ევროპისკენ გადამისამართება [6].

### **ნარკომანიის გავრცელების ხელშემწყობი ფაქტორები**

ნარკომანიის გავრცელებას ხელს უწყობს მოსახლეობის გაუნათლებლობა. გაუნათლებლობაში არ ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, კონკრეტულ, პროფესიულ განათლებას. მნიშვნელოვანია ინფორმაციის სიმწირე ნარკოტიკების მავნებლობის შესახებ. კვლევის ეს მონაცემები სრულ თანხვედრაშია ბატონ გიორგი ლლონტის რედაქციით 2008 წელს გამოცემულ კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოში აღწერილ კვლევასთან, სადაც ხაზგასმულია, რომ ნარკომანიის კვლევის დროს თვალშისაცემია ნარომომხმარებელთა განათლების მაღალი დონე, თუმცა აქვე არის აღნიშნული, რომ ნარკომანებში „განათლების ცენზი ხშირად ფორმალური ხასიათისაა, ვინაიდან არ ვლინდება განათლებული ადამიანისათვის დამახასიათებელი სოციალური აქტივობა [3].

### **ნარკოდანაშაულთან ბრძოლის სტრატეგია და სისხლის სამართლის პოლიტიკა სხვადასხვა ქვეყნებში**

პირობითად, სისხლის სამართლის პოლიტიკის მიხედვით, ქვეყნები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ქვეყნები, რომლებიც ნარკომანიის მიმართ გამოირჩევიან ლიბერალური პოლიტიკით და ქვეყნები, რომლებიც მთელი სიმკაცრით დევნიან ამ სენს. ორივე მიმართულებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და რისკები. რა თქმა უნდა, კაცობრიობას არ შესწევს უნარი სრულად აღმოფხვრას დანაშაული, მაგრამ მას შეუძლია შეაკავოს ის სოციალურად მეტ-ნაკლებად ასატან დონეზე [7].

სტრატეგიის შერჩევას უნდა იქნას გათვალისწინებული მთელი რიგი კომპონენტები, ქვეყნის ისტორია, ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის განათლების დონე, სოციალური კავშირები, არასამთავრობო ინსტიტუტების როლი და ავტორიტეტი, ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო თუ პოლიტიკური მდგომარეობა და ა.შ.

პირველ რიგში, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ნარკომანიის უდიდესი ფული ტრიალებს. 2005 წლის მონაცემებით, ნარკომანიის 322 მილიარდი დოლარი ბრუნავდა.[8] ეს რამდენჯერმე აღემატება ბევრი განვითარებული ქვეყნის ბიუჯეტსაც. კიდევ ერთ ფაქტორს წარმოადგენს ფასებში სხვაობა გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით, მაგალითად, თუკი ერთი კილოგრამი ჰეროინის ფასი ტაილანდში ან ავსტრალიაში 1000-2000 დოლარს უტოლდება, თურქეთში ის აღწევს 6000-8000\$, ხოლო გერმანიაში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში 20000-80000\$. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს, თუ რამდენად მომგებიანია ნარკოტიკების ტრანზიტი გადამზიდველთათვის. დიდ მოგებასთან და ფულთან დაკავშირებულია კორუფციის მაღალი რისკი, კორუმპირებული სამართალდამცავი ორგანოების შემთხვევაში არანაირი აზრი არ აქვს ჩატარებულ ტრეინინგებსა და მომზადებულ სტრატეგიებს. შესაბამისად, უნდა მივიჩნიოთ, რომ ნარკომანიასთან ბრძოლა უნდა დაიწყოს სამართალდამცავ უწყებებში კორუფციის აღმოფხვრით.

ხშირ შემთხვევაში ნარკომანიასთან ბრძოლის პოლიტიკის ხასიათი განპირობებულია ისტორიული ფაქტებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჩინეთში ნარკომანიის გავრცელებამ ფაქტობრივად დაანგრია ეკონომიკა, შრომისუუნარო გახადა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ჯარი და სხვა სახელმწიფო უწყებები კი სრულად მოშალა. კომუნისტური ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ქვეყანაში აქტიურად და სრული სიმკაცრით დაიწყო ბრძოლა მოცემული დანაშაულის წინააღმდეგ, 80 000 ადამიანი იქნა დაპატიმრებული, ამათგან უმრავლესობა დაიხვრიტა.

აღნიშნული კანონმდებლობა 90-იანი წლების დასაწყისამდე იყო შენარჩუნებული. 1990 წლიდან მოქმედებს ეროვნული სახალხო კონგრესის მიერ მიღებული „ნარკოტიკების ამკრძალავი რეგულაციები“. აღნიშნულმა რეგულაციებმა საკმაოდ შეარბილა კანონმდებლობა ნარკომომხმარებელთა მიმართ.

ნარკომანიის წინააღმდეგ მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა გვხვდება აზიის უმრავლეს ქვეყნებში. მათ ნარკოტიკებთან ბრძოლის საკმაოდ რთული და დიდი გზა გაიარეს, იმ პერიოდში (საუბარია მე-20 საუკუნის შუა ხანებზე) სისხლის სამართალში რეპრესიული პოლიტიკა იყო მიჩნეული გამართლებულად, შესაბამისად, ბევრი ქვეყანა ამ გზით ცდილობდა ნარკომანიის დამარცხებას, რაც დღემდე აქტიურად ხორციელდება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგია თურქეთში. ის, ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოდ ითვლება. საკუთარი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, თურქეთის რესპუბლიკა ევრაზიის მასშტაბით ყველაზე მეტად დაზარალდა ნარკოტიკული დანაშაულის შედეგად. იგი, ფაქტობრივად, ნარკოტიკების გადაზიდვის გზაჯვარედინზე იმყოფება. თურქეთი აქტიურად თანამშრომლობს უცხო ქვეყნებთან ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მოახდინა გაეროს არაერთი ხელშეკრულების რატიფიკაცია, ასევე, გაფორმებული აქვს თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება მრავალ ქვეყანასთან. შეთანხმება ევროპის თანამეგობრობასა და თურქეთს შორის ნარკოტიკებისა და სხვა ფსიქოტროპული ნივთიერებების დამზადება-წარმოებასთან დაკავშირებით ძალაში შევიდა 2004 წლის 28 აპრილს. თურქეთი მოგვიანებით გახდა ორგანიზაცია UNODC (United Nations Office on Drugs and Crime) ერთ ერთი მთავარი დონორი.

აღნიშნულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, თურქეთში ჩატარდა შესაბამისი კვლევა და გაკეთდა შეფასება ნარკოტიკული დანაშაულის ბუნებასა და მასშტაბებთან დაკავშირებით, რამაც ისინი, საბოლოოდ, ნარკოტიკებთან ბრძოლის ნაციონალური სტრატეგიის შექმნის საჭიროებამდე მიიყვანა. სიტუაციის სირთულიდან გამომდინარე, თურქეთმა მთავრობის თითქმის ყველა სტრუქტურა ჩართო ნარკოტიკების ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა, მთავარი პასუხისმგებლობა მაინც ნაციონალურ პოლიციას, ჟანდარმერიასა და სანაპირო დაცვას დაეკისრა. ნარკოტიკებთან ბრძოლაში ასევე ჩართული სახელმწიფოს სხვა უწყებები, კერძოდ: ფინანსთა სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო; განათლების სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; ადგილობრივი მაუწყებლობა და მედია; თურქეთის რადიომაუწყებლობა და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ სულ ახლახანს თურქეთის ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო აკადემიამ განახორციელა 60-ზე მეტი ტრენინგის პროგრამა, რომელიც გათვლილი იყო პოლიციის მუშაკებზე, პროკურორებზე, მოსამართლეებსა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებზე. 2010 წელს თურქეთმა დაიწყო ადგილობრივი აეროპორტების გაძლიერება, განვითარება და მკაცრი კონტროლი. აღნიშნული რეორგანიზაციის შემდეგ რომელიც 2010 წლის იანვარში განხორციელდა, მიმდინარე წლის განმავლობაში დაახლოებით 300 კილოგრამი ნარკოტიკი იქნა ამოღებული, რაც წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად ბევრია.

საქართველოში, 2009 წლის მონაცემების მიხედვით, ნარკოტიკების 40,000-მდე პრობლემური (ინექციური) მომხმარებელია, რაც ქვეყნის 15-დან 64 წლამდე ასაკის პოპულაციის 1.5%-ს შეადგენს. შავ ბაზარზე „ტრადიციულად“ გავრცელებულ ნარკოტიკულ საშუალებებს წლების განმავლობაში წარმოადგენდა ოპიოიდები: 90-იანი წლებიდან მოყოლებული - დაუმუშავებელი ოპიუმი, შემდეგ - ჰეროინი, 2004 წლიდან - ბუპრენორფინი სუბუტექსის სახით. 2008 წლიდან ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა შორის ფეხი მოიკიდა აფთიაქში ხელმისაწვდომი მედიკამენტებიდან დამზადებულმა ამფეტამინის ტიპის სტიმულატორებმა (ე.წ. ვინტი და ჯეფი). სამედიცინო გამოკვლევებისა და დაკვირვების თანახმად, კუსტარული სტიმულატორების მოხმარება მჭიდროდ ასოცირდება შეუქცევად ნევროლოგიურ ცვლილებებთან, პარკინსონიზმის მსგავს დაავადებასთან და ხეიბრობასთან.

2010-2012წლებში შავ ბაზარზე „ტრადიციული“ ოპიოიდების მკვეთრად შემცირების ფონზე, ნარკოტიკების ინექციურმა მომხმარებლებმა გადაინაცვლეს აფთიაქებსა და საყოფაცხოვრებო მაღაზიებში ადვილად ხელმისაწვდომ პრეკურსორებზე, კუსტარულად დამზადებულ კოდეინის შემცველ ოპიოიდზე რუსული ჟარგონული დასახელებით „კრაკადილი“ (ქართულად „ნიანგი“), რომელიც ზედოზირების მაღალი რისკით ხასიათდება. 2012 წლისათვის ქვეყანაში ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით დაინფიცირებულთა 53%-ს ვირუსი ნარკოტიკების ინექციური მიღების გზით აქვს გადაცემული. ვირუსული C ჰეპატიტის გავრცელება ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში 60-70%-ს აღწევს. ამ ფონზე, ზიანის შემცირების პროგრამების მოცვა ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში (ნიმ) მხოლოდ 5-10% შეადგენს, მაშინ როდესაც, აღნიშნული პროგრამების ერთ-ერთ ძირითად მიზანს სწორედ ნიმ პოპულაციაში ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენცია წარმოადგენს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, თუ ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების პროგრამებით ნიმ პოპულაციის მოცვა 20%-ზე ნაკლებს შეადგენს, ეს დაბალი მაჩვენებელია (საშუალოდ ითვლება მაჩვენებელი 20%-დან 60%-მდე).

ქვეყანაში 2012 წლისთვის არსებობს 4 სამკურნალო სტაციონარული დაწესებულება, სადაც დეტოქსიკაციური მკურნალობა წარმოებს: სამი თბილისში და ერთი ბათუმში. 2011 წელს ქვეყნის მასშტაბით დეტოქსიკაციური კლინიკების 270 პაციენტიდან 80-ის მკურნალობა დაფინანსებული იყო სახელმწიფო პროგრამით, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში მკურნალობის საფასური (1200-2200 ლარი) პაციენტმა თავად დაფარა. ქვეყანაში ფუნქციონირებს ოპიატების აგონისტებით ჩანაცვლების 17 პროგრამა, რომლებითაც, საერთო ჯამში, წელიწადში დაახლოებით 2300 პაციენტის მოცვა ხდება. ჩანაცვლებითი მკურნალობა 500-600 პაციენტისთვის სრულიად უფასოა, ვინაიდან ის შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ ფინანსდება, ხოლო დანარჩენი პაციენტები, თანადაფინანსების პრინციპით, მოქმედ სახელმწიფო პროგრამებში თვეში 150 ლარს იხდიან. ქვეყანაში არ არსებობს ნარკოლოგიური მკურნალობის გზამკვლევები, მკურნალობის ეფექტურობის შეფასების მექანიზმები და ინდიკატორები. ქვეყანაში არ არსებობს არც პირველადი პრევენციის ინსტიტუციური მექანიზმები, ანუ სოციალურ, საგანმანათლებლო და სამედიცინო-ფსიქოლოგიურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხელს უწყობს ნარკოტიკული საშუალებების/ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარების დაწყების თავიდან აცილებას და არ არის დანერგილი მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომები.

2009 წლის ESPAD (European School Program on Alcohol and Drugs) გამოკვლევის მონაცემების თანახმად, ცხოვრებაში ერთხელ არალეგალური ნარკოტიკული საშუალება მოუხმარია თბილისში მაცხოვრებელი 16 წლის მოზარდების 20%-ს - გამოკითხული ვაჟების 33%-ს და გოგონების 8%-ს. ლეგალური ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების მაჩვენებლები გაცილებით მაღალია (თამბაქო - 50%, ალკოჰოლი - 90%); კვლევამ, აგრეთვე, გამოავლინა რომ ახალგაზრდები არ იცნობენ ლეგალური თუ არალეგალური ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ რისკებს. საქართველოში ნარკოტიკების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე წარმოადგენს დასჯად ქმედებას, რომელიც როგორც ადმინისტრაციული, ასევე სისხლის სამართლის კანონმდებლობით ისჯება. პირველ ჯერზე, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მოხმარება, ექიმის დანიშნულების გარეშე, ისჯება



ადმინისტრაციული წესით და სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით ერთი წლის განმავლობაში, ექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ისჯება 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან/და ჯარიმით. 2011წელს ნარკოდანაშაულისთვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე თავი) 3,543 პირი იქნა მსჯავრდებული. მათ შორის, 1,523 მხოლოდ ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მოხმარებისთვის. ამას გარდა, დამატებით 5,717 პირი იქნა ადმინისტრაციული წესით სახდელდადებული.

ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული ზიანი თავს იჩენს ინდივიდის, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს დონეზე და საჭიროებს კომპლექსურ/მრავალსექტორულ, დაბალანსებულ, პრაგმატულ და თანმიმდევრულ მიდგომას, დაფუძნებულს ადამიანის უფლებების დაცვასა და სამეცნიერო კვლევებზე. წამალდამოკიდებულება არის პროგრესირებადი ქრონიკული დაავადება, რომელიც მჭიდროდაა გადაჯაჭვული როგორც ფსიქიკურ აშლილობებთან, ასევე აივ-შიდსის ანდა ვირუსული ჰეპატიტის ეპიდემიების გავრცელებასთან და ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ სიკვდილთან. ამის გათვალისწინებით, წამალდამოკიდებულების პრობლემის მიმართ აუცილებელია უპირატესობა მივანიჭოთ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიდგომას.

ეროვნული ნარკოსტრატეგია მიმართული უნდა იყოს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის პრობლემის მართვის ინსტიტუციური მექანიზმების განვითარებისკენ. მისი ძირითადი მიმართულებებია: ნარკოტიკებზე მოთხოვნისა და მოწოდების შემცირება, ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოყენებით გამოწვეული ზიანის შემცირება, ნარკოპრობლემის მონიტორინგი, კოორდინაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა.

სტრატეგია ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს: პიროვნების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, პიროვნებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა, ადამიანის ღირსების პატივისცემა და უფლებების დაცვა და ასევე საზოგადოების ინფორმირებისა და განათლების ხელშეწყობა.

წინამდებარე სტრატეგიის მიზანია საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვით გამოწვეული სამედიცინო, სოციალური და ეკონომიკური ზიანის შემცირება ინდივიდის, ოჯახის, თემის, საზოგადოების, ეროვნულ დონეზე. სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები/კომპონენტებია: მოთხოვნისა და ნარკოზიანის შემცირების მიმართულებით მუშაობა; ნარკოტიკული საშუალებების მოწოდების შემცირება; ნარკომანიის წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის კოორდინაცია, საერთაშორისო თანამშრომლობა და ნარკოვიითარების მონიტორინგი.

ეროვნული ნარკოსტრატეგიის ამოცანებია: ფსიქოაქტიური საშუალებების ავადმოხმარების თავიდან აცილება ბავშვებში, მოზარდებსა და ახალგაზრდებში, ასევე ზოგადად პოპულაციაში; წამალდამოკიდებული პირების უზრუნველყოფა სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარებით; ფსიქოაქტიური საშუალებების ავადმოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირების პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სასჯელადსრულების დაწესებულებებში მყოფი ფსიქოაქტიური

ნივთიერებების მომხმარებელთა უზრუნველყოფა მკურნალობით, რეაბილიტაციითა და ზიანის შემცირების შესაძლებლობებით; სტიგმისა და დისკრიმინაციის დაძლევა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელთა ეფექტური დახმარების ხელშეწყობისთვის; ეროვნული ნარკოპოლიტიკის შემუშავების, შესაბამისი პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასებისათვის მტკიცებულებებზე დამყარებული საინფორმაციო სისტემის მოქმედების უზრუნველყოფა; ფსიქოაქტიური ნივთიერებების არალეგალური ბრუნვის შეზღუდვა; საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელშეწყობა ნარკოტიკული დანაშაულის შემცირების გზით; შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ეფექტური თანამშრომლობის ხელშეწყობა; შესაბამისი პროფესიული კადრების მომზადება-გადამზადების ინსტიტუციური მექანიზმების უზრუნველყოფა; ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვისა და ავადმომხმარების შესახებ საზოგადოებასთან უწყვეტი კომუნიკაციის უზრუნველყოფა.

26 ივნისი ნარკოტიკებთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა.

საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ მოწინავე ქვეყნების გამოცდილების მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება, მტკიცებულებებზე დამყარებული ჩარევის ნაცვლად, ჯიუტად აგრძელებს რეპრესიულ ნარკოპოლიტიკას, რომლის ერთადერთი შედეგი ნარკომომხმარებელთა გაზრდილი რიცხვი, ნარკოდანაშაულის მატება, ე.წ. სააფთიაქო ნარკომანიის აყვავება და მომრავლებული, სიცოცხლისთვის გაცილებით საშიში ტოქსიკური ნარკოტიკია.

„ზიანის შემცირების“ ქსელის წევრი ორგანიზაცია „ახალი გზა“ და მომხმარებელთა თვითორგანიზაცია „რუბიკონი“ წლებია, რაც საქართველოს მასშტაბით ნარკოტიკებთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლას აწარმოებენ. მათი წარმომადგენლების განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება არასწორ პოლიტიკას ახორციელებს ნარკომომხმარებელთა მიმართ, რაც უფო მეტად ზრდის ამ უკანასკნელთა რაოდენობას. მათი თქმით, ხელისუფლებას პრობლემის არსი გააზრებული არა აქვს. ნარკომანია საქართველოში ერთ-ერთი უმთავრესი და გადაუჭრელი პრობლემაა. რას აკეთებს სახელმწიფო ნარკომანიის პრობლემის აღმოსაფხვრელად, არსებობს თუ არა ქვეყანაში რეაბილიტაციის ცენტრები და ვის უნდა მიემართოს ამ პრობლემასთან დაკავშირებით, რას აკეთებს საქართველო ნარკომომხმარებელთა რესოციალიზაციისათვის? როგორია საზოგადოების დამოკიდებულება მომხმარებელთა მიმართ? - აი, კითხვები, რაზეც სახელმწიფოს პასუხი უნდა ჰქონდეს.

ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელის, ირაკლი გამყრელიძის განცხადებით, „არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უშუალოდ რესოციალიზაციაზეა ორიენტირებული. ნაწილობრივ ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამებიც ამ კომპონენტს შეიცავს, მაგრამ სახელმწიფო მიდგომა ნარკომომხმარებელთა რესოციალიზაციის მიმართ არ არსებობს. დღეს პრევენციული არის ერთი წლის წინ დაწყებული დანაშაულის პრევენციის და პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ განმეორებითი დანაშაულის პრევენციის პროგრამები... საქართველოში იმ პირთა დიდ ნაწილს, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არიან, აქვთ, ან ჰქონიათ

ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემები. ეს არის რთული სისტემა, იმიტომ, რომ რესოციალიზაციის სისტემა მიზნულია დასაქმებაზე, რომელიც, ზოგადად, პრობლემა ქვეყანაში. ასევე მიზნულია მოტივაციის ინსტრუმენტებზე. ალბათ, ჩვენ ჯერ არ ვართ მზად იმისთვის, რომ სახელმწიფო დონეზე ასეთი მასშტაბური პროგრამები გვქონდეს. თუმცა, ამის ადვოკატირება სპეციალისტების და ექსპერტების მხრიდან მიდის. აქტიური დისკუსიის საგანი იყო აღრიცხვიდან მოხსნის საკითხი, როდესაც ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დაიწყო მარეგულირებელი და საკანონმდებლო ბაზის გადახედვა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეს საკმაოდ გართულებულია ნარკომანიით დაავადებული პირის, მომხმარებლის აღრიცხვიდან მოხსნის სისტემა და გვინდა, რომ ეს გამარტივდეს, რათა უფრო მოტივირებული იყვნენ ეს ადამიანებიც, რომ მოიხსნან ეს იარლიყი.“

საქართველოს მასშტაბით, ნარკომომხმარებელთა დასახმარებლად რამდენიმე საშუალება არსებობს, თუმცა უმთავრესია მეტადონის ჩანაცვლების პროგრამა. მეტადონის ჩანაცვლების პროგრამის რამდენიმე ცენტრი არსებობს. იმერეთის რეგიონში კი ასეთი ერთადერთი ცენტრია, რომელშიც სხვადასხვა რაიონიდან საკმაოდ ბევრი მომხმარებელი დადის. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, აღნიშნული ცენტრის პაციენტს თავდაპირველად, ერთჯერადად 220 ლარის გადახდა უწევს პროგრამაში ჩასართველად, ხოლო შემდეგი თვეების განმავლობაში - 110 ლარს იხდის. ვინაიდან იმერეთის მასშტაბით აღნიშნული ცენტრი ერთადერთია, პროგრამაში ჩართულ ადამიანებს ყოველდღე სიარულში გაცილებით მეტი ეხარჯებათ, ვიდრე მკურნალობა უჯდებათ.

და მაინც რა არის მეტადონის პროგრამა?

მეტადონი ხანგრძლივი მოქმედების სინთეზური პრეპარატია, რომელიც პირველად XX საუკუნის 60-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიყენეს. წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული იყო აზრი, რომ ნარკომანიის მკურნალობის ერთ-ერთი საშუალება იყო ნარკოტიკებისაგან სრული თავშეკავება. ჩანაცვლების თერაპიის პრინციპი კი მდგომარეობს იმაში, რომ მეტადონის სისტემატურად მიღების ხარჯზე ნარკოტიკებზე დამოკიდებული პირი შეამცირებს სხვა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას, ხოლო შემდგომში კი სრულებით უარს იტყვის მასზე.

მკურნალობის ხელმისაწვდომობის საკითხი საქართველოში, ზოგადად, პრობლემურია. სტაციონარული მკურნალობა, ჩანაცვლებითი თერაპია, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გარკვეული კრიტერიუმების მქონე პირთათვის უფასოა, ზოგისთვის – თანაგადახდითი. არის ასევე სხვა მიმართულებებიც, რომლებიც მკურნალობის შემდგომ მოტივირებულ პაციენტებს ეხმარება.

ფსიქოლოგ დავით ფორჩხიძის განცხადებით, საერთაშორისო საზოგადოების პროგრესული ნაწილი დიდი ხანია მიხვდა, რომ ნარკოტიკების აკრძალვა არაეფექტურია. ყოველთვის ჩნდება ახალი ნარკოტიკი და ადამიანის ბუნებაში სულ არის სწრაფვა იამოვნებისკენ. ამ გაგებით, ნარკოტიკი და ალკოჰოლი ერთი და იგივეა.

„საქართველოში ნარკომომხმარებელთა დასახმარებლად რამდენიმე პროგრამა ხორციელდება, ერთ-ერთი - ზიანის შემცირებაა. მომხმარებლისთვის წამლის სწრაფი

აკრძალვა უშედეგოა, ამისთვის არსებობს მეტადონის პროგრამა. თუმცა, აქაც არის პრობლემა, როგორც თანხებთან დაკავშირებით, ასევე კონფიდენციალობის დარღვევის გამო. „წლების მანძილზე ვიმუშავებთ საქართველოში და საბოლოოდ მივიღეთ ის, რომ მეტადონის პროგრამის გადასახადი შარშან 30%-ით შემცირდა,“ - ამბობს დავით ფორჩხიძე.

მისი თქმით, არსებობს კიდევ ერთი - „შპრიცების გაცვლის“ პროგრამა, რათა ერთი და იგივე ნემსის გამოყენება არ მოხდეს მომხმარებლებში, რაც ამცირებს სხვადასხვა დაავადების გავრცელებას. ამ პროგრამაში, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, თავად ყოფილი მომხმარებლები მონაწილეობენ. კითხვაზე, რა ბედი ეწევა ადამიანს მას შემდეგ, რაც დაასრულა მეტადონის პროგრამა, დიდი ხანია, მსჯელობა მიმდინარეობს. ამ გზის გავლის შემდეგ უფრო მეტი ყურადღება სჭირდებათ დაავადებულ ადამიანებს. ამისათვის კი სახელმწიფო მზად არ არის არც ეკონომიკურად და არც მოწოდებით. აუცილებელია სარეაბილიტაციო ცენტრების მომრავლება ქვეყანაში, რაც მეტადონის პროგრამის შემდეგ მკურნალობას უზრუნველყოფს.

უნდა მოხდეს კანონის ლიბერალიზაცია მომხმარებელთა დეკრიმინალიზაციის საფუძველზე. ნარკოტიკების მომხმარებლები დასჯის ნაცვლად, უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ მკურნალობით, რეაბილიტაციით, ზიანის შემცირების პროგრამებით, რაც ერთადერთი სწორი მიდგომაა და ეს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებამაც აჩვენა.

მოცემულ ეტაპზე ნარკოტიკების მომხმარებელთა და „ზიანის შემცირების“ ქსელები აწარმოებენ კამპანიას კანონის ლიბერალიზაციის მოთხოვნით, რომლის სლოგანია „ჩემი რეპრესია შენი რეგრესია“. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება პეტიციაზე.

## დასკვნა

სახელმწიფოს სტაბილურობის და მართლწესრიგის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია ნარკოდანაშაულთან ბრძოლა. აღნიშნული პრობლემა სახელმწიფოს განვითარების ნებისმიერ ეტაპზე ნეგატიურ სოციალურ მოვლენას წარმოადგენს. წინამდებარე ნაშრომში განვიხილეთ ნარკოდანაშაულის ისტორია, მასთან ბრძოლის მეთოდები, სანქციები და არსებული ნარკოპოლიტიკის შედეგები, ასევე პრევენციული ზომები აღნიშნულ დანაშაულთან მიმართებაში.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ნარკომომხრებელთა რეაბილიტაციის საკითხს, სტატიში მკაფიოდაა ხაზგასმული, რომ აუცილებელია ქვეყანაში აქტიურად გატარდეს კომპლექსური სამკურნალო და პრევენციული ღონისძიებები, შემუშავებული იქნას სახელმწიფო პოლიტიკა აღნიშნული პრობლემის დასაძლევად.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. World drug reprt 2014 ., UNODC გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის სამმართველო: მსოფლიო მოხსენება ნარკოტიკების შესახებ, 2014 წელი.

2. მოსულიშვილი ა. „ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთანბრძოლის ასპექტები“ (სადისერტაციო ნაშრომი)
3. ღლონტი გ. 2008. *კრიმინოლოგია*. თბილისი
4. ბეროზაშვილი ზ. 2000. *ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის სამართლებრივი საფუძველები*. თბილისი
5. შალიკაშვილი მ. *ძალადობის კრიმინოლოგია*. თბილისი
6. ჯანაშია ჯ. 2002. *21-ე საუკუნის გამოწვევა*. თბილისი
7. Лунеев В.В. 2011. *Курс мировой и российской криминологии*
8. <http://www.unodc.org/unodc/en/frontpage/drug-trafficking-and-the-financing-of-terrorism.html>

School of Business and Management

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის და მართვის  
სკოლა

## **Georgia's Location Advantage Tourism Potential to Attract Foreign Enterprises**

### **Summary**

The presented paper reviews one of the elements of Dunning's eclectic paradigm to explain the role of location-specific (L) advantages as determinants of foreign direct investment location. OLI paradigm is a general framework what implies that inflow of foreign direct investments (FDI) is determined by three factors: ownership advantage, location advantage and internalization advantage. Location advantages try to explain why firm should want to locate in a foreign country. Multinational enterprises will typically be engage it foreign production when they find it in their best interest to combine their ownership advantages and certain internalization gains with production in foreign country. The given paper analyzes the location advantages of Georgia to explain the inflow of FDI to Georgia's economy. It also analyzes the motive behind FDI in Georgia. These motivations serve to determine what policies the host country should pursue in order to facilitate the location of FDI in Georgia's economy.

**Keywords:** Multinational Enterprises, Foreign Direct Investment; OLI paradigm.

### **Introduction**

The presented paper reviews one of the elements of Dunning's eclectic paradigm to explain the role of location-specific (L) advantages as determinants of foreign direct investment location. OLI paradigm is a general framework what implies that inflow of foreign direct investments (FDI) is determined by three factors: ownership advantage, location advantage and internalization advantage. Location advantages try to explain why firm should want to locate in a foreign country. Multinational enterprises will typically be engage it foreign production when they find it in their best interest to combine their ownership advantages and certain internalization gains with production in foreign country. The given paper analyzes the location advantages of Georgia to explain the inflow of FDI to Georgia's economy. It also analyzes the motive behind FDI in Georgia. These motivations serve to determine what policies the host country should pursue in order to facilitate the location of FDI in Georgia's economy.

The growth interest in activities of Multinational enterprises (MNE) through Foreign Direct Investment (FDI) in Georgia can only be matched by the high expectation of what FDI can achieve in terms of its contribution to economic and social development. Most politicians and analysts agree that developing countries have to rely primarily on FDI as a source of external finance. They argue that for several reasons, FDI stimulates economic growth more than other types of capital inflows. Indeed MNEs own superior technological and managerial capabilities that may spill over affecting the production function of local firms but the effect of FDI and its quality depend significantly on

domestic policies, especially measures to develop human capital, and social, physical and institutional infrastructures.

Policy application of location theory has examined ways in which different countries, states and regions can actively compete to be production location for FDI. Location theory is frequently applied by researchers wanting to understand factors that influence where multinational firms choose to locate their foreign operations. Foreign investment location decisions are thought to be influenced by number of country-specific variables. The location advantages need to be present if firm should want to locate in a foreign country, if not - the firm will be better off producing in the home country and only exporting to this foreign market. Multinational enterprises will typically be engage it foreign production when they find it in their best interest to combine their ownership advantages which may derive from number of sources and certain internalization gains with production in another country. The specific choice of location production abroad will depend on the presence of location advantage in a country or countries abroad, including economic determinants (e.g. market size, natural resources, and created assets), policy framework, business facilitation measures and business conditions. Differences between location advantages of different countries are important determinants of the international location pattern of FDI or other types of TNC activity.

Over the last few years, the Georgian Government has taken considerable efforts to improve the country's business environment. The new tax code, passed in 2005, reduces tax rates and the number of types of taxes imposed on business and individuals. The customs code, passed in 2006, reduces the impediments to trade by decreasing the number of customs categories and overall tariff levels for exports and imports. Similar liberalization has been undertaken in the areas of licensing and permits and labour regulations. In many of these areas, most notably labour regulations and the trade regime, Georgia has now one of the most liberal policy frameworks in the world. Georgia has good transportation links with to CIS countries, Europe and Asia, free trade agreement with Turkey and CIS countries. Georgia has also GSP+ with EU, GSP with US, Canada, Japan, Norway and Switzerland. Some important questions therefore need to be borne in mind when assessing the location advantage of Georgia: Why has Georgia not become favorable destination for investment? What policies the host country should pursue in order to facilitate the location of FDI in their economy?

### **Theory review**

The choice of FDI should depend on the motivation for undertaking the investment activity. These motivations serve to determine what policies the host country should pursue in order to facilitate the location of FDI in their economy. To attract FDI and multinational enterprises (MNE) activities, different types of policies (or incentives) are needed to attract the different modes of FDI [4]. Behrman [1] and Dunning [5] suggest that from the perspective of home economies, FDI determinants can be related to different motivations for investment.

Based on OLI eclectic paradigm FDI determinants, Dunning points out that the relative attractiveness of FDI locations is determined by investment motivations which he classifies into four categories: resource-seeking, (horizontal) market-seeking, (vertical) efficiency-seeking and strategic asset-seeking. Different kind of investment incentives are needed to attract inbound MNC activity of



natural resource-seeking, c.f. that of a market or efficiency seeking, kind. Export-oriented FDI is likely to be less influenced by the size of local markets than is import substituting FDI. Investment in R&D facilities requires a different kind of human and physical infrastructure than investment in assembling or marketing and so on [5].

Location decision for natural resource seeking FDI are thought to be influenced by number of country-specific variables including the availability, cost and quality of natural resources and their development (i.e. processing and marketing); infrastructural development necessary for the exploitation of these resources and availability of joint-venture partners. Investment incentives are also important in resources seeking FDI [4], [5]. Historically, the most important host country determinant of FDI has been the availability of natural resources, e.g. minerals, raw materials and agricultural products.

Dunning also emphasized that large and growing domestic markets, availability and price of skilled and professional labor, quality of national and local infrastructure and institutional competence, macroeconomic and macro-organizational policies and growing importance of promotional activities by regional and local development agencies influence market-seeking FDI [5]. In case of efficiency-seeking FDI, the most significant determining factors are mainly production cost related (e.g., labor, materials, machinery, etc.); freedom to engage in trade in intermediate and final products; investment incentives.


### **Research results**

The motivations and driving forces for FDI vary from country to country and between industries. Generally FDI into countries that are more advanced in the transition process has been more often efficiency-seeking, i.e. oriented toward export processing. For example, CEE is becoming increasingly targeted by higher value added production in industries such as electronics and the automobile industry. SEE, and also Turkey, are targets for market-seeking investments and more dispersed industries such as textiles and food-processing but also the service sector.

However, in South-East Europe, manufacturing FDI increased in 2011, buoyed by competitive production costs and open access to EU markets, while in the CIS, resource-based economies benefited from continued natural-resource-seeking FDI [13]. In case of CIS countries one of the most important determinants has been the abundance of natural resources. The inflows of FDI stock in the CIS up to the early 2000 were related to the extraction of natural resources to the construction of pipelines transporting these energy resources and large privatization [10].

Georgia is becoming an unattractive location for investments based on the decreased volume of investments over the last three years. Foreign direct investments (FDI) in Georgia amounted to USD 865 million in 2012, 23 percent less from the data for 2011 and up 6 percent from the adjusted data for 2010.

**Figure 1. Inward FDI stock in Georgia** (Thousands of US dollars)



(National statistics office of Georgia **Inward FDI stock in Georgia**)


Compared with the same period in 2011, the value of FDI in the primary sector decreased by 32 per cent; FDI in manufacturing rose by 59 per cent while FDI in services remained lower compared with 2011. However, the services sector by far has been the dominant choice of investment from within the broad composition of foreign investments.

Predominant motives for investing in Georgia has been resource-seeking up-to 2006 that was related to the extraction of the natural resources, to the construction of the BTC pipelines and more recently, the construction of the gas pipeline transporting these energy resources and basic industries or resource extraction (ferrous metals, magnetite, fertilizers, copper, cement).

In particular, high inward flows in 1997 and 1998 were attributable to the construction of the Baku-Supsa pipeline and terminal Supsa. Unsurprisingly the availability of natural resources such as oil appears to be the dominant motive for undertaking resource-seeking FDI [9].

Second important reason is market seeking. For example, when analyzing the structure of investments in Georgia is the fact that they are driven by privatizations in network industries (telecom, energy generation and distribution, ports, oil terminal, media), real estate (hotels).

**Figure 2.** Foreign Direct Investment by Economic Sector



(National statistics office of Georgia. Foreign Direct Investment by Economic Sector).

Investment in real estate and network industries positively impact on the infrastructure of the country but contribute little in terms of production and exports [11]. This type of investment is less involved in foreign markets, because, by definition, they mainly have a domestic market orientation. For these reasons, a non-significant result is expected. Moreover, in the long run, the host countries' balance of payments is likely to deteriorate through the repatriation of funds since market-seeking FDI often does not generate export revenues, especially if the protection of local markets discriminates against exports. Hence, the growth impact of this type of FDI should be weaker than the growth impact of efficiency-seeking FDI.

In case of Resource-seeking FDI is often concentrated on enclaves dominated by foreign affiliates with few linkages to the local product and labor markets for this reason, the level of knowledge transfer may be lower as well.

The current investment inflows to Georgia are probably not sustainable. Access to country's research and development and export-generating manufacturing (machinery and electrical equipment) can be assessed as the less important factor to invest in Georgia which shows that investors do not yet seek efficiency in Georgia. Efficiency-seeking FDI plays an increasingly important role in manufacturing and openness to trade and institutional development are crucial for host economies to attract this type of FDI. According to the "Global Competitive Report" Georgia ranks 61<sup>st</sup> in terms of institutional development with 4.0 scores. It means that Georgia has some kind of problems in this way. It is not favorable in terms of Property rights, Intellectual property protection, Efficiency of legal framework in settling disputes, judicial independence.

There are positive developments in industries such as food processing (wine, hazelnut, and mineral waters/glass production) and isolated cases of export processing investments in the textile sector.

To summarize, the challenge faced by Georgia is how to ensure that the ownership advantages possessed by TNCs can best contribute to the wider economy.

When designing strategies in respect of FDI participation, host countries need to distinguish between different types of such investment. Each type of FDI has particular impacts on the host country and may therefore require different host country policy responses. It is important to analyse the dynamics and structure of FDI flows and the potential of attracting investments to understand its possible impact on the domestic economy. Georgia needs to clarify in which industries and regions FDI is most needed. Georgia has to identify traditional resources of the country. It is possible to determine three traditional resources: First – strategic location of country; second - agriculture and food industries with the unusual combination of good soils, water and sun; third - broad tourist potential from sea-side to alpine tourism and also using green, trekking and cultural tourism [12]. And finally, Georgia has to build its comparative advantages by forming human capital as a result of strong vocational and general education policies, because the availability of complementary human capital in the host economies is important for FDI to stimulate economic growth [2].

## References

1. Behrman J. N. 1972. *The Role of International Companies in Latin America: Autos and Petrochemicals*. Lexington, MA: Lexington Books.
2. Borensztein Eduardo R., Jose De Gregorio and Jong-Wha Lee. 1998. How does foreign direct investment affect economic growth? *Journal of International Economics*. - pp. 115-135.
3. Caves Richard. 1996. *Multinational Corporations and Spillovers*. Cambridge: Cambridge University Press,
4. Cleeve E. 2009. The Eclectic Paradigm and Foreign Direct Investment. *Repositioning African Business Development for 21st Century*: IAABD, pp. 241-242.
5. Dunning J. H. 1993. *Multinational, Enterprises and the Global Economy*. Wokingham: Addison-Wesley.
6. Dunning J. H. 2008. Location and the multinational enterprises: a neglected factor? *Journal of International Business Studies*. Vol. 29(1). pp. 45–66.
7. Dunning J. H. 2009. Location and the multinational enterprise: A neglected factor? *Journal of International Business Studies*. Vols. 40, 5-19. pp. 10-11.
8. Nachum L. and Zaheer S. 2005. The persistence of distance? The impact of technology on MNE motivations for foreign investment. *Strategic Management Journal*. Vols. 41, 673–690.
9. Nunnenkamp P., Spatz, J. 2004. FDI and economic growth in developing economies: how relevant are host-economy and industry characteristics? *TRANSNATIONAL CORPORATIONS*. Vol. 13. New York and Geneva: United Nations. pp. 51-86.
10. Shiells C. November 2003. FDI and Investment Climate in the CIS Countries. *MF Policy Discussion Paper*.
11. Shmidt M. 2007. FOREIGN DIRECT INVESTMENT TO GEORGIA: CAN ACTIVE INVESTMENT PROMOTION POLICIES MAKE A DIFFERENCE? *Georgian-European Policy and Legal Advice Centre (GEPLAC)*. Tbilisi. pp. 65-70.
12. Sumson I. February 2008. Medium-Term Prospects for the Georgian Economy. *GEORGIAN ECONOMIC TRENDS (Quarterly Review)*. *Georgian-European Policy and Legal Advice Centre (GEPLAC)*. pp. 76-77.
13. UNCTAD World Investment Report 2012: Towards a New Generation of Investment Policies [Conference]. - New York and Geneva : UNITED NATIONS PUBLICATION, 2012. pp. 56-60

**საქართველოს მდებარეობის უპირატესობა და ტურისტული პოტენციალი, მოიზიდოს უცხოური საწარმოები**

**რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია ერთ-ერთი ელემენტი ჯონ დანინგის ექლექტიკის პარადიგმისა, რომ განვმარტოთ ადგილმდებარეობის სპეციფიკის როლი და უპირატესობები, რაც განსაზღვრავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. OLI პარადიგმა არის ზოგადი ჩარჩო, რომელიც გულისხმობს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) შემოდინებას განსაზღვრავს: საკუთრების, ადგილმდებარეობის და ინტერნაციონალიზაციის უპირატესობა. ადგილმდებარეობის უპირატესობა ხსნის იმას, თუ რატომ სურს ფირმას უცხო ქვეყანაში მოღვაწეობა.

მრავალეროვნული კომპანიები მხოლოდ მომგებიანობის და ინტერნაციონალიზაციის მიღწევის პერსპექტივის შემთხვევაში ჩაერთვებიან საზღვარგარეთ წარმოებაში თავიანთი საკუთრებით. მრავალეროვნული კომპანიების ზრდადი ინტერესი, დააბანდონ უცხოური ინვესტიციები საქართველოში, შეიძლება გამოწვეული იყოს მხოლოდ მაღალი მოლოდინით, თუ რას შეიძლება მიაღწიონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით. პოლიტიკოსთა და ანალიტიკოსთა უმეტესობა თანხმდება, რომ განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უნდა მიიჩნიონ, როგორც მთავარი გარე დაფინანსების წყარო.

განხილულია საქართველოს მდებარეობის უპირატესობა, რათა ნათელი გახდეს მოტივი ინვესტიციების შემოდინებისა საქართველოს ეკონომიკაში; მოტივაცია და მართვის პროცესი განსხვავდება როგორც ქვეყნებში, ასევე მრეწველობაში. ზოგადად, უცხოური ინვესტიციები იმ ქვეყნებში, რომლებიც მოწინავეები არიან გარდამავალ პროცესებში, უფრო ეფექტურია და ორიენტირებულია ექსპორტის წარმოებაზე. ეს მოტივაციები ემსახურება პოლიტიკის განსაზღვრას, რომელიც უნდა ჰქონდეს მასპინძელ ქვეყანას, რომ ხელი შეუწყოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას საქართველოს ეკონომიკაში.

## **Appropriateness of the Clean Development Mechanism Projects in Georgia**

### **Summary**

This article is about one of the ways of solving the world's biggest problem. Particularly, here is discussed global warming and the possibility of reduction of its cause. The main reason of global warming is emission of greenhouse gases (carbon dioxide, nitrogen oxides, gaseous fluorine compounds, methane, etc.) through the atmosphere.

In Rio De-Janeiro, was held a conference called Environment and Development (1992). In this conference, the international community adopted the action plan for sustainable development "Agenda 21". The most important document from this conference is the framework convention of the climate change of the United Nations which was ratified by Georgia in 1994. According to this convention, the participant countries were committed to reduce greenhouse gases by 2000 to the level of 1990s.

By 2000, it appeared that it was impossible for developed countries to accomplish the above mentioned and in 1997 there was adopted Kyoto Protocol of the Framework Convention on Climate Change. With Kyoto Protocol was determined that developed countries listed in attachment B, by 2008-2012s must reduce the emission of greenhouse gases compared to 1990s not less than 5%; for most of the European countries this rate was 8%.

For developed countries, the performance of its obligations under the Kyoto Protocol, are quite problematic. But the countries that are not listed in attachment I of the convention have a great potential to reduce the greenhouse gases emission in atmosphere, but they cannot implement the appropriate projects because of a lack of the financial resources. That is why "the Clean Development Mechanism (CDM)" was defined by Kyoto Protocol, which allows countries not included in the attachment I to perform projects of greenhouse gases reducing together with developed countries. As a result, the developed countries receive reduced emissions for certain price which will be counted as a performance of obligations under the Kyoto protocol.

Georgia is one of the richest countries in the world with its renewable resources and satisfies all the criteria necessary for the implementation of CDM projects. Therefore, they can be freely set in our country. The article provides a practical example, based on which we can note that even a small CDM project will bring a large amount of income for our country. Such projects are profitable for us economically as well as in terms of energetic efficiency. Therefore, it will be better if we accept more projects in this aspect.

**Keywords:** Sustainability; Economic development; Profitability; Environment protection.

## სუფთა განვითარების მექანიზმის პროექტების განხორციელების მიზანშეწონილობა საქართველოში

### რეზიუმე

მოცემული სტატია ეხება მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ გზას. კერძოდ, საუბარია გლობალურ დათბობაზე და მისი ძირითადი გამომწვევი მიზეზის შემცირების შესაძლებლობაზე. ეს მიზეზი არის სასათბურე აირების (ნახშირბადის დიოქსიდი, აზოტის ოქსიდები, ფტორის აირადი ნაერთები, მეთანი და ა.შ.) ემისია ატმოსფეროში.

სწორედ ამ პრობლემის მოგვარების მცდელობამ გამოიწვია 1997 წელს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის „კიოტოს ოქმის“ მიღება, რომლითაც განისაზღვრა, რომ დანართ B-ში ჩამოთვლილმა განვითარებულმა ქვეყნებმა 2008-2012 წლისთვის სათბურე გაზების ემისიები 1990 წლის დონესთან შედარებით უნდა შეამცირონ არანაკლებ 5%-ით, მათ შორის ევროპის ქვეყნების უმეტესობამ – 8%-ით. კიოტოს ოქმით განისაზღვრა სუფთა განვითარების მექანიზმი (სგმ), რომელიც საშუალებას აძლევს კონვენციის დანართ I-ში არ ჩართულ მხარეს განახორციელოს მასში ჩართულ ქვეყნებთან ერთად სათბურე გაზების ემისიის შემამცირებელი პროექტი. შედეგად, განვითარებულ ქვეყანას გარკვეულ საფასურად გადაეცემა შემცირებული ემისიები სრულად ან ნაწილობრივ, რაც მათ კიოტოს ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში ჩაეთვლება.

საქართველო განახლებადი ენერჯო რესურსებით მდიდარი ქვეყანაა, ამასთანავე იგი აკმაყოფილებს სგმ პროექტების განხორციელებისათვის აუცილებელ ყველა კრიტერიუმს. შესაბამისად, თავისუფლად შეიძლება მათი განხორციელება ჩვენს ქვეყანაში. სტატიაში მოყვანილია პრაქტიკული მაგალითი, რომლის საფუძველზეც ვადგენთ, რომ, თუნდაც ერთი, მცირე სგმ პროექტის განხორციელება, საკმაოდ დიდი მოცულობის შემოსავლის მომტანია ჩვენი ქვეყნისათვის.

### საკვანძო სიტყვები

სუფთა განვითარების მექანიზმი (სგმ); მზის ენერჯია; ქარის ენერჯია; გეოთერმული ენერჯია; ჰიდრო რესურსი; კიოტოს ოქმი; გლობალური დათბობა; სათბურე გაზები; ნახშირბადის კრედიტები; კლიმატის ცვლილება; ნახშირბადის დიოქსიდი; აზოტის ოქსიდები; ფტორის აირადი ნაერთები; მეთანი; ნახშირორჟანგი (CO<sub>2</sub>); ჰიდროფტორნახშირბადები (HFC); მეთანი (CH<sub>4</sub>); პერფტორნახშირბადები (PFC); აზოტის ქვეყანგი (N<sub>2</sub>O); გოგირდის ჰექსაფტორიდი (SF<sub>6</sub>); ენერჯოეფექტურობა; ნახშირი; ნავთობი; ბუნებრივი აირი; სერტიფიცირებული ემისიების შემცირება; სგმ საბჭო; ელექტროენერჯიის გამომუშავება; წიაღისეული საწვავი; ზღვის

მიქცევა–მოქცევის ენერგია; ჰესების პრივატიზაცია; ქსელის ემისიის კოეფიციენტი; ელექტროსისტემა; ენერგოეფექტურობისა და ენერგოდაზოგვის პოტენციალი; ემისიის ჯამური შემცირება; ეკოლოგია, ბუნების დაცვა; გამონაბოლქვი; ჰაერის დაბინძურება; მგრადი განვითარება, ეკონომიკური განვითარება; სარგებლიანობა.

## შესავალი

რამდენიმე ათწლეულია უკვე, რაც მსოფლიო დიდი პრობლემის წინაშე დადგა. კერძოდ: უჩვეულო სიცივე ან სიხვე, ჭარბი ნალექი, წყალდიდობები, მეწყერი, ზვავი და ა.შ. თითქმის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა. ყველაფრის მიზეზი კი ატმოსფეროში სასათბურე აირების (ნახშირბადის დიოქსიდის, აზოტის ოქსიდების, ფტორის აირადი ნაერთების, მეთანის და ა.შ.) გამოფრქვევაა. ჩამოთვლილი ნივთიერებების კონცენტრაცია ატმოსფეროში უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც ე.წ. „გლობალური დათბობა“ გამოიწვია.

გლობალური დათბობის შედეგია უამრავი არასასურველი ცვლილება დედამიწაზე, როგორცაა: ყინულის დნობა მყინვარებში თუ ოკეანეებში, წყლის დონის მომატება, დიდი ფართობის გაუდაბურება, ნიადაგის ეროზია და ა.შ.

ზემოაღნიშნულმა მოვლენებმა, რა თქმა უნდა, მსოფლიო საზოგადოებაში საფუძვლიანი შემფოთება გამოიწვია და 1992 წელს რიო დე ჟანეიროში გაიმართა კონფერენცია (“რიოს სამიტი”) “გარემო და განვითარება”. ამ კონფერენციაზე საერთაშორისო თანამეგობრობამ შეიმუშავა და მიიღო მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა “დღის წესიგი 21”. ამ დოკუმენტმა გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები ერთიან პოლიტიკურ ჩარჩოში მოაქცია. “დღის წესრიგი 21” შეიცავს 2500-ზე მეტ რეკომენდაციას, თუ რა გზით შევზღუდოთ ბუნებრივი რესურსების უყაირათო მოხმარება, როგორ დავიცვათ ატმოსფერო, ოკეანე და ბიომრავალფეროვნება, როგორ დავძლიოთ სიღარიბე და ა.შ. [1].

## მასალები და მეთოდები

რიო დე ჟანეიროში მიღებული დოკუმენტებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, რომლის საფუძველიც გახდა მსოფლიოს წამყვან ექსპერტთა დასაბუთებული დასკვნა იმის თაობაზე, რომ გლობალური დათბობით გამოწვეული კლიმატის ცვლილება სერიოზულ საფრთხეს უქმნის კაცობრიობას. საქართველომ კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა 1994 წელს.

კონვენციის თანახმად, რიგმა ქვეყნებმა, რომლებიც წარმოადგენენ კონვენციის I დანართში ჩართულ მხარეებს, იკისრეს ვალდებულება 2000 წლისათვის სატბურის გაზების ემისიები დაეყვანათ 1990 წლის დონემდე. ეს ქვეყნებია: ავსტრალია, ავსტრია, ბელორუსია\*, ბელგია, ბულგარეთი\*, უნგრეთი\*, გერმანია, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, ისლანდია; ესპანეთი, იტალია, კანადა, ლატვია\*, ლიტვა\*, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პოლონეთი\*, პორტუგალია, რუსეთის ფედერაცია\*, რუმინეთი\*, გაერთიანებული სამეფო, აშშ, თურქეთი, უკრაინა\*, ფინეთი, საფრანგეთი, შვეიცარია; შვეცია, ესტონეთი\*,



იაპონია, ჩეხეთი\*, სლოვაკეთი\*, ლიხტენშტეინი, მონაკო, სლოვენია\*, ხორვატია\*. ( \*-ით გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებია აღნიშნული).

2000 წლის მოახლოებასთან ერთად, გამოიკვეთა, რომ I დანართში მითითებული ქვეყნები ნაკისრ ვალდებულებას ვერ შეასრულებდნენ. ამიტომ 1997 წელს მიღებულ იქნა კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის „კიოტოს ოქმი“, რომლითაც ქვეყნებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს. „კიოტოს ოქმის“ დანართ B-ში ჩამოთვლილმა განვითარებულმა ქვეყნებმა 2008-2012 წლების პერიოდისათვის სათბურის გაზების ემისიები, 1990 წლის დონესთან შედარებით, უნდა შეამცირონ არანაკლებ 5%-ით, ევროპის ქვეყნების უმეტესობამ - 8%-ით. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ მოახდინა ოქმის რატიფიკაცია. კიოტოს ოქმს საქართველო შეუერთდა 1999 წლის ივნისში.

<b>კიოტოს ოქმის დანართი B</b> (1990 წლის დონეებსშეესაბამება 100%)			
ავსტრალია	108	ლუქსემბურგი	92
ავსტრია	92	მონაკო	92
<b>აშშ</b>	<b>93</b>	ნიდერლანდები	92
ახალი ზელანდია	100	ნორვეგია	101
ბელგია	92	პოლონეთი	94
ბულგარეთი	92	პორტუგალია	92
გერმანია	92	რუმინეთი	92
დანია	92	რუსეთის ფედერაცია	100
გაერთიანებული სამეფო	92	საბერძნეთი	92
ევროკავშირი	92	საფრანგეთი	92
ესპანეთი	92	სლოვაკეთი	92
ესტონეთი	92	სლოვენია	92
იაპონია	94	უკრაინა	100
ირლანდია	92	უნგრეთი	94
ისლანდია	110	ფინეთი	92
იტალია	92	შვედეთი	92
კანადა	94	შვეიცარია	92
ლატვია	92	ჩეხეთი	92
ლიტვა	92	ხორვატია	95
ლიხტენშტეინი	92		

‘კიოტოს ოქმი’ განიხილავს შემდეგ სათბურის გაზებს: ნახშირორჟანგი (CO<sub>2</sub>); ჰიდროფტორნახშირბადები (HFC); მეთანი (CH<sub>4</sub>); პერფტორნახშირბადები (PFC); აზოტის ქვეჟანგი (N<sub>2</sub>O); გოგირდის ჰექსაფტორიდი (SF<sub>6</sub>).[1]

**ძირითადი ნაწილი**

სათბურის გაზების ემისიების შემცირება ძირითადად შესაძლებელია ენერგო მოხმარების (შესაბამისად ენერგოგენერაციის) შეზღუდვით ან ენერგეტიკის, მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, საყოფაცხოვრებო და კომერციულ სექტორებში ენერგო ეფექტურობის გაზრდით.

განვითარებულ ქვეყნებში ენერგოგენერაციის შეზღუდვა მოასწავებს ეკონომიკური განვითარების შეფერხებას, რაც ამ ქვეყნებისათვის მიუღებელია. ენერგოეფექტურობის გაზრდის შესაძლებლობები კი ძალზედ შეზღუდულია, რადგან ამ ქვეყნებში ენერგოეფექტურობა დღესაც საკმაოდ მაღალია და ამ პარამეტრის შემდგომი გაუმჯობესება უაღრესად დიდ ინვესტიციებს მოითხოვს.

სათბურის გაზების ემისიების შემცირება, ასევე, შესაძლებელია ნახშირბადის მაღალი შემცველობის მქონე საწვავის შეცვლით მისი შედარებით დაბალი შემცველობის მქონე საწვავით (ნახშირის შეცვლა ნავთობით ან ბუნებრივი გაზით და ნავთობის შეცვლა ბუნებრივი გაზით. ნახშირის, ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ხვედრითი ემისიების უხეში ფარდობაა 1 : 0,75 : 0,55), განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისებით, სამრეწველო გაზების დაშლით, ასევე სხვა, შედარებით ნაკლებ მასშტაბური და ნაკლებ ეფექტიანი ღონისძიებებით. ამ მხრივაც უმეტესი განვითარებული ქვეყნების შესაძლებლობები პრაქტიკულად ამოწურულია. ამდენად, კიოტოს ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განვითარებული ქვეყნების უმეტესობისათვის საკმაოდ პრობლემატურია.

მეორე მხრივ, კონვენციის I დანართში არ ჩართულ ქვეყნებში სათბურის გაზების ემისიების შემცირების საკმაო პოტენციალი არსებობს, მაგრამ, ფინანსური რესურსების სიმწირის გამო, მათ უძნელდებათ დამოუკიდებლად განახორციელონ სათბურის გაზების ემისიის შემცირებისკენ მიმართული პროექტები.

“კიოტოს ოქმით” განისაზღვრა სუფთა განვითარების მექანიზმი (სგმ), რომელიც საშუალებას აძლევს კონვენციის 1-ლ დანართში ჩართულ და არჩართულ ქვეყნებს ერთობლივად განახორციელონ სათბურის გაზების ემისიის შემამცირებელი პროექტი. მასპინძელი მხარე მოგებული რჩება მისი ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობი პროექტის განხორციელებით, რომელიც სგმ გარეშე ვერ განხორციელდებოდა (ემისიების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, ე.წ. “ნახშირბადის კრედიტები” ფინანსური თვალსაზრისით სიცოცხლისუნარიანს ხდის პროექტს), განვითარებულ ქვეყანას კი გარკვეულ საფასურად გადაეცემა შემცირებული ემისიები სრულად/ან ნაწილი, რაც ამ ქვეყანას კიოტოს ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში ჩაეთვლება.

პროექტის განხორციელების შედეგად მიღწეული ემისიების შემცირება დაკანონებული (სერტიფიცირებული) უნდა იქნას სგმ აღმასრულებელი საბჭოს მიერ. “სერტიფიცირებული ემისიის შემცირება” (სემ), ისევე როგორც ზოგადად ემისიები, იზომება ტონა ნახშირორჟანგის ექვივალენტებში ( $CO_2eq$ ).

სგმ პირობებისა და პროცედურების შესაბამისად, საქართველოს, ისევე როგორც დანართ I-ში არჩართულ ნებისმიერ მხარეს, შეუძლია სგმ-ში მონაწილეობა, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

1. სგმ საპროექტო საქმიანობაში მონაწილეობს ნებაცოფლობით;
2. ქვეყანაში დანიშნულია სგმ ეროვნული პასუხისმგებელი ორგანო (ეპო)[CDM Designated National Authority (CDM DNA)];
3. წარმოადგენს კიოტოს ოქმის მხარეს.

საქართველო წარმოადგენს “კიოტოს ოქმის” მხარეს და ნებაცოფლობით სურს მონაწილეობა მიიღოს სგმ-ში. მას შემდეგ, რაც მთავრობის 2005 წლის #2 განკარგულებით სგმ ეროვნულ პასუხისმგებელ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ჩვენი ქვეყანა აკმაყოფილებს სგმ-ში მონაწილეობის სამივე პირობას.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 29 სექტემბრის #172 დადგენილებით შეიქმნა სგმ საბჭო, რომლის მთავარი ამოცანა იქნება სგმ პროექტებისათვის დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით განსაზღვროს, რამდენად უწყობს ხელს წარდგენილი სგმ პროექტი ქვეყნის მდგრად განვითარებას, შესაბამისობაშია თუ არა სგმ პროექტი ეროვნულ და/ან სექტორულ პოლიტიკასთან და გაუწიოს სგმ პროექტს რეკომენდაცია საქართველოს მთავრობის სახელით ოფიციალური თანხმობის გაცემის თაობაზე.

ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე იბადება ლოგიკური კითხვა: რამდენად მიზანშეწონილია საქართველოში სგმ პროექტების განხორციელება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იოლი არ არის და რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ეს საფუძვლიან კვლევას, დიდხალ ხარჯებს და დროს მოითხოვს. შევეცდები მოკლედ ვისაუბრო საქართველოში ამ პროექტების განხორციელების პოტენციალზე, თვალსაჩინოებისთვის კი მოვიყვან პრაქტიკულ მაგალითს, რომელიც მკითხველს გარკვეული დასკვნების გამოტანაში დაეხმარება.

ზემოთ ვისაუბრე სათბური გაზების მავნებლობის შესახებ. აქვე აღვნიშნავ, რომ ნახშირორჟანგის (CO<sub>2</sub>) წილი გლობალურ დათბობაში დაახლოებით 60 პროცენტს შეადგენს. CO<sub>2</sub>-ის ემისიების უდიდესი წყაროა ელექტროენერჯის გამომუშავების მიზნით წიაღისეული საწვავის წვა. მისი ემისიების შემცირების ეფექტური საშუალება განახლებადი ენერჯორესურსების ათვისებაა. განახლებადს განეკუთვნება ჰიდრო, ქარის, მზის, გეოთერმული და ზღვის მიქცევა-მოქცევის ენერჯია.

საქართველო ჰიდროენერჯეტიკული რესურსებით მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა. მდინარეთა წყალუხვობა, ხეობათა ტიპები და კალაპოტების დიდი დახრილობა განაპირობებს საკმაოდ მაღალ ჰიდროენერჯეტიკულ პოტენციალს. ქვეყნის საერთო ზედაპირული და ტრანზიტული ჩამონადენის ენერჯია დაახლოებით 230 მლრდ კვტსთ-ს შეადგენს, ხოლო შესაბამისი სიმძლავრე 26 000 მგვტ-ს. 319 დიდი, საშუალო და მცირე მდინარის ჰიდროენერჯეტიკული რესურსი დაახლოებით 140 მლრდ კვტსთ-ს შეადგენს, ტექნიკური პოტენციალი – 80-85 მლრდ კვტსთ, ხოლო ეკონომიკურად ეფექტური პოტენციალი, რომელიც დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე (ენერჯის სხვა წყაროების არსებობა, საწვავის ფასები და სხვ.), სხვადასხვა შეფასების თანახმად – 40-50 მლრდ კვტსთ-ია.

ქვეყანაში ჰიდროენერგეტიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი რეზერვი არსებობს. პერსპექტივაში, შესაძლებელია 100 კვტ–დან 50 მგვტ–მდე სიმძლავრის ჰესების მშენებლობა: პირობითი გრადაციით მძლავრი ჰესები (>100 მგვტ), საშუალო ჰესები (13-100 მგვტ), მცირე ჰესები (1-13 მგვტ) და მინი ჰესები (< 1 მგვტ).

საქართველოში დაწყებულია ჰესების პრივატიზაცია. მოსალოდნელია, რომ მოხდება მათი რეაბილიტაცია–განახლება. ჰესების ფაქტობრივი სიმძლავრის გაზრდის შედეგად დამატებით გამოიმუშავებული ელექტროენერგია ნაწილობრივ ჩაენაცვლება წიაღისეული საწვავიდან გამოიმუშავებულ ელექტრო ენერგიას, რის შედეგადაც შემცირდება ატმოსფეროში CO<sub>2</sub>-ის ემისია. ასევე იგეგმება ახალი ჰესების მშენებლობა, რასაც იგივე ეფექტი ექნება [3].

უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ ასევე მზის და ქარის ენერგია. საქართველოში ამ მხრივაც საკმაოდ დიდი პოტენციალი გვაქვს. დავიწყოთ მზის ენერგიით. ჩვენს ქვეყანაში მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 1900-2200 საათს შეადგენს. მზის ენერგიის წლიური თეორიული პოტენციალი ფასდება 10<sup>14</sup> კვტსთ–ის დონეზე, რაც წლიურად 34 მლრდ ტონა პირობითი საწვავის ექვივალენტია. მზის ენერგიის გამოყენების მრავალი ხერხი არსებობს. ამჟამად ყველაზე გავრცელებულია მზის წყალგამაცხელებლები, რომლებიც იძლევიან ელექტრო ენერჯისა და სხვა გამოყენებაში არსებული ენერჯის 70-80%-ის დაზოგვის საშუალებას [4].

რაც შეეხება ქარის ენერჯიას, ამ მხრივაც გავვიმართლა. მისი ტექნიკური პოტენციალი საქართველოში 4,5 მლრდ კვტსთ–ის დონეზეა შეფასებული. ქვეყანაში ქარის საშუალოწლიური სიჩქარე მერყეობს 5-9 მ/წმ–ს ფარგლებში. ამჟამად განხილვის პროცესშია რამდენიმე საინვესტიციო პროექტი ამ მიმართულებით.

ნუ დავივიწყებთ თერმულ წყლებსაც, რომლითაც ჩვენი ქვეყანა საკმაოდ მდიდარია. მისი წლიური საპროგნოზო მარაგი (50-110 C° ტემპერატურის) 250 მლნ მ<sup>3</sup>-ს შეადგენს, რაც ყოველწლიურად 2 მლნ ტონა პირობითი საწვავის ეკონომიის საშუალებას მოგვცემს. რამოდენიმე პროექტი ამ მიმართულებითაც არის დამუშავების პროცესში. როგორც ხედავთ, საქართველოში განახლებადი რესურსები უხვად გვაქვს. შესაბამისად, ძალიან დიდი პოტენციალი არსებობს სგმ პროექტების განხორციელებისა [5]. იმისათვის რომ გარკვეული წამოდგენა გქონდეთ, თუ რა სახის ეფექტი აქვს სგმ პროექტების განხორციელებას, მოგიყვანთ შეპირებულ პრაქტიკულ მაგალითს.

## შედეგები

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბოლო პერიოდში მთელ მსოფლიოში მეტად მნიშვნელოვანია სუფთა განვითარების მექანიზმის (Clear Development Mexanizm, CDM) პროექტების დანერგვა, რაც ემსახურება სათბური ემისიის შემცირებას და ქვეყნის ადაპტირებას კლიმატის ცვლილების საშიშ ეფექტებთან. სათბური გაზების შემცირების ერთ-ერთი გზაა ელექტროენერჯის წარმოება ორგანული სათბობის ნაცვლად განახლებადი რესურსების მეშვეობით, რომელთაც ემისიის ნულოვანი მაჩვენებელი აქვთ. მსოფლიო ბანკი აფინანსებს ერთეული ემისიის შემცირებას და იმ ქვეყანას, რომელიც ვერ ასრულებს კვოტას, შეუძლია გამოიმუშავოს თანხა იმის მიხედვით, თუ რა იქნება ერთეული ემისიის შემცირების საბაზრო

ფასი. სერთიფიცირებული ემისიის შემცირება (Certified Emission Reduction, CER) არის სერთიფიკატი, რომლის გაყიდვაც შესაძლებელია და მას სუფთა განვითარების მექანიზმის ადმინისტრაციული საბჭო აძლევს პროექტის მონაწილეებს. ნულოვანი ემისიის მქონე განახლებადი რესურსების (ქარის, მზის, ჰიდრო) გამოყენებით მიიღება ემისიის შემცირება (ER<sub>Y</sub>), რომელიც გაიანგარიშება წლიურად გამომუშავებული ელექტროენერჯის (EG<sub>Y</sub>) გადამრავლებით ქსელის ემისიის კოეფიციენტზე (EF<sub>Y</sub>). ქსელის ემისიის კოეფიციენტი საანგარიშო სიდიდეა და დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა: თბოსადგურის პროცენტული მაჩვენებელი კონკრეტული ქვეყნის ელექტროსისტემის მთლიან შემადგენლობაში, თბოსადგურში გამოყენებული სათბობის სახეობები, მათი თბოუნარიანობა, გამომუშავებული ელექტროენერჯის ერთეულზე სათბობის ხვედრითი ხარჯი, საანგარიშო პერიოდში გენერაციის ზრდა პროცენტულ მაჩვენებლებში და სხვა. ქსელის ემისიის კოეფიციენტს (ან CO<sub>2</sub> ემისიების ინტენსიურობას) ადგენს და აქვეყნებს კონკრეტული ქვეყნის უფლებამოსილი ნაციონალური ორგანო (DNA) წელიწადში ერთხელ. ემისიის შემცირება იანგარიშება შემდეგი გამოსახულებით:

$$ER_Y = EG_Y (\text{მგვტსთ}) * EF_Y (\text{ტCO}_2/\text{მგვტსთ}) (\text{ტCO}_2/\text{მგვტსთ})$$

სადაც: EG<sub>Y</sub> წლიურად გამომუშავებული ელექტრო ენერჯიაა (მგვტსთ); EF<sub>Y</sub>- ქსელის ემისიის კოეფიციენტი; Y საანგარიშო წელი.

სერთიფიცირებული ემისიის შემცირების (CER) გაყიდვით უმჯობესდება პროექტის ფინანსური მაჩვენებლები, კერძოდ, ინვესტიციის გამოსყიდვის შიდა ნორმა (Internal Rate of Return, IRR რომელიც ენერგეტიკაში 8%-ის ფარგლებშია) და წმინდა მიმდინარე შემოსავალი (Net Present Value, NPV).

დავუშვათ, რომ საქართველოს რომელიმე რეგიონში დაპროექტდა ქარის ელექტროსადგური, რომლის დადგმული სიმძლავრეა 45 მგვტ, მუშაობის წლიური საათების რაოდენობაა 2511 სთ, წლიურად გამომუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობაა 113000 მგვტსთ; ქსელის ემისიის კოეფიციენტი საქართველოს DNA მონაცემებით ელექტრო ქსელისათვის არის 0,390 ტ CO<sub>2</sub>/მგვტსთ.

გამოვიანგარიშოთ სერთიფიცირებული ემისიის შემცირების (CER) გაყიდვით მიღებული სავარაუდო შემოსავალი 7 წლის ბოლოს, თუ ერთეულის სავარაუდო ფასი იქნება 7€/ტCO<sub>2</sub>.

ქარის ელექტროსადგურის გამოყენებით ემისიის შემცირება პირველ წელს არის:

$$ER_1 = 113000 (\text{მგვტსთ}) * 0,390 (\text{ტCO}_2/\text{მგვტსთ}) = 44\ 070 (\text{ტCO}_2/\text{მგვტსთ});$$

ხოლო 7 წლის ბოლოს ემისიის ჯამური შემცირება იქნება 308 490 ტ CO<sub>2</sub>/მგვტსთ. თუ ერთეულის სავარაუდო ფასი იქნება 7€/ტCO<sub>2</sub>, ჯამური შემოსავალია 2 159 430 €. [2]

## დასკვნა

როგორც სტატიიდან ჩანს სგმ-ს პროექტების განხორციელებას დადებითი ეფექტი მოაქვს. ეს ფაქტი მტკიცდება ზემოთ მოყვანილი მაგალითიდანაც. ჩვენ ვნახეთ, თუ რა მოცულობის

შემოსავალი მოაქვს თუნდაც ერთი მცირე სგმ პროექტის განვითარებას ქვეყნისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ საქართველო განახლებადი ენერჯით ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანაა მსოფლიოში, მაშინ ადვილი მისახვედრია, რომ ყველა ასპექტში მოგებულ ვრჩებით. ასე, რომ კარგი იქნება, თუ შესაბამისი სტრუქტურები უფრო აქტიურად დაიწყებენ ამ საკითხთან დაკავშირებით მუშაობას და უფრო მეტ სგმ პროექტს განახორციელებენ.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ლაზრივი გ. არაბიძე. მ. 2008. *საქართველოს ელექტროსისტემისთვის საბაზისო დონის ემისიის კოეფიციენტის განსაზღვრა*. თბილისი.
2. გუდიაშვილი მ. არაბიძე მ. 2009. *ენერგეტიკული წარმოების დაგეგმვა განვითარება*. თბილისი
3. მირცხულავა დ. და სხვ. 2004. *საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგია*. თბილისი
4. ჩომახიძე დ. 2007. *საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი*. თბილისი.
5. ჩომახიძე დ. 2003. *საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება*. თბილისი.
6. Barney L. Capehart., Wayne C. Turner., William J. Kennedy. Guide to Energy Management. The Fairmont press, Inc. Sixth Edition, 2008.
7. Steve Doty., Wayne C. Turner., Energy Management (handbook). The Fairmont press, Inc. Seventh edition 2009.
8. [www.minenergy.gov.ge](http://www.minenergy.gov.ge)
9. <http://www.resonancedaily.com>

*Lia Rinkavoi*

Grigol Robakidze University  
School of Business and Management  
Master's Programme Student

## Ecotourism Development Perspectives in Protected Territories of Georgia

### Summary

Arrival of international traveler have been growing rapidly in Georgia. In 2013, the number of international travelers was 5 365 356, demonstrating 22% of increase over the previous year. In 2012, the number of international travelers was 4 389 256, demonstrating 56% increase. And in 2011, the number of international travelers reached 2 822 363, representing 39 % growth. The growth in the Georgian tourism industry has been faster than that of the world.

International travelers visiting Georgia can be characterized as follows: The top three activities undertaken in Georgia are: rest and relaxation (36%), tasting Georgian dishes (35%), exploring Georgian nature/landscape (35%), etc.

The continued growth of the tourism industry and its associated tendency to overcrowd a destination progresses in tandem with strong environmental sentiments from consumers who increasingly demand cleaner, more sustainable and more environmentally friendly tourism destinations. These qualitative and quantitative trends necessitate the development and management of sustainable and biodiversity based tourism products, linking tourism with the sustainable use of natural resources and conservation management.

Unlike the traditional characters of tourism, ecological tourism and recreational activities aimed at harmonization with the economic profit from this activity and safety of the use of natural resources.

Ecological tourism is nature-oriented tourism; therefore, diversity of eco-tourism could represent the two main types:

- Ecotourism in protected areas, traditional or eco-tourism destination, which are ecological tours in the narrow sense of the term, and the so-called “Australian” (or “North American”);
- Ecotourism not only within the protected areas. This type of eco-tourism is the so-called “German” (or “Western-European”) model and it faces a wide range of eco trips.

Each year several million visitors visit large national parks. The number of visitors of the National Parks is growing every year. If we consider the visitor statistics, we see that in 2005 5 669 people visited the Georgian protected areas, and in 2013 this number increased to 350,642.

It would be desirable to have more opportunities for the youth to realize need and importance of nature for human development-survival from the very beginning. Eco-tourism activities appear to be an important opportunity to contribute to a number of countries in the financing of biodiversity conservation activities in protected areas.

International travelers are looking for new directions, but Georgia’s, as a tourist country, awareness is still low. Let’s consider this issue on the other side - bandwidth of tourist resources. Large crowds of tourists were collected on a limited area of operation of the park what created the danger of disturbance of natural ecosystems. If you look at the visitors’ statistics in the protected areas, yet - so far there is no danger, but it is advisable to thoroughly study the throughput of the National Parks.

**Keywords:** Ecological tourism; Protected area; Sustainable development of tourism; Throughput of the National Park.

**ლია რინკავი**  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
ბიზნესისა და მართვის სკოლა  
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი

## **ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე**

### **რეზიუმე**

ტურიზმის ტრადიციული სახეებისაგან განსხვავებით, ეკოლოგიური ტურიზმი მიმართულია ურთიერთპარმონიზაციის დამყარებაზე სარეკრეაციო საქმიანობისაგან მიღებულ ეკონომიკურ მოგებასა და ამ საქმიანობისათვის გამოყენებული ბუნებრივი რესურსების უსაფრთხოებას შორის.

საქართველოს ეროვნული პარკების მნახველთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, თუ განვიხილავთ ვიზიტორთა სტატისტიკას, დავინახავთ, რომ 2005 წელს საქართველოს დაცული ტერიტორიები მოინახულა 5 669 ადამიანმა, ხოლო 2013 წელს ეს რაოდენობა გაიზარდა 350 642-მდე.

თუმცა, სასურველი იქნებოდა მეტი შესაძლებლობები ყოფილიყო ქართველი ახალგაზრდებისათვის, რომ მათ თავიდანვე შეეცნოთ ბუნების მნიშვნელობა და საჭიროება კაცობრიობის განვითარება-გადარჩენისათვის.

საერთაშორისო მოგზაურები ახალ მიმართულებებს ეძებენ და მიუხედავად ჩატარებული უამრავი ღონისძიებისა, საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, ცნობადობა ჯერ კიდევ დაბალია. მაგრამ განვიხილოთ ამ საკითხის მეორე მხარე – საქართველოს ტურისტული რესურსების გამტარუნარიანობა. შეზღუდულ ტერიტორიაზე ტურისტების დიდი მასების თავმოყრა ტერიტორიის ზეექსპლუატაციას იწვევს და ქმნის პარკის ბუნებრივი ეკოსისტემების მოშლის საფრთხეს. საქართველოს დაცული ტერიტორიების მნახველთა სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ჯერ-ჯერობით საფრთხე არ არსებობს, მაგრამ სასურველია წინასწარ საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი ეროვნული პარკების გამტარუნარიანობა, რომელიც განისაზღვრება მთელი რიგი ბუნებრივი და სოციალური ფაქტორებით.

პარკის გამტარუნარიანობის გაზრდა შესაძლებელია დამატებითი ბილიკების მოწყობით და ამ გზით ტურისტების გადანაწილებით შედარებით მეტ ფართობზე. მომავლისათვის საჭირო იქნება დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ შეიმუშავოს და დანერგოს ტურისტული ნაკადების შემზღვეველი ღონისძიებები.

**საკვანძო სიტყვები:** ეკოლოგიური ტურიზმი, დაცული ტერიტორია, ტურიზმის მდგრადი განვითარება, ეროვნული პარკის გამტარუნარიანობა

**შესავალი**



კვლევის საგანია საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე მნახველთა რაოდენობის ზრდის შესწავლა და შედეგად შესაძლო ცვლილებებზე დაკვირვება. დაცულ ტერიტორიებზე მნახველთა რაოდენობის ზრდა იწვევს გარემო პირობების გაუარესებას.

## მასალები და მეთოდები

კვლევისათვის გამოყენებულია მეცნიერული ლიტერატურა ეკოტურიზმის შესახებ, ასევე სტატისტიკური მონაცემები. სტატისტიკური მონაცემების დამუშავებით შესაძლებელია ეკოტურიზმის არსებულ ტენდენციებში წვდომა.

## ძირითადი ნაწილი

ტურიზმის თანამედროვე განვითარება, მიუხედავად მსოფლიოში არსებული კრიზისისა, გვიჩვენებს ტურისტული მოთხოვნის განუხრელ ზრდას: 2013 წელს ვიზიტორთა რაოდენობამ 250,642 შეადგინა, ხოლო 2014 წელს - 21,243-ს. 2011 წელს საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა გაიზარდა 4,4%-ით და 980 მილიონს მიაღწია (2010 წელს იყო 939 მილიონი). ტურისტული დანიშნულების ახალ-ახალი ადგილები ჩნდება ყოველწლიურად და ამ ადგილებს შემოსავლების გენერირების შესაძლებლობა ეძლევათ.

უფრო მეტმა მოსახლეობელმა ადგილებმა, ნაკლებმა ფასმა და გადაადგილებისთვის საჭირო ნაკლებმა დრომ მნიშვნელოვნად გაზარდა პოტენციური მომხმარებლის არჩევანის არეალი. ტურიზმის ინდუსტრიის მუდმივი ზრდა და ზრდისათვის დამახასიათებელი ტენდენცია - გადაჭედილი ტურისტული ადგილები - მომხმარებელთა მხრივ იწვევს სუფთა, უფრო მდგრადი და გარემოსადმი უფრო მეგობრული დამოკიდებულების ტურისტულ ადგილებზე მოთხოვნის გაზრდას. ამ ხარისხობრივი და რაოდენობრივი ტენდენციების გამო აუცილებელია მდგრადი და ბიომრავალფეროვნებაზე დაფუძნებული ტურისტული პროდუქტების შექმნა, ბუნებრივი რესურსების მდგრად განვითარებასა და შენარჩუნებასთან ტურიზმის დაკავშირება.

ტურიზმის ტრადიციული სახეებისგან განსხვავებით, ეკოლოგიური ტურიზმი მიმართულია ურთიერთჰარმონიზაციის დამყარებაზე სარეკრეაციო საქმიანობისაგან მიღებულ ეკონომიკურ მოგებასა და ამ საქმიანობისთვის ბუნებრივი რესურსების უსაფრთხოებას შორის. ეკოტურიზმის საერთაშორისო საზოგადოების (The International Ecotourism Society TIES) მიერ ეკოტურიზმი განისაზღვრება, როგორც „საპასუხისმგებლო მოგზაურობა ბუნებრივ გარემოში, რომელიც უფრო ხილდება ბუნებას და აუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონეს“ [4]

ეკოტურისტული საქმიანობა, გამომდინარე ეკოტურიზმის არსიდან, შესაძლებლობას იძლევა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მთელი რიგი ქვეყნების დაცული ტერიტორიების ბუნებისდაცვითი საქმიანობის დაფინანსებაში.

ეკოტურისტული საქმიანობისაგან მიღებული სახსრები უზრუნველყოფს ტერიტორიების დაცვას ტურისტების მხრიდან ბუნების ხელყოფისაგან, უთავბოლო სამეურნეო საქმიანობისაგან და ხელს უწყობს ამ ტერიტორიებზე პროფესიული კადრების შენარჩუნებას.

ამავე დროს, საყურადღებოა ზოგიერთი ავტორის კრიტიკული აზრი, რომელიც მოცემულია მ. მარგველაშვილის სტატიაში: „ბოლო პერიოდში, ტურიზმის პრობლემებისადმი გამოჩენილი ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ტურიზმის იმ ფორმებზე, რომლებიც გამოცხადებულია ტურიზმის „უფრო მდგრად ფორმებად“, მათ შორის ეკოტურიზმზე. კერძოდ, როგორ ძალიან მხატვრულად აღნიშნა ვილერმა, მთელი ეს ამბავი თავისი არსით წარმოადგენს ფანჯრის შემინვას, რათა მონაწილეებმა, ტურისტებმა – თავი კარგად იგრძნონ, ხოლო მიმწოდებლები – კარგად წარმოჩნდნენ. არაფერი ახალი ეკოტურიზმში არ არის, გარდა მისი დღევანდელი მასშტაბებისა. ადამიანების მოგზაურობა ბუნების დასათვალიერებლად წარმოადგენს ტურიზმის ერთ-ერთ უძველეს ფორმას. ამასთან, სამწუხარო ისაა, რომ ამჟამად ეკოტურიზმში ჩართული დიდი რაოდენობის გამო მონახულების ადგილები (ხშირად უაღრესად სათუთი) და სანახავი ცხოველები უფრო დიდი საშიშროების ქვეშ არიან, ვიდრე იქნებოდნენ ეკოტურიზმის გაჩენამდე, მიუხედავად ტურისტებისა და მიმწოდებლების კეთილი მიზნებისა.“[1]

დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში ემსახურება თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტის მომავალი თაობებისათვის შენარჩუნებას, ადამიანის სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობის პირობების დაცვას და საზოგადოების ცივილიზებული განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძვლების შექმნას.


დაცული ტერიტორიები საქართველოში იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის - უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად, მათი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული და ბუნებრივი რესურსების დამზოგავი მეურნეობის განვითარების მიზნით გამოყენების უზრუნველსაყოფად[3].

მსოფლიოს თითოეული მსხვილი ეროვნული პარკი წელიწადში რამდენიმე მილიონ მნახველს იღებს; აღსანიშნავია, აგრეთვე, ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ პროვინციაში, შტატსა თუ მხარეში, რომლის ტერიტორიაზეცაა განლაგებული ეროვნული პარკი, ტურისტების რაოდენობა ხშირად რამდენჯერმე აღემატება ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობას.

## შედეგები

საქართველოს ეროვნული პარკების მნახველთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, თუ განვიხილავთ ვიზიტორთა სტატისტიკურ მონაცემებს (იხილეთ გრაფიკი 1), დავინახავთ, რომ 2005 წელს საქართველოს დაცული ტერიტორიები მოინახულა 5 669 ადამიანმა, ხოლო 2011 წელს ეს რაოდენობა გაიზარდა 303 686–მდე, ამასთან 2011 წელს მნახველთა რაოდენობა 2010 წელთან (152 512 ვიზიტორი) შედარებით 100%–ით გაიზარდა. 2013 წლის მონაცემებით ვიზიტორთა რაოდენობამ 350,642 შეადგინა, რაც ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე მიუთითებს.

**გრაფიკი 1. საქართველოს დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა რაოდენობა წლების მიხედვით**



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტოს მონაცემები (<http://www.apa.gov.ge/ge/vizitorta-statistika>)

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს (იხილეთ გრაფიკი 2), 2013 წელს საქართველოს მოქალაქეების აქტივობა საგრძნობლად აღემატება უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობას. ხოლო 2014 წელს უცხო ქვეყნებიდან შემოსული ტურისტების რაოდენობა მატულობს, შეადგენს 8,766 და უახლოვდება საქართველოს მოქალაქე ვიზიტორების რაოდენობას.

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურისტული სერვისის გაუმჯობესების მიზნით 2007-2013 წლებში განხორციელებულია სხვადასხვა აქტივობა: ვიზიტორთა ცენტრები და საგამოფენო დარბაზები გაიხსნა თუშეთის, ლაგოდეხის, ვაშლოვანის, ქობულეთის, იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე, ასევე - მტირალას, კოლხეთისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკებში.

საველე ტურისტული ინფრასტრუქტურა შეიქმნა ქობულეთის, კინტრიშის, ჭაჭუნას, ლაგოდეხის, ვასლოვანის, თუშეთის, იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე, ასევე, მტირალას, კოლხეთისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკებში.

სხვადასხვა დაცულ ტერიტორიასა და ეროვნულ პარკში დამატებით სთავაზობენ მრავალფეროვან მომსახურებას: კარვის, საძილე ტომრის, ზურგჩანთის გაქირავება, ცხენით მომსახურება, კატერით გასეირნება, ფოტო ტური, ფრინველებზე დაკვირვება, სპელეო ტური, ნავით გადაადგილება პრომეთეს მღვიმეში, სამოყვარულო თევზჭერა, ლაშქრობა, სამთო ველოსიპედი, დელფინების ტური შავ ზღვაზე, პანორამული გადასახედი,

პალეონტოლოგიური ტური, ჭაობის თხილამურები, მონეტის მოჭრა, რაფტინგი, სამოქალაქო ქორწინების ცერემონიალი და სხვა.


დაცულ ტერიტორიებზე დამონტაჟდა 140 ფოტოხაფანგი (მათ შორის 5 GPS სისტემით აღჭურვილი). ფოტოხაფანგები წარმატებით გამოიყენება ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლაშიც. ტერიტორიული ადმინისტრაციები აღიჭურვა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარითა და გლობალური პოზიცირების სისტემებით (GPS).

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში 2006 წლიდან ხორციელდება ნიამორის რეინტროდუქციის პროექტი. ხოლო ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე - ჯეირნის რეინტროდუქციის პროექტი (2009 წლიდან).

მუდმივად ხორციელდება ეკო-საგანმანათლებლო აქტივობები, რაც მოიცავს: ლექცია-სემინარებს, განათლების კვირეულებს, ეკო-ტურებს, ეკო-ბანაკებს, დარგვითა და დასუფთავების ღონისძიებებს.

შეიქმნა 7 საგანმანათლებლო/საინფორმაციო ფილმი დაცული ტერიტორიების შესახებ, 10 საიმიჯო კლიპი, 2 გადაცემა (“ჩაალაგე ჩემოდანი”, “ჯეო მეგზური”). ყოველწლიურად ხორციელდება საინფორმაციო ტურები და აქციები ეროვნული პარკების პოპულარიზაციის მიზნით. განთავსებულია გარე რეკლამა მონიტორებზე, ავტობუსებსა და ბანერებზე. თავსდება რეკლამა სოციალურ ქსელებში, რადიოში, სატელევიზიო სივრცეში, კინოთეატრებში, ქართულ და საერთაშორისო გამოცემებში. მზადდება და ვრცელდება ბეჭდვითი სარეკლამო, საგანმანათლებლო მასალები და სპეციალური ნივთები (სუვენირები). Yahoo Travel-ისა და CNN-ის მიერ გამოქვეყნებულ მსოფლიოს საუკეთესო უცნობი ადგილების ჩამონათვალში თუშეთი ლიდერ პოზიციებზე მოხვდა.

**გრაფიკი 2. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ადგილობრივი და უცხო ქვეყნების მოქალაქე ვიზიტორთა რაოდენობა (2013–2014 წწ)**



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტოს მონაცემები (<http://www.apa.gov.ge/ge/vizitorta-statistika>)

საერთაშორისო მოგზაურობა ახალ მიმართულებებს იძენს და მიუხედავად ჩატარებული უამრავი ღონისძიებისა, საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, ცნობადობა ჯერ კიდევ დაბალია. მაგრამ განვიხილოთ ამ საკითხის მეორე მხარე– საქართველოს ტურისტული რესურსების გამტარუნარიანობა: შეზღუდულ ტერიტორიაზე ტურისტების დიდი მასების თავმოყრა ტერიტორიის ზეექსპლუატაციას გამოიწვევს და შექმნის პარკის ბუნებრივი ეკოსისტემების მოშლის საფრთხეს [2].

## დასკვნა

საქართველოს დაცული ტერიტორიების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, გადატვირთულობის საფრთხე ჯერ-ჯერობით არ არსებობს, მაგრამ სასურველია წინასწარ საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი ეროვნული პარკების გამტარუნარიანობა, რომელიც განისაზღვრება მთელი რიგი ბუნებრივი და სოციალური ფაქტორებით: ეკოლოგიური ტურების ჩასატარებლად გამოსადეგი ტერიტორიის ფართობით, ტერიტორიის ტოპოგრაფიით და მცენარეული საფარით, ბუნებრივი ეკოსისტემების სიმყიფით, გარეული ცხოველების რიცხოვნობით და მრავალფეროვნებით. პარკის გამტარუნარიანობის გაზრდა შესაძლებელია დამატებითი ბილიკების მოწყობით, რაც ხელს შეუწყობს ტურისტების ადვილად გადაადგილებას და მათი რაოდენობის ზრდას. ეს გზა ეფექტური იქნება რათა მოხდეს ტურისტების გადანაწილება შედარებით მეტ ფართობზე, ისე რომ გარემო არ დაზიანდეს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. მარგველაშვილი მ. 2011. თანამედროვე ტურიზმი და მისი განვითარება. *ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი. II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია*, ბათუმი.
2. მელაძე მ. 2012. ეკოტურიზმი დაცულ ტერიტორიებზე *ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი*, III საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ბათუმი.
3. მასისურაძე დ. და სხვ. 2008. *ეკოლოგიური ტურიზმის საფუძვლები*, თბილისი.
4. [www.ecotourism.org](http://www.ecotourism.org): The International Ecotourism Society
5. [www.apa.gov.ge](http://www.apa.gov.ge): დაცული ტერიტორიების სააგენტო- <http://www.apa.gov.ge/ge/vizitorta-statistika>

*Teona Tsereteli*  
*Grigol Robakidze University*  
*School of Business and Management*  
*Master's Programme Student*

## **Marketing Research of Speleo-Tourism in Georgia**

### **Summary**

Tourism is one of the fast growing industries in the world. There is increasing interest in protected areas and karst caves in the modern period. Georgia is one of the first in the world in terms of karst caves. There are over 1300 underground natural monuments with a total length of 240 km - and the total depth reaches - 55 km. Worth noting that the New Athos cave volume (1.5 million m<sup>3</sup>) is one of the largest scales in the world; for developing Speleotourism there are natural factors favorable like karst landscapes, where remarkable characteristics of karst forms are observed - Siponi, caves, deep canyons, mines, and the gap between the abundance of high aesthetic features.

I decided to research speleotourism in Georgia to find out the current situation of this field and whether there is potential for the development. In order to make the necessary conclusions, about Prometheus cave and about visitors I found statistical data to determine the number of tourists. I held 2 different types of marketing research. I surveyed Grigol Robakidze University students by e-mail and social network. In this way I could find out how active and interested people of age 18-25 are in this form of tourism. Then I surveyed people of age over 25 in the street in order to understand the situation of the older segment. The survey showed that people are interested in this type of tourism. They are active to visit caves; speleotourism role and importance is growing and becoming more popular. Cave tourism and excursion provides significant income to the government. Speleotourism can be developed in other regions. For example, in Samegrelo, Imereti, Racha. In this way additional income and jobs for the local residents will be established.

**Keywords:** Karst cave; Speleology; Protected area; Marketing research.

*თეონა წერეთელი*  
*გრეგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი*  
*ბიზნესისა და მართვის სკოლა*  
*სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი*

**საქართველოს სპელეოტურიზმის მარკეტინგული კვლევა**

### **რეზიუმე**

ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდ ინდუსტრიას წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბით. თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი დაცული ტერიტორიებისა და კარსტული მღვიმეების მიმართ. კარსტულ მღვიმეთა სიმრავლით

საქართველო ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. გამოვლენილია 1300-ზე მეტი მიწისქვეშა ბუნებრივი ძეგლი. გადაწყვეტიტე გამოქვეყნდა სპელეოტურიზმი საქართველოში, რათა გამეგო თუ რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით და არსებობს თუ არა განვითარების პერსპექტივები. საჭირო დასკვნების გასაკეთებლად, მოვიძიე სტატისტიკური მონაცემები პრომეთეს მღვიმესა და სათაფლიაზე ვიზიტორთა რაოდენობის შესახებ და ასევე ჩავატარე გამოკითხვა. გამოკითხვამ აჩვენა, რომ სპელეოტურიზმის როლი და მნიშვნელობა ტურიზმის სახეებს შორის თანდათან იზრდება და მეტად პოპულარული ხდება.

**საძიებო სიტყვები:** კარსტული მღვიმე; სპელეოლოგია; დაცული ტერიტორია; მარკეტინგული კვლევა.

## შესავალი

ტურიზმი ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ინდუსტრიას წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბით. 2011 წელს, ტურიზმის წილმა მსოფლიო მთლიან შიდა პროდუქტში 9% შეადგინა, რაც 6 ტრილიონ დოლარს აღემატება. აღნიშნულ სექტორში 255 მილიონზე მეტი ადამიანი მუშაობს, რაც მსოფლიო მასშტაბით დასაქმების 8.7%-ს შეადგენს. მოსალოდნელია, რომ ტურიზმის ინდუსტრიის ზრდა გაგრძელდება საშუალოდ 4%-იანი წლიური მატების ტემპით და უახლოეს წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-ს, ანუ დაახლოებით 10 ტრილიონ დოლარს გაუტოლდება.

საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა 2011 წელს 4.6 %-ით გაიზარდა და 980 მილიონი შეადგინა. 2012 წელს საერთაშორისო მოგზაურების მაჩვენებლის მოსალოდნელი ზრდის ტემპი 3-დან 4 %-მდე მერყეობდა და UNWTO-ს მონაცემებით ის 1 მილიარდს გაუტოლდა. გარდა ამისა, UNWTO პროგნოზირებს, რომ საერთაშორისო მოგზაურების სტაბილური, საშუალოდ 3.3 %-იანი ზრდის ტემპი 2030 წლამდე შენარჩუნდება.

საერთაშორისო მოგზაურების რიცხვის მკვეთრი ზრდა საქართველოშიც აღინიშნება. 2011 წელს უცხოელთა რაოდენობამ 2 822 363 შეადგინა, რაც 39%-იან ზრდას წარმოადგენს წინა წელთან შედარებით. 2012 წელს უცხოელ მოგზაურთა რაოდენობა 56 % გაიზარდა და 4 389 256 მიაღწია. ზრდის ტემპის თვალსაზრისით საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა. განგებამ უხვად დააჯილდოვა საქართველო ბუნებრივი რესურსებით, რაც მიმზიდველ გარემოს ქმნის ტურისტებისთვის. ყოველივე ამან განაპირობა ბოლო პერიოდში ტურიზმის განვითარების წინა პლანზე წამოწევა. ტურიზმი არის ბიზნესის სფერო, რომელიც ერთნაირად სასარგებლო და მომგებიანია მასში მონაწილე ქვეყნებისა და ხალხისთვის. შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მისი განვითარება სახელმწიფოს და რაიონს მთლიანად, როგორც დაინტერესებულ (მონაწილე) მხარეს, უქმნის შესაბამის სტიმულებს, ესენია:

- ახალი სამუშაო ადგილები და საწარმოები;
- დამატებითი შემოსავლები;
- ადგილობრივი პროდუქციისათვის ახალი გასაღების ბაზრები;
- ინფრასტრუქტურის, ასევე კომუნალური მომსახურების ობიექტებისა და სამსახურების მოდერნიზაცია;

- ახალი პროფესიები და ტექნოლოგიები;
- საზოგადოების მიერ გარე სამყაროს, ასევე, კულტურული მემკვიდრეობის პრობლემებისა და მათი დაცვის აუცილებლობის საფუძვლიანი გაგება;
- ახალი მიდგომები მიწათსარგებლობაში.

საქართველოს ნებისმიერი მხარე, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის კუთხით და რესურსული პოტენციალის მიხედვით დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. სწორედ ამიტომ აქ შეიძლება განვითარდეს ტურიზმის ნაირგვარი სახეობა: რეკრეაციული, პროფესიულ-საქმიანი, სამეცნიერო, კულტურული, სათავგადასავლო, რელიგიური გამაჯანსაღებელი დასვენება და სხვ. ყურადღება მინდა გავამახვილო უფრო კონკრეტულ საკითხზე, კერძოდ, ტურიზმის ერთ-ერთ სახეობაზე, სპელეოტურიზმზე.

სპელეოტურიზმი გულისხმობს მღვიმეების მონახულებას. მღვიმე — ვრცელი სიღრუე დედამიწის ქერქის ზედა ფენაში, მიწის ზედაპირზე ხვრელებით გამოდის. წარმოიქმნება წყალში ხსნადი ნაპრალოვანი ქანების (კირქვა, დოლომიტი, თაბაშირი და სხვ.) გამოტუტვითა და გადარეცხვით, აგრეთვე სუფოზიური, აბრაზიული, ეოლური და სხვა პროცესების შედეგად. ყველაზე დიდი ზომის მღვიმეებია კარსტული მღვიმეები. ისინი წარმოქმნიან მრავალკილომეტრიან და მრავალსართულიან რთულ მღვიმურ სისტემებს, რომლებშიც მიწისქვეშა მდინარეები გადის, ზოგჯერ გვხვდება ტბები, ჩანჩქერები, სტალაქტიტები, სტალაგმიტები და სხვა კარსტული ფორმები.

საქართველოში 1500 მ-დე მღვიმეა (მრავალი მათგანი შესწავლილია). კარსტული რელიეფი ძირითადად დასავლეთ საქართველოშია, აღმოსავლეთ საქართველოში კარსტი სპორადულადაა განვითარებული და წარმოდგენილია თრუსოს ხეობაში, მდ. ქსნის სათავეში, ასევე გომბორის ქედზე და ა.შ.

## **მასალები და მეთოდები**

სპელეოლოგიას საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც გამოქვეყნდა ედუარდ ალფრედ მარტელის (1859 — 1938) სამეცნიერო შრომები. სწორედ ე.ა. მარტელი ითვლება სპელეოლოგიის, როგორც მეცნიერების ფუძემდებლად, აქედან გამომდინარე, მას ხშირად უწოდებენ „სპელეოლოგიის მამას“. ე.ა. მარტელი ბევრს მოგზაურობდა, ატარებდა გამოკვლევებს და საბოლოოდ შეკრიბა დიდძალი გეოგრაფიული (სპელეოლოგიური) მასალა. XX საუკუნის დასაწყისში იგი კავკასიაშიც მოგზაურობდა, იმყოფებოდა საქართველოს ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეში აფხაზეთში, სადაც კირქველ მასივზე აწარმოებდა აღწერას. კავკასიაში აღმოაჩინა რამდენიმე მღვიმე. შემდეგ გამოსცა ნაშრომები პარიზში. სპელეოლოგიის შემდეგი განვითარება დაკავშირებულია ფ. კრაუსის, ა. შმიდლის, ა. გრუნდისა და სხვა მკვლევარების სახელებთან.

საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები უძველესი დროიდან იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას. ისინი მოხსენიებული აქვთ სტრაბონს, ჯუანშერს, რუსთაველს, სულხან-საბა ორბელიანს და სხვ. პირველი ცნობები საქართველოს მღვიმეების შესახებ მოცემული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს. მის მონოგრაფიაში მოიპოვება საინტერესო ცნობები მღვიმე-გამოქვაბულების მდებარეობისა და მათი დანიშნულების შესახებ.



საქართველოს კარსტის შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანეს ლევან მარუაშვილმა, ზურაბ ტატაშიძემ, შალვა ყიფიანმა, ჯუმბერ ჯიშკარიანმა და სხვ. საერთო ჯამში, მათ გამოაქვეყნეს ასობით სამეცნიერო შრომა, რომლებსაც მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავთ.

თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი დაცული ტერიტორიებისა და კარსტული მღვიმეების მიმართ. გადავწყვიტე გამომეკვლია სპელეოტურიზმი საქართველოში, რათა გამეგო თუ რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით და არსებობს თუ არა განვითარების პერსპექტივები. საჭირო დასკვნების გასაკეთებლად, მოვიძიე სტატისტიკური მონაცემები პრომეთეს მღვიმესა და სათაფლიაზე ვიზიტორთა რაოდენობის დასადგენად წლების მიხედვით და ასევე ჩავატარე 2 სხვადასხვა ტიპის გამოკითხვა:

1. ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელის, კერძოდ, ფეისბუქის საშუალებით გამოვკითხე გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები. ამით შევძელი დამედგინა, თუ რამდენად აქტიურები და დაინტერესებული არიან ტურიზმის ამ სახით 18 – 25 წლის ასაკის ადამიანები.

2. შემდეგ ამოხეჭდილი კითხვარი შევავსებინე შემთხვევით გამვლელებს, რომელთა ასაკიც აღმატებოდა 25 წელს, რათა დამედგინა მდგომარეობა შედარებით უფროს სეგმენტში.

## **ძირითადი ნაწილი**

დასავლეთ საქართველოში ბევრი გამოქვაბულია, რომელთა ნაწილი (მაგალითად, სათაფლია) საკმაოდ კარგადაა შესწავლილი და ტურისტების მიერ მისი ბილიკები არაერთგზისაა გათელილი. რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპლექსი წყალტუბოს რაიონში მდებარეობს – სათაფლია, ყუმისთავის (იგივე პრომეთეს) მღვიმე, თეთრი მღვიმე და ა.შ. ყუმისთავის (პრომეთეს) მღვიმე ამავე სახელწოდების სოფელში, წყალტუბოდან მანქანით 15-20 წუთის სავალზე მდებარეობს. საქართველოს გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის, ჯ. ჯიშკარიანის მიერ გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში აღმოჩენილი ეს მღვიმე ამჟამად რეაბილიტირებულია, აქ არის დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვიზიტორთა ცენტრი, ხოლო გამოქვაბულთა კომპლექსი, აწ უკვე პრომეთეს მღვიმის სახელწოდებით, იღებს უამრავ ტურისტს.


სათაფლია ეს არის ვიზიტი დინოზავრების სამყაროში. როდესაც ამ სამყაროში აღმოჩნდებით, გადააბიჯებთ ათასწლეულებს, დაივიწყებთ ცივილიზაციას და პრეისტორიულ ხანაში დაბრუნდებით. ამ შეგრძნებებს დინოზავრის ნაკვალევთან შეხვედრა იწვევს. შემდეგ კი, 320 მეტრზე გაჭიმულ სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების სამყაროში მოგზაურობა კიდევ უფრო ამძაფრებს ამ შეგრძნებებს.

სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლების გუმბრას, ბანოჯასა და ხომულის ტერიტორიაზე, სათაფლიის მთაზე, ზღვის დონიდან 500 მეტრ სიმაღლეზე. ის 1935 წელს დაარსდა, ფართობი 354 ჰა. ნაკრძალი კომპლექსური ხასიათისაა და შეიცავს გეოლოგიურ, პალეონტოლოგიურ, სპელეოლოგიურ, ზოოლოგიურ და ბოტანიკურ ძეგლებს. რელიეფი მთაგორიანია. ტერიტორიის 95% დაფარულია რელიქტური კოლხური ტიპის ტყით, რომელსაც ქმნის წიფელი, წაბლი, რცხილა, თელა, ბზა, ძელქვა, მურყანი, ცაცხვი, მუხა, პანტა, მაჟალო და სხვა. ძუძუმწოვრებიდან აქ

გავრცელებულია ტურა, კვერნა, მაჩვი, მელა, კურდღელი, ციყვი. იშვიათია შველი, ბევრია ფრინველი. ნაკრძალის ტერიტორია მდიდარია კარსტული მღვიმეებით. აქვე აღმოჩენილია მტაცებელი და ბალახიჭამია დინოზავრების 200-მდე ნაკვალევი, რომლებიც მერგელოვან კირქვებზეა აღბეჭდილი. ნაკრძალში არის ბიოსპელეოლოგიური მუზეუმი.

სათაფლიის ნაკრძალის მრავალფეროვნება მისდამი დიდ ინტერესს იწვევს. მარშრუტზე მოგზაურობისას ვიზიტორები მონახულებენ დინოზავრის ნაკვალევის საკონსერვაციო ნაგებობას, უნიკალურ კარსტულ მღვიმეს, მუზეუმს, კოლხურ ტყეს, ველური ფუტკრის საბინადრო გარემოს. აქვეა საგამოფენო დარბაზი და შუშის პანორამული გადასახედი, საიდანაც იმერეთის რეგიონის ულამაზესი ხედი იშლება. აღსანიშნავია, რომ ეს ბილიკი განსაკუთრებით მისადაგებულია ოჯახური მოგზაურობისათვის. ბილიკზე, დინოზავრის ნაკვალევის გარდა, ბავშვები დინოზავრის ფიტულებსაც დაათვალიერებენ, რომლებთანაც სურათის გადაღება მათთვის მეტად სახალისო იქნება.

თუ გადავხედავთ 2014 წლის მონაცემებს ვიზიტორთა რაოდენობის შესახებ, ნათლად დავინახავთ, რომ მღვიმეების მონახულება პოპულარობით გამოირჩევა.



## SWOT ანალიზი

მართალია, ტურისტულ ჯგუფებს გამყოლები მთელი გზის მანძილზე ახლავს თან, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ენაწყლიანობით მაინცდამაინც არ გამოირჩევიან, გაჩქარებენ და ცდილობენ, მალე დაასრულონ საქმე. მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა თავად მღვიმის ინფრასტრუქტურაა. სამწუხაროდ, განათება არც ისე კარგია – მართალია, პროექტორები მრავლადაა დამონტაჟებული, თუმცა ისინი არც ისე კარგადაა განაწილებული და ძალიან ბევრი საინტერესო მღვიმური ფორმა ბნელითაა მოცული. მღვიმეში ფოტოგრაფირება ფლემ-ნათურის (ე.წ. „ვსპიშვის“) გამოყენებით აკრძალულია, ამიტომ დიდად ნუ გაირჯებით –


სურათები კარგი ხარისხის არ გამოგივით. ასევე ნაკლებად გაუმართლათ არაქართულენოვან ტურისტებს – ინგლისურის ის დონე, რომელსაც გიდეები ფლობენ, უკეთესის სურვილს ნამდვილად ტოვებს.


ზემოთ ჩამოთვლილ ყველა უარყოფით მხარეს მღვიმეში შესვლისთანავე დაივიწყებთ. განათების მიუხედავად, პრომეთეს მღვიმე ენითაუწერელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე, რომელსაც გადაღებული ფოტო ნამდვილად ვერ ასახავს. შუქზე მბრწყინავი კალციუმის კრისტალები, მილიონობით წლის მანძილზე ნაზარდი და შეერთებული სვეტები, თეთრი, შავი და მოწითალო ფერის სტალაგმიტები და სტალაქტიტები, ჯადოსნური ფორმის ფიგურები, რომლებიც ქონდრისკაცებს და ზღაპრის სხვადასხვა გმირებს გვანან და, რაც მთავარია, 6 უზარმაზარი დარბაზი გულგრილს ნამდვილად არავის დატოვებს და აქ მიღებული შთაბეჭდილებები დიდხანს გაგყვებათ.

მღვიმეში ასევე გაედინება მდინარე, რომელიც ბოლოში ტბას ქმნის. ამ ტბაზე ნავებით გასეირნებაა შესაძლებელი, რომელიც, რა თქმა უნდა, დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამჟამად მიმდინარეობს დაივინგის მოწყობის სამუშაოები. შესაბამისად, მომსახურებას ყვინთვა დაემატება. იგეგმება ე.წ. ველური ტურების მოწყობაც, სადაც მსურველებს მღვიმის გაუკვალავ და გაუნათებელ ტერიტორიაზე მოუწყობენ ექსპედიციებს, რაც ასევე საინტერესოდ ჟღერს.


## შედეგები

სულ გამოვიკითხე 200 რესპოდენტი. აქედან 100 იყო 18-დან 25 წლამდე და 100 - 25 წლის ზევით.







გამოკითხულთა 50%-ის ასაკი მერყეობს 18-დან 25 წლამდე, დანარჩენი 50%-ს კი 25 წელს აღემატება.




როგორც ვხედავთ, შიდა ტურიზმი საკმაოდ პოპულარულია საქართველოში (86%). გამოკითხულთა მხოლოდ 10%-ს არ იზიდავს ლაშქრობები საქართველოს ფარგლებს შიგნით, 4%-ს კი საკმარისი დრო არ აქვს ამისთვის.



ტურიზმის სახეობებს შორის უპირობო ლიდერია კულტურული ტურიზმი; მას მოსდევს სპელეოტურიზმი და ეკოტურიზმი.



გამოკითხულთა უმრავლესობა, 67% ნამყოფია პრომეთეს მღვიმეში.



მღვიმეების მონახულება იმდენად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე, რომ მხოლოდ 9%-მა გასცა უარყოფითი პასუხი ამ შეკითხვას.

ვინაიდან უცხო ქვეყნების (გერმანელები, რუსები, უკრაინელები, ებრაელები) წარმომადგენლებთანაც პირადად მქონდა შეხება, გადავწყვიტე მათი აზრიც გამეგო მღვიმეებთან დაკავშირებით; კონკრეტულად რა მოეწონათ, რა არ მოეწონათ და რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ.

შედარებით ასაკოვანი ადამიანებისთვის არაკომფორტულია ბევრი კიბე, რომელიც უნდა გაიარო პრომეთეს მღვიმეში მოსახვედრად. სანაოსნო ბილიკი გაფართოვების სურვილს ტოვებს, რადგან მანძილი საკმაოდ მოკლეა და წვიმიან ამინდში გასეირნება საერთოდ შეუძლებელია. უცხოელი ტურისტებისთვის (და არა მხოლოდ მათთვის), თვალშისაცემია, ასევე, თანამედროვე მეტალო-პლასტმასის კარები მღვიმეში, რაც არსებულ ატმოსფეროსა და მისტიურ გარემოს, უბრალოდ, არ შეეფერება. გიდების ნაკლებობის გამო, საექსკურსიო ჯგუფები დიდია, რის გამოც ვიზიტორთა მობილიზება და კონტროლი რთულია. უმრავლესობამ, ასევე, აღნიშნა, რომ გიდები სათაფლიაზე უფრო კარგი ჰყავთ, ვიდრე პრომეთეში.

**დასკვნა**

მრავალი კარსტული მღვიმე და ხელოვნური გამოქვაბული თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით კეთილმოწყობილია (ელექტროგანათება, მისადგომი გვირაბები, ლიფტები, მიწისქვეშა მდინარეებზე, ტბებზე სამოგზაურო ნაგებობები, სახიფათო ადგილებში აგებული აივნები, მოაჯირები, კიბეები და ა.შ.).

საქართველოში, გარდა ახალი ათონის, სათაფლიის, პრომეთეს (წყალტუბოს) და ნავენახევის მღვიმეებისა, მასობრივი ტურიზმის ობიექტად გადაქცევის დიდი პერსპექტივა აქვს აბრსკილის, ცუცხვათის, ნაზოდელავოს, უშოლთას, გარახას, კორცხელის, ნახიზნევის, კოტიასკლდისა და ხვედელიძეების კლდის მღვიმეებს, რაც სამეგრელოს, იმერეთის და რაჭის ტერიტორიაზე სპელეოტურიზმის განვითარების კარგ საშუალებას წარმოადგენს. ყოველივე

აქედან გამომდინარე, სპელეოტურიზმი და მღვიმეში ექსკურსიები მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროდ შეიძლება იქცეს სახელმწიფოსთვის.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ სპელეოტურიზმის როლი და მნიშვნელობა ტურიზმის სახეებს შორის თანდათან იზრდება და მეტად პოპულარული ხდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კარსტულ მღვიმეთა სიმრავლით საქართველო ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. არსებობს უამრავი არაკეთილმოწყობილი მღვიმე, რომლის ტურისტულ პროდუქტად გადაქცევის შესაძლებლობა და პოტენციალი ნამდვილად არსებობს.

ინტერესი სპელეოტურიზმის მიმართ ყოველთვის იყო და როგორც გამოკითხვით ირკვევა, მომავალშიც იქნება. სამეგრელოს, იმერეთის, რაჭის ტერიტორიებზე სპელეოტურიზმის განვითარებით შეიქმნება დამატებითი შემოსავლი, სამუშაო ადგილები ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რაც მდგრადი ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მარუაშვილი ლ. 1973. *მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლები*. თბილისი.
2. Trombe F. 1952. *Traite de speleologie*. Paris.
3. <http://www.apa.gov.ge/ge/vizitorta-statistika>
4. [http://mrvimeebii.blogspot.com/2012/04/blog-post\\_12.html](http://mrvimeebii.blogspot.com/2012/04/blog-post_12.html)
5. <http://www.tskaltuboresort.ge/index.php?page=1405&lang=geo>
6. <http://saunje.ge/index.php?id=564&lang=ka>

*Teona Gelbakhiani*  
*Grigol Robakidze University*  
*School of Business and Management*  
*Master's Programme Student*

### **Entrepreneurship Supporting Programs and Their Effectiveness in Germany, USA and Georgia**

#### **Summary**

Entrepreneurship represents the process of development with the help of entrepreneurship elements: risk, creative input, innovations, discovery of possibilities, using new ways of recourses, creation of new products or improvement of the existed ones. It creates wealth and increases general public welfare. That is why the idea of popularization of entrepreneurial activities, rising of educational level in this sphere as well as assistance of entrepreneurs is the priority of the majority of the governments.

World's progressive countries (Germany, USA, etc) create the program of assistance for entrepreneurship development programs what implies protection of intellectual property, technological inventions and innovations, support of start-ups with the help of scholarships and privileges. Should also be mentioned the role of the universities involved, which create the centers for developing of entrepreneurship, assist students of different directions in the process of commercializing of their knowledge and suggest them Bachelor's, Master's or PhD programs in entrepreneurship.

Likewise other countries, recently, Georgia has also had positive advancements in entrepreneurship development. Agencies of entrepreneurship developments and innovations and technologies have recently been formed.

Besides, there are many public, commercial or non-governmental organizations which suggest various programs on innovative or social entrepreneurship to interested parties; though, these activities are not enough. It is important to compare active programs with foreign experiences; also the role of the university should be raised in order to support entrepreneurship and speedy and useful development of economics which is so important for such a country, as Georgia.

*თეონა გელბახიანი  
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის  
ბიზნესისა და მართვის სკოლა  
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი*

## **მეწარმეობის (Entrepreneurship) მხარდამჭერი პროგრამები და მათი ეფექტურობა გერმანიის, აშშ-ისა და საქართველოს მაგალითზე**

### **1. შესავალი**

მსოფლიოს გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ბაზრებზე ოპერირებადი კომპანიები საწარმოო სიმძლავრეებს საკუთარი ქვეყნების ნაცვლად უცხოეთში განათავსებენ. ფორმების ამ გადაწყვეტილებას არაერთი ფაქტორი განაპირობებს, თუმცა, შეიძლება ითქვას, მათ შორის უმთავრესია კაპიტალზე დანახარჯები, კერძოდ კი, იაფი მუშახელი. კომპანიების ეს ქცევა შედეგად განაპირობებს მშობლიურ ქვეყნებში სამუშაო ადგილების შემცირებას და უმუშევრობის დონის მატებას.

მსხვილ კონცერნებთან დაკავშირებული ამ უარყოფითი ეფექტების გამო განვითარებული ქვეყნები პრობლემის ოპტიმალურ გადაწყვეტას მცირე და საშუალო ბიზნესის გაძლიერებაში, მეწარმეობის განვითარებაში ხედავენ. თუმცა, ერთი შეხედვით ჩანს, რომ ადამიანებს მაინც



უჭირთ ნაბიჯის გადადგმა სტარტაპისკენ. ისინი ამჯობინებენ იმუშავონ კორპორაციებში, უკვე არსებულ ორგანიზაციებში და შემოსავალი არა მოგების, არამედ ხელფასის სახით მიიღონ, რასაც განაპირობებს არჩევანის მარტივი კონსტრუქცია ურისკო მცირე კაპიტალსა და რისკით დატვირთულ შედარებით მეტ კაპიტალს შორის.

განვითარებული ქვეყნების მსგავსად, მეწარმეობის დონის ამღვლეა წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური წინსვლის მნიშვნელოვან წინაპირობას. გარდა ამისა, ინოვაციური მეწარმეების საშუალებით საზოგადოება იღებს ახალ და სრულყოფილ პროდუქტებსა და მომსახურებებს. ამგვარად, მეწარმეობა წარმოადგენს დოვლათის შექმნისა და ზრდის, საერთო კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებას.

ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა დადებითი გავლენების გამო ბოლო ათწლეულების განმავლობაში განსაკუთრებით აქტუალური გახდა მეწარმეობის, ანუ ენტრეპრენერშიპის იდეის პოპულარიზაცია და ენტრეპრენერთა მხარდაჭერის პროგრამები. არაერთი განვითარებული ქვეყნის მთავრობა ახორციელებს სხვადასხვა პროექტს ინოვაციური მეწარმეობის განსავითარებლად. გაიცემა გრანტები, შეღავათები და სტიპენდიები ინვენტორებსა და ინოვატორებს. მიმდინარეობს სტუდენტთა წახალისება სტარტაპების შექმნის პროცესში. გარდა ამისა, მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტები ნერგავენ მეწარმეობის სასწავლო პროგრამებს და ქმნიან ცენტრებს მომავალ ინოვაციურ მეწარმეთა მხარდასაჭერად.

ისევე როგორც მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, საქართველოშიც შეინიშნება პოზიტიური ძვრები ენტრეპრენერშიპის განვითარების მიმართულებით.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შეადაროს სამეწარმეო გარემო საქართველოსა და განვითარებულ ქვეყნებში და წარმოაჩინოს ის შესაძლებლობები და ხარვეზები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას გააჩნია ენტრეპრენერშიპის განვითარებისა და ხელშეწყობის პროცესში.

## 2. ტერმინის განმარტება და ისტორია

ენტრეპრენერშიპის ყველაზე ადეკვატური თარგმანი, ალბათ, მაინც მეწარმეობაა, ან დამფუძნებლობა, თუმცა, ამ თარგმანებში მაინც იკარგება ის „დინამიური და კრეატიული“ ელემენტი, რომელიც არის ამ ცნების მთავარი მახასიათებელი.

შესაბამისად, ნებისმიერ ენაზე თარგმანისას „ენტრეპრენერის“ მნიშვნელობა გარკვეულწილად კნინდება, იქნება ეს გერმანული „Unternehmer“ თუ ინგლისური „Undertaker“ სწორედ ამიტომ Entrepreneurship არ არის ის სიტყვა, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით რომელიმე ენაზე შეიძლება გადაითარგმნოს, მას საკუთარი, ინდივიდუალური სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია და მეწარმეობასთან ერთად, სხვა ელემენტების არსებობასაც გულისხმობს.

როცა ვსაუბრობთ „მეწარმეობაზე“, ან „დამფუძნებლობაზე“, აქ კარგად არის გამოხატული ახლის შექმნის სურვილი, თუმცა, ნაკლებად იგრძნობა ინდივიდუალიზმის, პერსონიფიცირების ის ხარისხი, რომელიც ენტრეპრენერს გააჩნია, ვინაიდან ეს არის ერთი იდეის, ერთ თავში დაბადებული იდეის ისტორია.

»Entrepreneur« - ეს ცნება მომდინარეობს მე-17 საუკუნის საფრანგეთიდან და დღევანდელი მნიშვნელობით პირველად გამოყენებულ იქნა სამხედრო ექსპედიციის ხელმძღვანელის მიმართ. სწორედ თავგადასვლების მაძიებლობას დაუკავშირდა მომავალში ეს სიტყვა, ოღონდ არა სამხედრო, არამედ მეწარმეობის სფეროში.

ირლანდიელი რიჩარდ კანტილონი იყო პირველი, ვინც 1734 წელს აღნიშნული ცნება ეკონომიკას დაუკავშირა. ენტრეპრენერის ქვეშ კანტილონი მოიაზრებდა პირს, რომელიც საქონელს ან მომსახურებას იაფად ყიდულობდა და შემდეგ რაც შეიძლება ძვირად ჰყიდდა, თუმცა ამ დროს იგი ხაზს უსვამდა მომეტებულ სამეწარმეო რისკს, რომელიც ენტრეპრენერს ჩვეულებრივი ვაჭრისგან განასხვავებს [1,106].

ჟან ბაპტისტ სეიმ (1776- 1832) მოგვიანებით ტერმინი გამოიყენა ისეთი პირის დასახასიათებლად, რომელიც უფრო ახალი და ხარისხობრივად უკეთესი საქონლის ან მომსახურების საშუალებით ეკონომიკური პროცესების სტიმულირებას ახდენს.

ყურადღების მიღმა ვერ დაგვრჩება ჯოზეფ შუმპეტერი (1883-1950), რომელმაც მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში განსაკუთრებით დიდი დრო დაუთმო ენტრეპრენერშიპის შესწავლას. მის წიგნში - „ეკონომიკური განვითარების თეორია“, შუმპეტერი ენტრეპრენერად მოიხსენიებს იმას, ვინც საკუთარ ცოდნას სიცოცხლეს სძენს (ხორცს შეასხამს), თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მან აუცილებლად რაიმე ახალი უნდა გამოიგონოს. სწორედ აქედან დაუკავშირა ერთმანეთს შუმპეტერმა ენტრეპრენერი და ინოვაცია და წამოაყენა ინოვაციის საშუალებით კაპიტალიზმის დანგრევის იდეა, რომელსაც მოგვიანებით კრეატიული ნგრევის თეორია ეწოდა. ეს თეორია გულისხმობს ნგრევას ახლის შესაქმნელად, იმ პირობით, რომ ახალი იქნება უკეთესი, ვიდრე იყო ძველი, სწორედ ამაშია ეკონომიკური განვითარების იდეა.

### 3. ენტრეპრენერშიპი მსოფლიოს მასშტაბით

უკანასკნელი წლების განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს ენტრეპრენერშიპის იდეის პოპულარიზაცია. იმართება ღონისძიებები, რომელთა მიზანია რაც შეიძლება მეტი ადამიანის დაინტერესება საკუთარი ბიზნესის წამოწყებით. ამ მხრივ აღსანიშნავია რამდენიმე პროგრამა, კერძოდ კი Global Entrepreneurship Week - გლობალური მეწარმეობის კვირეული, რომელიც 2008 წლიდან ყოველწლიურად იმართება და დღესდღეობით 140 ქვეყანას აერთიანებს. [4]

მის მსგავსად, 2010 წლიდან აშშ-ის პრეზიდენტის ინიციატივით ყოველწლიურად ტარდება Global Entrepreneurship Summit გლობალური მეწარმეობის სამიტი. [5]

ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტთან არსებული მეწარმეობის ფონდის ორგანიზებით (Stiftung Entrepreneurship) 2009 წლიდან იმართება Entrepreneurship Summit - ენტრეპრენერშიპის სამიტი, რომელშიც გერმანიისა და მსოფლიოს მასშტაბით მეწარმეობით დაინტერესებული სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, დამწყები და წარმატებული მეწარმეები იღებენ მონაწილეობას. [6]

Erasmus for Young Entrepreneurs - ერაზმუსი ახალგაზრდა ენტრეპრენერებისათვის წარმოადგენს სასტიპენდიო გაცვლით პროგრამას, რომლის უზრუნველყოფს დამწყებ

მეწარმეთა გამგზავრებას უცხო ქვეყანაში წარმატებულ მეწარმეებთან ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. [7]

Global Entrepreneurship Monitor – გლობალური მეწარმეობის მონიტორი საერთაშორისო კვლევის კონსორციუმია, რომელიც 15 წელზე მეტია, არსებობს. GEM ამზადებს რეპორტებს სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე სამეწარმეო პროცესების შესახებ და გასცემს რეკომენდაციებს. [2,7]

#### **4. მეწარმეობა, როგორც სასწავლო დისციპლინა**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენტრეპრენერშიპის მრავალგვარი გაგების გამო არ არსებობს ცნების ერთიანი განმარტება. თუმცა, ცალსახაა, რომ ენტრეპრენერშიპი და ენტრეპრენერი განსხვავდება ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტისაგან. რადგან მენეჯმენტი არ მოიცავს ინოვაციურ ელემენტს და ის მხოლოდ ფირმის მართვაზეა ორიენტირებული. ენტრეპრენერშიპის დოქტორი გიუნტერ ფალტინი ახასიათებს ენტრეპრენერს, ინვესტორსა და მენეჯერს. ფალტინის მიხედვით, ენტრეპრენერს აქვს იდეა, აფუძნებს კომპანიას და ასაქმებს ადამიანებს. ინვესტორს აქვს კაპიტალი, ახანდებს მას და ორიენტირებულია მოგების მაქსიმიზირებაზე. მენეჯერი კი კომპანიის გამართულ და წარმატებულ ფუნქციონირებაზე ზრუნავს. [1]

ბიზნესის ადმინისტრირებასა და მეწარმეობას შორის არსებულმა განსხვავებებმა და ასევე ამ უკანასკნელით დაინტერესებულთა რიცხვის მატებამ განაპირობა ენტრეპრენერშიპის როგორც სასწავლო დისციპლინის ჩამოყალიბება აშშ-სა და ევროპაში. ამ მხრივ განსაკუთრებულად აღსანიშნავია აშშ-ს როლი, სადაც პირველად დაინერგა მეწარმეობა, როგორც ბიზნესის ადმინისტრირებისაგან განსხვავებული სასწავლო პროგრამა.

ენტრეპრენერშიპის როგორც სასწავლო კურსის ჩამოყალიბება არ შემოიფარგლება მისი მხოლოდ უნივერსიტეტებში სწავლებით. ის ვითარდება, როგორც სასკოლო დისციპლინა და ასევე შესაძლებელია მისი პროფესიულ სასწავლებლებში შეთავაზებაც. თუმცა, წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება მეწარმეობა, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო მოდული.

#### **4.1. Entrepreneurship აშშ-ში**

აშშ-ში ენტრეპრენერშიპის საუნივერსიტეტო პროგრამები 1980-იანი წლებიდან ხორციელდება. ისინი პირველად მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში, სტენფორდის უნივერსიტეტში და ბაბსონის კოლეჯში დაინერგა და გახდა მაგალითი ევროპის საგანმანათლებლო სივრცისათვის. [3,113]

*ბაბსონის კოლეჯი* წლების განმავლობაში ინარჩუნებს პირველობას ენტრეპრენერშიპის სასწავლო პროგრამების მიმართულებით. [3,176] კოლეჯში შეთავაზებული სასწავლო დისციპლინები მაქსიმალურადაა ორიენტირებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაზე.

განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ახალი შესაძლებლობების აღმოჩენაზე, ფინანსების შესწავლაზე, წარმატებისათვის საჭირო უნარების შეძენაზე. სწავლების პირველ საფეხურზე სტუდენტებს გამოცდილებას უზიარებენ წარმატებული მეწარმეები. შემდგომ ეტაპებზე ხდება ჯგუფური ბიზნეს გეგმების მომზადება, რომლებსაც სტუდენტები ერთობლივად განიხილავენ [3,177] , ინდივიდუალური ბიზნეს გეგმები კი პროფესიონალი კონსულტანტების მიერ ფასდება.

კოლეჯში, თეორიის სწავლებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცოდნის პრაქტიკაში რეალიზაციის უნარს. სწორედ ამიტომ აკადემიური პერსონალი გამოცდილი მეწარმეებისგან არის დაკომპლექტებული [3,378] .

*პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტი* ენტრეპრენერშიპის ორი კურსი აქვს შემუშავებული. ისინი ძირითადად სხვა უნივერსიტეტების პროგრამების მსგავსად არის შექმნილი, თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობს გარკვეული განსხვავებები. კერძოდ, პირველი კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან:

- ✓ ინტელექტუალური საკუთრების სამართალს,
- ✓ ბაზარზე მაღალტექნოლოგიური პროდუქტების შესაძლებლობისა და სიცოცხლისუნარიანობის დადგენას,
- ✓ მაღალტექნოლოგიური ინვენციების სწორ პროდუქტად გარდაქმნას,
- ✓ მათი პოზიციონირების სტრატეგიებს,
- ✓ საჭირო რესურსების შეძენასა და
- ✓ ლიდერულ უნარებს. [3,179]

სტუდენტები კურსის ფარგლებში აქტიურად ამუშავებენ ბაზრებს და ინოვაციური პროდუქტების შექმნისა და პოზიციონირების სტრატეგიებს.

მეორე კურსი კი ორიენტირებულია საკუთარი ბიზნესგეგმის შედგენაზე და ამასთან, მოიცავს პირველი პროგრამის ცალკეულ ელემენტებსაც. იგი მაქსიმალურად არის მორგებული მომავალ საქმიანობაზე და სწორედ ამიტომ უნივერსიტეტის მხარდაჭერით სტუდენტები სიმულაციურად ახორციელებენ საკუთარ პროექტებს. ბაზონის კოლეჯის მსგავსად, პენსილვანიის უნივერსიტეტის ლექტორებიც ფლობენ სამეწარმეო გამოცდილებას [3,180].

*მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი* ცნობილია ინოვაციებითა და მაღალტექნოლოგიური პროდუქტებით ელექტრონიკის, მულტიმედიის, სამედიცინო ტექნიკისა და სხვ. სფეროებში. ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორებიცაა Campbell Soup (1900), Gillette (1901) და Polaroid (1930) დაარსებულია MIT-ის (Massachusetts Institute of Technology) კურსდამთავრებულების მიერ. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოსტონის ბანკის 1995 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, მსოფლიოს მასშტაბით 4000 კომპანია 1100000 თანამშრომლით მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების მიერ არის დაფუძნებული.

MIT-ის სასწავლო პროგრამა პირველ ეტაპზე ახალი ბიზნესის დაფუძნების თეორიულ საფუძვლებს მოიცავს, შემდგომ დონეებზე განიხილება ინოვაციური პროდუქტები და მათი საბაზრო შესაძლებლობები. ბოლო საფეხურზე მუშავდება ბიზნეს გეგმები.

მასაჩუსეტსის ჰარვარდის ბიზნეს სკოლაში დაახლოებით 50 წელია ენტრეპრენერშიპთან დაკავშირებული 20-მდე კურსი ფუნქციონირებს. სასწავლო პროგრამა ძირითადად სიტუაციური ამოცანების განხილვაზე და პრაქტიკული დავალებების შესრულებაზეა აგებული. ზემოთ ჩამოთვლილი უნივერსიტეტების მსგავსად, სასწავლო პროგრამა ჰარვარდის ბიზნეს სკოლაშიც ბიზნესგეგმის წარდგენით სრულდება. [3,182]

გარდა განხილული პროგრამებისა, ზემოთ ჩამოთვლილ უნივერსიტეტებში ფუნქციონირებს ენტრეპრენერშიპის ცენტრები. მაგ: The Arthur M. Blank Center for Entrepreneurship (Babson College), Center for MIT Entrepreneurship, The Arthur Rock Center for Entrepreneurship (Harvard business school),, სადაც დამატებითი კვლევების ჩატარების და პროექტების განხორციელების საშუალება ეძლევათ ენტრეპრენერშიპით დაინტერესებულ სტუდენტებსა და მეცნიერებს.

## 4.2. Entrepreneurship გერმანიაში

გერმანიაში ენტრეპრენერშიპის სასწავლო დისციპლინად ჩამოყალიბება აშშ-ის გამოცდილების გათვალისწინებით მოხდა. სხვადასხვა უნივერსიტეტი მეწარმეობის განსხვავებულ საბაკალავრო, სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამებს სთავაზობს დაინტერესებულ პირებს. თუმცა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, რომლებიც მეწარმეობის პროგრამებს არა მხოლოდ ეკონომიკისა და ბიზნესის, არამედ ყველა ფაკულტეტის სტუდენტს სთავაზობენ და აჩვენებენ მათ საკუთარი ცოდნის კომერციალიზაციის გზებს და მხარს უჭერენ ბიზნეს იდეების განხორციელებაში.

ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი ერთ-ერთია გერმანიის წამყვან უნივერსიტეტთა შორის, რომელიც მეწარმეობის მხარდამჭერ პროგრამებს ახორციელებს. მათ შორის აღსანიშნავია პროგრამა Profund, რომელიც ყველა ფაკულტეტის სტუდენტზეა ორიენტირებული და სამეწარმეო კულტურის, აზროვნებისა და საქმიანობის განვითარებას ისახავს მიზნად.

Profund იდეიდან ბიზნესის განხორციელებამდე დახმარებას უწევს სტუდენტებს, მეცნიერებს, კურსადმთავრებულებს, რომელთაც 5 წელზე ნაკლებია დატოვებს უნივერსიტეტი [8]. ის დაინტერესებულ პირებს სთავაზობს სემინარებსა და კონკურსებს, აწყობს ღონისძიებებს, კონსულტაციას უწევს დაცვის სამართალსა და ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებზე, იწვევს ექსპერტებს, მწვრთნელებს, მენტორებს. გარდა ამისა, პროგრამა დამწყებ ბიზნესმენებს უფასო სამუშაო სივრცით უზრუნველყოფს. [9]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნივერსიტეტში მუდმივად იმართება კონკურსები მეწარმეობასთან დაკავშირებით. მათში მონაწილეობა კი პრიზების მოგების გარდა, საშუალებას იძლევა დაინტერესებულმა პირებმა საკუთარი კონცეფციები წარუდგინონ პროფესიონალებს და მიიღონ რეკომენდაციები, გაეცნონ პოტენციურ პარტნიორებსა და ინვესტორებს. [8]

გარდა ჩამოთვლილი პროგრამებისა, ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს Prof. Dr. Dietrich Winterhager -ისა და Prof. Dr. Günter Faltin -ის მიერ დაარსებული მეწარმეობის ფონდი (Stiftung Entrepreneurship), რომელიც ფოკუსირებულია სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებაზე. ფონდი ცდილობს ღია სამეწარმეო კულტურა დაამკვიდროს და საზოგადოებაში არსებული პრობლემებს ეკონომიკური, სოციალური და კრეატიული გადაჭრის გზებით უპასუხოს. [9]

მიზნების მისაღწევად ფონდის დამფუძნებელი გიუნტერ ფალტინი მართავს ღონისძიებას Das Labor für Entrepreneurship - ენტერპრენერშიპის ლაბორატორია, სადაც მონაწილეები იღებენ ინფორმაციას, თუ როგორ უნდა გარდაქმნან იდეა სრულყოფილ ბიზნესის მოდელად. [9]

გარდა ჩამოთვლილი პროგრამებისა, საგულისხმოა მეწარმეობის სწავლების მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ზოგად ორიენტაციას და სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს საშუალებას აძლევს კურსები საკუთარი ინტერესებისა და სურვილის მიხედვით აირჩიონ. [8]

მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტი, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის მსგავსად, მორგებულია არა მხოლოდ ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებზე, არამედ ყველა პროფესიისა და მიმართულების მეწარმეობით დაინტერესებულ პირზე (სტუდენტები, სტარტ-აპები, კომპანიები, სამეწარმეო საქმიანობით დაინტერესებული კერძო პირები). გუნდი კი შედგენილია პროფესიონალი მეწარმეებით, ეკონომიკის ექსპერტებით, მეცნიერებით. ცენტრი სამი ძირითადი მიმართულებით მუშაობს:

#### Community - საზოგადოება

პერმანენტულად ტარდება ღონისძიებები გამოცდილების გასაზიარებლად, შექმნილია ონლაინ-პლატფორმა 9000-ზე მეტი მომხმარებლით, ფართო ქსელში არიან გაერთიანებულები სტუდენტები, მეცნიერები, სპონსორები, პარტნიორი საწარმოები, ინვესტორები და კურსდამთავრებულები.

#### Lab- ლაბორატორია მეწარმეთა ინკუბატორი

ინკუბატორი შედგება 70-ზე მეტი გუნდისაგან. სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, მკვლევარებს საშუალება ეძლევათ გაიარონ კონსულტაციები ცენტრში.

#### Teaching-სწავლება

- სასწავლო და კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებები
- ენტერპრენერშიპის კურსები შეთავაზებულია 18 ფაკულტეტის სტუდენტისთვის.
- სემინარები მკვლევარების, თანამშრომელთა და პარტნიორთათვის.
- საწარმოო Know-how-ების გაზიარება ყოველწლიურად 1000-ზე მეტი პირისათვის. [15]

შეიძლება ითქვას, რომ, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის მსგავსად, მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტიც ორიენტირებულია ყველა მიმართულების სტუდენტსა და მეცნიერზე, რათა ხელი შეუწყოს ცოდნის კომერციალიზაციას და აამღლოს მათში სამეწარმეო კულტურა.

კიოლნის უნივერსიტეტში 1970-იანი წლებიდან ისწავლება მეწარმეობასთან დაკავშირებული ცალკეული საგნები, თუმცა, მათი ერთიან მოდულად ჩამოყალიბება 1997 წელს მოხდა. პროგრამა მოიცავს ისეთ კურსებს, როგორცაა:

- საწარმოს დაარსება;
- ექსკურსიები;

- კურსი „კონცეფციიდან ორგანიზაციის გეგმის შედგენამდე“;
- საწყისი განვითარება;
- ჩარჩო პირობები;
- მედია, გარემო;
- ბიზნესგეგმის შედგენა და სხვ.

პარალელურად ტარდება ექსპერტების ლექციები სტარტაპებსა და ფინანსურ საკითხებზე. სასწავლო პროგრამები, ამერიკული მოდელის მსგავსად, აგებულია სიტუაციურ ამოცანებზე და მუშაობის პროცესში საკითხების შესწავლაზე, რაც განსაკუთრებულად ეფექტიანია მომავალი მეწარმეებისათვის. [1,188-189]

### 4.3. ენტრეპრენერშიპი საქართველოში

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში შეინიშნება გარკვეული პოზიტიური ძვრები სამეწარმეო განათლების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, თუმცა, ჯერ არ შექმნილა ენტრეპრენერშიპთან დაკავშირებული საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამა. სტუდენტებსა და დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ უნივერსიტეტებში მხოლოდ საგნები და კურსები გაიარონ, რომლებიც, რა თქმა უნდა, ვერ იძლევა სრულფასოვან განათლებას მეწარმეობის სფეროში.

თუმცა, ამასთან, მისასალმებელია ის პროექტები (ტრენინგები, კონკურსები, ღონისძიებები), რომლებიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასშტაბით ხორციელდება და სამეწარმეო სფეროში სტუდენტთა ჩართულობას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი აღსანიშნავია ილიაუნის ბიზნეს ინკუბატორი, რომელიც უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს და ბიზნესის დაწყების მსურველ სტუდენტებს საშუალებას აძლევს დაამუშავონ და განახორციელონ თავიანთი ინოვაციური სტარტაპ იდეები, სწორად შეიმუშაონ ბიზნეს გეგმა და ინკუბაციის პერიოდის გასვლის შემდეგ მოახდინონ ბიზნესის კომერციალიზაცია. [13]

გარდა ამისა, შექმნილია ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ოფისი (TCO), რომელიც წარმოადგენს საქართველოს სამეცნიერო სფეროში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების მართვისა და კომერციალიზაციის მთავარ ცენტრს. ის ერთ-ერთი პირველია საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის. ოფისის ძირითადი მიზანია კვლევით დაწესებულებებსა და კომერციულ კომპანიებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება. TCO დააკავშირებს სამეცნიერო ინოვაციებს ბაზრის არსებულ მოთხოვნებთან და შემდგომი კვლევებისა და განვითარებისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროს უზრუნველყოფს. [14]

უნივერსიტეტში შექმნილია კომპიუტერული და მობილური თამაშების ლაბორატორია (GAMELAB ILIAUNI) და მომავლის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (FABLAB ILIAUNI), რომლის მიზანია იდეების გენერირება, გამოგონებებისა და საგანმანათლებლო პლატფორმის შექმნა, რომელიც წახალისებს საქართველოში ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესს.[16]

## 5. სამთავრობო მხარდაჭერის პროგრამები

### 5.1. Start-up america

აშშ-ში, თეთრი სახლის ინიციატივით, ხორციელდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამა start-up america, რომლის მიზანია კერძო და საჯარო სექტორის კოორდინაციის საფუძველზე განავითაროს მეწარმეობა და მოახდინოს მისი სტიმულირება ინოვაციური მეწარმეების, კორპორაციების, უნივერსიტეტების, ფონდებისა და სხვა ლიდერების ალიანსის შექმნით. გარდა ამისა, პროგრამის მისიას ბაზრისთვის ინოვაციური პროდუქტების შთავაზებასთან ერთად, წარმოადგენს სამუშაო ადგილების ზრდაც.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად კი შემუშავებულია კონკრეტული მოქმედებები, რომლებსაც ქვემოთ უფრო კონკრეტულად განვიხილავთ.

*მთელი ქვეყნის მასშტაბით, სტარტ-აპებისათვის კაპიტალზე ხელმისაწვდომობის გაზრდა*

აშშ-ს მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია კერძო სექტორს 5 წლის განმავლობაში 2 ტრილიონი აშშ-დოლარით დააფინანსებს. ეს დაფინანსება ძირითადად შეეხებათ პერსპექტიულ და სწრაფად მზარდ კომპანიებს.

გამოყოფილი თანხიდან 1 ტრილიონი აშშ დოლარი საინვესტიციო ფონდის დაფინანსებას მოხმარდება, რომლის მიზანია ინვესტიციების ზრდა ეკონომიკურად პრობლემატურ რეგიონებსა და სექტორებში.

1 ტრილიონი კი იმ კომპანიების მხარდასაჭერად გამოიყოფა, რომელთაც საქმიანობის საწყის სტადიაზე კაპიტალის მაღალი დონე ესაჭიროებათ და დაფინანსების (მაგ. საბანკო) პრობლემის წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ.

*მასაჩუსეტსი და ნიუ იორკი.* ინოვაციის ფონდი ამ სიცარიელეს ავსებს „სასტარტაპო“ დაფინანსებების საშუალებით კერძო კაპიტალის წინააღმდეგ.

ადმინისტრაცია ცდილობს პერმანენტული ზემოქმედება განახორციელოს სხვადასხვა ბარიერზე, მაგალითად, გადასახადებზე და ზღვარი, რომლის ქვეშაც გათვალისწინებულია გადასახადების ლიბერალიზაცია უფრო მაღლა აწიოს, რითაც საშუალება ეძლევა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს მცირე ბიზნესს. აღნიშნული ლიბერალიზაცია ეხება კვალიფიცირებულ მცირე ბიზნესებს, პირველი ხუთი წლის განმავლობაში, თუმცა, შეზღუდულია გამოსარიცხი გადასახადის ჯამური ოდენობა, რაც გადასახადის გადამხდელთა საბაზისო შემოსავლების პროპორციულად განისაზღვრება.

სახაზინო დეპარტამენტმა (ფინანსთა სამინისტროს ანალოგი აშშ-ში) შეიმუშავა ე.წ. საგადასახადო კრედიტის პროგრამა. კერძოდ, პროგრამა გულისხმობს კომპანიის მიერ გადასახადელი გადასახადების გადავადებას, 5 მლნ დოლარამდე მოცულობით, რამდენიმე წლის ვადით, რათა კომპანიამ შეძლოს განვითარება და შემდგომ გადაიხადოს რესტრუქტურისებული გადასახადი. აღნიშნული პროგრამა პირველ რიგში დაეხმარება მცირე კომპანიებს რეინვესტირებისთვის საჭირო თანხების მოგროვებაში, რაც არის კიდევ საწარმოს განვითარების უპირველესი საწინდარი.

მცირე ბიზნესის ადმინისტრაციამ და ენერჯეტიკის დეპარტამენტმა შეიმუშავეს მენტორთა პროგრამა წმინდად ტექნიკური სტარტაპებისთვის. ადმინისტრაცია, ენერჯეტიკის



დეპარტამენტთან ერთად, აფინანსებს კერძო ბიზნესის ოთხ აქსელერატორს. ეს ოთხი პროგრამა თავის მხრივ შეიმუშავებს გარკვეულ შერჩევით მექანიზმს და აფინანსებს 100 სტარტაპს ქვეყნის მასშტაბით, რომელიც გათვლილია ენერგეტიკის სექტორზე და წარმოადგენს წმინდა ტექნიკური ხასიათის ბიზნესს. თუმცა მთავარი არის ის, რომ ამ აქსელერატორებს გააჩნიათ მენტორთა პროგრამა, რომლებიც ეხმარება დაფინანსებულ საწარმოებს განვითარებაში. აღნიშნული აქსელერატორები არის პირველი ნაბიჯი იმისათვის, რომ მოხდეს ენტრეპრენერთა, მენტორთა და სტარტაპის აქსელერატორთა (ფინანსური კაპიტალის გაგებით) ორგანიზებული, ძლიერი ქსელის შექმნა.

ვეტერანთა დეპარტამენტი ბიზნეს-ინკუბატორის პროგრამას ვეტერანებისთვის იწყებს, კერძოდ, იგი ქმნის აქსელერატორს სპეციალურად ვეტერანებისათვის, რათა მათი დაბრუნების შემდგომ დაიწყოს საკუთარი ბიზნესი. პროგრამა ძირითადად გათვლილია ვეტერანთა მენტორულ მხარდაჭერაზე, რათა მათ შეძლონ რესურსების სწორი დივერსიფიკაცია და მცირე ფინანსური დახმარების საშუალებით მოახერხონ წარმატებული კერძო ბიზნესის განვითარება.

მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის მუშაობის ძირითად მიმართულებას, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს მის მიერ განხორციელებულ ყველა მოქმედებას, წარმოადგენს ენტრეპრენერთათვის ადმინისტრაციული ბარიერების მაქსიმალურად აღმოფხვრა. აღნიშნულთან დაკავშირებით, გამოვიდა პრეზიდენტის აღმასრულებელი ორდერიც (ბრძანებულების ანალოგი), რომელიც ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოებს (სააგენტოებს) აღმოფხვრან და მაქსიმალურად შეამცირონ ნებისმიერი დრომოჭმული ან არაეფექტური ბარიერი, რომელმაც შეიძება შეაფერხოს ენტრეპრენერები. ამისათვის ადმინისტრაციის წარმომადგენლები თვითონ მიდიან ყველა იმ ქალაქში, სადაც არსებობს ინოვაციის განვითარების პოტენციალი, რათა შეხვდნენ და გაესაუბრონ ინოვატორებს და მოისმინონ მათგან პრობლემები, რომელთაც ისინი რეალობაში აწყდებიან, და რომლებიც აფერხებთ მათ.

ვაჭრობის დეპარტამენტის ეკონომიკური განვითარების ადმინისტრაცია ახორციელებს პროექტს „i6 მწვანე“, რომელიც გულისხმობს, ექვსი სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში, ინოვატორთა კონკურსის ჩატარებას, რომლის ბიუჯეტიც 12 მილიონი აშშ დოლარია. აღნიშნული შეჯიბრება ტარდება ბოლო წლების განმავლობაში და ძირითადად ორიენტირებულია ტექნოლოგიურ წინსვლაზე და მის კომერციალიზაციაზე, რაც მიმართულია მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვისაკენ (შენარჩუნება). პროექტის ფარგლებში იქმნება, ასევე, სპეციალური ცენტრები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ კომპანიის კორპორატიული პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას საზოგადოებისა და გარემოს წინაშე.

აღნიშნული ცენტრები ფინანსურად მხარდაჭერილია ფილანტროპების მიერ, რომლებიც ამ გზით გარკვეულწილად თვითონ აძლევენ კომპანიებს სოციალური მეწარმეობის მაგალთს.

### *კერძო სექტორის წვლილი*

ენტრეპრენერული ეკოსისტემების განვითარება გრძელვადიანი პერიოდისთვის

აშშ-ის ტოპ-ენტრეპრენერებისა და წარმატებული ბიზნესმენების მიერ შეიქმნა ახალი ალიანსი (ქსელი) „სტარტაპ- ამერიკის პარტნიორობა“, რომელიც არის ენტრეპრენერთა,

ბიზნესმენტა, ვენჩერულ კაპიტალისტა, ენჯელ ინვესტორების (angel investors), კორპორაციათა, უნივერსიტეტთა, ფონდებისა და სხვა ლიდერების ერთერთი უდიდესი გაერთიანება, რომელიც მიზნად ისახავს ენტრეპრენერული ეკოსისტემის განვითარებას და დებს გრძელვადიან ინვესტიციას ამ სფეროში, რაც გულისხმობს სამი ძირითადი მიმართულებით მუშაობას, ესენია:

1. განათლება, რაც გულისხმობს მაღალი სტანდარტის ენტრეპრენერშიპის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას უნივერსიტეტებსა კოლეჯებში, ასევე, სკოლის მაღალ კლასებში, რაც უნდა შეეხოს ათასობით სტუდენტსა და მოსწავლეს.

2. კომერციალიზაცია - დახმარება უნივერსიტეტებისათვის ბაზრის კვლევის პროცესში, მარკეტინგული კვლევებისთვის, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს რეგიონალური ეკოსისტემის განვითარება და ტექნოლოგიის ლიცენზირების (დაპატენტების) პროცესის მხარდაჭერა.

3. აქსელერაცია - აქსელერატორების შექმნა სხვადასხვა ქალაქის ენტრეპრენერთათვის, მენტორთა პროგრამებთან ერთად.

## 5.2. გერმანია

გერმანიაში მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამებს, ეკონომიკისა და ტექნოლოგიების სამინისტროსთან ერთად, ახორციელებენ ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა:

- ფედერაციული მიწების სამინისტროები;
- ინდუსტრიული და სავაჭრო პალატები;
- საკრედიტო ინსტიტუტები;
- სტარტაპების ქსელები;
- საკონსულტაციო ორგანიზაციები;
- ბანკები.

სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სტარტ-აპების მხარდაჭერის პროგრამა შექმნილია დამწყებ ბიზნესმენტა მოთხოვნებისა და საჭიროებების გთვალისწინებით. ის სამ ძირითად მიმართულებას აერთიანებს: კონსულტაცია, ფინანსები და ინოვაციები. მათ შორის მოიაზრება ის საქმიანობაც, რომელსაც ასრულებენ პალატები, დარგობრივი გაერთიანებები, ბანკები რეგიონალურ და ფედერალურ დონეზე.

ბიზნესის წამოწყებამდე პერიოდში მოქმედებს მიწებზე მოქმედი, ხოლო ორგანიზაციის დაარსებიდან უახლოესი 5 წლის განმავლობაში - საერთო სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები, რომელთა ნაწილი ევროკავშირის მიერ ფინანსდება. გარდა ამისა, დამწყებ ბიზნესებს აფინანსებენ კერძო კრედიტორებიც, მაგალითად, ვენჩერული კაპიტალის საზოგადოებები, ბიზნეს ანგელოზები და სხვ.

გერმანიაში ფუნქციონირებს დამფუძნებელთა ცენტრები, რომლებიც ქმნიან ჩარჩო პირობებს მეწარმეთა ბიზნეს კონცეფციების, საქმიანობის დაწყების, განვითარების პირველი ეტაპისა და მომავალი წინსვლისათვის. ცენტრებში ამ დრომდე კონსულტაცია გაეწია 40000-ზე მეტ დამფუძნებელს, მათი დახმარებით კი შექმნილია 248000-ზე მეტი სამუშაო ადგილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცალკეული ფედერაციული მიწების სამინისტროები არაერთ პროგრამას სთავაზობენ დამწყებ მეწარმეებს რეგიონალური განსხვავებებიდან გამომდინარე. თუმცა, ჩვენ მხოლოდ საერთო სახელმწიფოებრივ პროექტებს შევხებით და განვიხილავთ იმ პროგრამებს, რომელთაც ფედერალური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო ახორციელებს.

- “existenzgruender.de / existenzgruenderinnen.de” საინფორმაციო პორტალები განკუთვნილია ადამიანებისთვის, რომელთაც სურთ საკუთარი ბიზნესის დაწყება. ვებ გვერდებზე მოცემულია ინფორმაცია სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების, კონსულტაციების, კონკურსების, ექსპერტთა მოსაზრებების შესახებ.
- მობილური გზამკვლევი- „Start-App”
- პროგრამა EXIST, რომლის მიზანია სამეწარმეო კლიმატის გაუმჯობესება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კვლევით ცენტრებში, EXIST საქმიანობის პროცესში დახმარებას უწევს სტუდენტებს, მეცნიერებს, მკვლევარებს, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს.

ის სამ ძირითად მიმართულებას აერთიანებს:

- EXIST-Gründungskultur - ორიენტირებულია უნივერსიტეტებში სამეწარმეო კულტურის შექმნაზე.
- EXIST-Gründerstipendium -სასტიპენდიო პროგრამაა, რომელიც მაღალტექნოლოგიური პროდუქტის შესაქმნელად ეხმარება სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, მეცნიერებს.
- EXIST-Forschungstransfer - განკუთვნილია ტექნიკური გამოგონებების შექმნის შესაძლებლობების დასადგენად.

“Gründerwettbewerb IKT Innovativ” არის კონკურსი ინოვაციური მეწარმეებისათვის. გამარჯვებული კონკურსანტი იღებს 30000 ევროს, რომლის ნაწილს 6000 ევროს პროექტის დასაწყისშივე გადასცემენ, 24000-ს კი საქმიანობის მომდევნო ეტაპზე. [10] [11]

Gründercoaching Deutschland – 2 და მეტი წლის კომპანიებს სთავაზობს დახმარებას 3000 ევრომდე, ასევე, კონსულტაციებს ფინანსურ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით.

### 5.3. საქართველო

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს რეგისტრირებული კომპანიების 99%-ს. ჯამურ დასაქმებაში კი მას 46% უკავია. მთლიან ბიზნეს ბრუნვაში მს-ს წილი 19%-ით შემოიფარგლება. [12]

მეწარმეობის განვითარების მიზნით საქართველოში 2014 წელს შეიქმნა მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალი იურიდიული პირია. სააგენტო ორიენტირებულია სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებაზე, კერძო სექტორის განვითარებაზე, მცირე და საშუალო საწარმოების და ექსპორტის ხელშეწყობაზე.

მეწარმეობის განვითარების სააგენტო რამდენიმე მიმართულებით ახორციელებს საქმიანობას. ესენია:

- პროგრამა „აწარმოე საქართველოში“;
- საკონსულტაციო მხარდაჭერა;
- საქართველოს პოპულარიზაცია;
- ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. [12]

პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრიების განვითარების მიზნით შეიქმნა. მისი მიმართულებებია:

1. წარმოების წახალისება და
2. სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავების წახალისება.

პროგრამას ახორციელებენ შემდეგი უწყებები:

- სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო;
- სსიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო;
- სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო;
- სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტო.

„აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციარებს ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სთავაზობს:

1. სესხზე პროცენტის თანადაფინანსებას;
2. გირაოში თანადგომას;
3. ლიზინგის საგანზე ინტერესის თანადაფინანსებას.

ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა გულისხმობს სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების გადაცემას უსასყიდლოდ, წინასწარ შედგენილი ნუსხიდან ან აპლიკანტის მიერ იდენტიფიცირებული ნაკვეთის მიხედვით.

რაც შეეხება საკონსულტაციო მომსახურებას, ის გულისხმობს ტრენინგებს (მარკეტინგი, გაყიდვები, ბიზნესის ადმინისტრირება, საექსპორტო ბაზრების მოძიება), სამეწარმეო უნარებს, წარმოებაში ხარისხის მენეჯმენტსა და სხვ. ამასთან, საკონსულტაციო მომსახურებაში ერთიანდება ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების მოძიება/დანერგვის ხელშეწყობა. [12]

სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოსთან ერთად, 2014 წელს შეიქმნა სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, რომელიც მონაწილეობს კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ ცოდნის, ინოვაციების და კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობაში. სააგენტოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საინფორმაციო საზოგადოების ფორმირებისთვის აუცილებელი პროექტებისა და პროგრამების სახელმწიფო ერთიანი პოლიტიკის განხორციელების წარმართვა და კოორდინირება. ის შემდეგი მიმართულებებით ახორციელებს პროგრამებს:

- ICT-სააგენტო აქტიურად უჭერს მხარს ექსპორტზე ორიენტირებული IT სფეროს ჩამოყალიბებას;

- განათლება - სააგენტოს პრიორიტეტია ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დამყარებული ეკონომიკის შექმნა. სააგენტო აწარმოებს სხვადასხვა ტრენინგებს, თანამშრომლობს მრავალ ქვეყანასთან საერთაშორისო ორგანიზაციასთან;
- ინფრასტრუქტურა - ქვეყანაში ინოვაციური ინფრასტრუქტურის მოწყობით სააგენტო ცდილობს ტექნიკაზე წვდომის საშუალება მისცეს მოტივირებულ და შედეგზე ორიენტირებულ ადამიანებს. გამომგონებლებს ექნებათ საშუალება დატესტონ ესა თუ ის თეორია და შექმნან გამოგონებების პროტოტიპები.
- აქსელერატორები და სტარტაპები - აქსელერატორების დაარსების მიზანია ხელი შეუწყოს სტარტაპებს 3-4 თვის განმავლობაში მისცენ საკუთარ პროდუქტს საბაზრო ფორმა.[17]

ზემოთჩამოთვლილი პროგრამები წარმოადგენს საქართველოში მეწარმეობისა და ინოვაციური მეწარმეობის განვითარების ძირითად საშუალებებს.

## 6. კრეატიული ნგრევა

ენტრეპრენერშიპის განვითარების ხელშეწყობა შეუძლებელია, თუ სწორად არ იქნა გააზრებული კრეატიული ნგრევის იდეა.

კერძოდ, ენტრეპრენერშიპის ძირითად პრინციპს წარმოადგენს არსებული რესურსებით ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნა, ან არსებული პროდუქტის შექმნა ახალი გზით, ან სხვა რესურსებით. სიახლე თავისთავად გულისხმობს ძველის უარყოფის მტკივნეულ პროცესს. თუმცა, სიახლის მასშტაბი და ინტენსივობა იმდენად დიდია, რომ იგი შთანთქავს და ივიწყებს ძველ რეალობას და ქმნის ახალს.

ენტრეპრენერშიპი გულისხმობს მეწარმის მხრიდან არა მხოლოდ არსებულ ბაზარზე მისი წილის გაზრდას, არამედ სრულიად ახალი ბაზრების აღმოჩენას ან შექმნას, ანუ არსებული ბაზრების საზღვრების გაფართოვებას.

შესაბამისად, უნდა განვასხვავოთ მეწარმეობის, როგორც „აღებ-მიცემობის“ და ენტრეპრენერშიპის, როგორც კარგად დამუშავებული კონცეფციის საშუალებით, რესურსების ოპტიმალური გადანაწილების გზით სიახლის შექმნის იდეები. პირველი მათგანის მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, მართალია, დადებითი მოვლენაა, მაგრამ იგი გათვლილია შედარებით რეალისტურ მიზნებზე, როგორცაა ვაჭრობის გამოცოცხლება, ექსპორტის წახალისება და სხვა პრობლემების მოგვარება, რომლებიც განვითარებადი ქვეყნების ყოველდღიურობის ნაწილია, შესაბამისად, მეწარმეთა მხარდაჭერისთვის ასეთი მიმართულების მიცემით შეუძლებელია სიტუაციის ძირეული შემობრუნება და შედეგად მხოლოდ მშპ-ის მცირეოდენ ზრდას თუ მივიღებთ.

თუ მეწარმეობის კლასიკურ გაგებას გაჩერებული ავტოქარხნის ამუშავებას შევადარებთ, ენტრეპრენერშიპი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც ახალი სატრანსპორტო საშუალების გამოგონება. ამ შედარებით აშკარა ხდება განსხვავება ამ ორ იდეას შორის, რომელთაგან პირველი ნელ შენებას გულისხმობს, რომელიც ოდესმე აუცილებლად უნდა დასრულდეს, მეორე კი კრეატიულ ნგრევას და გამოთავისუფლებული ენერჯისა და რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას სიახლის შესაქმნელად.

## 7. დასკვნა

აშშ-ს, გერმანიისა და საქართველოს მაგალითების განხილვისას ნათელია ის განსხვავებები, რომლებიც ამ ქვეყნებში მოქმედ მეწარმეობის პროგრამებს შორის არსებობს, იქნება ეს საგანმანათლებლო თუ პრაქტიკული მიმართულებით.

აშშ-სა და გერმანიაში ენტრეპრენერშიპის განათლების გაცილებით მაღალი დონეა, ვიდრე საქართველოში. იზრდება მოთხოვნა საგანმანათლებლო პროგრამებზე, ასევე, იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც დაქირავებით მუშაობას საკუთარი ბიზნესის შექმნას ამჯობინებენ.

საქართველოში მეწარმეობის დონის განსავითარებლად საჭიროა მისი მეტად პოპულარიზება, უნივერსიტეტებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში მეწარმეობის პროგრამების შეთავაზება.

რაც შეეხება სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამებს, უნდა აღინიშნოს, რომ აშშ და გერმანია ორიენტირებული არიან, მხარი დაუჭირონ ისეთ სამეწარმეო პროექტებს, რომლებიც რესურსების უფრო ოპტიმალური კომბინაციით, ინოვაციის საფუძველზე შექმნის დოვლათსა და კეთილდღეობას. ასევე, საჯარო უწყებების მიერ გაცემული გრანტები საჭიროების მიხედვითაა განაწილებული ცალკეულ რეგიონებს შორის. არაერთ განმასხვავებელ ნიშნთან ერთად, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ განვითარებულ ქვეყნებში მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამებს, ცენტრალური მთავრობის გარდა, გეგმავენ და ახორციელებენ ადგილობრივ ორგანოებშიც, რაც ზრდის პრობლემების ეფექტიანად გადაჭრის ხარისხს. გარდა ამისა, აშშ-სა და გერმანიაში მოქმედი პროგრამები მაქსიმალურად ორიენტირებულია ინოვაციურ მეწარმეთა მხარდაჭერაზე.

საქართველოში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2014 წლიდან ფუნქციონირებს მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამები. თუმცა, მათი რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ზემოთ განხილულ ქვეყნებში. გარდა ამისა, მეწარმეობის მხარდაჭერი პროგრამები ორიენტირებულია უშუალოდ რესურსების გადაცემაზე მეწარმეებისათვის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი დაჭერილ თევზს აწვდიან მათ, ნაცვლად იმისა, რომ თევზჭერა ასწავლონ.

სწორი მიმართულების პოვნის გასაღები კი მეწარმეობის სწორად გაგებაშია, რაზეც ვისაუბრეთ კიდევ წინამდებარე ნაშრომის ბოლო ნაწილში. შესაბამისად, მეწარმეობის განვითარებას სჭირდება უფრო მეტი ცოდნის მიცემა მეწარმეთათვის, უშუალოდ კაპიტალის მიცემის ნაცვლად, ვინაიდან მნიშვნელოვანია კაპიტალის, რესურსების სწორი მართვა და არა თვით ეს კაპიტალი. ცოდნის გადაცემა კი შესაძლებელია როგორც უნივერსიტეტებში, ასევე პროფესიულ სასწავლებლებსა და სკოლებში. შესაბამისად, მეწარმეობის განვითარების დაწყება შეუძლებელია ეკონომიკური სფეროდან, თუ ეკონომიკურ (ფინანსურ) მხარდაჭერის პოლიტიკას ფეხი არ აუწყო მოდიფიცირებულმა საგანმანათლებლო პროგრამებმა, რომლებიც ამ მატერიალური რესურსის ინოვაციურ გამოყენებას ასწავლის მეწარმეებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Malek Miroslaw, Ibach Peter K. Entrepreneurship Prinzipien, Ideen und Geschaeftsmodelle zur Unternehmensgruendung im Informationszeitalter. 2004
2. Sternberg R., Vorderwülbecke A., Brixly U. GEM, Länderbericht Deutschland 2013.
3. Hartmann F., Überlegungen zu einer entrepreneur-orientierten Ausbildung an gewerbliche Fachschulen , 2010
4. <http://www.gew.co/list-countrie>

5. <http://www.state.gov/entrepreneurshipsummit/2010/index.htm>
6. <https://www.entrepreneurship.de/summit/>
7. <http://www.erasmus-entrepreneurs.eu/index.php?lan=de>
8. <http://www.fu-berlin.de/sites/profund/ueberprofund/index.html>
9. [http://www.fu-berlin.de/sites/profund/netzwerk/strategische\\_partner/stiftung\\_entrepreneurship/](http://www.fu-berlin.de/sites/profund/netzwerk/strategische_partner/stiftung_entrepreneurship/)
10. <http://www.exist.de/DE/Programm/Ueber-Exist/inhalt.html;jsessionid=846E92E280E76B45118131082D984FA4>
11. <http://www.gruenderwettbewerb.de/wettbewerb/preise>
12. [http://employer.ge/\\_GEA/file/Presentation%20AEG.pdf](http://employer.ge/_GEA/file/Presentation%20AEG.pdf)
13. <http://iliauni.edu.ge/ge/iliauni/proeqtebi/biznes-inkupatori>
14. <http://iliauni.edu.ge/ge/iliauni/proeqtebi/teqnologiebis-komercializaciis-ofisi-tco>
15. [http://www.entrepreneurship-center.uni-muenchen.de/ueber\\_das\\_center/index.html](http://www.entrepreneurship-center.uni-muenchen.de/ueber_das_center/index.html)
16. <http://iliauni.edu.ge/ge/studentebistvis/fablabi>
17. <http://gita.gov.ge/ge/agency/programs>

*Ana Diasamidze, Ana Meladze  
Grigol Robakidze University  
School of Business and Management  
Bachelor's Programme Students*

## **Usage of Coefficients in Making Investment Decisions**

### **Summary**

In the market driven economy many companies will make wealth. Other firms, however, will undoubtedly destroy it. For corporate managers, wealth creation is fundamental to the economic survival of the firm. Finding the best companies and industries in the marketplace is of primary importance to investment managers. For this they use different financial tools. A new analytical tool called EVA is now assisting this wealth – discovery and company – selection process. It also shows the level of profitability for shareholders and whether the managers use their invested money.

The analytical tool called EVA, or Economic Value Added, was commercially developed in 1982 by the corporate advisory team of Joel Stern and Bennett Stewart III. This financial metric gained early acceptance from the corporate community because of its innovative way of looking at firm's real profitability. Unlike traditional measures of profit – such as EBIT, EBITDA, and net operating income – EVA looks at the firm's residual profitability, net of both the direct cost of debt capital and the indirect cost of equity capital. In this way, EVA serves as a modern – day measure of corporate success because it is closely aligned with the shareholder wealth – maximization requirement.

The good example of using EVA is Coca- Cola Company which has been using EVA for 15 years. The company occasionally makes booklet for workers, where is shown Economic Value Added of the company and its importance. Company's EVA is increasing by 20% every year, proportionally to

income of the shareholders. Coca-Cola believes that there is positive correlation between shareholders wealth and the success of the company.

Nowadays, a key distinction between economic profit and accounting profit lies in the classical economists' notion that a company is not truly profitable unless its revenues have:

1. Covered the usual production and operating expenses of running a business;
2. Provided a normal return on the owners' invested capital.

The investment decision will depend on, EVA is positive or negative. A positive EVA means that investors will benefit because the return on equity is more than the cost of capital, while a negative EVA means that investors suffered because of investment exceeds the inflow of capital.

In Georgia, EVA is not the tool for evaluating companies, but there are exceptions which use Economic Value Added to evaluate situation in their companies. One of the best examples is JSC "Georgian Railway", which is one of the largest companies of Georgia. For our country more useful tools for determining the economic profitability are EBIT, EBITDA, as increasing of shareholders' income is not as important as showing the high profit of a company.

The good example of using EVA is JSC "Georgian Railway". It has a negative EVA and the reason of this may be low net profit or the company has too many assets, which it does not need, or both. All this is directly connecting with the manager's decision about investment, financing and assets.

Therefore, the management of a company and the government should take appropriate measures to increase EVA of JSC "Georgian Railway" and make it one of the most successful companies of Georgia, this will also help to improve economic situation in the country. Otherwise, if the current situation is not improved, the company will have even worse economic and financial indicators, which will lead to a serious crisis.

**Keywords:** Coefficients; Investment Decisions; Invested capital; Profit.

*ანა დიასამიძე, ანა მელაძე  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
ბიზნესისა და მართვის სკოლა  
საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი*

კოეფიციენტების გამოყენება საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას

### რეზიუმე

საბაზრო ეკონომიკაში არის ბევრი ფირმა, რომელიც კმნის სიმდიდრეს, მაგრამ, ასევე, არსებობენ ფირმები, რომლებიც მას ანადგურებენ. კორპორატიული მენეჯერებისთვის სიმდიდრის შექმნა არის ფირმის ეკონომიკური გადარჩენის საფუძველი. ინვესტორებისთვის



ყველაზე მნიშვნელოვანია საუკეთესო კომპანიებისა და ინდუსტრიების პოვნა, ამისთვის კი იყენებენ სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტს. ახალი ანალიტიკური ინსტრუმენტი EVA გამოიყენება კომპანიის არჩევისთვის და მისი სიმდიდრის განსაზღვრისთვის. ის, ასევე, გვიჩვენებს აქციონერების შემოსავლიანობის დონეს და იმას, თუ რამდენად სწორედ იყენებენ მენეჯერები მათ მიერ დაბანდებულ ფულს.

ანალიტიკური ინსტრუმენტი, სახელწოდებით EVA, ანუ ეკონომიკური დამატებული ღირებულება კომერციულად განვითარდა 1982 წელს კორპორაციული მრჩეველების გუნდის *ჯოელ შტერნი და ბენეტ სტიუარტის* მიერ. ამ ფინანსურმა საზომმა მალევე მოიპოვა აღიარება კორპორაციულ საზოგადოებებს შორის, რადგან ეს იყო ფირმის რეალური მოგების განმსაზღვრელი ინოვაციური გზა. განსხვავებით სხვა ტრადიციული მოგების საზომებისგან, როგორებიცაა EBIT, EBITDA და წმინდა საოპერაციო შემოსავალი, EVA განსაზღვრავს ფირმის გაუნაწილებელ მოგებას, როგორც პირდაპირ ხარჯს სასესხო კაპიტალზე, ასევე, საკუთარი კაპიტალის არაპირდაპირ ხარჯს.

ევას გამოყენების ყველაზე კარგი მაგალითია კომპანია Coca-Cola, რომელიც უკვე 15 წლის განმავლობაში იყენებს აღნიშნულ ინსტრუმენტს. სპეციალურად თანამშრომლებისთვის ის პერიოდულად უშვებს ბუკლეტს, სადაც ნაჩვენებია კომპანიის დამატებული ეკონომიკური ღირებულება და მისი გამოყენების მნიშვნელობა. Coca-Cola-ს EVA ყოველწლიურად იზრდებოდა 20%-ით, აქციონერების შემოსავლის პროპორციულად. Coca-Cola-ს სჯერა, რომ არსებობს დადებითი კორელაცია აქციონერების გადაჭარბებულ შემოსავალსა და კომპანიის წარმატებას შორის.

**საკვანძო სიტყვები:** კოეფიციენტების საინვესტიციო გადაწყვეტილება; მოგება; საინვესტიციო კაპიტალი.


დღესდღეობით, ეკონომიკური მოგების არსი მდგომარეობს მესაკუთრეების შემოსავალში. ძირითადად, ეკონომიკური დამატებული ღირებულების თეორია ეყრდნობა ორ მთავარ პრინციპს:

1. კომპანია არ არის რეალურად მომგებიანი, ვიდრე ის არ გამოიმუშავებს შემოსავალს ინვესტირებულ კაპიტალზე, რომელიც აღემატება ამ კაპიტალის ღირებულებას;
2. ეს სიმდიდრე იქმნება, როდესაც ფირმის მენეჯერები იღებენ ისეთ საინვესტიციო გადაწყვეტილებას აქციონერებისთვის, რომელიც აძლევს დადებით წმინდა ახლანდელ ღირებულებას.

EVA გამოიყენება საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში, თუმცა ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვა წარმოების სფეროში (იხ. დიაგრამა N1).

**ეკონომიკური დამატებული ღირებულების წილი საქმიანობის სფეროების მიხედვით**

*დიაგრამა N1*



დიაგრამაზე მოცემულია EVA - ს გამოყენება სფეროების მიხედვით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკური დამატებული ღირებულება ყველაზე ფართოდ გამოიყენება წარმოების სფეროში - 56%, ხოლო ყველაზე ნაკლებად ტრანსპორტირების სფეროში, მხოლოდ 2%.

არსებობს ეკონომიკური დამატებული ღირებულების გაზრდის 4 ძირითადი გზა:

- კაპიტალზე შემოსავლის გაზრდა – კაპიტალზე შემოსავლის ნებისმიერი გაზრდა არის მნიშვნელოვანი აქციონერებისთვის, იმის მიუხედავად, EVA დადებითი იქნება, თუ უარყოფითი. მაგ. თუ კაპიტალის ღირებულება არის 12 %, ხოლო შემოსავალი კაპიტალზე - 14% და კომპანია მას 16% - მდე ზრდის, EVA გაორმაგდება და შესაბამისად, აქციონერების სარგებლიანობა ბევრად მეტი იქნება, ვიდრე მანამდე; და პირიქით, თუ შემოსავალი კაპიტალზე არის 8% და გაიზარდა 10% - მდე, აქციონერების სარგებლიანობა მაინც გაუმჯობესდება, იმის მიუხედავად, რომ ევა უარყოფითი იქნება.
- EVA – ს გაზრდის მეორე გზა დამატებითი კაპიტალის გამოყენებაა, თუნდაც მას მოვიზიდავთ უფრო მეტი პროცენტით, ვიდრე კაპიტალის ღირებულებაა და შემოსავალს მივიღებთ ნაკლებს, ვიდრე კომპანია საშუალოდ იღებს. ასეთ პირობებში EVA და აქციონერების კეთილდღეობა გაუმჯობესდება იმ შემთხვევაში, თუ შემოსავალი დამატებით კაპიტალზე აღემატება კაპიტალის ღირებულებას.
- მესამე გზა არის ნაკლები კაპიტალის დაბანდება იმ ბიზნესში, რომლის შემოსავალი ნაკლებია, ვიდრე კაპიტალის ღირებულება. ამან შეიძლება მიგვიყვანოს იმ ბიზნესების დახურვამდე, რომლებსაც არ მოაქვთ შემოსავალი და არც გააჩნიათ ამის პერსპექტივა. თუ კომპანიას არ აქვს გამოთავისუფლებული კაპიტალის გამოყენების საშუალებები, მაშინ მან ან უნდა აქციები გამოისყიდოს, ან დივიდენდები გადაიხადოს, რათა შეამციროს ჭარბი კაპიტალის რაოდენობა.
- მეოთხე გზა გახლავთ კაპიტალის ღირებულების შემცირება. უმეტესი კომპანიების კაპიტალის სტრუქტურა შედგება საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებებისგან. ვალდებულება უფრო იაფია, ვიდრე საკუთარი კაპიტალი, რადგან პროცენტები გამოთავისუფლებულია გადასახადებისგან. თუ კომპანია საკუთარ კაპიტალს ჩაანაცვლებს ვალდებულებით, კაპიტალის ღირებულება შემცირდება და EVA გაიზარდება. თუმცა, არსებობს გარკვეული შეზღუდვები და ვალდებულებათა

რაოდენობაზე ლიმიტია დაწესებული, რადგან 80 – იან წლებში ზოგი კომპანია იღებდა 90% - ზე მეტ ვალდებულებას, რამაც ისინი გაკოტრებამდე მიიყვანა.

ეკონომიკურ დამატებულ ღირებულებას მენეჯერები იყენებენ კომპანიის უკეთესად და უფრო ეფექტურად მართვისთვის. EVA - ს საშუალებით კომპანიის მენეჯმენტის გაუმჯობესების სულ ცოტა სამი გზა არსებობს:

- EVA გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის, რა შემთხვევაში ღებულობს აქციონერი სიმდიდრეს ან ზარალდება; მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც მთლიანი კომპანიის, ისე ცალკეული დეპარტამენტის EVA – ს შემცირების ან ზრდის გამომწვევი მიზეზები. შეიძლება აქციონერები დაზარალდნენ მაშინაც კი, როდესაც კომპანია გამოიმუშავებს ფულს. ასევე, შემოსავლების ზრდის მიუხედავად, ბიუჯეტის არამიზანმიმართულად გამოყენების შემთხვევაში, დეპარტამენტებს შეიძლება ჰქონდეთ უარყოფითი EVA.
- EVA არის კარგი შესაფასებელი ინსტრუმენტი ისეთი კომპანიებისთვის, რომელთაც სურთ, რომ მიიერთონ სხვა კომპანია. მენეჯერებმა დაწვრილებით უნდა განიხილონ და შეისწავლონ ახალი ბიზნეს ერთეული, რითაც წინასწარ მოახდენენ იმის პროგნოზირებას, თუ რამდენად მომგებიანია მათთვის მოცემულ კომპანიასთან გაერთიანება, მაგრამ ხშირად ამას არ აკეთებენ. EVA კი საშუალებას მისცემს მათ, წინასწარ განსაზღვრონ, ახალი ბიზნეს ერთეული შემოსავალს მოუტანს, თუ დააზარალებს აქციონერებს.
- თუ კომპანია მთავარ მიზნად დაისახავს EVA – ს მუდმივ ზრდას, მან უნდა შეიმუშავოს წამახალისებელი სისტემა, რათა ყველას ჰქონდეს მიზნის მიღწევის სტიმული, რაც გაზრდის კომპანიის პროდუქტიულობას. ამის მიღწევა საკმაოდ რთულია, მაგრამ ეს ერთ-ერთი გზაა იმაში დასარწმუნებლად, რომ მენეჯერები გაზრდიან EVA – ს და შესაბამისად, აქციონერების შემოსავალს.


ეკონომიკური დამატებული ღირებულების გამოთვლა შედარებით არაეფექტურია მომსახურების სფეროში. ამას თავის მიზეზები აქვს:

- საწარმოო კომპანიებისგან განსხვავებით, EVA – ს გამოთვლა მომსახურების სფეროში უფრო დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, Coca-Cola - ს კაპიტალი ინვესტირებული აქვს მატერიალურ აქტივებში (შენობა-ნაგებობები, სატვირთო მანქანები, სავაჭრო ავტომატები და ა.შ.), მაშინ როდესაც, მომსახურების სფეროში (მაგალითად, სადაზღვევო კომპანიაში) კაპიტალი ინვესტირებულია არამატერიალურ აქტივებში.
- მეორე სირთულე დაკავშირებულია იმასთან, რომ საწარმოო კომპანიისთვის ურთიერთობა კლიენტთან მთავრდება მაშინ, როდესაც მის პროდუქციას შეიძენენ, ხოლო მომსახურების სფეროში, მაგალითად, სადაზღვევო კომპანიაში - როდესაც მომხმარებელი შეიძენს სადაზღვევო პოლისს, აქედან იწყება მათი თანამშრომლობა და კაპიტალზე შემოსავლის გამოთვლა შესაძლებელი გახდება მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ.

საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებული იქნება იმაზე, EVA- ს მივიღებთ დადებითს თუ უარყოფითს. დადებითი ევა ნიშნავს, რომ ინვესტორებმა მიიღეს სარგებელი, რადგან შემოსავალი კაპიტალზე უფრო მეტია, ვიდრე ამ კაპიტალის ღირებულება, ხოლო

უარყოფითი ევა ნიშნავს, რომ ინვესტორები დაზარალდნენ, რადგან დაბანდებული კაპიტალი აღემატება შემოდინებულ კაპიტალს.


გრაფიკი N1



მოცემულ გრაფიკზე NPV დადებითია, შესაბამისად, CML გადაკვეთს ორდინატას დადებით წერტილში. აქედან გამომდინარე, EVA დადებითია.

ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანია, რომ EVA იყოს დადებითი, რადგან სწორედ ეს განსაზღვრავს მათ კეთილდღეობას.

გრაფიკი N2



მოცემულ გრაფიკზე NPV უარყოფითია, შესაბამისად CML გადაკვეთს ორდინატას უარყოფით წერტილში. რადგანაც ეკონომიკური დამატებული ღირებულება პირდაპირ კავშირშია NPV - ს ნიშანთან, შესაბამისად, ისიც უარყოფითია.

საქართველოში EVA არ არის კომპანიის საქმიანობის შესაფასებელი ინსტრუმენტი. ჩვენთან ეკონომიკური მომგებიანობის განსაზღვრისთვის უფრო გავრცელებული ინსტრუმენტებია EBIT, EBITDA, რადგან ფირმებისთვის იმდენად მნიშვნელოვანი არაა აქციონერების შემოსავლიანობის დონისა და მენეჯერების მართვის შეფასება, რამდენადაც უშუალოდ კომპანიის მოგების განსაზღვრა. თუმცა, არსებობს გამონაკლისიც. EVA-ს გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე კარგი მაგალითია სს "საქართველოს რკინიგზა." მას უარყოფითი EVA შეიძლება წარმოექმნას იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი წმინდა მოგების მიღებას, ან საჭიროზე მეტი აქტივები აქვს, ან ორივე ერთად. ეს ყველაფერი კი პირდაპირ კავშირშია მენეჯმენტის მიერ გადაწყვეტილებების მიღებასთან ინვესტირებაზე, ფინანსირებაზე და აქტივების მართვაზე.

როგორც ცხრილიდან (ცხრილი №1) ჩანს, სს "საქართველოს რკინიგზა" დღეის მდგომარეობით ვერ ქმნის დამატებულ ეკონომიკურ ღირებულებას (EVA). ეს გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორით, რომელთაგან ძირითადია ის, რომ მას დაბალი წმინდა მოგება და ბალანსზე საჭიროზე გაცილებით მეტი აქტივები აქვს.

2011 წელს EVA (11,2% საშუალო შეწონილი კაპიტალის ღირებულების დროს) შეადგენდა უარყოფით ციფრს -96,2 მლნ ლარს. ხოლო 2012 წლის მდგომარეობით (11,293% საშუალო შეწონილი კაპიტალის ღირებულების დროს) ის კიდევ უფრო გაუარესდა 106,9%-ით და შეადგინა -199,117 მლნ ლარი. EVA-ს გაუარესება გამოწვეულია 2012 წლის წმინდა მოგების შემცირებით და აქტივების გაზრდით

სს „საქართველოს რკინიგზა“

ცხრილი N1

	2012 წელი	2011 წელი	ცვლილება (%) 2012- 2011	ცვლილება აბს 2012-2011
წმინდა მოგება	97,217	174,413	-44,3%	-77,196
Adjusted EBITDA	247,378	261,618	-5,4%	-14,240
Adjusted EBITDA margin	52,7%	54,8%	-3,8%	-0,02
EVA	-199,117	-96,219	106,9%	-102,899
WACC	11,293%	11,200%	-	-

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ სს "საქართველოს რკინიგზა" ქმნიდეს დამატებულ ეკონომიკურ ღირებულებას, მიმზიდველი გახდეს ინვესტირებისათვის და იყოს ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა, ამისათვის საჭიროა მთავრობისა და კომპანიის მენეჯმენტის მიერ გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დღეს არსებული მდგომარეობა არ გამოსწორდა, სს "საქართველოს რკინიგზის" საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები კიდევ უფრო გაუარესდება, რამაც ორგანიზაცია შესაძლოა სერიოზულ კრიზისამდე მიიყვანოს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. [http://en.wikipedia.org/wiki/Economic\\_Value\\_Added](http://en.wikipedia.org/wiki/Economic_Value_Added)

2. <http://www.investopedia.com/terms/e/eva.asp>
3. <http://www.investinganswers.com/financial-dictionary/financial-statement-analysis/economic-value-added-eva-2925>
4. [http://pages.stern.nyu.edu/~adamodar/New\\_Home\\_Page/lectures/eva.html](http://pages.stern.nyu.edu/~adamodar/New_Home_Page/lectures/eva.html)
5. [http://pages.stern.nyu.edu/~adamodar/New\\_Home\\_Page/invfables/eva.htm](http://pages.stern.nyu.edu/~adamodar/New_Home_Page/invfables/eva.htm)
6. <http://www.accountingtools.com/economic-value-added>
7. Foundations Of Economic Value Added - James. L. Grant
8. [www.rba.gov.au/.../2013/.../bu-0313-4.pdf](http://www.rba.gov.au/.../2013/.../bu-0313-4.pdf)
9. [www.statistics.gov.uk/.../economy/.../region...https://www.facebook.com/EvaEconomicValueAdded](http://www.statistics.gov.uk/.../economy/.../region...https://www.facebook.com/EvaEconomicValueAdded)
10. [http://www.bpi.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=15793%3A2013-07-12-17-23-05&catid=973%3A2013-06-16-15-59-22&Itemid=186&lang=en](http://www.bpi.ge/index.php?option=com_content&view=article&id=15793%3A2013-07-12-17-23-05&catid=973%3A2013-06-16-15-59-22&Itemid=186&lang=en)

***Marieta Kuprava***  
*Grigol Robakidze University*  
*School of Business and Management*  
*Bachelor's Programme Student*

## **Main Aspects of Selection of the Investments Effectiveness Assessment Methods**

### **Summary**

The article “Main Aspects of Selection of the Investments Effectiveness Assessment Methods” discusses the topical problem of contemporary businesses and management.

The economic growth of the country and the productivity of individual companies in the majority of cases is in close cooperation with the processes of investment to the companies and specific sectors of the economy. The effectiveness of strategic decisions in the economic sphere of the country, in most cases, depends and is related to the level of investment to the company. Attracting foreign investments in the growth of the national business is an integral part of the system to ensure the effective functioning of the economy. The investments are contributing to the implementation of productive industry and other innovative projects, provide growth and efficiency.

The article analyzes the origins and meaning of the term “investment”, as well as the main stages of investment. The article describes the methods for evaluation of the project which can be divided into three categories: financial, quality and accounting.

The financial indicators include: NPV currently existed value; DPP discount term of redemption investments.

The qualitative indicators include: IRR internal rate of payback; PI index of profitability; MIRR IRR internal norm of modified rentability.

The accounting indicators are: PP payback period (term investments redemption); ARR effectiveness ratio of investment.

**Keywords:** Investment; Exploitation stage; Discount period.

*მარიეტა კუპრავა  
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
ბიზნესისა და მართვის სკოლა  
საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი*

## ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების მეთოდების შერჩევის ძირითადი ასპექტები

### რეზიუმე

ქვეყანა თუ საწარმო, ეფექტური მუშაობისა და ზრდის პროცესში, დგება სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების წინაშე, რაც, უმეტეს შემთხვევაში, დაკავშირებულია ინვესტირებასთან. უცხოური თუ ეროვნული ინვესტიციები სახელმწიფოს სამეურნეო კომპლექსის ზრდისა და ეფექტური ფუნქციონირებისთვის ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. ინვესტიციები ხელს უწყობენ საწარმოო, ინოვაციური და სხვა სახის პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობენ წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში.

ტერმინი „ინვესტიცია“ ლათინური წარმოშობისაა და გამოიყენება სხვადასხვა ასპექტში, მათ შორის სტატისტიკაში, დინამიკაში, მაკრო- თუ მიკროეკონომიკაში, ფინანსებში და სხვა. ჩვენს სტატიაში ძირითადად ყურადღება გავამახვილეთ ფინანსურ ინვესტიციებზე, რაც გულისხმობს ფულის დაბანდებას სხვადასხვა სახის აქტივში დივიდენდის ან სხვა სახის შემოსავლის მიღების მიზნით. ინვესტიციის განხორციელება დაკავშირებულია გარკვეულ პროცესებთან. მიუხედავად იმისა, რომ პროცესები ერთმანეთისგან განსხვავდება და დამკვიდრებულია პროექტის მასშტაბზე, მათი ზოგადი თანმიმდევრობა შემდეგია:


**საკვანძო სიტყვები:** ინვესტირება, საექსპლუატაციო ეტაპი; დისკონტირებული ვადა.

**ბაზრის კვლევა.** ამ ეტაპზე მუშავდება პროექტი, მზადდება მისი ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები, ტარდება მარკეტინგული კვლევები, ხდება ნედლეულისა და დანადგარების მომწოდებლების შერჩევა, მიდის მოლაპარაკებები პროექტის პოტენციურ ინვესტორებთან და მონაწილეებთან. ინფორმაციის მომზადება მიზნად ისახავს ბიზნეს გეგმის შექმნას.

შემდეგი სტადიაა უშუალოდ ინვესტირება ანუ პროექტის განხორციელება. ეს ეტაპი მოითხოვს ყველაზე დიდ დანახარჯებს და ყურადღებით უნდა განხორციელდეს, რადგან თითოეულ ქმედებას შეუქცევადი ხასიათი აქვს (დანადგარების შექმნა ან მშენებლობა). პროექტს ჯერ კიდევ არ შეუძლია თავისი განვითარების უზრუნველყოფა საკუთარი სახსრების ხარჯზე.

**საექსპლუატაციო ეტაპი.** მას შემდეგ, რაც ინვესტიცია წარმატებით განხორციელდა და ამოქმედდა ის ბერკეტები, რაშიც დაბანდება იქნა განხორციელებილი, იწყება საინვესტიციო პროექტის განვითარების მესამე სტადია. ამ ეტაპზე მიგვითითებს პროდუქციის წარმოების დაწყება ან მომსახურების გაწევა, რომელიც დაკავშირებულია პერიოდულ შემოსავლებთან და ხარჯებთან. საექსპლუატაციო ეტაპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეეტაპია ეკონომიკური მაჩვენებლების მონიტორინგი და საინვესტიციო პროექტის ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასება.<sup>1</sup> [1] (იხ. სქემა 1. საინვესტიციო პროცესის ძირითადი ეტაპები).

**სქემა 1. საინვესტიციო პროცესის ძირითადი ეტაპები.**



ფინანსური და თვისობრივი მეთოდების უდავო უპირატესობას წარმოადგენს მათი გამოთვლის ბაზა. ფინანსური მეთოდებიდან აბსოლუტურად ყველა ეფუძნება დისკონტირების განაკვეთის ეფექტურობის პრინციპს. დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდები საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ განსხვავებები ფულადი ნაკადების დროულობაში სხვადასხვა პროექტებისთვის დისკონტირების პროცესის



მეშვეობით. ამის გარდა, დისკონტირების არჩევანის მიხედვით, შესაძლებელია გამოვიანგარიშოთ პროექტის რისკი.

ფინანსურ მაჩვენებლებში შეიძლება გავაერთიანოთ:

- NPV წმინდა ახლანდელი ღირებულება;
- DPP ინვესტიციების გამოსყიდვის დისკონტირებული ვადა.

თვისობრივ მეთოდთა ჯგუფს მიეკუთვნება:

- IRR უკუგების შიდა განაკვეთი;
- PI მომგებიანობის ინდექსი;
- MIRR მოდიფიცირებული რენტაბელობის შიდა ნორმა.

საადრიცხვო შეფასებებზე დამყარებულ მაჩვენებელთა ჯგუფს მიეკუთვნება:

- PP უკუგების პერიოდი (ინვესტიციების გამოსყიდვის ვადა);
- ARR ინვესტიციების ეფექტიანობის კოეფიციენტი.

მაშინ, როდესაც საინვესტიციო პროექტი ხორციელდება დროს მოკლე პერიოდში, ინვესტიციის შეფასებისათვის სრულიად საკმარისია უკუგების პერიოდის (PP), ინვესტიციების გამოსყიდვის დისკონტირებული ვადის (DPP) და ინვესტიციების ეფექტურობის კოეფიციენტების (ARR) გამოყენება, თუმცა, გრძელვადიანი პროექტების შეფასებისას ამ მეთოდებს დიდი ნაკლოვანებები გააჩნიათ, შესაბამისად, მათი გამოყენება პრაქტიკულად არაეფექტურია. ამ ტიპის ნაკლოვანებების აღმოფხვრა შესაძლებელია ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორცაა NPV, IRR და PI კრიტერიუმები.

IRR და PI კრიტერიუმები ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებისას გამოიყენება, თუმცა, მათ გარკვეული ნაკლოვანებები აქვთ. თუ პროექტი დამოუკიდებელია, მაშინ IRR და NPV იძლევიან დაახლოებით მსგავს შედეგებს პროექტის მიღებასთან დაკავშირებით, ანუ, თუ პროექტი მისაღებია ერთი მაჩვენებლის მიხედვით, მეორითაც მისაღები იქნება. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ კაპიტალის ღირებულებაზე მეტი IRR მიიღება მხოლოდ მაშინ, როცა NPV დადებითია. NPV, IRR, PI მაჩვენებლები ზოგ შემთხვევაში ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მაგრამ ისინი ავსებენ ურთიერთს. ამის მიზეზი არის ის, რომ წმინდა ახლანდელი ღირებულება (NPV) გვეუბნება, მივიღოთ თუ არა პროექტი და, ასევე, გამოხატავს აბსოლუტური ფულადი ეკონომიის ხელშეწყობას, რომელსაც პროექტი უკეთებს აქციონერულ სიმდიდრეს. მომგებიანობის ინდექსი, პირიქით, გამოხატავს მხოლოდ შესაბამის მომგებიანობას. IRR და PI კრიტერიუმები ხშირად გამოიყენება პრაქტიკაში და გარკვეული უპირატესობაც გააჩნიათ. ამიტომ, აუცილებელია ცხადად წარმოვიდგინოთ IRR და PI კრიტერიუმების ბუნება. უნდა გვესმოდეს და შეგვეძლოს იმის ახსნა, თუ რატომ ხდება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში უფრო დაბალი IRR და PI მნიშვნელობების მქონე პროექტებს მიენიჭებათ უპირატესობა, უფრო მაღალი მნიშვნელობების მქონე პროექტებთან შედარებით<sup>iii</sup> [3].


ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების ტრადიციული მეთოდების გარდა, არსებობს ისეთი მეთოდები, როგორცაა დამატებითი ღირებულების მენეჯმენტი (VBM)<sup>iv</sup>. იგი ყოვლისმომცველი მიდგომაა ფინანსური ინსტრუმენტების მართვისას და უზრუნველყოფს, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა მიიღონ მაქსიმალური უკუგება.

VBM მაჩვენებლებში შედის ღირებულების ისეთი საზომები როგორცაა:

- **EVA** \_ დამატებითი ეკონომიკური ფასეულობა
- **MVA** \_ საბაზრო დამატებითი ფასეულობა
- **CVA** \_ ფულის დამატებითი ფასეულობა

მრავალი საერთაშორისო კვლევა განხორცილდა ინვესტიციების შეფასების მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით<sup>v</sup> (იხ. სქემა 2. ევროპასა და ამერიკაში გამოყენებული ინვესტიციების შეფასების მეთოდები). კვლევებმა ცხადყო, რომ ყველაზე ფართოდ გავრცელებული მეთოდებია NPV, IRR და PP. მიუხედავად იმისა, რომ უკუგების პერიოდის გამოყენება რიგ პრობლემებთან არის დაკავშირებული, მისი გამოყენების ჯამური პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ აღემატება სხვა ნებისმიერი განხილული მეთოდის გამოყენების პროცენტულ მაჩვენებელს.

სქემა 2. ევროპასა და ამერიკაში გამოყენებული ინვესტიციების შეფასების მეთოდები.



ამრიგად, ჩატარებულმა ანალიზმა დაგვარწუნა, რომ ინვესტიციების შეფასება, ოპტიმალური მეთოდების შერჩევა მნიშვნელოვანია კომპანიების ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისთვის. თუმცა, ფაქტია, რომ ინვესტიციების შეფასება მხოლოდ მსხვილ ბიზნესებში არის გავრცელებული. მათ შორის, აღსანიშნავია: კომერციული (ფინანსური) ეფექტიანობის მაჩვენებლები (NPV, IRR, PI); ბიუჯეტური ეფექტიანობის მაჩვენებლები (PP, ARR); ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები<sup>vi</sup>[4].

იმისათვის, რომ თვალსაჩინო იყოს, თუ ინვესტიციების შეფასების რომელი მეთოდია ყველაზე ეფექტური და სხვებზე უპირატესი, აუცილებელია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების ცოდნა:

### NPV

- უპირატესობა:
  - განიხილავს დროის გრძელვადიან პერიოდს;
  - განიხილავს ფულის ღირებულებას დროში;

- ითვალისწინებს კაპიტალის მოზიდვის ხარჯებსა და რისკს;
- უზრუნველყოფს ბიზნესის ღირებულების მაქსიმიზაციას.
- ნაკლოვანება:
  - რთული გამოსათვლელია;
  - არ გამოიყენება ისეთი პროექტების შედარებისას, რომელთა საინვესტიციო კაპიტალი განსხვავებულია;
  - რთულია შესაბამისი დისკონტის განაკვეთის გამოთვლა;
  - არ გამოიყენება ისეთი პროექტების შედარებისას, რომელთა სასიცოცხლო პერიოდი სხვადასხვაა.

## IRR

- უპირატესობა:
  - მენეჯერებს საშუალებას აძლევს შეაფასონ, გაიზრდება თუ არა კომპანიის ღირებულება;
  - ითვალისწინებს კაპიტალის მოზიდვის ხარჯებს, რისკსა და შემოსავლებს;
  - ითვალისწინებს ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას.
- ნაკლოვანება:
  - რთული გამოსათვლელია;
  - არ გამოიყენება ისეთი პროექტების შედარებისას, რომელთა საინვესტიციო კაპიტალი განსხვავებულია;
  - რთულია შესაბამისი დისკონტის განაკვეთის გამოთვლა.

## PB

- უპირატესობა:
  - ადვილად აღსაქმელია;
  - არეგულირებს გაურკვეველ ფულად ნაკადებს;
  - მიდრეკილია ლიკვიდობისკენ.
- ნაკლოვანება:
  - იგნორირებას უკეთებს ფულის დროით ღირებულებას;
  - საჭიროებს ათვლის წერტილს;
  - უარყოფს ფულად ნაკადებს ათვლის წერტილის შემდეგ;
  - უარყოფს გრძელვადიან პროექტებს;
  - ზოგი პროექტის შემთხვევაში რთულია შედარების გაკეთება.

## PI

- უპირატესობა:
  - ადვილად აღსაქმელია;
  - NPV-სთან ურთიერთდაკავშირებულია და იღებს იდენტურ გადაწყვეტილებებს;
  - ითვალისწინებს ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას.
- ნაკლოვანება:
  - რთული გამოსათვლელია;
  - სხვადასხვა საჯრების სტრუქტურის პროექტების შედარება შეუძლებელია.

მიუხედავად შეფასების მეთოდების მრალფეროვნებისა, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს საუკეთესო ან უნივერსალური მეთოდი, რომელიც ზუსტად მოგვცემს ინფორმაციას, შეიძლება თუ არა ინვესტიცია განხორციელდეს გარკვეულ საინვესტიციო პროექტში. აქედან გამომდინარე, საინვესტიციო კომპანიების უმეტესობა იყენებს ინვესტიციების შეფასების მეთოდების გარკვეულ კომბინაციებს, რათა მიიღონ მათთვის სასურველი ინფორმაცია.

### გამოყენებული ლიტერატურა

---

1. ქოქიაური ლ., ბებიაშვილი ნ. 2010. *საინვესტიციო პროექტები*. თბილისი.
2. <sup>ii</sup> მაგრაქველიძე დ. 2009. *საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები*. ევგენი ბარათაშვილი, თბილისი.
3. <sup>ii</sup> Левкина Н. Н. *Современные методы оценки эффективности инвестиций в объекты интеллектуальной собственности*.
4. <sup>iii</sup> *Fundamentals of corporate finance*. The McGraw–Hill Companies, 2002, Sixth Edition, Alternate Edition.
5. <sup>iv</sup> ფოკუს მენეჯმენტი, სამეცნიერო კვლევების პროტალი  
[http://www.focusedmanagement.com/knowledge\\_base/articles/fmi\\_articles/middle/vbm.htm](http://www.focusedmanagement.com/knowledge_base/articles/fmi_articles/middle/vbm.htm)
6. <sup>v</sup> “What Determines the Use of Capital Budgeting Methods? Evidence from Swedish Listed Companies“ Sven-Olov Daunfeldt, Fredrik Hartwig. *Journal of Finance and Economics*.